საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

www.tbiliselebi.ge

№47(673) 8–24 ნოემბერ 1,50 ლარი



რა განტოლება ვერ ამოხსნა გიორგი ყიფშიძემ და რატომ ვერ უყურებს მისი ცოლი „ცეკვავენ ვარსკვლავებს“

გვ. 74

გვ. 70

რა დიდი ტკივილი გადაიტანა სალომე ქათამაძემ პროექტის – „ერთი ერთში“ – დაწყებამდე და რომელ ვარსკვლავებთან მუშაობდა შოუს ფრანგი ქორეოგრაფი ზაკ რისი

გვ. 14

რატომ გადაიღეს ვანო მაჭავარიანი პრეზიდენტთან ერთად მიუზიკლში და რა აკავშირებდა მის ოჯახს ბიძინა ივანიშვილის მამასთან



რა საერთო აქვს მირიან ბარათეონს ლევან ვასაძესთან და ქმნის თუ არა მათ საერთო სახეს დათო დარჩია სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები”

გვ. 19

გვ. 18

რატომ არ შედგა დავით ყიფიანისა და ნანა გორგაძის ქორწინება და რას ინახავს ფეხბურთელის საყვარელი ქალი სათუთად



გვ. 50

რა მოუწყო სპეცეფექტების ქართველმა ოსტატმა სოსო გვასალიამ ინდოელ ბელადს და რატომ წვავს ის ადამიანებს ცოცხლად

გვ. 73

როგორ წერდა 5 წლის ნანა დაუშვილი მელოდიებს და როგორ ასრულებდნენ ჯერ კიდევ 17 წლის გოგონას სიმღერებს ცნობილი მომღერლები და პოპულარული ჯგუფები

# გილოცავთ გიორგობას!


HAIRLINE
INTERNATIONAL
თმის გადანერგვის კლინიკა
HAIR TRANSPLANTATION CENTRE
გადანერგილია
ჰეარლაინში
230 00 30
ქავთარაძის ქუჩა 16
www.hairline.ge

# რადიო „პალიტრა" გამარჯვებულია – ვინ არის პოპულარული რადიოს მსმენელი საქართველოში?

*პარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების კომპანია „ჯეპრამ" ქართული რადიოების საინფორმაციო გადაცემების სმენადობის რეიტინგის დასადგენად საინფორმაციო საიტების მომხმარებლის გამოკითხვა ჩაატარა. სპეციალური კითხვარი რვა საინფორმაციო პორტალზე იყო განთავსებული, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 8 836 ადამიანმა. რადიოების საინფორმაციო გადაცემების პოპულარობის მიხედვით, „ჯეპრას" გამარჯვებული გახდა რადიო „პალიტრა," მეორე ადგილზე გავიდა რადიო „მაესტრო", რადიო „ფორტუნამ" მესამე ადგილი შეინარჩუნა.*

**სოსო გალუმაშვილი** *(კომპანია „ჯეპრას" პარისა და მარკეტინგული კომუნიკაციების უფროსი კონსულტანტი):* მეორე საპილოტო ინტერნეტ-გამოკითხვის შედეგებით კმაყოფილი ვართ. საინფორმაციო საიტების მომხმარებლებმა გამოიჩინეს საკმაოდ დიდი აქტივობა. მეთოდოლოგიისა და კითხვარის დახვეწამ უფრო სრულყოფილი ინფორმაციის მიღების საშუალება მოგვცა, რის საფუძველზეც თებერვალში სრულმასშტაბიანი პროექტის განხორციელებას ვგეგმავთ. ვმუშაობთ გამოკითხვის ტექნიკურ სრულყოფაზე, გვსურს, რომ გამოკითხვის შედეგები უფრო გამჭვირვალე და მყისიერად ცნობილი გახდეს როგორც თითოეული რესპონდენტისთვის, ისე ვებ-საიტების ყველა მომხმარებლისთვის.

**თამარ ცაგარეიშვილი** *(რადიო „პალიტრის" პროგრამების ხელმძღვანელი):. რადიო „პალიტრა" გახდა გამარჯვებული „ჯეპრას" მიერ ჩატარებულ ინტერნეტ-გამოკითხვაში ქართულ რადიოების საინფორმაციო გადაცემების სმენადობის რეიტინგში.*

**რადიო „პალიტრის" მსმენელია საშუალო ასაკის, რესპექტაბელური, დასაქმებული, გადაწყვეტილების მიმღები მამაკაცების უმრავლესობა, რომელთაც ჰყავთ ავტომობილი**

– ოქტომბრის გამოკითხვით ჩვენ აღმოვჩნდით ყველაზე პოპულარული რადიო საინფორმაციო გადაცემების სმენადობის მიხედვით. ეს არის იმ პროფესიონალთა დამსახურება, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ ამ რადიოში. რადიო „პალიტრა" ეთერში გავიდა 2008 წლის აგვისტოში. მოგეხსენებათ, ეს ქვეყნისთვის ძალიან მძიმე დღეები იყო. ჩვენ ვაპირებდით მაუწყებლობის დაწყებას მშვიდად და წყნარად, სექტემბერში, მაგრამ, აგვისტოს ომმა დააჩქარა მოვლენები. ზოგადად, რადიოს შექმნის იდეა დაფუძნებული იყო კონცეფციაზე, რომ რადიო ყოფილიყო საავტორო გადაცემებითა და თოქშოუებით. თავიდან რადიო „პალიტრა" მაუწყებლობდა მხოლოდ საინფორმაციო სამსახურით, დღეს რადიოს საეთერო ბადე დილიდან საღამოს 10 საათამდე სავსეა საავტორო გადაცემებით. ჩვენთან საავტორო გადაცემებზე მუშაობენ: მამუკა არეშიძე, კახი კახიშვილი, მერაბ მეტრეველი, ზვიად დოლიძე. რადიო „პალიტრაში" ამ ხუთი წლის განმავლობაში მუშაობდა ძალიან ბევრი საინტერესო ადამიანი – საავტორო გადაცემები ჰქონდათ შალვა რამიშვილს, კოტე ჟღენტსა და სხვებს და თითოეული მათგანი იყო ჟურნალისტი მაღალი პროფესიონალიზმითა და საკუთარი ბიოგრაფიით, ამიტომაც აქვს „პალიტრას" პრეტენზია, იყოს საავტორო რადიო. არ შემიძლია, არ გამოვყო ეკა ბურჭულაძის დამსახურება, რომელიც დღეს მართავს საინფორმაციო სამსახურს. სწორედ ის უდგას სათავეში გუნდს, რომელიც ოპერატიულ და ობიექტურ ინფორმაციას აწვდის მსმენელს. ამ რადიოს ქმნიდა ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებსაც საკუთარი პროფესიის დიდი სიყვარული და ერთგულება აქვთ ჩადებული საქმეში.




**– რა ნომინაციების მიხედვით გამოარჩია რადიო „პალიტრა" მსმენელმა?**

– ეს ის თემაა, რომელიც ჩემთვის, როგორც გადაცემების ხელმძღვანელისთვის, ყველაზე ღირებული და მნიშვნელოვანია. ჩვენ მუდმივად ვართ საკუთარი საქმიანობის მონიტორინგისა და კვლევის რეჟიმში; ძალიან ვუფრთხილდებით ეთიკას და, შეუძლებელია, ამას არ გრძნობდეს მსმენელი. რადიოს სტილი არის აკადემიური, კლასიკური, მაგრამ, გახსნილია სიახლეებისა და ინოვაციებისთვის. პროფესიონალიზმი, მიუკერძოებლობა და პატიოსანი დამოკიდებულება პროფესიულ სინდისთან – ეს ის საწყისებია, რასაც რადიო არასდროს ღალატობს. ჩვენთან მუშაობდა ამერიკელი კონსულტანტი რიჩ მაკლი, რომელიც „აირექსის" პროექტის ფარგლებში ქართული რადიოების კვლევას ატარებდა. კვლევამ შეისწავლა რადიობაზარი და გამოკვეთა ყველა რადიოსადგურის მსმენელის პორტრეტი. იცით, რა აღმოჩნდა? ვინ არის რადიო „პალიტრის" მსმენელი? ჩვენი მსმენელია საშუალო ასაკის, რესპექტაბელური, დასაქმებული, გადაწყვეტილების მიმღები მამაკაცების უმრავლესობა, რომელთაც ჰყავთ ავტომობილი. ჩვენი რადიოს მსმენელი აკმაყოფილებდა ამ პარამეტრებს, რომლებსაც ემატებოდა ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი – ერთგული მსმენელი, რომელიც ამ დიდ არჩევანში გამჯობინებს შენ. ამ პროექტის პრეზენტაციაზე რიჩ მაკლმა საგანგებოდ გაუსვა ხაზი ამ მოცემულობას, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. როგორც აღმოჩნდა, რადიო „პალიტრას" ყველაზე მეტი „ამორჩეული" მსმენელი ჰყავს. ყველა, ვისაც მიაჩნია, რომ ჩვენ ვართ მათი საიმედო თანამგზავრი, უსმენს რადიოს, სიხშირეზე – 103,9!

**თამუნა სამადაშვილი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# „აუცილებლობით“ ჩამოლაბორანტებული

## ძეგლების ცოდვით სავსენი

ავად თუ კარგად, **ის-ის იყო, ბაგრატის ტაძრის გათანამედროვება მოვინელეთ,** ან, **იქნებ, სულაც, ვერც**, რომ **ეკონომიკის სამინისტრომ ახალი ინციატივა შემოგვთავაზა**. კერძოდ, ის, რომ **მთავრობას უფლებამოსილება ეძლევა, „განსაკუთრებულ შემთხვევებში“** განკარგულება გამოსცეს და **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ობიექტს სტატუსი მოუხსნას.**

**აქამომდე მოქმედი** „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ **კანონით,“ ძეგლისთვის სტატუსის მოხსნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები**, თუ ძეგლი **განადგურდა** ან ისე **დაზიანდა, რომ ისტორიული თუ კულტურული ღირებულება დაკარგა**, რომლის აღდგენაც შეუძლებელია, **ან, მეცნიერული კრიტერიუმებით ის ძირითადი მახასიათებელი დაკარგა,** რის გამოც ობიექტს ძეგლის სტატუსი მიენიჭა.



**აწ კი ეკონომიკის სამინისტრო მოწადინებულია, დაამატოს ნორმა, რის მიხედვითაც, განსაკუთრებულ შემთხვევებში მთავრობის განკარგულებით ძეგლისთვის სტატუსის მოხსნა დასაშვები ხდება**. „განსაკუთრებულობაში“ კი ეს ჩვენი ძეგლების ცოდვით სავსე ეკონომიკის სამინისტრო შემდეგს ასახელებს: **„სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აუცილებლობა“.** თუმცა დასძენს, რომ გადაწყვეტილება უნდა იყოს **აქეთ – დასაბუთებული, იქით – კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული**. ერთი **შეღავათი ისაა, რომ, ამ „განსაკუთრებულ შემთხვევებში“,** რაც მთავრობამ უნდა დაადგინოს, **ძეგლისთვის სტატუსის მოხსნის შესაძლებლობა არ ვრცელდება ეროვნული კატეგორიისა და მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილ ძეგლებზე.**

**რაკი მთავრობამ მოიწადინა**, ცხადია, **პარლამენტი შესაბამის კანონს ზემოხსენებულ ნორმას ლიწინ-ლიწინით დაუმატებს**, ხოლო, **რადგან ცვლილებები ციდან არ ცვივა,** იბადება რიტორიკული კითხვა: ნეტავ, **რომელი ძეგლები აქვს მოქმედ მთავრობას შეგულებული ჩამოსალაბორანტებლად?! –**

# „პირველი ჩვენების“ ხიბლი

გასულ კვირას შევიტყვეთ, რომ **ზუგდიდში ერთ-ერთ პოლიციელს სცემეს** (გ. ანჩაბაძეს), **პატივი აჰყარეს** (პოლიციელის ფორმა გახადეს) და **პრეზიდენტის ზუგდიდურ რეზიდენციასთან დააგდეს.**



ფაქტს **სამართალდამცველებიც გამოეხმაურნენ** და **მყისიერი რეაქცია აწ დაკავებულმა ყოფილმა მაღალჩინოსნებმაც**, ბ-ნებმა მერაბიშვილმა და ახალაიამაც, **უმალ გამოამჟღავნეს**. კერძოდ, **ორივემ აფრინა წერილი**, რომელშიც, ჯერ ერთი, **თანადგომა გამოუცხადეს დაზარალებულ პოლიციელს** და, რაც მთავარია, **კიდევ ერთხელ დაარისხეს განგაშის ზარები, რომ კრიმინალი მძვინვარებს** და ბატკნებივით დაუცველ სამართალდამცველებს უტიფრად ერჩის.

**ზემონახსენები ბატონების ტკივილიან მიმართვას კალამი არ შეშრობოდა**, როდესაც გაირკვა, რომ ზუგდიდელი **პოლიციელი ბავშვობის მეგობარმა და მეჯვარემ სცემა**, არც მეტი, არც ნაკლები, **მეუღლის გაუპატიურების მცდელობისთვის** (რაც ბ-ნების, მერაბიშვილისა და ახალაიას **შეფასებას მთლიანად აქარწყლებს**, ვინაიდან, სწორედ **დაზარალებულმა პოლიციელმა შეულახა, უპირველესად, ღირსება პოლიციას**).

ხოლო, რაკი **არც** ბ-ნი **მერაბიშვილი** და **არც** ბ-ნი **ახალაია საქმის გარემოებების დაზუსტების შემდეგ ამ თემაზე საზოგადოებას არ შეხმიანებიან**, სავარაუდოა, რომ **კვლავ პირველ ჩვენებაზე არიან** (ანუ, მომხდარი კრიმინალის პოლიციაზე ზეწოლად მიაჩნიათ), რაც **ლოგიკურად ნიშნავს, რომ, მათი ლოგიკით, პოლიციელი, კეისრის ცოლივით, ეჭვგარეშეა** და, რაც მთავარია, მისთვის ყველაფერი „მოსულა“!



# შეგრძნობილი

## ანუ, „უგრძნია კაცს“

გასულ კვირას **ამ ჩვენმა**, მათ შორის, ბ-ნი გვარამიას გენპროკურორობის დროსაც, **მხოლოდ გამამტყუნებელ განაჩენებზე გადამკვდარმა სასამართლომ,** ბ-ნი **გვარამია და, მასთან ერთად, ეგრეთ წოდებულ „თელასის“ საქმეზე ყველა ბრალდებული გაამართლა.**

თუმცა, **მხოლოდ ეს არ ყოფილა ღირსშესანიშნავი ფაქტი,** პროცესის შემდგომ ბ-ნმა **გვარამიამ**, აწ „რუსთავი 2-ის“ გენდირექტორმა, **გაგვიმხილა**, რომ „დღეს მთავარი რამ – **სასამართლოს თავისუფლება – შედგა“, ოღონდ, იმავეს ვერ იტყვის პროკურატურაზე.** სახელდობრ, ბ-ნმა გვარმიამ ისიც **შენიშნა, რომ პროკურატურას ხარვეზები მის დროსაც ჰქონდა** (ხარვეზებიო?!) და „გულწრფელადაც“ **აღიარა, რომ „პროკურატურაში ძალიან ბევრი რამ არასწორად გავაკეთეთ.“**



მაგრამ, **ეს ნიუანსები**, როგორც თავად ამბობს, **მხოლოდ მაშინ შეიგრძნო, როდესაც თავად მოუწია ბრალდებულის სახით სასამართლოს წინაშე წარდგომა**: „ჩვენ პროცესზე არაკვალიფიციური და პოლიტიკურად მოტივირებული პროკურატურა ვნახეთ“ (სამწუხაროდ, ის კი აღარ გვითხრა, პროკურატურის მიერ მომზადებულ ჯაშუშურ ფილმებზე რა აზრი აქვს).

ხოლო, **თუ ამ ლოგიკას გავყვებით** (მხოლოდ ბრალდებულის როლში შევიგრძენი პროკურატურის პოლიტიზებულობა და არაკვალიფიციურობაო), გამოდის, რომ, მაგალითად, **სასჯელაღსრულების სისტემის ხარვეზებსაც მხოლოდ გისოსებს მიღმა აღმოჩენის შემდეგ შეიგრძნობენ?! –**


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუწუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ზური ქავთარაძე, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „სიყვარული აგვამაღლებს"

## ანუ, „რაც არჩევნებს დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია"

სულ პირველად ეს **პიანისტი ქალბატონი** (ხატია ბუნიათიშვილი) **საქართველოს მოქალაქეების მრავალჭირნახულმა თვალებმა ანაკლიის ხიდის პრეზენტაციაზე იხილეს** რამდენიმე წლის წინათ და, **თუმცა იმ ხიდმა „მოგჭამა ჭირი",** თავად **პირველნახული ფრიად ჯანმრთელად და შემოქმედებით ღვწაშია**.



**იმდენად აქტიურშიც კი, რომ, შესაძლოა, თავად პრეზიდენტის**, თუმცა, რაღა პრეზიდენტის, უკვე **ყოფილის თავს უბედურებაც მოაწიოს**. მოაწიოს, რადგან, სწორედ **ამ ქალბატონისთვის კლიპის გადაღების გამო, ამ ჩვენს მამასისხლად აგებულ საპრეზიდენტო სასახლეს სახელმწიფო დროშა მოხსნეს** და **„ნაციონალური" ოთხგულიანი მიაკიდეს.**

მეორე მხრივ, **პრეზიდენტის ასეთი აქტივობა ხელოვანთა მოტივირებისთვის არახალია** ქართული პოლიტიკური რეალობისთვის (და, დიდი იმედია, ერთხელ და სამუდამოდ ჩაჰბარდება ავადმოსაგონარ წარსულს). მოგეხსენებათ, მოარული ხმები, რომ, მაგალითად, **მეორე ხელოვანი ქალბატონის, სოფიო ნიჟარაძის გასახარებლად უცხოელი ვარსკვლავებიც ჩამოჰყავდათ და რაბათის ციხეში კლიპებსაც უღებდნენ** (მიუზიკლების დადგმაზე აღარაფერს ვიტყვი).

თუმცა, **რაც მართალია, მართალია, მის გამო სახელმწიფო დროშა პრეზიდენტის სასახლისთვის არ ჩამოუხსნიათ** (ნეტავ, რატომ?!). რაკი **დროშის შეცვლა ყველამ იხილა, პრეზიდენტის ადმინისტრაციას ფაქტი არ უუარია** (არჩევნებს რა ვუთხარი, თორემ, ხომ მოგვაჩვენებდნენ იმ ოთხ გულში ოთხ ჯვარს?!), **ოღონდ, კომენტარს არ აკეთებდნენ**.

ბოლოს (შესაძლოა, მოტივით – საცა ვიწროა, იქ გაწყდესო) **პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დაინტერესებულ საზოგადოებას სოციალური ქსელით გამოეხმაურა** და განმარტა: „პრეზიდენტის სასახლის თავზე ე.წ. გულებიანი დროშის აღმართვასთან დაკავშირებით, მინდა, ვაცნობო საზოგადოებას, რომ **ეს დროშა აღმართულია მხოლოდ ერთი დღით, სასახლეში მუსიკალური კლიპის გადაღებასთან დაკავშირებით** (უკაცრავად პასუხია და, სასახლეა თუ გადასაღები მოედანი?!)," ზედაც, დაგვამშვიდა, რომ სასახლის გუმბათზე საქართველოს სახელმწიფო დროშა კვლავაღ დაბრუნდებოდა.

დროშა, ბუნებრივია, დაბრუნდა და ჩვენ **კიდევ ერთხელ გავხდით მოწმენი**, რომ **„სიყვარული აგვამაღლებს",** რადგან, **„რაც არჩევნებს დაუნგრევია",** რას, თუ არა **„სიყვარულს უშენებია"?!**

# უმრავლესობა აბობოქრდა

## ანუ, „კენჭებით" სავსე „ბოსტნები"

თუმცა ამ ჩვენი **ხალხის რჩეულებისთვის იმთავითვე ცნობილი იყო, რომ მათი კოლეგა ქ-ნი საჯაია ოკეანის გაღმა გაემგზავრა სასწავლებლად და აქეთ გვამუნათებდნენ**, რომ, პარლამენტის რეგლამენტით, დიახაც რომ, **ეკუთვნის დეპუტატის თანამდებობრივი სარგო, სადეპუტატო უფლებამოსილების განხოცრიელებისთვის დანამატი და, ზედაც, ტრანსპორტის ხარჯებიო** (ისე, სატელეფონო ხარჯს რატომ არ უფარავენ? ბარემ, მადლისთვის მარილიც მოეყარათ, და მერე რა, რომ ჩვენს ხარჯზე?!), **მაგრამ, მოულოდნელად და რატომღაც აბობოქრდნენ.**

სულ ბოლოს საპარლამენტო უმცირესობის წევრმა ქ-ნმა **საჯაიამ** (რომელსაც უკვე აქვს საქართველოს საპარლამენტო ისტორიაში ყველაზე ნორჩი კანონშემოქმედის **იარლიყი** – იგი **21 წლისა შეუდგა საკანონმდებლო ცეცხლით წვას**) პარლამენტს თხოვნით მიმართა, **კუთვნილი შვებულება კიდევ სამი თვით გამიხანგრძლივეთ, რათა ნაყოფიერად გავნათლდეო** (და, თუმცა „სწავლა სინათლეა", **ჯერ რომ ესწავლა და შემდეგ შესჭიდებოდა ამ ჩვენს კანონმდებლობას?!).**



როგორც მოსალოდნელი იყო, **კოლეგებმა მისი თხოვნა გულთან ახლოს მიიტანეს**, თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარემ, ბ-ნმა **უსუფაშვილმა, შენიშნა – მნიშვნელოვანია, დეპუტატი საპარლამენტო მუშაობაში აქტიურად იყოს ჩართულიო**, ოღონდ, **ამით კენჭი არა ქ-ნი საჯაიას, არამედ, იმ დეპუტატების ბოსტანში ისროლა**, რომლებიც. თურმე, სხდომებს თითქოს ოჯახური პრობლემების გამო აცდენენ, რეალურად კი, არც მეტი, არც ნაკლები, **სიმულანტობენ**.

ხოლო, **თუ ზემოთქმულს დავამატებთ, რომ რიგითი დეპუტატის ყოველთვიური შემოსავალი 4 „ს ჩემ ტო" ათასი ლარის ფარგლებშია**, როგორც ჩანს, უახლოეს 3 წელს კვლავაც აქტუალური იქნება შეგონება: **ბედი მომეც, პარლამენტში დამაგდეო!** –

**მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

# საბჭოური „მწყერები"

## ანუ, „დეპოში" ჩარჩენილები

გასულ კვირას **რფ-ის „დუმაში" განსახილველად კანონპროექტი შესულა – არც** მეტი, არც ნაკლები, **სრულიად რუსეთის ტერიტორიაზე აშშ დოლარების შენახვასა და ბრუნვას კრძალავს**!

თუკი კანონპროექტი კანონად იქცევა, **რფ-ის მოქალაქეები ვალდებულნი იქნებიან,** ერთი წლის განმავლობაში **დახურონ დოლარში არსებული თავიანთი ანგარიშები, ხოლო, მუთაქაში შენახული „მწვანეები" გადაცვალონ რუბლებზე ან რომელიმე სხვა ვალუტაზე.** წინააღმდეგ შემთხვევაში, **შესაბამისი ორგანოები მათ დოლარებს ჩამოართმევენ**, თუმცა, 30 კალენდარული დღის განმავლობაში რუბლებში გადახურდავებულს უკან დაუბრუნებენ. –



ისიცაა, რომ **კანონპროექტი, გამონაკლის შემთხვევებში, რფ-ის მოქალაქეებს მაინც მისცემს აშშ-ური დოლარების ყიდვის უფლებას**. გამონაკლისში, ანუ მაშინ, თუკი ისინი უცხოეთში დააპირებენ წასვლას, ოღონდ, **მთლად ასე ხელაღებითაც არა.** კანონში **იმ ქვეყნების ჩამონათვალიცაა, სადაც რუს ტურისტებს დოლარი არ დასჭირდებათ** (მათ შორისაა ევროკავშირიც) და **ის ქვეყნებიც, სადაც დასჭირდებათ** (ამ ჩამონათვალშია საქართველოც, სხვათა შორის, **აფხაზეთიც და თვით „იუჟნაია ოსეტიაც",** თუმცა, ჩემთვის გაუგებარია, რა შუაშია ეს ორი უკანასკნელი აშშ დოლართან, მაგრამ, **რას გაუგებ რუსი კანონმდებლის საბჭოთა ნოსტალგიით დაბინდულ გონებას?!).**

კანონპროექტის ავტორები აღნიშნავენ, რომ **ეს ღონისძიება რუსული რუბლის პოპულარიზაციის მიზნით ტარდება**, რადგან, **ამერიკული დოლარების რფ-ის ტერიტორიაზე მოძრაობა ხელს უშლის რუსულ რუბლს სრულფასოვან სარეზერვო ვალუტად ქცევაში** (მკვდარს ვითომ რამე გააცოცხლებს?!).

ოღონდ, **ეს შეზღუდვები არ გავრცელდება რფ-ის ცენტრალურ ბანკსა და მთავრობაზე**, მათ კვლავაც შეეძლებათ ოკეანისგალმური „მწვანეების" როგორც ტრიალი, ისე შენახვა. **ან კი როგორ შეეხება, როდესაც რფ-ის ძირითადი შემოსავალი ენერგომატარებლების გაყიდვაა, ხოლო ნავთობის ყიდვა-გაყიდვა მსოფლიო ბაზარზე მხოლოდ აშშ-ურ დოლარებში ხდება?!**

მაგრამ, როგორც უნდა იყოს, **რაკი ქვეყანაც მათია და რუბლიც, კისერიც (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალუტაც) უტეხიათ.**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ცნობილია, რომ საქართველოში წამლის ხარჯის წილი ჯანდაცვის საერთო ხარჯში არაადეკვატურად მაღალია და გონივრულობის ყოველგვარ საზღვარს სცილდება. იმას გარდა, რომ ტრადიციად იქცა ნაცნობ-ახლობლების რჩევით მედიკამენტების მიღება, არანაკლებ სცოდავენ ექიმებიც, რომლებიც პაციენტებს საჭიროზე მეტ წამალს უწერენ – ზოგჯერ კომპეტენციის სიმწირის, ზოგჯერ კი – მეტად მერკანტილური მიზეზით, მატერიალური დაინტერესების სანაცვლოდ უბრალოდ ამა თუ იმ წამალს ასაღებენ. ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, იანვრიდან მედიკამენტები, გარდა მცირე ჯგუფისა, მხოლოდ რეცეპტით გაიცემა. რა შედეგს მოუტანს მოსახლეობის ჯიბეს ჯანდაცვის რეცეპტების სისტემაზე გადასვლა და არის თუ არა ეს ზედმეტი წამლებისგან თავის დაცვის საშუალება? – თემაზე ჯანდაცვის კონსულტანტი თინა ტურძილაძე გაგვიზიარებს თავის მოსაზრებას.**

# როგორ გაიხდიან ფარმაცევტული კომპანიები რეცეპტს თავიანთი მოგების გასაზრდელად და რამდენად გაეზრდებათ პაციენტებს სამედიცინო დანახარჯები სარეცეპტო სისტემაზე გადასვლით

**– დღეს არსებული მდგომარეობით, რა ტიპის წამლებზეა სავალდებულო ექიმის რეცეპტი და თუ ახორციელებდა ჯანდაცვის სამინისტრო ამ ტიპის კონტროლს?**

– მოქმედი კანონმდებლობით, რომელშიც, მართლაც, არის არაკორექტული დათქმები და კოლიზიური ნორმები, რეცეპტით გაცემას მხოლოდ სპეციალური კონტროლის რეჟიმში გადაყვანილი ნომენკლატურა ექვემდებარებოდა: საუბარია ნარკოტიკებზე, ფსიქოტროპულ და მათთან გათანაბრებულ საშუალებებზე, ამ კატეგორიის წამლების გაცემის წესის დარღვევა ყოველთვის, ადრეც და ახლაც, ისჯებოდა, პირველ და მეორე შემთხვევებში – ფულადი ჯარიმით, ხოლო მესამე შემთხვევაში უქმდება საქმიანობის ნებართვა. ახალი ინიციატივით, არაფერი შეცვლილა რეგულაციის მეთოდოლოგიაში, უბრალოდ გაიზარდა ჯარიმის ოდენობა.

მიუხედავად რეგულაციების არსებობისა, პრობლემა, რომელიც ამ სეგმენტში გვაქვს, მნიშვნელოვნად პროგრესირებს, ამას აღიარებს ყველა: ნარკოლოგები, სამინისტრო, საზოგადოება... თუ რეგულაციით ვერ ვიღებთ სათანადო შედეგს და ფაქტია, რომ ვერ მივიღეთ, მაშინ ან რეგულაცია არ გვივარგა, ან ადმინისტრირება გვაქვს უხარისხო, ან ორივე ერთად. ამ სეგმენტის გაზომა, რეგლამენტირებული აღრიცხვიანობის გამო, საკმაოდ იოლია. სამინისტრომ იცის, რომელი კონტროლირებადი წამლები შემოდის ბაზარზე, ვის შემოაქვს, რამდენი შემოაქვს, რა სერიებია, სად იყიდება, ყოველკვარტალურად იღებს ინფორმაციას ნაშთებზე... კიდევ რა არის საჭირო იმისათვის, რომ ურეცეპტოდ გაცემის იდენტიფიკაცია მოხდეს; თუკი ასეულობით მილიონი აბი იყიდება ურეცეპტოდ, თუკი ასეთი მასშტაბისაა ეს პრობლემა, მაშინ ბუნებრივია, პასუხია საჭირო კითხვაზე: ასეთი აღრიცხვის რეჟიმში, წლის განმავლობაში მარტო 7 ობიექტი ჰყიდიდა ამდენ წამალს, რატომ არ დაიხურა სხვები, რა ტექნიკური პრობლემები გვაქვს?! რაც შეეხება ისეთ ცვლილებებს როგორიცაა ჯარიმის 12 000 ლარამდე გაზრდა: ეს პრევენციის ნაცვლად უფრო ზრდის აფთიაქსა და მარეგულირებლის კორუფციული გარიგების მორალურ რისკს.



**დამაფიქრა მარეგულირებლის განცხადებამ, რომ „მთავარია, დაწყება“, რეგულაციის მთელი ფილოსოფია ხომ ისაა, რომ „მთავარი შედეგია“ და არავითარ შემთხვევაში დაწყება**

**– არსებობს თუ არა იმ ჯგუფის წამლების რეცეპტით გაცემის აუცილებლობა, რაც ჯანდაცვის სამინისტრომ შემოგვთავაზა – თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს, კონკრეტულად რა ტიპის წამლებზე აწესებს ჯანდაცვის სამინისტრო სარეცეპტო შეზღუდვას 2014 წლის პირველი იანვრიდან?**

– სამინისტროს არ დაუსრულებია RX-ის ჩამონათვალზე მუშაობა, როგორც აცხადებენ, გეგმავენ ანტიბიოტიკების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის სამკურნალო საშუალებების, სტეროიდული ჰორმონების, ანტიჰიპერთენზიული საშუალებების და ასე შემდეგ პრეპარატების რეცეპტის გარეშე გაცემის აკრძალვას. პრობლემა ისაა, რომ მათი რაციონალური დანიშნულება და რეცეპტით გაცემის საჭიროება არსებობს, მაგრამ პრობლემის კორექციის შესაძლებლობა არ არსებობს, ვინაიდან რეცეპტი არარაციონალურ სერვისებს და პროდუქციას რაციონალურს ვერ გახდის. არავინ დაობს, რომ ირაციონალური ფარმაკოთერაპია ჯანდაცვის ყველაზე დიდი გამოწვევაა და საერთოდაც რეგულაციების ამოცანაც ის არის, რომ რაციონალური გახადოს ჯანდაცვა, მაგრამ ამისთვის რეცეპტის ინსტრუმენტი ძალიან ცოტაა.

ირაციონალური ფარმაკოთერაპიის შედეგების კორექცია სახელმწიფოებს მილიარდები უჯდებათ, მაგალითად, ამერიკაში მხოლოდ ანტიმიკრობული პრეპარატებისადმი რეზისტენტობის მიზეზით გახანგრძლივებული და მით უფრო ჰოსპიტალური მკურნალობა, დაახლოებით, 4-5 მილიარდი აშშ დოლარი ჯდება წელიწადში, ევროპაში 9 მილიარდი. ის სტატისტიკაც არსებობს, რომ გამოყენებული წამლების 50 პროცენტი არასწორადაა დანიშნული ექიმების მიერ და 50 პროცენტს მომხმარებლებიც არასწორად მოიხმარენ.

ჩვენს მოცემულობაში, როცა უხარისხოა სამედიცინო სერვისები, გაურკვეველი თერაპიული ღირებულებისაა წამლები, ანუ ცუდად რეგულირებულ და ცუდად ადმინისტრირებულ ბაზარზე შემოგვაქვს, ვამატებთ კიდევ ერთ ფორმალურ ინსტრუმენტს – რეცეპტს, რომელსაც „წარმატებით“ გამოიყენებენ საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიები და კიდევ უფრო დავამძიმებთ რეალობას. ჩვენი ბაზრის ბიზნესმოდელები ხომ ერთმანეთთან ინტეგრირებული ფარმაცევტული ჰოსპიტალური და სადაზღვევო მოდელებია, ამ რეალობაში რეცეპტი უფრო ანკესია.

**– არის თუ არა მზად საქართველოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემა ამ რაოდენობის წამლის რეცეპტებით გაცემაზე გადასასვლელად?**

– პირველადი ჯანდაცვა, როგორც სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი, არ არის მზად უზრუნველყოს ხარისხიანი სამედიცინო სერვისი, კიდევ უფრო გაუარესდება სერვისის ხარისხი, როცა მწვავედ დაუდგება ფარმაცევტული ბაზრის ნაკადების გამტარიანობის პრობლემა. რეცეპტის ქართული მოდელი არ ითვალისწინებს რაციონალური დანიშნულების უზრუნველყოფის შემძლე სამედიცინო სერვისის, არც რაციონალური წამლის კომპონენტს და ბოლოს არც ფინანსურ სტიმულებს წამლის კომპონენტის დაფინანსების ან თანადაფინანსების სახით. მზად არც მარეგულირებელი არ არის: როგორ წარმოგიდგენიათ 12-კაციანი ინსპექციით 4 500 ობიექტში რეცეპტის ნაკადების გაკონტროლება?! მაღალია არალეგიტიმური ხარჯების რისკები, რომლებიც ბუნებრივია საბოლოოდ აისახება წამლის თვითღირებულებაში და ესეც ხალხის გადასახდელი იქნება.

**– ეს შეამსუბუქებს პაციენტების მიერ ზომაზე მეტი მედიკამენტების მიღების თვალსაზრისით მდგომარეობას თუ, პირიქით, გააუარესებს?**

– ადამიანებზე ზრუნვა იმ კონტექსტით, რომ მათ არ უნდა მიიღონ წამლები, როცა ეს არ არის საჭირო, სადავო არ არის, მაგრამ არის კიდევ უფრო ადამიანური პოზიცია, რომ ადამიანი არ დავტოვოთ წამლის გარეშე. ცხადია ეს არ არის არჩევანი „კარგსა“ და „ცუდს“ შორის, ეს არის არჩევანი „ცუდსა“ და „უფრო ცუდს“ შორის, მაგრამ ჩვენ სხვა არჩევანი არ გვაქვს, ეს რეალობაა, მას თვალი უნდა გავუსწოროთ და შევცვალოთ, ოღონდ დეკორაციების და შეფუთვების გარეშე, უნდა ვიმოქმედოთ მხოლოდ საგნობრივად.

**– არის თუ არა არგუმენტი, რომ საყოველთაო დაზღვევის პროგრამა შეეშველება პაციენტებს და მათ წამლისთვის გაღებული ხარჯი არ მოემატებათ? არიან ადამიანები, რომლებიც სტაბილურად იღებენ ამა თუ იმ კონკრეტულ წამალს. მათ თითოეულ ჯერზე მოუწევთ ახალ-ახალი რეცეპტის აღება, რაც ექიმთან ვიზიტის დამატებით ხარჯსაც გულისხმობს?**

– საყოველთაო დაზღვევა ლიმიტირებული ფინანსების გამო არ არის უნივერსალური, შესაბამისად, ის შეზღუდულად ითვალისწინებს სამედიცინო გამოკვლევებს და ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციებს, ულიმიტო მხოლოდ ოჯახის ექიმთან ვიზიტია, ეს არასაკმარისია ზუსტი დიაგნოზირებისთვის და წამლის რაციონალური დანიშნულებისთვის. ამიტომ რაციონალური დანიშნულებისთვის პაციენტებს ამ ხარჯების გაღება მოუწევთ და ეს გაზრდის დანახარჯს; რაც შეეხება ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატების რეცეპტებს: ეს ტექნიკურად მარტივად მოსაგვარებელია და, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ ამის მოგვარება.

**– ცნობილია, რომ ჯანდაცვის საერთო ხარჯში წამალზე გაღებული წილი არაადეკვატურად მაღალია: არის სარეცეპტო სისტემაზე გადასვლა ამ დანახარჯის შემცირების გზა?**

– რაციონალური ფარმაკოთერაპია ანუ ხარჯეფექტიანი მკურნალობა ითვალისწინებს წამლებზე ხარჯების შეკავებას, მათ შორის პოლ-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ზურაბ ბეკურაშვილი** *(42 წლის. მცხეთა).*

**დიაგნოზი**: მწვავე დისკოგენოზი, იშიო-რადიკულიტი.

– ტკივილები სამი წლის წინ, წელსა და მარჯვენა ფეხის არეში დამეწყო. ამ დროის განმავლობაში საკმაოდ ბევრ ექიმთან ვმკურნალობდი, მაგრამ შედეგი ზოგჯერ იყო, ოღონდ, ხანმოკლე, ზოგჯერ – საერთოდ არა. აუტანელი ტკივილების გამო მიჭირდა დამოუკიდებლად გადაადგილება. ჟურნალ „თბილისელების“ მეშვეობით მოვედი ალექსიშვილის კლინიკაში; მოვედი კი არა, მომიყვანეს, რადგან დამოუკიდებლად ვერ ვმოძრაობდი. პირველივე გასაუბრებაზე ვიგრძენი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. პირველი პროცედურიდანვე ტკივილმა იწყო სწრაფი კლება, მესამე დღეს კი დამოუკიდებლად შევძელი მოსვლა. ახლა უკვე ჩავიტარე მთლიანი კურსი და, მინდა გითხრათ, რომ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ – უკვალოდ გაქრა ტკივილებიც და შეზღუდული მოძრაობაც, რისთვისაც უსაზღვრო მადლობა მინდა ვუთხრა კლინიკის ხელმძღვანელსა და ექიმებს, ქალბატონ მანანას და მის ვაჟს – ბატონ სოსოს. ღმერთმა დალოცოს ჩემი და ჩემნაირი გაჭირვებულების შველისთვის!



**ციური ბაკიძე** *(62 წლის, კასპი).*

**დიაგნოზი**: წელის მალების სპონდილოზი, დისკოზი.

– მაწუხებდა ხერხემალი. ისეთი ტკივილები მქონდა, საწოლიდან ვერ ვდგებოდი, არანაირი გამაყუჩებელი არ მშველოდა. ჟურნალ „თბილისელებში“ წავიკითხე ქალბატონ მანანა ალექსიშვილის კლინიკის შესახებ და მივედი. ძალიან თბილად შემხვდა და მკურნალობას შევუდექი. ორ დღეში ტკივილები მომეხსნა. ჩავიტარე სრული კურსი. ახლა თავს ჯანმრთელად ვგრძნობ. დიდი მადლობა მანანა ექიმსა და მის ვაჟს, სოსო ექიმს ჩემი შველისთვის. ღმერთმა დაგლოცოთ!

**მანანა კ.** *(43 წლის. პედაგოგი რუსთავიდან).*

– ჩემი დიაგნოზია კოქსართროზი (მეოთხე სტადია). შვიდი წლის წინ ქალბატონ მანანას მივაკითხე უმძიმესი მდგომარეობით. ტკივილისგან გულშეწუხებულმა სამი საფეხური მეუღლის დახმარებით ამოვიარე. ჩავიტარე სრული კურსი და დღემდე ფრჩხილიც არ წამომტკენია. რამდენიმე დღეა, რაც ავადმყოფობამ კვლავ თავი შემახსენა და ისევ ჩემს საყვარელ მკურნალ ექიმს მოვაკითხე რწმენით, რომ ცოტა ხანში კვლავ უწინდებურად ჩიტივით ვიფრენ.

მანანა ალექსიშვილის კლინიკა ის კლინიკაა, სადაც ყველაზე მეტ სითბოს, სიყვარულს, იმედს და, რაც მთავარია, ფანტასტიკურ შედეგს მიიღებ.

ულრმესი მადლობა გულისხმიერ ექიმს!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**ნატო ციციშვილი** *(28 წლის. თბილისი).*

– მეძუძური დედა გახლავართ. ორი თვის წინ ვიმშობიარე. დიდი წონის ბავშვი დაიბადა. გამიჩნდა ნაპრალი და კვანძები, რომელიც საშინლად მაწუხებდა. ამასთან, დიდი ხანია, კუჭის შეკრულობაც მაწუხებს და ეს უფრო მიმწვავებდა ტკივილებს. მანანა ექიმთან ახლობლის რჩევით მოვედი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გულისხმიერებისა და ასეთი საოცარი შედეგისთვის. პირველივე დღიდან შემიმცირდა ტკივილი. ერთ კურსის დასრულების შემდეგ ყველა ჩემი ჩივილი გაქრა, კუჭიც მომიწესრიგდა და ახლა ჩემს პატარას ისევ ხალისით ვუვლი.

**ლადო გელაშვილი** *(41 წლის. დუშეთი).*

– ეს უხერხული პრობლემა შვიდი-რვა წელია, მაწუხებს. სამი წლის წინ ოპერაცია გავიკეთე და თითქოს არა მიშავდა, მაგრამ, წელს ისევ დამეწყო ტკივილები, სისხლდენა, წვა და ქავილი. ისევ მივაკითხე პროქტოლოგს და ხელმეორე ოპერაცია მირჩია. მაგრამ, იმ ტკივილების გადატანას, რაც ოპერაციის შემდეგ მქონდა, ველარ შევძლებდი. ვიფიქრე, მშობიარე ქალსაც კი არ ექნება ასეთი ტკივილი, მკურნალობას ვცდი-მეთქი. თან, დისბაქტერიოზიც მაწუხებდა და ვიცოდი, ქირურგიული ჩარევით ეს არ მოწესრიგდებოდა. ალექსიშვილის კლინიკიდან წავიღე მალამოები და შევუდექი მკურნალობას. შედეგით გაოცებული დავრჩი. ძალიან ვინანე, ამდენ ხანს რატომ ვიტანჯავდი თავს, როცა ამ კლინიკის შესახებ კარგა ხანია, ვიცი, მესმის, ვკითხულობ. ორ დღეში წვა და ტკივილი ალაგდა, სამ-ოთხ დღეში სისხლდენა და ქავილიც შემიწყდა. დამირეგულირდა კუჭ-ნაწლავის მოქმედება, მომეხსნა შებერილობა, გულძმარვა. ასევე, მაწუხებდა კუჭი და ნაღველი, მაგრამ აღარც კი ვიცი, სად მაქვს. ახლა მეორე კურსი მაქვს დანიშნული. დიდი მადლობა ჩემს ექიმს, რომ სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა.

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 17 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

იპრაგმაზიის, ანუ პაციენტისთვის ჭარბი წამლის პრევენციასაც, მაგრამ ეს იმ შემთხვევებში, როცა გარანტირებულია ხარისხიანი სამედიცინო სერვისები, თანამედროვე გაიდლაინები, თერაპიულად ღირებული პრეპარატები. დღეს რეცეპტი აძლიერებს მათ, ვინც მონოპოლიურ ძალაუფლებას ფლობს წამლის მიწოდების სისტემაში, ამიტომ გვექნება უკუეფექტი.

**– ასევე, ცნობილია, რომ საქართველოს მოქალაქეები უზომოდ ბევრ წამალს იღებენ, დაარეგულირებს ამ პროცესს რეცეპტების სავალდებულოობა? არის მეორე პრობლემაც – არა მხოლოდ პაციენტები ყიდულობენ წამალს ახლობლების რჩევით, არამედ, ექიმებიც სცოდავენ ხშირად და საჭიროზე მეტ წამალს უწერენ პაციენტებს.**

– პაციენტისთვის ჭარბი წამლის და პროცედურების დანიშვნა ეგრეთ წოდებული პოლიპრაგმაზია, ირაციონალური ფარმაკოთერაპიაა, ამის პრევენცია კლინიკური გაიდლაინის და რეცეპტის კომბინაციითაა ეფექტიანი და არა მარტო რეცეპტით; როგორ წარმოგიდგენიათ დანიშნულებაზე ექიმის და ინსპექტორის დავა, თუკი არ იარსებებს მტკიცებულების საფუძველზე შექმნილი კლინიკური გაიდლაინი, ეს არ შეიძლება გახდეს სუბიექტური გემოვნებით განხილვის საგანი. პოლიპრაგმაზიაზე გავლენას ახდენს წამლების აგრესიული პრომოუშენი, რომლის შეკავებაც და ეთიკურობის ზედამხედველობა სწორედ სახელმწიფოს ვალდებულებაა, ამაზე გავლენას ახდენს პაციენტების არასათანადო ინფორმირებულებაც, მათ მინიმალური ინფორმაციაც კი დაეხურათ, როცა ქართული ინსტრუქციების ჩადების ვალდებულება გაუქმდა კანონმდებლობით. პრობლემა მაინც ძირითადად ექიმებშია, რომლებიც მერკანტილური მოტივაციებით ნიშნავენ ბევრ წამალს და ამაში საზღაურს იღებენ ფარმაცევტული კომპანიებისაგან. როგორც ზევით აღვნიშნე, აქ რეცეპტის როლი გაზვიადებულია, რეცეპტი გაზომვის საშუალებაა, მაგრამ პარამეტრებს არ ადგენს, აუცილებლად უნდა დავადგინოთ პარამეტრები და გავზომოთ და შევაფასოთ პრობლემა. სხვათა შორის, სამედიცინო შეცდომების საინტერესო სტატისტიკა არსებობს, რომ მისი კორექცია ამერიკას 113 მილიარდი უჯდება წელიწადში და სამედიცინო შეცდომების ძირითადი წყარო ოჯახის ექიმია?!

**– ცნობილია, რომ სახლის პირობებში ნარკოტიკის დასამზადებლად საკმარისია საკმაოდ უვნებელი და არაფსიქოტროპული პრეპარატები, ამიტომაც წამლების რეცეპტით გაცემა ნარკომანიის პრევენციაცაა, განსაკუთრებით, მოზარდებში. ამ კუთხით, დადებითია თუ არა სამინისტროს ინიციატივა?**

– საააფთიაქო ნარკომანია მწვავე პრობლემაა, რომელსაც ყველა სახელმწიფო კვალში უდგას, თუმცა სრული პრევენცია, ვერ ხერხდება. ძნელია იმის პროგნოზირება, რას მოიფიქრებენ ალქიმიკოსები და რა კომბინაციებს შექმნიან მარტივი წამლებიდან. ამისთვის არსებობს ფარმაკოვიჯილანსი – პოსტმარკეტინგულ რეჟიმში მონიტორინგი, PSUR-ის ფორმატით ანგარიშები და ასე შემდეგ. რის საფუძველზეც უკვე ბაზარზე არსებული წამლების ავტორიზაცია და მარკეტინგული სტატუსის გადახედვა ხდება. ჩვენი კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს, სამწუხაროდ.

**– როგორი მოდელი მოქმედებს დასავლეთის განვითარებული ქვეყნებში წამლის რეცეპტით გაცემასთან დაკავშირებით?**

– წარმატებულ ბაზრებზე, სადაც განვითარებული ჯანდაცვის სისტემები უზრუნველყოფს ხარისხიან და ეფექტიან სამედიცინო და ფარმაცევტულ სერვისებს, პაციენტების სტიმულირება ხდება მათთვის სერვისების თანადაფინანსებით. იძულებითი სისტემების წარმატებული მაგალითები არა გვაქვს, ცეცხლით და მახვილით შეკავებული სისტემები, როგორც წესი, არამდგრადი და არაგანვითარებადია, ჩვენ კი მხოლოდ მდგრადი და განვითარებადი სისტემები უნდა ვაშენოთ.

**– დაბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ წამლებზე ჩვენთან ხანდახან 700-პროცენტიანი ფასნამატიც კი არის, ხომ არ აჯობებდა წამლების ხელმისაწვდომობის გაზრდა მათზე არაადეკვატური ფასების დაწევით?**

– ჩვენი პრობლემა მარტო მაღალი ფასები კი არა, ფასის და ხარისხის არაადეკვატურობაა. ყველაზე შედეგიანი იქნებოდა პროდუქციის და არა კომპანიების კონკურენცია, სადაც მთავარი კრიტერიუმი წამლის თერაპიული ღირებულება იქნებოდა. ხარჯების შეკავების მეთოდის შერჩევის დროს უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ბაზრის სპეციფიკაც, ჩვენ ვართ პროვინციული ბაზარი, სადაც არ იყიდება ბლოკბასტერები, მინიმალურია ექსკლუზიური პრეპარატების რაოდენობა, ცოტაა I რიგის გენერიკები და უფრო მეტად შემდგომი რიგის გენერიკები და კიდევ უფრო მეტი სიმილატები, ეს არის ჩვენი რეალობა და ამის დარეგულირება ფასის მიხედვით კატასტროფაა – უხარისხოს ფასით კონკურენციაში ხარისხიანი ვერ მოუგებს, ჩვენ უნდა მოვახერხოთ ამ რეალობის შეცვლა, ეს შესაძლებელია, ოღონდ არა ფორმალური რეგულაციებით. უმჯობესია, უარი ვთქვათ ფორმალურ რეგულაციებზე, წარმატებისთვის გვჭირდება არა დეკორატიული ინიციატივები, არამედ ევოლუციური ინიციატივები. სერიოზულად დამაფიქრა მარეგულირებლის განცხადებამ, რომ „მთავარია, დაწყება“, რეგულაციის მთელი ფილოსოფია ხომ ისაა, რომ „მთავარი შედეგია“ და არავითარ შემთხვევაში დაწყება.

**ნინო ხაჩიძე**

**ამ წლის ზაფხულში ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა კვლევის შედეგები, რის მიხედვითაც, საქართველოში თითქოს იმატა არასრულწლოვანი გოგონების ქორწინების მაჩვენებელმა. თუმცა, მოგვიანებით, ადგილობრივმა სპეციალისტებმა დააზუსტეს, რომ ნაადრევი ქორწინებების დიდი წილი საქართველოს ეთნიკურად არაქართველებით დასახლებულ რეგიონებზე მოდიოდა. საშუალოდ, რა ასაკში ქორწინდებიან საქართველოში ქალები და მამაკაცები, რამდენად ხშირია განმეორებითი ქორწინებები და რის საფუძველზე წინასწარმეტყველებს გაერო 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის გარდაუვალ კლებას, თემას ილიას სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ, დემოგრაფ გია წულაძესთან ერთად განვიხილავთ.**

# რა მიზეზით გაიზარდა პირველი ქორწინების რისხვი ქალებისა და მამაკაცებისთვის, რა კავშირი აქვს ამ მაჩვენებელს დემოგრაფიასთან და რომელ წლებში მოდიოდა ქორწინებების მესამედი 15-დან 19 წლამდე ასაკში

**– როგორია ჩვენთან ქორწინების საშუალო ასაკი?**

– ქორწინების საშუალო ასაკი არის პირველი და განმეორებითი ქორწინებების გაშუალებული მაჩვენებელი. თავისთავად ცხადია, რომ პირველი ქორწინების საშუალო ასაკი უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე განმეორებითის. ძირითადად, ოპერირებას მაინც პირველი ქორწინების ასაკით აკეთებენ. ბუნებრივია, საუბარია რეგისტრირებულ ქორწინებებზე. ქორწინებების საერთო მაჩვენებელში ყველაზე მეტი წილი პირველ ქორწინებაზე მოდის, სხვა ქვეყნებთან შედარებით მეორე ქორწინების წილი მცირეა საქართველოში. ბოლო 10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი რეგისტრირებული ქორწინების რაოდენობა. 2012 წელს 30 000-ს აჭარბებს, მაშინ, როდესაც 2003 წელს რეგისტრირებული იყო 13 000 ქორწინება.

**– ეს რეგისტრაციის პრობლემა იყო თუ ქორწინებები იმ წლებში უბრალოდ ობიექტურად შემცირდა?**

– რეგისტრაციის პრობლემაც იყო. თუმცა, მაგალითად, 1990 წელთან შედარებით, როდესაც ქორწინებების აბსოლუტური მაჩვენებელი 36 000-ს აჭარბებდა, 2012 წელს ქორწინებების რაოდენობა შემცირებულიც კი არის. 2012 წელს პირველი ქორწინება 28 000-ზე მეტია, ხელახალი ქორწინება კი მხოლოდ 2 000-ის ფარგლებშია, ანუ 90 და მეტი პროცენტი მოდის პირველ ქორწინებაზე.

**– რას გვიჩვენებს ეს მაჩვენებელი?**

– უბრალოდ ჩვენთან დაბალია განმეორებითი ქორწინებების რაოდენობა. არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი, მაგრამ, ტრადიციების თუ სხვა მიზეზების გამო, ჩვენთან უჭირთ ხელახალი ქორწინება ან თავს იკავებენ. ზოგიერთ ქვეყანაში გაცილებით მეტია განმეორებითი ქორწინებების წილი.



**ახალგაზრდა ასაკში ქორწინება სტაბილურად მერყეობს 5 პროცენტის ფარგლებში, მაგრამ ეს ახალგაზრდა ასაკი სტატისტიკით არის 15-დან 20 წლამდე**

**– უფრო ევროპულ ქვეყნებში?**

– ევროპულ ქვეყნებში და რუსეთშიც. არის ასეთი პირობითი მაჩვენებელი, საშუალოდ, რამდენჯერ ქორწინდება ცხოვრების განმავლობაში ერთი ქალი ან მამაკაცი. ჩვენთან, დაახლოებით, ერთის ფარგლებშია ეს მაჩვენებელი. ადრე უფრო დაბალი იყო – 0,5, ანუ ნახევარი.

**– ეს იმას ნიშნავს, რომ საქორწინო ასაკის მამაკაცებისა და ქალთა რაოდენობის მხოლოდ ნახევარი იყო დაქორწინებული?**

– დიახ. 2003 წელს ქორწინებების აბსოლუტური მაჩვენებელიც დაბალი იყო და ეს მეორე მაჩვენებელიც. თუმცა 2009 წელს ერთს მიუახლოვდა და 2010 და 2011 წლებში გადააჭარბა კიდეც.

**– განმეორებითი ქორწინებების მატების გამო?**

– არა მხოლოდ. რაც შეეხება ქორწინების ასაკს: ახალგაზრდა ასაკში ქორწინება სტაბილურად მერყეობს 5 პროცენტის ფარგლებში, მაგრამ ეს ახალგაზრდა ასაკი სტატისტიკით არის 15-დან 20 წლამდე. 1990 წელს მამაკაცებისთვის ქორწინების საშუალო ასაკი იყო, დაახლოებით, 29 წელი, ქალებისთვის – 25 წელი. მაგრამ აქ ჩვენ გვაინტერესებს პირველი ქორწინება. პირველი ქორწინების ასაკი მამაკაცებისთვის იყო 27 წელი, ქალებისთვის – 24 წელი. ეს რამდენადმე დაბალი მაჩვენებელია, მაგრამ ის ცვალებადობას განიცდიდა და ბოლო პერიოდში ზრდის ტენდენცია გამოიხატა. ჩვენთან 20 წლამდე მამაკაცების 2 და ქალების 13,4 პროცენტი ქორწინდება. ანუ არ არის ძალიან დიდი წილი არც ქალებში, არც მამაკაცებში, თუმცა წინა წლებში ნაადრევი ქორწინებების წილი მეტი იყო. მაგალითად, იყო წლები, როდესაც ქორწინებების ერთი მესამედი მოდიოდა 20 წლამდე ასაკის ქალებში. და ეს ხდებოდა 1991 წლიდან მოყოლებული 1997 წლამდე.

**– ნაშლილი არ არის მონაცემი, რომ გვენახა, რომელი ეთნიკური ჯგუფები იყვნენ მიდრეკილნი ნაადრევი ქორწინებისადმი?**

– როდესაც ეროვნება, როგორც ნიშანი, ამოიღეს პასპორტიდან, სტატისტიკაც აღარ აქცევს ყურადღებას. ზოგი, მართალია, ავსებდა ეროვნების გრაფას და შეიძლება, გვარით მიხვდე ეროვნებას, მაგრამ არ გაქვს უფლება, თვითნებურად ჩაწერო. დღეს, როდესაც ორჯერ და მეტჯერაა ნაკლები მათი წილი, რომლებიც 20 წლამდე ქორწინდება გასული საუკუნის 90-იან წლებთან შედარებით, ვერ ვიტყვით, რომ ქორწინებების რაოდენობამ ახალგაზრდა ასაკში იმატა.

მეტიც, სტატისტიკის მიხედვით, გაიზარდა ქალებისა და მამაკაცებისთვის პირველი ქორწინების ასაკი. თუ 1990 წელს ის კაცებისთვის იყო 27 წელი, ქალებისთვის კი – 24 წელი, შარშანდელი მონაცემით, პირველი ქორწინების საშუალო ასაკი 29 წელზე მეტი გახდა მამაკაცებისთვის, ქალებისთვის – გადააჭარბა 25 წელს. ხელახალი ქორწინების ასაკიც ძალიან ცვალებადია. მაგალითად, 1990 წელს განმეორებითი ქორწინების ასაკი მამაკაცებისთვის 42 წელი იყო, ქალებისთვის – 40. დღეს ეს მაჩვენებელი 42-39-ს ფარგლებშია.

**– ქორწინების ასაკის მატება როგორც ქალებისთვის, ისე მამაკაცებისთვის, ახდენს გავლენას დემოგრაფიაზე, ამცირებს შობადობის მაჩვენებელს თუ ეს ორი მაჩვენებელი არ არის ერთმანეთთან კავშირში?**

– ქორწინება, როგორც დემოგრაფიული ფენომენი, რა თქმა უნდა, შედის დემოგრაფიულ საკითხებში, მაგრამ არა ისე, რომ რამე გავლენა ჰქონდეს დემოგრაფიაზე. გასაგებია, რომ ხელახალი ქორწინების დროს, როდესაც ქალის საშუალო ასაკი აღემატება 40 წელს და შესაძლოა, ცალკეულ შემთხვევებში გაცილებით მეტი იყოს, იმიტომ რომ მონაცემი გასაშუალებულია, ბავშვების ყოლის ალბათობა მცირეა, თუმცა არის სტატისტიკაში შემთხვევები, რომ ქალებს 50 წლის ასაკშიც გაუჩენიათ ბავშვები. მიიჩნეოდა, რომ ქორწინების ასაკის კლებას შეიძლება, მოჰყოლოდა შობადობის გაზრდა, მაგრამ იმ პირობებში და დემოგრაფიული განვითარების იმ ეტაპზე, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ქორწინების ასაკი და შობადობის მაჩვენებელი ერთმანეთთან კავშირში არ არის. დემოგრაფიაში ოჯახის კატეგორიები შემდეგნაირად იყოფა: უბავშვო ოჯახი, მცირეშვილიანი ოჯახი – 1-2 ბავშვი, საშუალოშვილიანი – 3-4 და მრავალშვილიანი – 5 და მეტი ბავშვი. ზოგადად, უფრო მისაღებია საშუალოშვილიანი ოჯახების სტიმულირება. მაგალითად, საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ერთი ქალის მიერ ცხოვრების განმავლობაში გაჩენილი ბავშვების რაოდენობა 5-ის ფარგლებში იყო, მაშინ, როდესაც იმავე პერიოდის რუსეთში მეტი იყო – 7-ს აღემატებოდა. ჩვენთან ოჯახის დაგეგმვა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე რუსეთში, თუმცა რუსეთმა სწრაფად გაიარა საფეხურები, ჩვენ ცოტა ნელა. ამაში, დემოგრაფიული თვალსაზრისით, კარგი არაფერია, დღესდღეობით საქართველოში, თუ ოფიციალური სტატისტიკიდან გამოვალთ, ბავშვების ის რაოდენობაც კი, რაც ჩვენ ბუმად ჩავთვალეთ, რამდენიმე წლის წინათ – პატრიარქის ცნობილ ინიციატივას ვგულისხმობ – არ არის საკმარისი მოსახლეობის აღწარმოებისთვის, რაც გულისხმობს, რომ თაობა თავის თავს განაახლებს.

**– ვიცით, რომ ახლა დაიწყება ბუნებრივი კლების პროცესი, რადგან რეპროდუქციულ ასაკში შედის 90-იანების თაობა, როდესაც შობადობა დაბალი იყო.**

– შეიძლება, შედარებით გამოსწორდა შობადობის მაჩვენებელი, მაგრამ მთლიანობაში უკვე გავიარეთ გამოსწორების პიკი და ისევ ქვემოთ მივდივართ. ჯერჯერობით დაბადებულთა რაოდენობა სჭარბობს გარდაცვლილთა საერთო რაოდენობას.

**– მაგრამ ეს ხომ მომავალში აისახება, როდესაც ახლა დაბადებულები რეპროდუქციულ ასაკში შევლენ?**

– რა თქმა უნდა, იმიტომაც, პროგნოზებით, საქართველოს მოსახლეობა კი არ გაიზრდება, არამედ, შემცირებისკენ წავა. ამ შემცირებას ორი პროცესი განაპირობებს: ბუნებრივი მოძრაობის, დაბადება-გარდაცვალების შედარება და, აგრეთვე, გარე მიგრაცია. იმიტომ რომ, თუ ქვეყნიდან მეტი გადის, ვიდრე შემოდის, მოსახლეობის რაოდენობა ისედაც დაიკლებს. მაგალითად, 2012 წელი გარე მიგრაციის სტატისტიკური მოწესრიგების თვალსაზრისით კარგი წელი იყო, იმიტომ რომ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემების უშუალო გამოყენება მეთოდურად აბსოლუტურად გაუმართლებელი იყო. რადგან არ იცი, ერთი ადამიანი რამდენჯერ კვეთს საზღვარს და რა დროით. მიგრანტს აქვს დროითი განსაზღვრება. ვთქვათ, წახვედით სამსახურეობრივ მივლინებაში და ჩამოხვედით ერთ კვირაში, თქვენ მიგრანტად ხომ ვერ გაგასაღებთ?! არადა, ამ დროს ბრუნვაში მოხვდით აქედანაც და იქიდანაც. ბაზების გაწმენდით შესაძლებელი აღმოჩნდა დროითი ფაქტორის გათვალისწინება. გარე მიგრაციის განსაზღვრისთვის გვაინტერესებს ის, ვინც დიდი ხნით მიდის. როგორც კი ეს მოწესრიგდა, პირველივე, 2012 წელს ჩვენ ვნახეთ, რომ საქართველოდან 21 500-ით მეტი

# რატომ ვერ მოახერხა მრავალი წლის განმავლობაში სოლიდური შემოსავლის მქონე გენერალურმა აუდიტორმა ლაშა თორდიამ ვერანაირი უძრავ-მოძრავი ქონების შეძენა

გენერალური აუდიტორი ლაშა თორდია 1980 წელსაა დაბადებული თბილისში. უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე მიიღო (1997-2004 წლებში) და პროფესიით ბიზნესსამართალმცოდნეა. მისი სამუშაო გამოცდილება 2001 წელს იწყება სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენში", სადაც იურისტად 2002 წლამდე იმუშავა. 2002 – 2004 წლებში საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი იყო, ხოლო 2004 – 2008-ში – მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის – სამართლებრივი ანალიტიკოსი. 2007 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გადავიდა, სადაც 2008 წლამდე მუშაობდა იურისტად. 2008 წელს საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა: ერთი წლის განმავლობაში საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავჯდომარის პირველი მოადგილე იყო, 2009-დან 2010-მდე – იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო 2010-დან 2012-მდე კი, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე. 2012 წლის 25 ივლისს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალურ აუდიტორად დაინიშნა. შესაბამისად, სწორედ მისი გენერალური აუდიტორობისას მოექცა აუდიტის სამსახური საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში – მაშინდელი ოპოზიციის მხარდამჭერი მოქალაქეთა მასობრივი დაბარებებით, დაკითხვებითა და ქონების დაყადაღების გათვალისწინებით.

რაკი კარგა ხნის ჩინოვნიკია, საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციაც არაერთგზის შეუვსია. სულ პირველი 2009 წლით თარიღდება, როდესაც ის პარლამენტის წევრი იყო. იმხანად ოჯახის წევრებად მიუთითებდა მეუღლეს – 1978 წელს დაბადებულ მაია ირემაშვილს და ორ შვილს: 2007 წელს დაბადებულ საბა თორდიას და 1999 წელს დაბადებულ მარიამ შანიძეს.

ოჯახი არ ფლობდა არანაირ უძრავ-მოძრავ ქონებას, თუმცა ორივე სრულწლოვანი წევრი დასაქმებული იყო; შესაბამისად,



2008 წლის განმავლობაში ლაშა თორდიამ, საერთო ჯამში, მიიღო 38 000 ლარამდე – როგორც პარლამენტის წევრმა (7 თვის განმავლობაში) – 28 750 ლარი; მანამდე კი, როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურისტმა – 5 500 ლარი, ხოლო, როგორც USIDE-ს მიწის ბაზრის განვითარების პროექტის სამართლებრივმა ანალიტიკოსმა – 3 000 ლარი. მისი მეუღლის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციის უფროსის, წლიური შემოსავალი 18 000 ლარი იყო.

2010 წლის დეკლარაცია გვამცნობს, რომ ლაშა თორდიას ოჯახს არც წევრები შეჰმატებია და არც უძრავ-მოძრავი ქონება. რაც შეეხება შემოსავლებს: ლაშა თორდიამ, როგორც პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, 48 426 ლარი აიღო, ხოლო მისმა მეუღლემ, როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანაშემწემ – 11 400 ლარი.

2011 წლის დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ ლაშა თორდიამ, როგორც საქართველოს პარლამენტის წევრმა, 2010 წლის განმავლობაში – 58 426 ლარი აიღო, ხოლო მისმა მეუღლემ ამჯერად, როგორც იუსტიციის სამინისტროს აღმასრულებელი ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციის უფროსმა – 15 000 ლარი.

2011 წელს მათი შემოსავლები შემდეგნაირი იყო: ლაშა თორდიამ, როგორც პარლამენტის წევრმა, 69 000 ლარი აიღო, ხოლო მისი მეუღლე შემოსავლების სამსახურში გადავიდა და, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის მრჩეველმა, წლიურ ხელფასად 11 116 ლარი მიიღო.

ბოლოს, 2013 წლის 23 მაისს, შევსებული დეკლარაცია გვამცნობს, რომ საქართველოს გენერალური აუდიტორის ოჯახს კვლავ არანაირი უძრავ-მოძრავი ქონება არ გააჩნია. თუმცა შემოსავლები კვლავაც სოლიდური აქვთ. კერძოდ, 2012 წლის განმავლობაში ლაშა თორდიამ, საერთო ჯამში, 74 000 ლარი აიღო. როგორც პარლამენტის წევრმა – 7 თვის განმავლობაში, 41 970 ლარი, ხოლო, როგორც გენერალურმა აუდიტორმა – 5 თვის განმავლობაში – 32 086 ლარი. მისი მეუღლე ისევ შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის მრჩეველია და მისმა წლიურმა ანაზღაურებამ 19 835 ლარი შეადგინა. 2012-ში ბ-ნ თორდიას სესხების მომსახურება 5 500 ლარამდე დასჯდომია.

**ნინო ხაჩიძე**

---

ადამიანი გადის, ვიდრე შემოდის.

**– ეს ხომ გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ წინა წლებშიც იგივე ხდებოდა? თუმცა ჩვენი პრეზიდენტი ჯიუტად იმეორებს, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ტოტალური დაბრუნება დაიწყო და უფრო მეტი შემოდიოდა, ვიდრე გადიოდა.**

– წინა წლებში ამაზე უარესი მაჩვენებელი იქნებოდა, რამდენადაც იმ წლებში არასწორ მეთოდოლოგიას იყენებდა სტატისტიკა და ისე ჩანდა, თითქოს მეტი შემოდიოდა, მაგრამ, როგორც კი, საქსტატმა მონაცემების სწორად დათვლა დაიწყო, აღმოჩნდა, რომ პირიქით ყოფილა. მაგალითად, გაეროს 2012 წლის მონაცემებით, რომელიც ეხება 2010-2015 წლების პროგნოზს, ყოველწლიურად 25 000 ადამიანი დატოვებს საქართველოს. გაეროს მონაცემი ახლოსაა იმ მონაცემთან, რაც საქსტატმა მიიღო.

**– აბა, გავიზიდებით ერთ 100 წელიწადში?!**

– როდესაც ყოველწლიურად 10 000-ია ბუნებრივი გზით მატება და ორჯერ მეტი გადის იმავე პერიოდში ქვეყნიდან, ცხადია, მოსახლეობა დაიკლებს. იმიტომ არის გაეროს პროგნოზებით, რომ კლების ტენდენცია გვაქვს. თუმცა გაერო თავის პროგნოზებს აკეთებს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით, ჩვენ კი ვაკეთებთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე. გაეროს პროგნოზით, მიგრაცია შემცირდება: 2050 წლისთვის სხვაობა გასულებსა და შემოსულებს შორის ნულს გაუტოლდება. არადა, იყო წლები, როდესაც საქართველოდან 100 000-150 000-ით მეტი ადამიანი გადიოდა, ვიდრე შემოდიოდა. იმისთვის, რომ შემოსულთა რაოდენობა მეტი იყოს გასულებზე, განვითარების სხვა დონეს უნდა მიაღწიოს ქვეყანამ. ჩვენ ხომ ვერ ვიტყვით დღეს, რომ განვითარების დონით ევროპის ქვეყნებს გავუტოლდით?! თუმცა მათ სხვა პრობლემა აქვთ: კვოტები აქვთ დაწესებული შემსვლელებზე და იმაზე მეტს არ უშვებენ. ჩვენ ჯერჯერობით ეს პრობლემა არ გვიდგას, მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნის მოქალაქეები ჩამოდიან. ვინც ჩამოდის, ისიც იმიტომ, რომ უარეს სიტუაციას გაურბიან. მაგრამ ჩინელი იქნება თუ ინდოელი, ვერ იკიდებს ფეხს, იმიტომ რომ, ის დროც წარსულს ჩაჰბარდა, როდესაც ჩვენი თანამემამულეები ერიდებოდნენ შავი სამუშაოს შესრულებას. ძალიან ბევრ მეეზოვესა თუ დამლაგებელს ქართველსაც ნახავთ და ადგილობრივი ბაზარიც უწევს კონკურენციას გარე მიგრანტებს. ჩემი რამდენიმე ამხანაგი, თავიანთი უმაღლესი განათლების მიუხედავად, ლილოს ბაზრობაზე მუშაობენ და მათგან გავიგე, რომ ჩინელები მათგან ყიდულობენ ჩინურ საქონელს, რომლებიც ქართველებს შემოაქვთ. ამიტომ ჩინელს ურჩევნია, იყიდოს მათგან, ვისაც მსხვილი პარტიები შემოაქვს, ვიდრე გზაში ფული და დრო ხარჯოს. მიწასთან დაკავშირებით კი შეზღუდვები შემოდის. ასე რომ, მარტივი არ არის ქვეყანაში ფეხის მოკიდება.

**– გაეროს პროგნოზით, 2050 წლისთვის შობადობის მაჩვენებელი როგორი იქნება?**

– დაიკლებს, რა თქმა უნდა. გაეროს მოდელებით, დაახლოებით გამოდის, რომ იმ პერიოდისთვის ერთი ქალი, საშუალოდ, ორ ბავშვზე ნაკლებს იყოლიებს, რაც თაობას ვერ განაახლებს. ასევე, გაიზრდება მოსახლეობის ათას სულზე გარდაცვლილთა რაოდენობაც და გარე მიგრაცია ნულოვანიც რომ იყოს, მაინც დაიკლებს მოსახლეობის რაოდენობა.

**– გამოსავალი ბანალურია: საშუალოშვილიანი ოჯახების გამრავლება?**

– ეს არსებითია, მაგრამ ასე მარტივადაც არ ხდება. დემოგრაფიულ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება შობადობაზე, არ მოაქვს გარანტირებული შედეგი. სასურველი შედეგის მისაღწევად უმჯობესია ფულის ჩადება განათლებაში, ჯანდაცვაში, სოციალურ უზრუნველყოფაში, გენდერულ თანასწორობაში და ასე შემდეგ. იმას, რასაც ჩვენთან უწოდებენ დემოგრაფიულ პოლიტიკას, უცხოეთში დემოგრაფიულ პოლიტიკად არ აღიქვამენ. ავსტრიის 30 წლის წინანდელ მაგალითს მოგიყვანთ: ბავშვის გაჩენისთვის ერთჯერადი დახმარება გამოდიოდა 1 200 დოლარი, არადა ავსტრია მიიჩნევს, რომ არ ატარებს დემოგრაფიულ პოლიტიკას. გერმანიაშიც არავინ უწოდებს დემოგრაფიულ პოლიტიკას იმას, რომ ოჯახებს 300 ევროს აძლევენ თითოეულ შვილზე 18 წლის ასაკამდე. საფრანგეთში მაგალითად, საკმარისია, ბავშვმა უმაღლესში ჩააბაროს, რომ დახმარება, რომელიც შეუწყდა სრულწლოვნობის გამო, შეუნარჩუნდეს უმაღლესში სწავლის განმავლობაში. ესეც გარკვეულ სტიმულირებას აკეთებს.

**– რა სასიამოვნო მიდგომა აქვს სახელმწიფოს: ჯერ მხოლოდ იმიტომ გეხმარება, რომ გაჩნდი მის მოქალაქედ და შემდეგ, თუ საშუალოდ კარგიც იქნები, დამატებით ამისთვის დაგეხმარება.**

– დიახ, თუმცა არის ქვეყნები, რომლებიც ღარიბები არ არიან, მაგრამ დემოგრაფიულ პროცესებში ჩაურევლობის პოლიტიკას ატარებენ. მაგალითად, ინგლისი.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

**18 ნოემბრიდან ჩვენს ქვეყანას ახალი პრეზიდენტიც ჰყავს და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული გუნდიდანაც. მომავალი პრემიერ-მინისტრის ვინაობაც ცნობილია და უშიშროების საბჭოს მდივნისაც, ახალი მთავარი პროკურორისა და შს მინისტრის – ხომ ცნობილია და ცნობილი. საპრეზიდენტო არჩევნების შექმნილ პოლიტიკურ რეალობაში – „ოცნებამ“ სრულად მხოლოდ ხელისუფლების ერთი შტო დააკომპლექტა – აღმასრულებელი, სასამართლო ხელისუფლების შემადგენლობა და ორიენტაციაც გაურკვეველია და მისი დამოუკიდებლობის ხარისხიც. საკანონმდებლო ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა“ 40-პროცენტიანი რაოდენობითაა წარმოდგენილი და უკვე მოიპოვა რიგით მეორე ოპოზიციური პარტიის სტატუსიც. შესაბამისად, უპასუხოდაა დარჩენილი კითხვა: ორხელისუფლებიანობა დასრულდა თუ უფრო გაძლიერდა? შექმნილი ვითარების კომენტირება ირინა სარიშვილს ვთხოვეთ.**

# რა ძალა დგას „ოცნებისა“ და „ნაციონალების“ უკან, რატომ თამაშობს ის წაუგებელ თამაშს და როგორ წაართვა აზერბაიჯანმა საქართველოს ამიერკავკასიაში ლიდერობა

**– როგორ აფასებთ 2013 წლის 18 ნოემბრისთვის ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეალობას?**

– პირადად ჩემთვის პოლიტიკური რეალობა ძალიან არადამაკმაყოფილებელია და მე ვფიქრობ, ამ შემთხვევაში მაინც უმრავლესობაში ვარ. მიუხედავად იმისა, რომ არჩეულ იქნა სხვა პრეზიდენტი და ეს ისედაც ასე მოხდებოდა, კოაბიტაციის პროცესი არათუ არ დასრულებულა, პირიქით, სხვა ფაზაში გადავიდა, ანუ დასრულება გამოიხატა იმაში, რომ გაფორმდა. ახლა მიზეზად ასახელებენ 17 ნოემბერს, რომ თითქოს ინაუგურაციის შემდეგ ყველაფერი შეიცვლება. არადა, ასეთი დაცდის პოლიტიკით მოვდივართ ბოლო საპარლამენტო არჩევნებიდან: ჯერ საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდესო, შემდეგ მთავრობა უნდა დაინიშნოსო, შემდეგ პრეზიდენტი უნდა აირჩესო და ამასობაში ისევ „ნაციონალებით“ გაიტენა როგორც სამინისტროების შიდა შემადგენლობები, ასევე, აქტიურობას არ აკლებენ გარეთაც – მეორე ადგილზე დავით ბაქრაძის გაყვანით, რაშიც ლომის წილი სწორედ „ოცნებას“ მიუძღვის: როგორც „რესპუბლიკელებს“, ისე ბიძინა ივანიშვილს. შესაძლოა, ზეწოლის ქვეშ იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ეს ნაკლებად მაინტერესებს, რადგან, როგორც, მინიმუმ, შემსრულებლები თვითონ იყვნენ. შემდეგ უკვე „რესპუბლიკელებმაც“ და სხვებმაც გააკეთეს განცხადება, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლეგიტიმაცია მოხდა და იწყება მათთან თანამშრომლობა, რაც ძალიან საშიში პროცესია.



**თუ ჩვენი პრობლემა ის იყო, რომ ცხვირი წესიერად მოეხოცა ახალ პრეზიდენტს და არ ეჭიხვინა, მაშინ მოგვარებულა პრობლემა**

**– რატომ?**

– მე გასულ კვირას გავავრცელე სტატუსი და გავიმეორებ: წვრილფეხა „ნაციონალები“ ჯერჯერობით სოციალური ქსელით კმაყოფილდებიან, გვიცვივდებიან ეგრეთ წოდებულ „ჩათებში“, შეურაცხყოფებით, მუქარებით და ეს დაიწყო საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. თუ ამ ხელისუფლებამ ასე გააგრძელა, თვითონ „ნაციონალები“ დაიწყებენ განუკითხაობას და შემდეგ ძალიან გვიან იქნება, იმიტომ რომ ეს განუკითხაობა შეეხება დღევანდელ ხელისუფლებასაც. მე არ ვიცი, რა ჯადოსნური ჯოხი უნდა აიქნიოს 17 ნოემბერს ხელისუფლებამ, თუმცა დღევანდელი ხელისუფლება არ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ან სააკაშვილს, ან ვინმე სხვა მაღალი თანამდებობის პირს პასუხი მოეთხოვება. მეტიც, არც ის არის გამორიცხული, რომ ვანო მერაბიშვილიც კი გარეთ გამოვიდეს.

**– „ნაციონალური მოძრაობის“ მეორე ადგილზე გასვლისთვის ხელშეწყობაში გასაგებია, რომ გულისხმობთ ბიძინა ივანიშვილის მიერ არჩევნების წინ გაკეთებულ განცხადებას პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, სხვას კიდევ რას გულისხმობთ მხარდაჭერაში – გაყალბებას?**

– რა თქმა უნდა, გაყალბება იყო. აღარ არის პაპუასური მეთოდების დრო, როდესაც საარჩევნო კომისიის წევრი ხედავს, როგორ ყრიან შეკვრებით ხმებს საარჩევნო ყუთში. ირევა ხმები პროცენტებში და შემდეგ ნაწილდება. თვითონ „ოცნების“ ხალხი ამბობს, რომ „ნაციონალებს“ 20 თუ 25 პროცენტი აჩუქეს საპარლამენტო არჩევნებში, ისიც ხომ ვერ შეამჩნიეს მათ, ვინც საარჩევნო ყუთთან იდგნენ?! გაყალბებაში არ შედის მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების დღეს მომხდარი, გაყალბებაა ყველა განცხადება, რომელმაც მოახდინა ძალების გადანაწილება „ნაციონალების“ სასარგებლოდ და ეს კეთდებოდა შეგნებულად. ყველაფერი ერთად აღებული – ციფრობრივი და განცხადებებით გაყალბებებიც, გაკეთდა იმისთვის, რომ მეორე ადგილზე რომელიმე არასაპარლამენტო პარტია არ გასულიყო, რადგან სწორედ ეს ორი პარტია: „ოცნება“ და „ნაციონალები“, უნდა დატოვონ პოლიტიკურ სივრცეში მათ უკან მდგომმა ძალებმა, რომ წაუგებელი თამაში ითამაშონ ყოველთვის. ამიტომ ხან ერთი უნდა იყოს ხელისუფლებაში და ხან – მეორე. ფაქტია, რომ „ოცნებას,“ რაც უნდა ბევრი დააშავოს, თუ მოსახლეობას ის შიში ექნა, რომ შესაძლოა, „ნაციონალები“ მობრუნდნენო, ძალიან ბევრ რამეს აპატიებენ. „ნაციონალებს“ კი ასეთი უხერხემლო მოწინააღმდეგეები ურჩევნიათ.

**– როდესაც ამბობთ, მათ უკან მდგარი პოლიტიკური ძალები წაუგებელ თამაშს თამაშობენო, ესე იგი, ერთი და იგივე ძალა უდგათ?**

– რა თქმა უნდა, ეჭვი ხომ არ გეპარებათ?! რომელი განსხვავებული განცხადება გააკეთა „ოცნებამ“ საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით?! პირიქით, მარგველაშვილმა, სანამ აირჩევდნენ და არჩევნის შემდეგაც, პირდაპირ განაცხადა, რომ მათ თანხვედრა აქვთ ყოფილ ხელისუფლებასთან სწორედ საგარეო პოლიტიკურ საკითხებში. შემდეგ უსუფაშვილმა ევროკავშირის წარმომადგენლობასთან შეხვედრაზე ბალტიისპირეთში აღნიშნა, „ნაციონალური მოძრაობის“ უდიდესი როლი ქვეყნის განვითარებაში. მეტი რა ჩამოვთვალო თუ საკმარისია?!

**– საკმარისია. როდესაც ამბობთ, რომ „ოცნება“ თავად გახდება მსხვერპლი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა ჯერჯერობით მხოლოდ სოციალურ ქსელებში აქტიურობით...**

– აქ არ არის საუბარი სახელმწიფო პოლიტიკაზე. განუკითხაობა დაიწყება ქუჩებში, სახლებთან, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ვიღაც შეიძლება, მსხვერპლად შევეწიროთ. ვიღაცამ შეიძლება, პასუხი გასცეს, მაგრამ ეს იქნება სრული განუკითხაობა და, თუ დღევანდელი ხელისუფლება ვერ ხვდება, რა შეიძლება, მოჰყვეს ასეთი ტიპის არეულობას, ან უტვინოა, ან არ აქვს შესწავლილი „ნაციონალური მოძრაობის“ ფსიქოტიპი. ეს არის აბსოლუტურად ყველაფერზე წამსვლელი ხროვა.

**– ეს ჩემი კითხვის პირველი ნაწილი იყო მხოლოდ, „ოცნებას“ რატომ უნდა აძლევდეს ხელს „ნაციონალების“ მეორე ადგილზე დაფიქსირება და მათთან გარიგება. დირექტივა აქვთ?**

– ვერ გეტყვით... როგორც მათივე მომხრეები ხსნიან, ეს ევროპის ზეწოლის გამო ხდება. აღარც აქვს მნიშვნელობა, ეს ევროპის ზეწოლის გამო ხდება, მათი გადაწყვეტილებით, თუ ვინმე მოწოდებით არის არშემდგარი „ნაციონალი“ და „ნაციონალების“ დახმარება უნდა, რადგან შედეგის თვალსაზრისით ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. და კიდევ, რაც ყველაზე ნიშანდობლივია ივანიშვილის მხრიდან „რესპუბლიკურ პარტიაზე“ გაკეთებული არჩევანი. მილიარდერმა თავის პოლიტიკურ დასაყრდენად გაიხადა ყველაზე არაპოპულარული და მცირერიცხოვანი პოლიტიკური პარტია. ეს არის „ნაციონალების“ ტყუპისცალი და, საერთოდ, როდესაც „თავისუფლების ინსტიტუტის“ პირმშოებზეა საუბარი, ეს ერთი ძალაა, იმისდა მიუხედავად, როდის წაიჩხუბებენ და ვერ გაიყოფენ ფულს ან ძალაუფლებას.

**– მაგრამ „რესპუბლიკელები“ არ არიან წარმოდგენილნი აღმასრულებელ ხელისუფლებაში.**

– აღმასრულებელ ხელისუფლებას ვინ ეკითხება?! ღარიბაშვილიც აქამდე აკეთებდა ხმამაღალ განცხადებებს ან ახლა კბილაშვილზე რომ უნდათ ჯოხის გადატეხა. კბილაშვილი თვითონ ათავისუფლებდა ბრალდებულებს?! კბილაშვილს ბოლომდე რომ მოეძიებინა ყველა სამხილი, მათგან, ვინც გამოუშვეს, რომელიმეს დატოვებდნენ ციხეში?! აქ ხომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეა ლაპარაკი და არა იმაზე, რომ სამხილი არ იყო საკმარისი?!

**– თვითონ ბიძინა ივანიშვილის როლი როგორი იქნება სამოქალაქო სექტორში?**

– ახლა იქაც დაიბლოკება ზოგადად არასამთავრობო სექტორი, იმიტომ რომ მონოპოლია ექნება, როგორც თვითონ ამბობს, პატარა არასამთავრობო ორგანიზაციას. გასაგებია, ალბათ, როგორი მოკრძალებულიც იქნება ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია და მისი ფინანსური საშუალებებიდან გამომდინარე, არც იქნება გრანტებზე დამოკიდებული.

**– თუმცა ექსპერტები ამბობენ, რომ თანაინვესტირების ფონდი დიდი ბიძგი იქნება ეკონომიკისთვის.**

– ფონდებთან დაკავშირებით ბევრი განცხადება მოვისმინეთ და ინვესტიციების მოზიდვის შესახებაც. ახლა თავიდან იწყება ეს ტალღა. მესმის, რომ ერთ წელიწადში ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ რაღაც ძალიან საეჭვოდ მეორდება ერთი და იგივე დანაპირები ყველა არჩევნების წინ.

**– სოფლის მეურნეობის ფონდიდან 100 მილიონი გაიცა იურიდიულ პირებზე და 44 მილიონი გლეხებზეო.**

– სჯობს, გლეხებს ჰკითხოთ, თუ ვინმემ იგ-

# სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის" სამომავლო გეგმები

***ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ზოგადი განათლების რეფორმირება და სრულყოფა, ამ პროცესშია ჩართული სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი". განათლების ეს სფერო არასოდეს ყოფილა ისეთი მრავალფეროვანი, როგორიც დღეს არის. ეს კი, გამოიწვია კერძო სექტორის შემოსვლამ. კერძო სკოლების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება და სულ უფრო მეტ სეგმენტს იკავებს. თუ გასულ წლებში კონკურენცია ძირითადად საჯარო და კერძო სკოლებს შორის იყო, ახლა მას დაემატა კონკურენცია თავად კერძო სკოლებს შორის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა-ლიცეუმმა „მწიგნობართუხუცესმა" მიმდინარე სასწავლო წელს დაიწყო სიახლეების შემოტანა და დანერგვა სხვადასხვა მიმართულებით:***

* სწავლებაში თანამედროვე ტექნიკური საშუალებების მაქსიმალური ჩართვა – თანდათანობით ყველა გაკვეთილი ჩატარდება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (მომავალ სასწავლო წელს დასრულდება ყველა საკლასო ოთახის აღჭურვა კომპიუტერებითა და პლაზმური ტელეეკრანებით).

* ყველა მოსწავლისათვის ყოველ სასწავლო წელს ინდივიდუალურად დამუშავდება სასწავლო გეგმა (სილაბუსი), რომელიც აისახება თითოეული მოსწავლისთვის სპეციალურად მომზადებულ დოკუმენტში. მშობელს შეეძლება, სისტემატურად გაეცნოს აკადემიურ წარმატებებს.

* VII - XII კლასებში ათი-თორმეტი მოსწავლეა თითო კლასში, მოსწავლეთა ასეთი რაოდენობის პირობებში მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა, განახორციელოს სწავლების პროცესში ინდივიდუალური მიდგომა.

* ინგლისიდან და ფინეთიდან შემოტანილია მათემატიკის სახელმძღვანელოები, რომელთაც სკოლა თანდათანობით შეიტანს სწავლებაში, როგორც დამხმარე რესურსს. ეს სახელმძღვანელოები გათვლილია სწორედ ინდივიდუალური სწავლებისთვის.

სკოლა მაქსიმალური ინტენსივობით ავითარებს ურთიერთობებს გერმანიის, ჩეხეთის, ლატვიის კერძო სკოლებთან, გამოცდილების, ურთიერთგაზიარებისა და თანამშრომლობის მიზნით. დასახელებული ქვეყნების სკოლებთან ერთად, მზადდება პედაგოგთა კონფერენცია თემაზე – „თანამედროვე გამოწვევები სწავლების მეთოდოლოგიაში და თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები".



* ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, ისტორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილების დაახლოებით 30% ტარდება კაბინეტებში. წარმოდგენილი კაბინეტები ვერ იტევს ყველა კლასის ყველა გაკვეთილს, რადგან მოსწავლეთა რაოდენობა კლასებში არის 10-12 და ამ პირობებში გაიზარდა კლასების რაოდენობა. ამიტომ სკოლის დირექციამ გადაწყვიტა VII-XII კლასები მთლიანად გადაიყვანოს კაბინეტური სისტემით სწავლებაზე. ამრიგად, მომავალი წლიდან VII-XII კლასის მოსწავლეებს ყველა გაკვეთილი ჩაუტარდებათ საგნობრივ კაბინეტებში.

* სკოლაში მიმდინარეობს აქტიური მომზადება ინგლისურენოვანი სექტორის შესაქმნელად. შეძენილია სახელმძღვანელოები ინგლისურ ენაზე, მიმდინარეობს ლიტერატურის დამუშავება და სრულყოფა, ინგლისურენოვან პედაგოგებთან მიმდინარეობს კონსულტაციები და ხელშეკრულებების გაფორმება. ეს პროცესი 2013-2014 სასწავლო წელს დასრულდება. ამ პროექტის განხორციელების მიზნით, საქართველო-გერმანიის თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების პროგრამის ფარგლებში, სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის'' წარმომადგენლები 2013 წლის 10-18 ნოემბერს, ასოციაცია „MITRA-ს" მიწვევით მიემგზავრებიან გერმანიაში კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, სახელწოდებით: „ზოგადი განათლების სისტემაში საჯარო და ალტერნატიული სტრუქტურების მიმართება ორენოვანი სწავლების მიმართულებით''.

ჩამოთვლილი ღონისძიებები წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენი სკოლის სინამდვილეში. გადაუჭარბებლად ვიტყვით, რომ ამ ყველაფრით სკოლა დააკმაყოფილებს წარმატებული სკოლის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სკოლის არსებობის 20-წლიან ისტორიაში ამით დამთავრდება განვითარების პირველი ეტაპი. თანამედროვე ტექნიკითა და სწავლების ტექნოლოგიებით აღჭურვილ სკოლაში 1 284 მოსწავლეს ასწავლიან კვალიფიციური პედაგოგები (158 პედაგოგი), რომელთაგან 76 სერტიფიცირებულია (50%). 2014 წელს, სკოლა დაარსებიდან 20 წლისთავს იზეიმებს. ამჟამად დაწყებულია ამ მნიშვნელოვანი თარიღისთვის მზადება.

*მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის IV მიკრორაიონი, ლაპლაპას ქუჩა №3.*
*ტელეფონი: 213-51-35.*
*ელ-ფოსტა: g.chkondideli@yahoo.com*

**ეკა პატარაია**

---

რძნო ეს 44 და 100 მილიონი. მე კმაყოფილი არავინ მინახავს.

**– იმაზე კმაყოფილები ნამდვილად არიან, ვიდრე წინა წლებში იყვნენ.**

– ჩვენი ხალხი მოქმედებს ემოციით. მხოლოდ ის ემოცია, რომ სააკაშვილი აღარ არის ხელისუფლებაში, ცოტა ხანს კიდევ ეყოფათ საზეიმოდ. ისევე, როდესაც ზეიმობდნენ შევარდნაძის წასვლას ხელისუფლებიდან, მაშინ, როდესაც შევარდნაძეს 10 თვე ჰქონდა დარჩენილი და არჩევნებით რომ წასულიყო, ის სამეული ხელისუფლებაში ვერაფრით მოვიდოდა. გეკითხებით: „რესპუბლიკელების" ხელისუფლებაში მოსვლის რამე შანსი არსებობდა, ბიძინა ივანიშვილს რომ არ დაეყენებინა თავის უკან?! არანაირი!

**– ეს ძალიან თვალხილულია. 2008 წლის ომის შემდეგ იყო მოსაზრება, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მეტ-ნაკლებად ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცევა შესაძლებელი იქნებოდა პუტინის ან სააკაშვილის წასვლით პოლიტიკური სცენიდან. შეიძლება, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები ამ გლობალური პოლიტიკის კონტექსტში განვიხილოთ?**

– დავიწყებ იმით, რომ პრინციპულად არ ვეთანხმები, თითქოს რუსეთი რამე პიროვნული მოსაზრებებით ან პირადი ურთიერთობების გამო რამე გადაწყვეტილებას იღებს. ისევე, როგორც დღევანდელი პრეზიდენტის მიერ „ოერტესთვის" მიცემული ინტერვიუ აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს პოლიტიკური თვალსაზრისით, განცხადება იმის შესახებ, რომ ხალხებს ხელი არ უნდა შევუშალოთ ერთმანეთთან ურთიერთობაში, აბსოლუტურად არაფერს შეცვლის რუსეთის პოლიტიკაში საქართველოსადმი. ლაპარაკია საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლაზე, რაც, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ რუსეთისთვისაა ხელსაყრელი, საქართველოს ინტერესებში შედის. ამის გაკეთებას კი დღევანდელი ხელისუფლება, თუ მათ განცხადებებს მოვუსმენთ, არ აპირებს, თუმცა იმის იქით რას ფიქრობენ, ვერ გეტყვით.

**– რას გულისხმობთ საგარეო კურსის შეცვლაში?**

– ვგულიხმობ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ პარტნიორობაზე ქირურგიულად უარის თქმას, რაც არის დიდი საფრთხის შემცველი ჩვენი ქვეყნისთვის არა მხოლოდ გეოგრაფიულად და პოლიტიკურად, არამედ – ფიზიკურად.

**– ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა იყო და არის გარანტი იმის, რომ რუსეთი შემდგომ ძალისმიერ ნაბიჯებს არ გადადგამს საქართველოს წინააღმდეგ. თუ ეს ფაქტორი არ იქნა, ვფიქრობ, რუსეთს უფრო მეტი რამის დაშავება შეეძლება.**

– მე არ ვგულისხმობ შეერთებული შტატების წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკას. აზერბაიჯანმა თავისი ნავთობით მოახერხა მეტ-ნაკლებად, რაც ამ რეგიონშია შესაძლებელი, ნეიტრალური პოზიციის დაჭერა. ხოლო, თუ აზერბაიჯანს ნავთობი აქვს, ჩვენ გზა გვაქვს, ანუ ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა, რაც ნავთობზე მყარი რესურსია. თუ ვაკვირდებით, ჩვენს ისტორიულ პოლიტიკურ ფუნქციას ვკარგავთ ამიერკავკასიაში.

**– 10-15 წლის წინათ თქვა ბჟეზინსკიმ, რომ ამიერკავკასიის რეალური ლიდერი აზერბაიჯანიაო.**

– მე არ მითქვამს, რომ ეს ახლა დაიწყო, უბრალოდ ეს ხელისუფლება, რომელიც პრეტენზიებით მოვიდა, იმავეს აგრძელებს. თუ ჩვენი პრობლემა ის იყო, რომ ცხვირი წესიერად მოეხოცა ახალ პრეზიდენტს და არ ეჭიხვინა, მაშინ მოგვარებულა პრობლემა.

**– ესეც იყო ერთგვარი პრობლემა. ახალი პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირება იყო კოაბიტაციის დასრულება. თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ, რა უნდა გაკეთებულიყო ან გაკეთდეს, რასაც თქვენ შეაფასებდით, როგორც კოაბიტაციის დასასრულს?**

– უპირველესად, ყველა „ნაციონალმა", რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, პასუხი უნდა აგოს. აი, ეს რომ არ ხდება და თურმე ყველა დამნაშავეს უნდა ეპატიოს მხოლოდ იმიტომ, რომ „ნაციონალი" იყო და თანამდებობა ჰქონდა, ნიშნავს იმ განუკითხაობის დაწყებას, რასაც ახლა „ნაციონალები" იწყებენ უკვე. რაზეა ლაპარაკი, როდესაც პირდაპირ ცხადდება, რომ სააკაშვილს პასუხისგებაში არ მისცემენ?! და, თურმე, სახელმწიფო ინტერესების დაცვა ყოფილა, თუ ყველა დამნაშავეს ყველაფერს ვაპატიებთ. ერთხელ მაინც თუ არ მოსთხოვე პასუხი, ყველა შემდეგი ხელისუფლება იმავეს ჩაიდენს და ჩვენ ხომ გვაქვს ეს მწარე გამოცდილება?!

**– მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ მომავალს როგორ ხედავთ? აშშ-ის ყოფილმა ელჩმა გამოთქვა მოსაზრება, კარგი იქნება, თუ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში დაიწყებს მუშაობასო.**

– არ აქვს დიდი მნიშვნელობა, ფიზიკურად სად დაკავდება საქმიანობით სააკაშვილი. აქამდეც არ ატარებდა ბევრ დროს საქართველოში, სულ ცაში იყო და ახლა რა დაუშლის, აქეთ-იქით იფრინოს, მაგრამ სააკაშვილი აუცილებლად დაიწყებს პარლამენტს გარეთ ოპოზიციური კოალიციის ჩამოყალიბებას და მას ამაში დღევანდელი ხელისუფლება, როგორც ჩანს, ხელს არ შეუშლის. მათ აქვთ ურთიერთსარგებლიანობაზე დამყარებული ინტერესი ერთმანეთის მიმართ: ერთისთვის მეორეა ხელსაყრელი და პირიქით.

**ნინო ხაჩიძე**

# რა სასწაული მოხდა სოსო წერეთლის 16 წლის შემდეგ ნაპოვნ საფლავთან

*ზუსტად 30 წელი გავიდა „თვითმფრინავის ბიჭების" ტრაგედიიდან. 18 ნოემბერი – ბურუსით მოცული დღე, ათასი ჭორი, ტყუილ-მართალი... რა აღარ დაწერილა და თქმულა ამ თემაზე, მაგრამ, აქამდე ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი არავის აღუნიშნავს.*

*თითოეული მათგანის სახელი ჩვენს უახლეს ისტორიაში დიდი ასოებით ჩაიწერა. ისინიც და მათი დანარჩენი მეგობრებიც, რომლებიც „თვითმფრინავის ისტორიის" გარეთ დარჩნენ, ძალიან განათლებულები, კულტურულები, ინტელექტუალურები, წარმოსადეგები და კარგი ოჯახიშვილები იყვნენ. არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მე კი ვიტყოდი, ისინი გმირები არიან, იმიტომ, რომ ამხელა საბჭოთა მანქანას დაუპირისპირდნენ.*



*ვინ ისროდა სინამდვილეში? არიან ადამიანები, ვინც სიმართლე იცის. გეგა კობახიძისა და თინა ფეტვიაშვილის ქორწილში სპეციალურად მიწვეული სტუმარი იყო თბილისის აეროპორტის თანამშრომელი, ვინმე ანა ვარსიმაშვილი, (იგი მეორე დღეს მორიგეობდა), რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდებმა სპეციალური კონტროლის გარეშე გაიარეს „ინტურისტის" სამსახურებრივი კორდონი. ამ დროს ნეფე-პატარძალთან ერთად იყვნენ მეჯვარეები: სოსო წერეთელი, დათო მიქაბერიძე, ეკა შალუტაშვილი და ანანო მელივა (ლადო გუდიაშვილის შვილიშვილი), ცოტა ხანში კი დანარჩენებიც შეუერთდნენ. საქმე აღიძრა მერვე პოლკის მეთაურების და ჯარისკაცების მიმართაც, თუმცა, ისინი არ გაუსამართლებიათ; არ გაუსამართლებიათ არც შალუტაშვილი და არც მელივა. იმასაც ამბობენ, სასამართლო საოცარი დარღვევებით მიმდინარეობდაო. აღმოჩნდა, რომ „ლიმონკების" აფეთქების საშიშროება, რომლებიც ბიჭებს ხელში ეჭირათ, არ არსებობდა, ვინაიდან, სასწავლო იყო. რეალურ საშიშროებას მერვე პოლკის მიერ დაცხრილული თვითმფრინავი ქმნიდა, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა აფეთქებულიყო. ჩვენ ექსკლუზიური ინტერვიუ ჩავწერეთ სოსო წერეთლის დედასთან, ქალბატონ **ლეილა ბრეგვაძესთან.** ის ასე იხსენებს შვილს და იმ საბედისწერო დღეს:*

– სოსო, გეგა და დათო მიქაბერიძე მეგობრობდნენ, სულ დადიოდნენ ჩვენთან, ძალიან წესიერი, კარგად აღზრდილი ბავშვები იყვნენ. სოსო და დათო ერთად სწავლობდნენ სამხატვრო აკადემიაში, სოსო – ფერწერაზე, დათო – არქიტექტურულზე. ძმები ივერიელები კამოს 4-ში ცხოვრობდნენ, აქვე, ჩვენთან ახლოს. მათ არ ვიცნობდი, მაგრამ, როგორც ვიცი, ისინიც წესიერი და კარგი ოჯახის შვილები იყვნენ. მათი მამა, ვაჟა ივერიელი, თბილისში ცნობილი ექიმი გახლდათ.

**– ბიჭის აღზრდა მშობლისთვის რთულია, განსაკუთრებით – გარდატეხის ასაკიდან, როცა ბავშვებს მიაჩნიათ, რომ მშობლების გავლენის ქვეშ აღარ უნდა იყვნენ. აი, აქედან იწყება მათი თავისუფლებისკენ სწრაფვა და იმის ალბათობა, რომ, შესაძლოა, ვიღაცამ ცუდ საქციელში აიყოლიოს. თუ გქონდათ სოსოზე კონტროლი?**

– ეს არ სჭირდებოდა, მაგრამ, მაინც სულ ვაკონტროლებდი. ერთი დღე არ დამიტოვიებია უყურადღებოდ. რატომ, იცით? ჩვენს უბანში ძალიან ცუდი სიტუაცია იყო და, რა თქმა უნდა, არ მინდოდა, ცუდ წრეში მოხვედრილიყო; იმიტომ კი არა, რომ სოსო რამე ცუდს გააკეთებდა, უბრალოდ, ცუდ წრეში რომ არ მოხვედრილიყო. ამ ბიჭებზე კი, ვიცოდი, რომ წესიერები იყვნენ და მოდიოდნენ ჩვენთან. მათზე ცუდი არაფერი მიფიქრია. აკადემიაშიც ვაკონტროლებდი. არ ესწრებოდა ლექციებს, ცოტა სხვანაირი მხატვარი იყო – ისე არ ხატავდა, როგორც იმათ უნდოდათ, თავისებური სტილი ჰქონდა ხატვის. მისი მეგობრები ამბობენ კიდეც, რომ ის ერთადერთი იყო, ვინც აბსტრაქტული სტილი შემოიტანა საქართველოშიო. მერე მთელი ახალგაზრდობა მიჰყვა ამას. სამწლინახევრისას გერმანული ენის შესწავლა დავაწყებინე, მერე სკოლაში ფრანგულს ასწავლიდნენ და, დამატებით, მასწავლებელი ავუყვანე. ფრანგულიც ისწავლა. მერე ვთხოვე, მოდი, ინგლისურიც ისწავლე-მეთქი. დეეე, გეხვეწები, თავი დამანებე, ჩემმა ამხანაგებმა არც ერთი ენა არ იციან და მე ორი ენა ხომ ვიციო. უკვე სტუდენტი რომ გახდა, მთხოვა – შეიძლება, ინგლისურზე ვიაროო? რუსულიც იცოდა, ბოლოს იტალიურის სწავლა უნდოდა, მაგრამ, არ დასცალდა.



**– გვინდა თუ არ გვინდა, თვითმფრინავის გატაცება, პირდაპირი მნიშვნელობით, ტერორისტული აქტი იყო, გამტაცებლები კი ბანდიტებად ითვლებოდნენ. ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ ბიჭებმა კარგად იცოდნენ, რაც მოჰყვებოდა მათ ამ ნაბიჯს და ნერვიულობდნენ. თან, ეს არ იყო ერთ დღეში მიღებული გადაწყვეტილება. ვერაფერს ამჩნევდით სოსოს?**

– არ ვიცი, არაფერი შემიმჩნევია, ისე მიდიოდა და მოდიოდა. ეს რომ შემემჩნია, სხვანაირ ზომებს მივიღებდი. ჩვეულებრივად იყო. იცით, რაშია საქმე? ჩვენს ოჯახში პოლიტიკაზე არასდროს ვლაპარაკობდით. სოსოს მამა იყო აღმოსავლეთმცოდნე. ასე წერია – „მსოფლიოში უდიდესი მეცნიერი კოტე წერეთელი." თუკი ვინმე ცნობილი, ბუმბერაზი პიროვნება იყო, ჩვენს ოჯახში მოდიოდა. სოსოს სულ იმას ვეუბნებოდი: შენ ხარ კოტე წერეთლის შვილი და, იცოდე, უფლება არ გაქვს, ცუდად მოიქცე-მეთქი. ამ კოტე წერეთლის გამო სულ შეზღუდული ვარო, – ამბობდა.

**– როგორ გახსენდებათ ის დღე?**

– 18 ნოემბერი იყო, ძალიან კარგი, მზიანი ამინდი. დილით ჩვეულებრივად ადგა, ისაუზმა. წასვლისას მითხრა; ცოტა დამაგვიანდება, შენ კარგი სადილი მოამზადე და ბებიას სანახავად წავიდეთო – დედაჩემი იყო ავად. ეს იყო გეგას ქორწილის მეორე დღე. გეგას მეჯვარე იყო. სოსომ ტყუილი არ იცოდა, არასდროს არაფერს მოგატყუებდა. ველოდე, არ მოვიდა. ვიფიქრე, ალბათ, ისევ გეგასთანაა სახლში და ახალგაზრდები დროს ატარებენ-მეთქი. დარეკა ვიღაც გოგომ: ქალბატონო ლეილა, აეროპორტიდან გირეკავთ და, თუ შეიძლება, მობრძანდითო. გამიკვირდა – კი მაგრამ, აეროპორტში რა მინდა, რაშია საქმე-მეთქი. ვიცოდი, რომ გეგა და თინა უნდა წასულიყვნენ ბათუმში გადაღებებზე და, ვიფიქრე, ალბათ, სოსომაც გააცილა-მეთქი. მეზობლის ბიჭს ვთხოვე: ასეთი და ასეთი ამბავია და აეროპორტში წამიყვანე-მეთქი. საღამოს რვა საათი იქნებოდა. წავედით. გზაში ვხედავთ, სასწრაფოს, მილიციის, მთავრობის შავი მანქანები მიდიან, გადატვირთულია მოძრაობა. ამ ბიჭს ვეკითხები – ნეტავ რა ხდება, ალბათ, დიდი ხალხი ჩამოდის და ესენი იმათ ხვდებიან-მეთქი. შემოვუარეთ შენობას. აეროპორტი სავსე იყო ხალხით. ამ დროს ჩვენ წინ გაჩერდა დიდი შავი მანქანა და ოთხი ერთნაირად გამოწყობილი მაღალჩინოსანი გადმოვიდა. თქვენ ბრძანდებით სოსო წერეთლის დედაო? კი ბატონო-მეთქი. თუ შეიძლება აგერ, ალექსი ინაურთან მიბრძანდითო. ინაურმა მიამბო, რაც ხდებოდა, მერე ხელი დამადო მხარზე და მითხრა: ნუ გეშინიათ, ქალბატონო ლეილა, არაფერი მოხდება, ყველაფერი კარგად იქნებაო. გამეცინა – როგორ შეიძლება, ეს ამბავი ასე დამთავრდეს-მეთქი. აგერ, ბატონი ედუარდიც აქ ბრძანდებაო... რა მინდა მასთან, რა ვუთხრა, რომ მივიდე-მეთქი. მერე ვიღაც მოვიდა და მეუბნება: თუ შეიძლება, მშობლები რომ მიგიყვანოთ თვითმფრინავთან და ყველა თქვენ-თქვენს შვილს დაელაპარაკოთო. ისინი კარს არ აღებდნენ. ნათელა მაჭავარიანმა თქვა, „კაგებე" მოვიდა ჩემთან სახლშიო. ჩემთან არ მოსულა „კაგებე". არ ვიცი, რატომ; შეიძლება, ინაურმა გასცა ბრძანება, რომ არ მოსულიყვნენ და არ შევეწუხებინეთ. როცა ვიღაცეები მოვიდნენ სახლის დასათვალიერებლად, არ დაათვალიერეს სახლი და უკანვე გაბრუნდნენ. აი, თვითმფრინავთან მიგიყვანთ მშობლებსო, რომ გვითხრეს, მოგვკიდეს ხელი, აგვიყვანეს მეხუთე სართულზე და სადღაც ოთახში გამოგვკეტეს. კიბეზე, ყველა საფეხურზე ორ-ორი კაცი იდგა. ვსხედვართ, ზოგი ადგილს ვერ პოულობს, ტირის, და, ამ დროს, ისეთი სროლა ატყდა, გეგონებოდათ, თბილისი ინგრეოდა. უცებ ვიგებთ, რომ მერვე პოლკი მოვიდა. ასე მოიყვანეს მერვე პოლკი და აქედან დაცხრილეს თვითმფრინავი. ნათელა მაჭავარიანს, გეგას დედას, გული წაუვიდა. მივიდა „კაგებეს" თანამშრომელი და წიხლი ამოარტყა და, აი, მაშინ წამოვხტი: – თქვე მხეცებო, არაადამიანებო! შვილებს გვიხოცავთ და, იმის უფლებაც არ გვაქვს, შვილები ვიტიროთ-მეთქი?!

**– მაგრამ, რა ხდებოდა შიგნით, ამაზე ყველას მშობელს სხვადასხვანაირი ინფორმაცია გაქვთ. თქვენ რა გითხრეს, ქალბატონო ლეილა?**

– თვითონ ისროდნენ და ამათზე ამბობდნენ, შეიარაღებულები არიანო. იქ იყო კიდევ ერთი ადამიანი, მგზავრი, რომელიც ახლა ცოცხალი აღარ არის, თორემ, ბოლომდე ყველაფერს იტყოდა. მან თქვა სიმართლე და მერე აღარ წაიყვანეს მოწმედ. მეორე რიგში ვიჯექი, გარედან ტყვიები შემოდიოდა, მე შევვარდი და იატაკზე დავწექიო. ამ ბიჭებიდან არც ერთს არ უსვრიაო. მფრინავი ახმედ გარდაფხაძე კი ამბობს, მე არ ვიცი, ეს ბიჭები ვინ იყვნენ, აქეთ-იქიდან ამომიდგნენ იარაღით. ერთ-ერთი სოსო წერეთელი იყოო. რა იცის, რომ წერეთელი იყო და არა სხვა? სოსოს იარაღი არ ჰქონია. დილამდე ვიყავით აეროპორტში. მერე უცებ გაათავისუფლეს თვითმფრინავი. მანამდე, აქედან რომ ატყდა სროლა,

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
**შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს**
**ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში**
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

ვილაცას გაუღია კარი, რომ ჩამომხტარიყო და საყელოში წაუვლიათ ხელი – არ ჩახვიდე, გესვრიანო. ამასობაში მეორე სტიუარდესა გავარდა და შუბლში მოხვდა ტყვია. მამამისს უთქვამს სასამართლოზე; ახლა გასაგებია ჩემი შვილი ვინც მოკლაო. ესე იგი, უნდოდათ, ეთქვათ, რომ, ვითომ სოსო ჩამოხტა თვითმფრინავიდან, ესროლა ტყვია და მერე ისევ თვითმფრინავში ავიდა. „სპეცნაზი" ჩევნთანაც ამოვარდა – უთქვამთ, ბანდიტების მშობლები იქ არიანო. გადაგვხედეს, გადმოგვხედეს და თქვეს: როგორი შეცდომა დავუშვით, ჩვენ ბანდიტები გვეგონა, მაგრამ, პატარა, გამოუცდელი ბიჭები აღმოჩდნენო. თვითონ არ ყვებოდნენ ეს „პილოტები" ხოფერიას გადაცემაში, ჩვენ ვისროდითო?! ერთ-ერთმა „პილოტმა," გასოიანმა, ეროვნებით ქურთმა, სოსოს კისრის არტერიაში ესროლა. ორი დღის შემდეგ გარდაიცვალა ჩემი შვილი ციხეში, სისხლისგან დაიცალა. ამავე გადაცემაში ითქვა: ამათ ტერორისტები კი არა, უარესი სიტყვა შეიძლება ვუწოდოთო. რა არის ამაზე უარესი კიდევ, არ ვიცი. რადგან სოსო ცოცხალი აღარ იყო, ყველაფერი მას გადააბრალეს, რომ ის ბიჭები გადაერჩინათ დახვრეტას – მე ასე ვფიქრობ. მომიტანეს წერილი, რომელშიც ვითომ სოსო წერს, რომ ყველაფერი მისი ბრალია და ბოლოს წერია: თუ შეიძლება, ბიჭები გადაარჩინოთო. როცა დავხედე წერილს, ვუთხარი: ეს სოსოს ხელწერა არ არის, მაგრამ, თუ ბიჭებს ეს წერილი უშველის, ძალიან კარგი-მეთქი.

**– ძალიან საყურადღებოა ერთი ფაქტიც: როგორ გადაურჩნენ გასამართლებას ამ სამქმეში მონაწილე სხვა პირები, ანანო მელივა და ეკა შალუტაშვილი, მაშინ, როცა სრულიად უდანაშაულო მღვდელი არ დაინდეს, რომელიც საერთოდ არ ყოფილა იქ?**

– ლადო გუდიაშვილის მეუღლე, ნინა მგელაძე, ძალიან მაგარი ქალი იყო. როგორც ვიცი, მას უთქვამს: ლადოს მთელ მუზეუმს გადავწვავ, თუ ჩემს შვილიშვილს დააპატიმრებთო. მე არც ვიცნობდი მათ. მაშინვე თქვეს, რომ ეს გოგოც იქ იყო, მაგრამ, მერე გაათავისუფლეს

**– უწმიდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს ძალიან ჰყვარებია სოსო. თურმე, სოსოს ერთ-ერთი ნახატი დღემდე საძინებელში უკიდია.**

## შევარდნაძემ მითხრა: მე ბევრი სიკეთე მაქვს გაკეთებული და ბევრი ცუდიცო, მაგრამ, ეს ისეთი ცოდვა მაწევს, ვერასოდეს მოვიცილებო

– სოსოს ხელში იარაღი არ სჭერია. სახლიდან რომ წავიდა, ბიბლია წაიღო, რადგან, ძალიან მორწმუნე იყო. პირველი სტიქაროსანი იყო. მაშინ, როცა ეკლესიაში არავინ დადიოდა, სოსო იყო პირველი, რომელიც შევიდა ეკლესიაში. სიონის ტაძარში ჩვენმა უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დაინახა, რომ კედელს ამოფარებული იდგა, იებით ხელში. იები ძალიან მიყვარს და, თუ სადმე ია შეხვდებოდა, იყიდდა და მომიტანდა. ვეტყოდი: მე რომ მოვკვდები არანაირი ყვავილები არ დამაყაროთ გულზე, მარტო იები დამაყარეთ-მეთქი. ილია მეორემ სოსო რომ დაინახა ეკლესიაში, უთქვამს – ვინ არის ეს ბავშვი, მომიყვანეთო. რომ მიიყვანეს, გამოუკითხავს, ვისი ხარ ეს ლამაზი ბიჭიო. კოტე წერეთლის შვილი ვარო. გასაგებიაო და იქიდან დაიწყო მათი ურთიერთობა. მას მერე ემსახურებოდა სტიქარით. სოსოს დასდევდა „კაგებე". ამის გამო გარიცხა აკადემიიდან გოგი თოთიბაძემ, მერე კოტემ აღადგენინა. ოთარ თაქთაქიშვილი გაგიჟებული იყო – როგორ გაბედა თოთიბაძემ შენი შვილის გარიცხვაო.

**– 16 წლის შემდეგ იპოვეთ შვილი...**

– ვიღაცამ დაურეკა ივერიელების მამას და უთხრა: თქვენი შვილები ამა და ამ ადგილზე, გაჩიანის გზაზე არიან დასაფლავებულებიო. რამდენიმე ადამიანი წავიდა სანახავად. რომ ამოვთხარეთ, ნიჩაბი რაღაცას მოხვდაო. ამოთხარეს, ნახეს სასახლე, ახადეს სახურავი და – სოსო იყო. ისევ ისე იყო სახეზე. რომ გარდაიცვალა სოსო, იქ უთქვამთ თვითონ ციხის საავადმყოფოს თანამშრომლებს, აქაურობას გადავწვავთ თუ მას ქრისტიანულად არ დაასაფლავებთო. იძულებულები იყვნენ, დაეკრძალათ. ილია მეორესთან რომ მივედით მე და ჩემი ქმარი, პირჯვარი გადაისახა – გაუკვირდა, რომ ასე იყო შენახული ამდენი წელი. გვითხრეს: როდესაც მივედით და დავიწყეთ გათხრა, ამ დროს ცაზე ცისარტყელამ გამოანათა, უკანვე რომ ჩავასვენეთ, ცისარტყელა გაქრაო. უწმინდესმა თვალცრემლიანმა მითხრა: რატომ წამართვით სოსო, ის ხომ ჩემიც იყოო. მე არ წამირთმევია, კომუნისტურმა რეჟიმმა წაგართვათ მისი თავი-მეთქი.

**– შევარდნაძეს დალაპარაკებიხართ?**

– სოსოს ადგილსამყოფელი რომ გაიგო შევარდნაძემ, თუკი ვინმე იყო თბილისში მაღალი თანამდებობის პირი, ყველას მიგზავნიდა. დღეში სამოცი კაცი მიდი-მოდიოდა ჩემთან სახლში, რომ დიდუბის პანთეონში სოსოს გადაყვანას დავთანხმებოდით. ერთხელ მანქანა გამოგვიგზავნა და კანცელარიაში მივედით. აი, მაშინ გვითხრა მე და კოტეს: მე ბევრი სიკეთე მაქვს გაკეთებული და ბევრი ცუდიცო, მაგრამ ეს ისეთი ცოდვა მაწევს, ვერასოდეს მოვიცილებო.

**ეკა პატარაია**

*არ ვიცი, ვინ დამეთანხმება და ვინ – არა, მაგრამ, აშკარაა, რომ ექიმების მიერ დაშვებულ საბედისწერო შეცდომათა რაოდენობა თანდათან იზრდება – ამის ბევრი მაგალითი შემიძლია, გავიხსენო. ექიმების მსხვერპლი გახდა პირადად ჩემი ოჯახიც, როდესაც ანევრიზმიან პაციენტს ის მედიკამენტი მისცეს და, თან, იმ დოზით, რომელიც საერთოდ არ უნდა მიეცათ და ადამიანი გარდაიცვალა. ამ რამდენიმე ხნის წინ კი ინტერვიუ ჩავწერე გენერალ-ლეიტენანტ შოთა გორგოძესთან, რომლის ცრემლიანი თვალები მეხსიერებიდან არ ამომდის. მისი 44 წლის ვაჟი შეუძლოდ გახდა და, საავადმყოფოში მას კი არ უშველეს, არამედ, სამუდამოდ მიაჯაჭვეს საწოლს.*

„...ჩემი მეუღლე ღამის ოთხ საათზე გამოვიდა ოთახიდან, წაიქცა და ფეხი მოიტეხა. ყვირილზე გამოვარდა ჩემი ბიჭი, გვერდითა ოთახში ეძინა. დედა ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახა, ძალიან იმოქმედა მის ნერვულ სისტემაზე და ეპილეფსიური გულყრა დაეწყო. სასწრაფოდ წავიყვანეთ კლინიკაში. იქ გაუკეთეს ისეთი ნემსი, რომელიც არ უნდა გაეკეთებინათ, თან, დიდი დოზით და ბიჭი საერთოდ გაითიშა. სამი თვე მეწვინა საავადმყოფოში. ერთ დღე-ღამეში რეანიმაციაში 570 ლარი იყო გადასახდელი. ვეღარ გავუძელით, მოვკიდე ხელი და სახლში წამოვიყვანე. ოთხი წელია, აპარატზეა. ექთნები მყავს აყვანილი და 24 საათის განმავლობაში ადგანან თავზე. თითქოს რაღაცეები ესმის, მაგრამ, რეაგირებას ვერ ახდენს, მხოლოდ თვალს გამოგვაყოლებს ხოლმე. შვეიცარიიდან მყავდა ჩამოყვანილი სპეციალისტები და იმათ თქვეს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მისთვის ამ წამლის გაკეთებაო. ეს სახლი, აგარაკი – რაც გაგვაჩნდა, ბანკში მაქვს ჩადებული. სახლში რაც მქონდა, ყველაფერი გავყიდეთ. ერთადერთი, პენსია დამრჩა..." ახლა ერთი ქალბატონის, ნატალი კობიაშვილის მძიმე მდგომარეობაზე გიამბობთ, რომელშიც ის იმყოფება. მისი 28 წლის ქალიშვილი 3 თვის ბავშვს ჰგავს.

## როგორ იქცა 28 წლის ქალი ჩვილ ბავშვად

მაიკო ხარაზიშვილი 1985 წლის 11 მაისს, სრულიად ჯანმრთელი დაბადა. 3 თვის ასაკში მოიწამლა ბავშვთა საკვებით. ხილიანზე, ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში მოათავსეს. შემდეგ ხერხემლიდან ზურგის ტვინის სითხე აუღეს, რამაც ბავშვის სრული პარალიზება გამოიწვია და შეწყდა მისი გონებრივი და ფიზიკური განვითარება. მაიკო ახლა 28 წლისაა და 5 კილოგრამამდე იწონის. მას ამ ხნის განმავლობაში სიტყვა არ უთქვამს და ნაბიჯი არ გადაუდგამს. ამასთან, პათოლოგიურად ემტვრევა ძვლები, როცა მას ხელში იყვანენ და ეხევა კანი (სურათზე კარგად ჩანს, როგორ აქვს მოტეხილი ხელის მტევნები და ლავიწის ძვლები რამდენჯერმე). დიდი ხანია, ექიმებმა მასზე ხელი აიღეს, მაგრამ ჰყავს კერძო ექიმი, რომელიც მოტეხილობებს უშუშებს, თუმცა, ეს პროცედურა საკმაოდ ძვირი ჯდება. ხშირ შემთხვევაში, ოჯახს არ აქვს მკურნალობის საშუალება. მაიკოს დედაც ინვალიდია – დიაბეტითაა დაავადებული და არც თავისი წამლების ყიდვის საშუალება აქვს. მათ გაჭირვებას ისიც დაემატა, რომ, გადაუხდელობის გამო, ოჯახი შუქისა და გაზის გარეშეა დარჩენილი. გოგონას ფიზიკური მდგომარეობა 2 წლის ბავშვის მდგომარეობას შეესატყვისება. საკვები მხოლოდ დაბლენდერებული მიეწოდება. „ჩემი გოგო ჯანმრთელი დაიბადა. სამი თვისა ბებიასთან წავიყვანე ველისციხეში, ექიმმა – ძუძუ აღარ ჰყოფნის და ხელოვნური საკვები გაიყოლეეო. შეჭამა თუ არა, ფაღარათი დაეწყო და სიცხე 40-ზე აუვარდა. იმავე დღეს თბილისში დავბრუნდით და ბავშვი ხილიანის ქუჩაზე, ბავშვთა ინფექციურში დავაწვინეთ. მაღალი სიცხე ჰქონდა და ექიმმა აუცილებლად ზურგის ტვინიდან უნდა ავუღოთ სინჯიო! რომ აუღეს, ბავშვს რამდენიმე წუთში ხელზე ვაკოცე, მაგრამ, როცა გავუშვი, მოწყვეტით დაუვარდა ხელი საწოლზე. ექიმთან შეშლილი გავვარდი. იმან – ნუ გეშინია, ბევრი წამალი რომ მიიღო, იმიტომ არის მოთენთილი, გაუვლისო. მაგრამ, მარტო კუჭის აშლამ გაუარა. ბოლოს, ფურცელი შემომიტანეს – ხელი მოაწერე, რომ ბავშვი მძიმედ ავადმყოფი შემოიყვანე და ჯანმრთელი გაგყავსო. არა-მეთქი! მაშინ, არ გაგიშვებთო. ნუ გამიშვებთ-მეთქი. ერთი თვე მამყოფეს და ვერაფერს გავხდი, 1985 წელი იყო. მერე ბავშვიც შემეცოდა და წამოვედი. თანაც რაღაც იმედი მქონდა... დრო რომ გავიდა, ისევ მივედი იმ ექიმთან – ბავშვს სიკეთის არაფერი ეტყობა-მეთქი. იმან – დამიმტკიცე, რომ ეს ჩემი ბრალიაო! ის ექიმი თუ ცოცხალია, ღმერთი ისედაც დასჯიდა. თუ არა და, წაიკითხავს ამ ამბავს და ტვირთს საიქიოში წაიღებს". დედა შვილს მეუღლის გარეშე ზრდის და, წარმოიდგინეთ, რამხელა სირთულეებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული მარტოხელა დედის მდგომარეობა: ბავშვის მოვლა, საოჯახო საქმეები, ფინასები, კომუნალური გადასახადები... – ამ პრობლემებს ქალბატონი ნატალი მარტო უმკლავდება. გავუწოდოთ ერთმანეთს დახმარების ხელი. ჩვენ მიერ ჩარიცხული 1 ლარით გოგონას ცოტათი მაინც შევუმსუბუქებთ ყოფას.




***„საქართველოს ბანკი": კოდი BAGAGE22 ანგარიში – GE52BG0000000200126200; მიმღები – ნატალია კობიაშვილი.***

**ეკა პატარაია**

**ვანო მაჭავარიანს ოფიციალურად საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტის თანაშემწის ფუნქცია აკისრია, თუმცა გიორგი მარგველაშვილის ცხოვრებაში მას ბევრად დიდი როლი აქვს, ვიდრე ეს ოფიციალური სტატუსი. მათი მეგობრობა საბავშვო ბაღში დაიწყო. ერთმანეთი ცხოვრების რთულ პერიოდებშიც არ დაუკარგავთ, როდესაც სხვადასხვა პოლუსებზე „იყვნენ". ერთად გატარებულმა ორმოცმა წელმა, როგორც თავად ხუმრობენ, არც ერთი არ დაღალა, უფრო მეტიც, მათი მეგობრობის ფორმატი არ იცვლება და ისე გრძელდება პრეზიდენტის საყვარელ დუშეთსა თუ თბილისში, თითქოს მათ ცხოვრებაში წლებთან ერთად ბევრი არაფერი შეცვლილიყოს.**

# რატომ გადაიღეს ვანო მაჭავარიანი პრეზიდენტთან ერთად მიუზიკლში და რა აკავშირებდა მის ოჯახს ბიძინა ივანიშვილის მამასთან

**ვანო მაჭავარიანი:** ჩემი და გიორგის მეგობრობა დაიწყო საბავშვო ბაღიდან. ჩვენ თითქმის ერთ უბანში ვცხოვრობდით, გიორგი – ძერჟინსკის ქუჩაზე, მე – რუსთაველზე. ერთად ვსწავლობდით პირველ საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგაც გიორგიმ უნივერსიტეტში ჩააბარა, მე – „გეპეიში." წლების შემდეგ ჩვენ სტუდენტების რანგში კვლავ ერთად აღმოვჩნდით პრაღის ცენტრალურ უნივერსიტეტში. გარდა დიდი მეგობრობისა, ჩვენ შორის ნათესაური კავშირიც არის, – გიორგი ჩემი მეჯვარე და ჩემი შვილის ნათლიაა. ჩვენ არ დაგვიკარგავს ერთმანეთი ცხოვრების რთულ პერიოდებშიც კი, როდესაც მე ვიყავი დიპლომატიურ სამსახურში. იყო მომენტები, როდესაც მე რამდენჯერმე შემახსენეს, რომ გიორგი მარგველაშვილთან მეგობრობა არ იყო ჩემთვის სასიკეთო და სასურველი. ამას წინათ, მკითხეს: არ მოგწყინდათ ერთმანეთი, 40 წელია, მეგობრები ხართო? ამაზე არც დავფიქრებულვარ, ისე გავიდა ეს წლები. ბოლო პერიოდმა განსაკუთრებით დაგვაახლოვა ერთმანეთს. მას შემდეგ, რაც დიპლომატიური სამსახური დავტოვე, მომეცა საშუალება, „ჯიპაში" გამევლო მსოფლიო საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის კლასი. ამ კონტექსტში ჩვენ გვიწევდა საუბრები საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, გვიწევდა საკუთარი შეხედულებების გაზიარება, ხშირად კამათიც კი. ალბათ, ესეც გახდა წინაპირობა იმის, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გუნდთან ერთად აქტიურად ჩავერთე იმ სამუშაო პროცესში, რაზედაც მიდიოდა მუშაობა საპრეზიდენტო კანდიდატთან საერთაშორისო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ უსაფრთხოების თემებზე.



გიორგი მარგველაშვილი საბავშვო ბაღში გავიცანი. მაშინ ორივე ოთხი წლისანი ვიყავით

**– როგორც ვიცი, თქვენ და გიორგი მარგველაშვილი ქართულ მიუზიკლშიც ხართ გადაღებული. როგორ მოხვდით ფილმში?**

– ჩვენ გადაგვიღეს მიუზიკლში „რწყილი და ჭიანჭველა". მაშინ მეც და გიორგიც ალბათ, 11 წლისანი ვიყავით. მახსოვს, სკოლაში მოვიდნენ მოსწავლეების შესარჩევად. პირველი სკოლა ამ მხრივ განსაკუთრებული იყო. ვინაიდან მე და გიორგი მუსიკის ნიჭით მაინცდამაინც არ გამოვირჩეოდით, არც რწყილის როლი გვერგო და არც ჭიანჭველის. ჩვენ ვიყავით მზის შვილები, რთულ გარემოში რწყილისთვის დახმარება უნდა გაგვეწია. ჩვენ რწყილი გავათავისუფლეთ ყვავის ტყვეობიდან, დავეხმარეთ პრობლემების მოგვარებაში, დავფრინავდით ჩვენი ჯადოსნური ფრთებით თბილისსა და გუდაუთას შორის, რადგან ფილმის გადაღებები ძირითადად გვქონდა აფხაზეთში, გუდაუთასა და მიუსერასთან. ფილმი გათვლილი იყო რუსულ აუდიტორიაზე და გავიდა მთელ საბჭოთა სატელევიზიო სივრცეში, მათ შორის გადაცემაში „ვგასტიახ უ სკაზკი". აქ დამთავრდა ჩემი და გიორგის კავშირი კინოსთან, ჩვენ სხვა მისწრაფებებიც გვქონდა. მეც და გიორგიც მეცნიერების ოჯახებში ვართ გაზრდილი, ჩვენი მშობლებიც იცნობდნენ ერთმანეთს აკადემიური საქმიანობიდან. საერთო წრე და საერთო გატაცებები უფრო ამტკიცებდა ჩვენს ურთიერთობას, მაგრამ ორივეს გვქონდა ჩვენი გზა და ხედვა.

**– თქვენ წარმოშობით ხართ ჭორვილადან. იმ წლებში თუ გქონდათ კავშირი ბიძინა ივანიშვილის ოჯახთან?**

– ბიძინა ივანიშვილი ასაკით უფროსია და მას ბავშვობაში არასდროს შევხვედრივარ, მაგრამ, ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობდით მის ოჯახს, მის მამას. მე მახსოვს, როგორ ეხმარებოდა მამამისი – ბატონი გრიშა ჩვენს ოჯახს სხვადასხვა სამეურნეო საქმეებში, როგორც ეს ზოგადად სოფლებში ხდება ხოლმე. ძალიან ძნელია, ადამიანმა დამალო სიყვარული შენი კუთხის, სოფლის მიმართ. ვერც ერთი ვერ დავმალავთ იმ განცდებს, რაც ამ სოფელთან გვაქვს დაკავშირებული. ჭორვილა არაა დიდი სოფელი, იქ ყველა ერთმანეთს იცნობს. მე მაქვს სახლი ჭორვილაში. უფრო სწორად ბიძაჩემის სახლი გამოვისყიდე, სადაც ბაღიც გვაქვს. წინა კვირას ვიყავი ჭორვილაში, ღვინო დავაყენე, ჭაჭა გამოვხადე. ამ საქმიანობას ვერ ველევი, როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდება, სოფელში მივდივარ. იქ ბევრი ნათესავი გვყავს – ბიძაშვილები, რომლებთანაც ბავშვობა გვაკავშირებს. ასე რომ, იქ ჩასვლა ყოველთვის ძალიან მიხარია. სხვათა შორის, ჭორვილა ჩემს ბავშვობაშიც გამორჩეული სოფელი იყო – იქ ცხოვრობდა ცნობილი ლოტბარი მამია ხატელიშვილი. ძალიან ბევრი ადამიანი ჩადიოდა მასთან. ჭორვილაში ცხოვრობდნენ წერეთლები, მათთან ჩვენ ნათესაური კავშირი გვაქვს. ჭორვილელი იყო ჯურხან ნადირაძე, არქეოლოგი, რომელმაც სოფელში ოქროს ხანის ნივთები აღმოაჩინა, რაც მიუთითებდა ამ სოფლის კავშირებს ანტიკურ პერიოდთან. ჩემს ბავშვობაში ჭორვილა ცოცხალი სოფელი იყო. მაშინ ივანიშვილების ოჯახს, ისევე როგორც ბევრ ოჯახს იმ სოფელში, დალხენილი ცხოვრება არ ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროდ, ადამიანები იყვნენ გამორჩეულად კარგები. ის ადამიანური ურთიერთობები რაც მათ ჰქონდათ ერთმანეთთან მე დღესაც კარგად მახსოვს. გამორჩეულად მინდა ვთქვა ბიძინა ივანიშვილის დედის, ქალბატონი ციცინოს შესახებ. მისგან ყოველთვის ვგრძნობ კეთილგანწყობას. ის ძალიან ყოჩაღი და აქტიური ქალია. ჭორვილაში ჩასული ივანიშვილების უბანს ვინც გაივლის, დაინახავს, როგორ ფუსფუსებს 90 წელს გადაცილებული ქალბატონი ციცინო ეზოსა და სახლში. ამ ზაფხულს ვნახე, ბევრი ვისაუბრეთ – ყველაფერი გავარკვიეთ, ვინ სადაა და რატომ. ჩვენი საუბარი ძალიან შინაურული იყო, ისეთი, მხოლოდ სოფელს რომ სჩვევია. მახსოვს ერთხელ, გიორგი იყო ჩამოსული ჭორვილაში. გიორგიმ ჩვენი საუბარი რომ მოისმინა ღრმა იმერულ კილოზე, ნახევრად ხუმრობით თქვა: რა ენაზე ლაპარაკობთო? *(იცინის).*

**– თქვენი ძმა ნაციონალური მოძრაობის ლიდერი იყო, თქვენ სხვა ბანაკში აღმოჩნდით. ეს დისკომფორტს არ გიქმნით? როგორი ურთიერთობა გაქვთ დღეს ძმებს?**

– მე არ მიმაჩნია, კლიშე, რომ ვიღაც ვიღაცის ძმაა, განსაკუთრებულად უნდა იყოს აღქმული. ჩვენ არ გვაქვს ჩვეულებრივი, ტრადიციული ქართული ძმობა. ჩვენ გვაქვს ნორმალური, ევროპული ძმობა – მე არ ვერევი მის საქმეებში, ის არ ერევა ჩემს საქმეში. ჩვენ ვხვდებით ერთმანეთს, როცა მივდივარ დედასთან, პერიოდულად ვიკვეთებით ჭორვილაში – მაინც ცალკ-ცალკე გვირჩევნია დასვენება, ერთმანეთს თავისუფალ სივრცეს ვაძლევთ. არის პერიოდები, როცა დიდხანს ვერ ვხვდებით ერთმანეთს, მაგრამ ტელეფონით მოვიკითხავთ ხოლმე ერთმანეთს. ვინც ჩვენ გვიცნობს, იცის, რომ ჩვენ ყოველთვის დამოუკიდებელი ადამიანები ვიყავით. რა თქმა უნდა, ჩვენი მოსაზრებები ერთმანეთთან საინტერესო იყო და ნორმალური ურთიერთობა გვქონდა, გვაქვს და ალბათ, გვექნება. მაგრამ, არის თემები, რომლებზეც ჩვენ არ ვსაუბრობთ. ჩვენ ორივემ ვიცით, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ გუნდში ვართ და არის თემები, რაზეც არ უნდა ვისაუბროთ. სხვათა შორის, მიშას ძალიან ხშირად უწევდა ჩემ გამო ახნა-განმარტების რეჟიმში ყოფნა.

**– თქვენ არ ყოფილხართ ასეთ რეჟიმში?**

– მე – არა მიშასგან განსხვავებით. მე მაქვს კონკრეტული მიდგომა, რომ მე ჩემი საქმე მაქვს, მას – თავისი. ჩვენ ორივემ გავაკეთეთ ჩვენ-ჩვენი არჩევანი. მე არასდროს ვყოფილვარ ნაციონალური მოძრაობის წევრი, რომ არა გიორგი, ალბათ, არც ახლა ვიქნებოდი აქტიურად ჩართული პოლიტიკურ გუნდში. მქონდა შემოთავაზება ბატონი ბიძინასგან 2011 წელს. მე მას ავუხსენი, რომ ჩემზე გაცილებით კვალიფიციური ადამიანები შეიძლება ყოფილიყვნენ პარტიაში. ეს, ჯერ ერთი, არ იყო ჩემი სტიქია, მეორეც, მაშინ, როცა ჩემი ძმა იყო ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი, მე ვერ ვიქნებოდი „ქართული ოცნების" წამყვან პარტიულ პოზიციაზე. ეს არ იქნენოდა სწორი, თუმცა მე არ ვმალავდი ჩემს დამოკიდებულებას სააკაშვილის გუნდის მიმართ.

**– თუმცა, იყავით დაახლოვებული ამ გუნდთან და იყავით იმ ხელისუფლების დიპლომატიური გუნდის წარმომადგენელი იაპონიაში.**

– მე ყოველთვის ვიყავი დაახლოებული მათთან, ვინც იყო ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრი. პოლიტიკური კარიერა დავიწყე ზურაბ ჟვანიას თანაშემწედ, რომელსაც ყოველთვის უნდოდა, რომ მე და გიორგი ვყოფილიყავით

**(გაგრძელება მე-16 გვერდზე)**

# ყველაზე დაუცველებისთვის

სს „ბიოქიმფარმი“ - აწარმოებს ბაქტერიოფაგის პრეპარატებს, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან ორსული ქალები და ბავშვები საშიში ინფექციებისაგან.




## ბუნებრივი ალტერნატივა

ბავშვის დაბადების მოლოდინი და მისი დაბადება, ოჯახში - ნამდვილი ბედნიერებაა. ბავშვის მუცლად ტარების და მისი დაბადების შემდეგაც, ახლობლებს უჩნდებათ მისი ჯანმრთელობის დაცვის ბუნებრივი სურვილი ნებისმიერი დაავადებისგან, მათ შორის ინფექციური დაავადებებისგან. მეცნიერულად დადასტურებულია 2500-ზე მეტი განსხვავებული ინფექციის არსებობა. ასეთი ინფექციების მიმართ ყველაზე მეტად დაუცველები არიან: ორსული ქალები, ახალშობილი და ჩვილი ბავშვები, რომელთაც დასუსტებული ან საერთოდ ჩამოუყალიბებელი აქვთ იმუნიტეტი, რაც განაიარაღებთ მათ დაავადებების გამომწვევი მიკრობების წინააღმდეგ. ექიმები ცდილობენ ასეთ პაციენტებს არ დაუნიშნონ ისეთი ანტიბაქტერიული პრეპარატები, რომლებიც მათ იმუნიტეტს ასუსტებს. ორსულის ორგანიზმში მოხვედრისას ასეთმა პრეპარატებმა, შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს ნაყოფის განვითარებაზე. შესაბამისად ბავშვებში აღნიშნული პრეპარატები მხოლოდ უკიდურეს, განსაკუთრებულ შემთხვევებში ინიშნება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: მსგავსი ანტიბაქტერიული, ძლიერ მოქმედი პრეპარატების გვერდითი მოქმედებით გამოწვეული შესაძლო არასასურველი გართულებების შესახებ.

## ნუთუ ყველაზე უმწეოები დაცვის გარეშე რჩებიან?

არა! რადგან არსებობს ბუნებრივი ალტერნატივა - ბაქტერიოფაგი. და საქართველო აღიარებული ლიდერია მსოფლიოში, ამ პრეპარატების (ბაქტერიოფაგი) შემუშავება–წარმოებისა და მიწოდების სფეროში. საქართველოში მათ აწარმოებს ბიოფარმაცევტული კომპანია სს „ბიოქიმფარმი“, რომელიც არის ბაქტერიოფაგის პრეპარატების ლიდერი მწარმოებელი, სადაც აღნიშნული პრეპარატები მზადდება ქარხნული წესით, რაც პრეპარატების მაღალი ხარისხის, ეფექტურობისა და უსაფრთხოების გარანტია.

## როგორ მუშაობს ბაქტერიის შთანმთქმელი?

ბაქტერიოფაგი (ფაგი) - ბერძნულიდან ითარგმნება როგორც - „ბაქტერიის შთანმთქმელი“. ბაქტერიოფაგი ბაქტერიების ბუნებრივი მტერია. ბაქტერიოფაგები პოულობენ დაავადების გამომწვევ ბაქტერიებს, ანადგურებენ მათ და ტოვებენ ორგანიზმს. ამასთან ბაქტერიოფაგი სრულიად უსაფრთხოა სხვა არამიკრობული უჯრედებისთვის და ზოგადად ადამიანის ორგანიზმისათვის. ბაქტერიოფაგის პრეპარატების გამოყენებას თან არ ახლავს უკუჩვენებები. ექიმები ამ პრეპარატების გამოყენების მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად: არ აღნიშნავენ რაიმე სახის გართულებებს ან გვერდით მოვლენებს, რაც განაპირობებს ბაქტერიოფაგების პრეპარატების ფართოდ გამოყენებას სამედიცინო პრაქტიკაში. კომპანია „ბიოქიმფარმი“ უშვებს ბაქტერიოფაგის პოლიკომპონენტურ პრეპარატ ფაგიო -ს. პრეპარატი, რომელიც შედგება ერთდროულად რამდენიმე ფართოდ გავრცელებული ინფექციების გამომწვევი ბაქტერიების საწინააღმდეგო მაღალაქტიური, მაღალეფექტური ბაქტერიოფაგებისაგან, ბაქტერიოფაგის პრეპარატებთან ერთად დასაშვებია სხვა პრეპარატებით, მათ შორის ანტიბიოტიკებით მკურნალობა ექიმის დანიშნულებით.

### ფაგიო – გამოიყენება ყველაზე ფართოდ გავრცელებულ დაავადებებთან საბრძოლველად:

- მწვავე ნაწლავური ინფექციები ბავშვებსა და მოზრდილებში;
- ყელის დაავადებები, სასუნთქი გზების, ცხვირის ღრუსა და შუა ყურის ანთება ბავშვებსა და მოზრდილებში;
- ანგინა, ბრონქიტი, ლარინგიტი;
- დისბაქტერიოზი ბავშვებსა და მოზრდილებში;

ბაქტერიოფაგი ანადგურებს მხოლოდ ინფექციის გამომწვევ ბაქტერიებს და არ აზიანებს ადამიანის ორგანიზმში არსებულ სასარგებლო (მეგობარ) ფლორას, განსხვავებით რიგი ანტიბაქტერიული პრეპარატებისაგან. სწორედ ამიტომ ფაგის პრეპარატებს იყენებენ არა მარტო მკურნალობისათვის, არამედ სხვა და სხვა დაავადების პროფილაქტიკისთვისაც.

**ფაგიო** (პიობაქტერიოფაგი თხიერი 20 მლ #4) გამოდის სითხის სახით **20 მლ-იან ფლაკონებში, კოლოფში 4 ფლაკონი**. მისი თავისუფლად შეძენა შესაძლებელია აფთიაქებში, გაიცემა ურეცეპტოდ. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ პრეპარატის მიღება შეიძლება როგორც შიგნით მისაღებად(დასალევად, გამოსავლებად, ჩასაწვეთებლად), ასევე ადგილობრივად და ზედაპირის დასამუშავებლად, რაც დამოკიდებულია ანთების ლოკალიზაციაზე.

• ანგინისა და პირის ღრუს დაავედებების დროს ფაგიო გამოიყენება შიგნით მისაღებად (დასალევად) და გამოსავლებად

• ნაწლავების გაღიზიანებისას და დისბაქტერიოზის დროს პრეპარატი მიიღება დასალევად (2-3 ჯერ დღეში, 1 საათით ადრე ჭამამდე).

• ფლაკონიდან შიგთავსის ამოღება რეკომენდებულია სტერილური შპრიცით (20 მლ-ზე ნაკლები მოცულობის გამოყენების შემთხვევაში).

სს "ბიოქიმფარმი" ლ. გოთუას № 3, თბილისი 0160, საქართველო

www.biochimpharm.ge

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ ხდება სამოქალაქო ურთიერთობებში უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელება?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს მესამე პირებთან. უპირატესი შესყიდვის უფლება ხორციელდება ვალდებული პირისათვის შეტყობინებით. შეტყობინების მეშვეობით, უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომლებიც ვალდებულმა პირმა მესამე პირს შესთავაზა. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს ამ უფლების განხორციელება შეუძლია მხოლოდ ვალდებული პირის მიერ დადგენილ ვადაში.

**კითხვა: გარდაიცვალა ადამიანი და ვარ მემკვიდრე. მამკვიდრებელს ჰქონდა უპირატესი შესყიდვის უფლება კონკრეტული უძრავი ნივთის მიმართ. გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება, ვისარგებლო მამკვიდრებლის უპირატესი შესყიდვის უფლებით ამ უძრავი ნივთის მიმართ?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ მამკვიდრებლის უპირატესი შესყიდვის უფლებით ვერ ისარგებლებთ, რადგან, უპირატესი შესყიდვის უფლება არც სხვა პირს გადაეცემა და არც მემკვიდრეობით გადადის.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რას ეწოდება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ფრენშაიზი?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ ფრენშაიზი, იგივე ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები ორმხრივად კისრულობენ, საჭიროების მიხედვით, სპეციფიკურ ვალდებულებათა შესრულების გზით, ხელი შეუწყონ საქონლის წარმოებას, გასაღებასა და მომსახურებათა განხორციელებას.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, როგორ გადაწყდება სამოქალაქო დავა, როდესაც არის ხუთი მოწილე და მოწილეთა შორის წილის ოდენობა კონკრეტულად განსაზღვრული არაა, ამასთან, ერთ-ერთი აცხადებს პრეტენზიას მთლიანი წილის ნახევარზე, შეტანილი ქონების შესაბამისად?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ, ზოგადად, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის დადგენილი, თითოეულ მოწილეს ეკუთვნის თანაბარი წილი.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ხდება ზოგადად საზიარო ნივთის განკარგვა და რა უფლებებით სარგებლობენ მოწილეები საზიარო ნივთზე?**

**პასუხი**: გაცნობებთ, რომ თითოეულ მოწილეს შეუძლია განკარგოს თავისი წილი, ხოლო საზიარო საგნის განკარგვა ხდება მხოლოდ ერთობლივად. შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს, რომ, წილის გაყიდვის შემთხვევაში, დანარჩენ მოწილეებს აქვთ უპირატესი შესყიდვის უფლება.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, აქვს თუ არა გაღებული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მომავალში იმ პირს, რომელმაც შეგნებულად გაუსტუმრა სხვა ადამიანს ვალი?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით ისტუმრებს სხვის ვალებს, შეუძლია, ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში რა ასაკამდე ეწოდება პირს ბავშვი?**

**პასუხი**: განგიმარტავთ, რომ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში ბავშვი არის 16 წლამდე ასაკის პირი.

---

## რატომ გადაიღეს ვანო მაჭავარიანი პრეზიდენტთან ერთად მიუზიკლში და რა აკავშირებდა მის ოჯახს ბიძინა ივანიშვილის მამასთან

**(მე-14 გვერდიდან)**

პოლიტიკურ სივრცეში. ისინი ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. ზურაბ ჟვანიასგან რამდენჯერმე მქონდა შემოთავაზება, რომ გავმხდარიყავი მინისტრი, პარლამენტის წევრი. ეწყინა კიდეც, როცა ვუთხარი, რომ არ ვიყავი მზად პოლიტიკისთვის. ბევრი მცდელობის მიუხედავად, რომლის უკან მისი კეთილგანწყობა იყო, მან მე და გიორგი ვერ გვაცდუნა პოლიტიკისკენ ***(იცინის).*** დიპლომატიური სამსახური, სადაც მე ორი წელი გავატარე, ჩემი აზრით, უნდა ყოფილიყო არაპოლიტიზირებული. თუმცა, როცა მივხვდი, რომ სხვანაირად იყო საქმე, დავტოვე ჩემი სამსახური. ეს სიტუაცია ხშირად მიშასთვისაც იყო პრობლემური, მივხვდი, რომ იქ არ იყო ჩემი ადგილი და წამოვედი.

**– მას ხშირად წამოაძახებდნენ ხოლმე თქვენს კომერციულ ინტერესებს.**

– მე არასდროს ვფლობდი იმ ბიზნესს, რასაც ხშირად ახსენებდნენ. მე ვიყავი ავსტრალიური კომპანიის დაქირავებული თანამშრომელი, ვმუშაობდი ხელფასზე და არანაირი წილი არ მქონდა. ამ კომპანიამ შექმნა დიდი, მომგებიანი საწარმო, რომელიც სახელმწიფოს დღესაც დიდ დივიდენდებს აძლევს. ცალკე საუბრის თემაა, თუ რატომ გაყიდეს საწარმო და რატომ აღმოჩნდა იმ ადამიანების ხელში, რომელიც უშუალო კავშირში იყო სამთავრობო გუნდთან.

**– დღეს როგორ ფორმატში გრძელდება თქვენი და პრეზიდენტის მეგობრული ურთიერთობები?**

– მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ გიორგი გაცილებით მეტს იმსახურებდა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე მას ჰქონდა. ამიტომ, მისი ეს წარმატება ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო. ვფიქრობ, მას კარგი და დიდი რესურსი აქვს, იყოს ახალი, თანამედროვე ტიპის პრეზიდენტი, რომელიც ჩვენში არსებულ პრეზიდენტის ავტორიტარულ, „მამა-მარჩენალის" კლიშეს მოგვაცილებს. ჩვენ ყოველთვის ვდგავართ ერთმანეთის გვერდით. ასე რომ, არც დავფიქრებულვარ და არც განსაკუთრებული თანამდებობის ხიბლი მქონია, ისე აღმოვჩნდი ახლაც მის გვერდით. ძალიან დიდი ხანი, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვმუშაობდი მასთან, იმ გუნდთან ერთად, რომელმაც გაიარა რთული წინასაარჩევნო პერიოდი. რაც შეეხება ჩვენს პრივატულ ურთიერთობას, ეს ფორმატი არ იცვლება. ჩვენ კვლავ დავდივართ ერთმანეთის ოჯახებში დუშეთიდან დაწყებული თბილისით დამთავრებული. გიორგის ძალიან უყვარს დუშეთი. ის სახლი თავისი ხელით ააშენა. შავი კარკასი იყიდა, მერე ყველაფერი თვითონ გააკეთა – გალესა, იატაკი დააგო. გვეგონა, რომ არ ეხერხებოდა, მაგრამ ჩხირკედელა გამოდგა. მეგობრებიც ვეხმარებოდით: მშენებლობაზეც ვმუშაობდით, ზოგმა ფანჯარა ვაჩუქეთ, ზოგმა სკამი, ზოგმა ბუხრის მასალა. ახლა ყველას ძალიან გვიყვარს იქ ყოფნა: საუბრები, ქეიფი, სეირნობა. გიორგისთვის მატერიალურ კეთილდღეობას აქვს თავისი ლიმიტი – არ უყვარს ზედმეტი ნივთები. დუშეთში აქვს თავისი, საკუთარი სამყარო. გიორგიმ ეზოში ბოსტანიც გააკეთა, მაკას ულამაზესი ვარდების ბაღი აქვს. მათი სახლის უკან კურკოს ტყეა, სადაც გასეირნებას არაფერი ჯობია.

**– თქვენ იმ სახლში ალბათ, „საშვი" არ გჭირდებათ?**

– გიორგის აქვს პრივატულობის თავისი ზომა. ამიტომაც, არასდროს ავდივარ იქ ისე, რომ არ დავურეკო. სხვის პირად სივრცეში შეჭრა, მისი ნებართვის გარეშე, არ შეიძლება. ჩვენი მეგობრობა გრძელდება ჩემს სახლშიც. გიორგის ძალიან მოწონს ჩემი გაკეთებული ფრანგული და იტალიური კერძები. გიორგი მეგობრობს ჩემს მეუღლესთან, რომელიც მისი წყალობით გავიცანი პრაღაში 1993 წელს. მახსოვს, როდესაც პირველად ლესლი დავინახე კაფეში, გიორგის ვთხოვე: გეხვეწები, მომეშველე და შენ მიდი ახლოს-მეთქი. გიორგი მივიდა და უთხრა: ჩემს მეგობარს მოეწონეთო და ისე აუწერა ჩემი თავი, ლესლიმ უარი ველარ თქვა გაცნობაზე. მერე ვეხუმრებოდი გიორგის: მითხარი, ისეთი რა უთხარი ლესლის, მეც ვიცოდე, რამე არ შემეშალოს-მეთქი. ასე რომ, ჩემი და ლესლის ოჯახური ისტორია დაიწყო გიორგის ხელშეწყობით. მათ ორივეს აქვთ საერთო გატაცება – ცხენები, რისი საშუალებაც, სამწუხაროდ, გიორგის უფრო ნაკლებად აქვს, ახლა, ალბათ, მით უფრო ვერ მოიცლის. წინ ბევრი დიდი საქმე გველის. ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, საქმეზე ვიქნებით ორიენტირებული, მაგრამ აუცილებლად გავუფრთხილდებით პიროვნულ და მეგობრულ ურთიერთობას, რომელსაც 40 წლის წინ ჩაეყარა საფუძველი და რომელმაც ჯერ არც ერთი არ დაგვღალა ***(იცინის).***

**თამუნა სამადაშვილი**

# ინტიმური საუბრები

## ბოროტი ადამიანის გამო კინაღამ სამეგობრო დაგვეშალა

სკოლის ასაკიდან ვმეგობრობდით სამი გოგო. წლების განმავლობაში ჩვენ შორის ერთხელაც არ მომხდარა სულ პატარა უსიამოვნებაც კი. თან, სამივე მეზობლად ვცხოვრობდით და შესაბამისად, სულ ერთად ვიყავით. ერთმანეთს ყველაფერში ვენდობოდით და არანაირი საიდუმლო დამალული არ გვქონდა. ჩვენი მეგობრობა სკოლის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა და არც მაშინ შეწყვეტილა და შესუსტებულა, როცა სამივე გავთხოვდით და სხვადასხვა უბანში გადავედით საცხოვრებლად. კვირაში ერთხელ მაინც ვახერხებდით რომელიმესთან შეკრებას, დარეკვებზე აღარაფერს ვამბობ. საბედნიეროდ, სამივეს ისეთი ქმრები შეგვხვდა, რომ, არა მარტო ჩვენს მეგობრობას არ შეუშალეს ხელი, არამედ, თვითონაც დამეგობრდნენ, რაც ჩვენ ძალიან გვიხაროდა და გვეამაყებოდა. მაგრამ, თურმე, უსასრულოდ არაფერი გრძელდება და ყველაფერი ოდესღაც მთავრდება. საქმე ისაა, რომ ჩემს ერთ-ერთ დაქალს, მაკას, სახლში ჰყავდა გაუთხოვარი მული, რომელიც ჩვენი ტოლი იყო და, ძალაუნებურად, „შემოიჭრა“ ჩვენს „სასტავში“, რადგან, როცა მაკასთან ვიკრიბებოდით, ისიც სახლში იყო და ერთი წუთითაც არ გვშორდებოდა. მერე კი, ცოტა რომ შეგვეჩვია, ჩვენთანაც მოდიოდა მაკასთან ერთად და არც კი ეკითხებოდა, უნდოდა მაკას მისი ყველგან თან ტარება თუ არა. თვითონ ახლო მეგობარი, პრაქტიკულად, არ ჰყავდა და, ამიტომ, ჩვენ მოგვეტმასნა. ამ ამბით მაინცდამაინც გახარებულები არ ვიყავით, მაგრამ, მაკას არ ვაგდებდით უხერხულ მდგომარეობაში, თანაც, რაღაცნაირად, გვეცოდებოდა მარინა, ასე უმეგობრო და მარტოსული რომ იყო და ვცდილობდით, „ჩვენიანად“ გვექცია. ნელ-ნელა ისიც აგვყვა და ბოლოს ისე გაგვითამამდა და გაგვიშინაურდა, რომ, სტუმრად მოსული, მასპინძელივით იქცეოდა, საქმეებს „გვირჩევდა“ და გვტუქსავდა კიდეც. ჩვენ ვერაფერს ვეუბნებოდით, მაგრამ, უკვე აშკარად ვგრძნობდით, რომ „მურმანის ეკალი“ გახდა ჩვენს ურთიერთობაში, არადა, ვერაფრით ვიშორებდით თავიდან. იმის შიშით, რომ მაკას რამე უსიამოვნება არ შეხვედროდა ოჯახში, ჩუმად ვიტანდით ამ „აგრესორს“, რომელიც უკვე აშკარად ჩვენს ნერვებზე თამაშობდა.

რაღაც პერიოდის შემდეგ, ანუ, როგორც ჩანს, როცა ჩათვალა, რომ თვითონაც ჩვენი დაქალი გახდა, მაკას გარეშე დაიწყო ჩვენთან მოსვლა, განსაკუთრებით ხშირად კი ჩემთან მოდიოდა. რომ მოვიდოდა, ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ, აღარ ვიცოდი, მასთან რაზე მელაპარაკა და საათობით ვისხედით ხოლმე თითქმის ჩუმად. რომ შებინდდებოდა, წამოხტებოდა – სახლში უნდა წავიდეო და დაიწყებდა წუწუნს, ღამით გარეთ გასვლა მეშინიაო. ამის გამო ჩემმა ქმარმა ერთი-ორჯერ გააცილა სახლში და მერე სულ იმას ჩალიჩობდა, ჩემგან გვიან წასულიყო, რომ ნიკას გაეცილებინა. რამდენიმე ხნის შემდეგ, ჩემთან ისევ მარტო მოვიდა და ვითომ სხვათა შორის მითხრა, ლანას (ჩემს მეორე დაქალს) შენი ქმარი მოსწონს და ისეთი თვალებით უყურებს ხოლმე, აშკარად მზად არის, ლოგინში ჩაუწვესო. მე ისე გამაოგნა მარინას სიტყვებმა, თავიდან გაბრაზებაც კი ვერ მოვახერხე. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, გონს რომ მოვედი, ვუთხარი, აღარ დაგინახო ჩემთან მოსული-მეთქი და სახლიდან გავაგდე. მიუხედავად იმისა, რომ ლანაში ეჭვი ერთი წამითაც არ შემპარვია, ასეთი სისულელის მოსმენის შემდეგ, რამდენიმე დღის განმავლობაში ველარ შევძელი მასთან დარეკვაც კი. თან, ძალიან მიკვირდა, რომ თვითონაც არც ერთხელ არ დაურეკავს და, დავინტერესდი, რა ხდებოდა. თავი რომ აღარ შეგაწყინოთ, გეტყვით, რომ მარინას ლანასთვისაც იგივე უთქვამს ჩემზე – შენს ქმარს უჟუჟუნებს თვალებსო. მაკაზე კი, საერთოდ, ისეთი რამ მოიგონა, რომ გავიგეთ, კინაღამ ჭკუიდან შევიშალეთ. თავის ძმას უთხრა, ლანამ და ირმამ (ანუ – მე) შენს ცოლს ნიკას ძმაკაცი გააცნეს და ხელს უწყობენ მათ საიდუმლო შეხვედრებს. ნიკამ ეს ამბავი გაიგო, მაგრამ, ხელს არ უშლის, რადგან, იცის, რომ მის ძმაკაცს შენი ცოლი უყვარსო.

ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა ამდენი სიბინძურის შემდეგ სამივე ოჯახში?! ჩვენ, დაქალებმა, ლამის სამუდამოდ დავკარგეთ ერთმანეთი. ჩვენს ქმრებს შორის კი კინაღამ სისხლი დაიღვარა. კიდევ კარგი, ბოლოს და ბოლოს, გაირკვა სიმართლე.

ამ ამბების შემდეგ მაკა და მისი ქმარი ცალკე გადავიდნენ საცხოვრებლად და არანაირი ურთიერთობა არა აქვთ არა მარტო მარინასთან, არამედ, მის დედ-მამასთანაც, რადგან, მაკას დედამთილ-მამამთილმა თავიანთი ქალიშვილის მხარე დაიჭირეს და ვაჟიშვილს უთხრეს: შენმა ცოლმა იმიტომ მოგაძულებინა და დაგაკარგვინა ერთადერთი და, რომ უზნეობაში ამხილა სამივე და სიმართლე საკუთარ თავზე არავის უყვარსო.

დიახ, ასეთი ამბებიც ხდება ხოლმე.

**ირმა, 31 წლის.**

## ჩემი ძმა უტვინო და არაკაცი გამოდგა

ჩემს ძმას სამი წელია, შეყვარებული ჰყავს და, როგორც იქნა, გადაწყვიტეს დაოჯახება: ქორწინების სახლშიც შეიტანეს განცხადება, ჯვრისწერის დღეც დანიშნეს და შესაბამისი მზადებაც დავიწყეთ ორივე ოჯახმა. ქორწილამდე და ჯვრისწერამდე ორი კვირაღა დარჩა და ჩემმა ძმამ საიდუმლოდ მითხრა, დარწმუნებული არ ვარ, ქეთი მართლა მიყვარს თუ არა და, მეშინია, ვაითუ ის ქალი არ გამოდგეს, რომელიც მე მჭირდებაო. კინაღამ მოვკალი, შავი დღე ვაყარე: ამდენი წელია, ოცდაოთხი საათი სულს უბერავთ ერთმანეთს და ახლა რა ეჭვები გაგიჩნდა, ან, იმ გოგოს როგორ უნდა უთხრა – სამი წელი გატყუებდი, სინამდვილეში კი არ მყვარებიხარ, ცოდო არ არის-მეთქი? ვაჟიკომ კი მიპასუხა, ჯობია, ახლა ეტკინოს გული, ვიდრე მერე, როცა ჩემი ცოლი გახდება და მიხვდება, რომ არ მიყვარსო. ძალიან ბევრი ველაპარაკე, ვუხსენი, ვარწმუნე, რომ მას ქეთი უყვარს. მაგრამ, როგორც კაცების (განსაკუთრებით – ქართველი კაცების) უმრავლესობას, მასაც აქვს, შესაძლოა, გაუცნობიერებელი კომპლექსი, შიში, თავისუფლების დაკარგვისა და პასუხისმგებლობის აღებისა. ამიტომაც ჰგონია, რომ საცოლე არ უყვარს. მაგრამ, შუშის თვალებით მიყურებდა, ამას რომ ვეუბნებოდი და პასუხად ის მითხრა, რომ ხვალ განცხადება უნდა გამოვიტანო და ჯვრისწერის დღეც გავაუქმო, ქეთის კი შენ უნდა დაელაპარაკოო. რა უნდა ვუთხრა საწყალ გოგოს, რომელიც ბედნიერებისგან ცაში დაფრინავს და უკვე საქორწილო კაბაც კი იყიდა?!

ძალიან შევეცდები, ეს უსიამოვნო მისია თავიდან ავიცილო, მაგრამ, თუ მაინც მე მომიწია ქეთისთან დალაპარაკება, სრული პასუხისმგებლობით ვეტყვი, რომ ღმერთს ჰყვარებია, ეს ყველაფერი ქორწილამდე რომ მოხდა, რადგან, უფალმა არ დაუშვა, ისეთ გაუწონასწორებელ, უტვინო და ცანცარა არაკაცს გაჰყოლოდა ცოლად, როგორიც ჩემი ძმაა.

**ელა, 30 წლის.**







**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**ასეთი სიყვარულის ისტორია ალბათ რჩეულთა ხვედრია, ასეთი ამბები დიდ ეკრანზე ნანახ, ძალიან კარგ მელოდრამას თუ შეიძლება, შეადარო, რომლის განცდაც დიდხანს მიგყვება. 90-იან წლებში თბილისში ერთი ლამაზი წყვილი იყო, რომლის შესახებაც ფართო საზოგადოებამ არ იცის. ყველაფერი ძალიან ლამაზად დაიწყო და უცნაურად დამთავრდა. ერთ გოგოს და ცნობილ ფეხბურთელს ერთმანეთი შეუყვარდათ, მამაკაცი ავტოავარიაში იღუპება, ქალი სამი თვის ფეხმძიმედ რჩება, ბედის ანაბარა, მერე ჩნდება ულამაზესი ბავშვი... 18 ნოემბერს დათო ყიფიანის დაბადების დღეა. მე ბევრს აღარ გავაგრძელებ. გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ნანა გორგაძესთან, ქალთან, რომელთანაც ბატონ დათოს წრფელი გრძნობა აკავშირებდა და მასთან სამუდამო თანაცხოვრებაზე ფიქრობდა**

# რატომ არ შედგა დავით ყიფიანისა და ნანა გორგაძის ქორწინება და რას ინახავს ფეხბურთელის საყვარელი ქალი სათუთად მისგან

**– უპირველესად, მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე. დათო ყიფიანი ძლიერი ფეხბურთელი, არაჩვეულებრივი ადამიანი, საკმაოდ ცნობილი და კარგი ოჯახიდან იყო. თბილისში, მგონი, ყველა ქალს უყვარდა. თქვენც ერთ-ერთი იმათაგანი ხართ, ვისაც ის შეუყვარდა. როგორ დაიწყო ყველაფერი?**

– ჩვენ სერიოზული ურთიერთობა გვქონდა და ვაპირებდით, ერთად გვეცხოვრა – მე ქმარს ვიყავი გაშორებული და დათოც თავისუფალი კაცი იყო. ერთადერთი იყო, ვისთანაც მინდოდა, მთელი ცხოვრება გამეტარებინა. გაცნობის დღიდან მოყოლებული მთხოვდა, ცოლად გამომყევიო, მაგრამ მაინც თავს ვიკავებდი, არ მინდოდა ავჩქარებულიყავი. თვითონ შევთავაზე: მოდი, ჯერ ასე ვიყოთ, გავიდეს დრო, იქნებ მე ის არ ვარ, ვინც შენ გგონია, იქნებ არც შენ ხარ ის, ვინც მე მგონია. მერე, თუ ორივე მივხვდებით, რომ ერთად უნდა ვიყოთ, ვიყოთ-მეთქი. კიდევ ერთხელ ცხოვრების დანგრევას, კიდევ ერთხელ იმედგაცრუებას ველარ გადავიტანდი...

ჩემი კარის მეზობელი იყო ეთერ კაკულია, დღეს კატოს ნათლიაა. არ მომასვენა, ხან სად წამიყვანა, ხან – სად. ერთ დღესაც ქუთაისში წავედით, სიმღერის პრეზენტაცია ჰქონდა. იმ დროს დათო „ქუთაისის ტორპედოს" მწვრთნელი იყო. რესტორანში ვსაუზმობდით, დაურეკეს, თბილისიდან შენი მეგობრები არიან ჩამოსულიო. ეს იყო აბსოლუტურად შემთხვევითი შეხვედრა, ჩემთვისაც უცხო ადამიანი იყო და მისთვის უცხო ქალი ვიყავი. დღეს მოწამეთა ხსენების დღეა და ყველას გპატიჟებთო. მერე მოწამეთაში დაგვხვდა. მეგონა, ჩემს წინ 17 წლის ბიჭი იყო, არაჩვეულებრივად იქცეოდა. საღამო ხანს ეთერს ქუთაისის მოედანზე კონცერტი ჰქონდა. დათომ ხელი მომკიდა და დამატარებდა აქეთ-იქით. ეკითხებოდნენ, თქვენი მეუღლეაო? ჯერ არა, მაგრამ მალე იქნებაო. დილის ექვს საათზე წამოვედით ქუთაისიდან. გაუკვირდა, მიდიხარ? დარჩიო. რას ჰქვია დავრჩე, ყველასთან რომ ასე დავრჩე, კარგად ყოფილა ჩემი საქმე-მეთქი. მანანა მეუბნება, ჯემალ სეფიაშვილის ცოლი, დათო ყიფიანიაო. მერე რა, რომ დათოა ყიფიანი-მეთქი. სამარშრუტო ტაქსით წამოვედით. მძღოლი იძახის – დათო ყოფიანი მოგვსდევსო. გააჩერა. ახლა, ყველა ჩაქვში მივდივართ ზვიად ცეცხლაძესთან და ნანა მომყავს ცოლადო. მეორე დღეს თბილისში იყო.

**– წარმომიდგენია, რა შოკი იქნებოდა თქვენთვის მისი გარდაცვალება?! თან, მე როგორც ვიცი, სამი თვის ფეხმძიმე იყავით იმ დროს.**

– სადაც ის არის, იმ მიწას მინდა, სულ ვეფერო. როდესაც დათო გარდაიცვალა, ალბათ, იმ დღეს ჩემზე უბედური ქვეყანაზე არ არსებობდა. ვცდილობდი, რაღაც ისეთი მომეგონა, ცუდი, რომ არ მეტირა და ეს ბავშვი მუცელში რომ მყავდა, გადამერჩინა. ველარ ვჩერდებოდი, სულ ვტიროდი, მაგრამ ვერაფერი ცუდი ვერ გავიხსენე. როცა გავიგე, ფეხმძიმედ ვიყავი, შეეძლო ეთქვა, იცი, რა ნანა, მე უკვე სამი შვილი მყავს, ორი შვილიშვილი და არ მინდაო, მაგრამ პირიქით მოხდა. ჯერ არ არსებობდა ბავშვი, რომ ამბობდა – ჩემს ოთხ შვილს ვფიცავო. კარგად მახსოვს ის დღე, როცა ეს ამბავი გავაგებინე. ნიკუშას ქორწილი ჰქონდა. გაოგნებული ვიყავი, ვტიროდი. დავურეკე, ჩქარა მოდი რაღაც მინდა გითხრა-მეთქი. გადაირია, რატომ ტირიო. ახლა ვერ მოვალ, ნიკუშას ქორწილი მაქვს და როგორც კი გავაცილებ აეროპორტში, მაშინვე წამოვალო. მოვიდა. რა გატირებსო, მკითხა. ვუთხარი, მგონი, ფეხმძიეღ ვარ-მეთქი. მერე მაგაზე ტირიო. იმ საღამოსვე მომიყვანა თავისი ბიძაშვილი, გინეკოლოგი ზურა ყიფიანი. თუ გოგო გაჩნდა, ჩათვალე, რომ ხელს არ დაგაკარებინებ. სამჯერვე გოგოზე ვოცნებობდი და მესამედაც რომ ბიჭი გაჩნდა, ხელი ჩავიქნიე და ახლა როგორ არ გიხარიაო. შვიდჯერ ვყავდი ექოზე, არ გამოჩნდა კატო. ზურა ეუბნებოდა, შანსი არაა, გოგო არ გეყოლებაო. იმიტომ რომ მაგათ გვარში გოგო არ იყო. ჯერ კატო გაჩნდა, მერე ნიკუშას შეეძინა ირინკა.



**მე ყოველ 14 წელიწადში ერთხელ ვიცვლი ცოლს და მესამედაც, რომ არ გამიმართლდეს, სამივეს იარაღით მოგკლავთო**

**– ასეთ მძიმე დროს ადამიანი იმაზე მეტად ფიქრობს, ვიდრე ოდესმე უფიქრია თავის ცხოვრებაზე. რა ხდებოდა თქვენს თავს? აცნობიერებდით, როგორ გაგრძელდებოდა თქვენი ცხოვრება – მარტოდ დარჩენილი ქალი ორი ბავშვით. პირველი ქორწინებიდანაც ხომ გყავთ ქალიშვილი?**

– ვფქირობდი, ეს კაცი დამესიზმრა თუ რეალურად იყო ჩემს ცხოვრებაში. თუკი იყო მაშინ სად გაქრა? თუ დამესიზმრა, ეს მუცელი როგორღა მეზრდება-მეთქი. ვერ ვარკვევდი რა მოხდა. არც ერთ ქალს არ ვუსურვებდი იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიც მე ვიყავი იმ დროს. ელოდებოდე ბავშვს, იყო გაურკვევლობაში, ხვალინდელი დღე არის ბურუსით მოცული... როგორ მომეკლა დათოს შვილი. აი, მაშინ მამა ელიზბარმა მითხრა: ახლა, როგორც არასდროს, ისე უნდა გაუფრთხილდე ამ ბავშვსო. როცა ფეხმძიმედ დავრჩი, მაშინვე მივედი მოძღვართან. იცოდა მე და დათო ერთად რომ ვიყავით, მამაომ მითხრა: ჯვარი უნდა დაიწეროთო. ყოფილ ქმართან მქონდა ჯერ ჯვარი ასაყრელი, მაგრამ მოხდა ასეთი რამ – რვა სექტემბერს ჩემი ყოფილი ქმარი გარდაიცვალა და სამი დღის შემდეგ დათო. მონასტერში მინდოდა წასვლა, მერე რა მინდოდა, მეც არ ვიცი. ბავშვზეც აღარ მიფიქრია, უბრალოდ, მივენდე უფალს – რაც იქნება, იქნება. ერთი თვის შემდეგ მივედი ექოზე. გოგო რომ გამოჩნდა, ისე ცუდად გავხდი, ეგრევე სასაფლაოზე წავედი და ვუთხარი: ჩემო დათო, უშენოდ დაიბადება შენი ნანატრი გოგო-მეთქი.

**– დათოს დედას, ძმას, შვილებს იცნობდით?**

– დედამისთან, ქალბატონ ციალასთან ამიყვანა და გამაცნო. თვალის ექიმი იყო. დედა, ნანას თვალები აწუხებსო – უთხრა. მართლა, შვილოო – გაუკვირდა ქალს. აბა, ასეთ ლამაზ ქალს ჩემისთანა კაცი რამ შეაყვარაო. მის ძმასაც ვიცნობდი, ბიჭებსაც. ბედნიერი ვარ, რომ კატო მარტო არ არის და ჰყავს ასეთი წარმატებული და ღირსეული ძმები. ნიკუშა მოკიდებს ხოლმე ხელს კატოს და ირინკას და ხან კინოში მიდიან, ხან სადმე სასეირნოდ.

**– ბევრი ვიცი, ისეთი, ვინც თავისი გარდაცვლილი ახლობლის არსებობას, თანადგომას სულ გრძნობს, სიზმარში, ცხადში სერიოზული მინიშნებები აქვთ. ალბათ, თქვენც გქონიათ მსგავსი შეგრძნებები.**

– ის, რომ დათო ჩემთან არის, ამის შეგრძნება სულ მაქვს. რომ გარდაიცვალა სახლიდან არ გამოვდიოდი. რასაკვირველია, არც თავს ვუვლიდი, სულ ვიწექი, არაფრის სურვილი არ მქონდა, ურთიერთობები, საუბარიც დამავიწყდა. ვიდექი და სურათს ველაპარაკებოდი. ხან ვეჩხუბებოდი: რომ მიმატოვა, ხან პატიებას ვთხოვდი. ერთხელ ხილვა მქონდა, იცით როგორი? აი, რომ გრძნობ, ვიღაც გიყურებს. ადექი ნანა, მე შენ ასეთი არ მიყვარდი, თავს მოუარე, ჩაიცვი, მოწესრიგდი... მერე, უცებ გაქრა. ჩემი გადარჩენაც სათუო იყო და კატოსიც. მერე, კატო რომ გაჩნდა, ჯგუფური შეუთავსებლობა ჰქონდა და გადასხმებს უკეთებდნენ. მე ხომ ცუდად ვიყავი, ვგრძნობდი, რომ მე აღარ დამტრიალებდა თავს, კატოს ედგა და დაჰყურებდა. ორი წლის წინ ვიყიდე მანქანა. სიზმარში ვნახე, რომ საჭე უკან არის და დათო ზის. დათო, ეს საჭე ვინ გადმოიტანა უკან-მეთქი. მე ვზივარ უკან და შენ გატარებო, მიპასუხა. ერთხელ, ავარიული სიტუაცია მქონდა. უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი მომიჭირა და დავამუხრუჭე. გავგიჟდი, აშკარად მან გადამარჩინა. ბოლოს მეუბნებოდა – რაღაც ისეთი მინდა გაჩუქო, სულ შენთან ვიყო და არასოდეს გავქრეო. იცით რა, სულ ვფიქრობ, ერთად რომ გვეცხოვრა, ის გრძნობა, რაც დღემდე მის მიმართ მაქვს, არაბუნებრივი, არამიწიერი, შეიძლება წლებს მოეკლა, გაეფერმკრთალებინა. ამიტომ, ეს გრძნობა ისევ ისეთი დარჩა, როგორიც თავიდან იყო. დათო ჩემი ბედისწერა იყო. ჩვენი ურთიერთობა ალბათ აღარ უნდა გაგრძელებულიყო, თავი უნდა მიმეძღვნა მისი სიყვარულისა და მისი შვილისთვის. მადლობა უფალს იმისთვის, რომ ის ორი წელი ღირსეული კაცის გვერდით ვიყავი.

**– კატო გარეგნულად ძალიან ჰგავს მამას, ისეთივე დინჯიც ჩანს. კიდევ რით ჰგავს?**

– ყველაფრით. ხელგაშლილობით, სიკეთით, სითბოთი, სიყვარულით... ჩემთვის ცარიელი იყო სამყარო და კატომ შეავსო, ჩემს დარჩენილ ცხოვრებას აზრი მისცა. ძალიან უხარია, რომ მამამისი ასე მიყვარდა. სულ აინტერესებს მამაზე ყველაფერი და მეკითხება. თეატრალური გოგოა. არაჩვეულებრივი წარმატებები აქვს სცენაზე, სასახლეში დრამატული თეატრის მსახიობია. სულ ამბობს, მამაჩემი უნდა ვასახელოო.

**– კატო თქვენ დაარქვით?**

– გოგო თუ იქნება, ციალა დავარქვათ-მეთქი, ვეუბნებოდი და იცინოდა. რომ გარდაიცვალა, მინდოდა, მისგან რამე მინიშნება მქონოდა,

**(გაგრძელება 46-ე გვერდზე)**

**შოთა რუსთაველის აკადემიური თეატრის მსახიობი, დათო დარჩია, მას შემდეგ, რაც სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში” გამოჩნდა, მაშინვე ყურადღების ცენტრში მოექცა. მისი პერსონაჟი – მირიან ბარათეონი, უყურადღებოდ არავის დარჩენია და იმასაც ამბობენ, ლევან ვასაძის პროტოტიპიაო. რას ფიქრობს ამ საკითხთან დაკავშირებით თავად ჩვენი რესპონდენტი და რით ჰგვანან ისინი ერთმანეთს, ამას და სხვა დანარჩენსაც, ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რა საერთო აქვს მირიან ბარათეონს ლევან ვასაძესთან და ქმნის თუ არა მათ საერთო სახეს დათო დარჩია სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში”

**– რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე 1993 წლიდან მოყოლებული დღემდე, მაყურებელს უამრავ სპექტაკლში ჰყავხარ ნანახი. არაერთ სპექტაკლს მოუტანია შენთვის პოპულარობა, თუმცა მას შემდეგ, რაც სერიალ „ჩემი ცოლის დაქალებში” გამოჩნდი, პოპულარობამ ერთი-ორად იმატა. გამოჩნდი თუ არა სერიალში, ყველანაირი რეკორდი მოხსენი ამ მხრივ.**

– საინტერესოა, ეს რეკორდი დათო დარჩიამ მოხსნა თუ მირიან ბარათეონმა?!

**– რადიკალურად განსხვავებული ადამიანი რომ ხარ შენი პერსონაჟისგან, ყველა დამეთანხმება, ვინც გიცნობს, მაგრამ იმაზეც შევთანხმდეთ, რომ მირიანმა თავისი საქმე გააკეთა.**

– ჩემი აზრით, მირიანმა უპირველესად, მაინც ის გააკეთა, რომ ორი ადამიანისგან შემდგარ ოჯახს პრობლემები შეუქმნა და მგონი, ხალხი ველარ მიტანს. ვინ არის ეს მირიან ბარათეონი, რატომ ანგრევს ამ ოჯახს, რა უნდაო, ამბობენ. თუმცა, „ბაბულიკას“ და კატოს ურთიერთობაში ბზარი მთლად მირიანს არ გაუჩენია. ყოველ შემთხვევაში, მინდა, მაყურებელს ვუთხრა, რომ ნუ ნერვიულობთ, მეც თქვენ გვერდით ვარ. ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ სერიალია. ის მირიანია ბარათეონი, მე კი დათო ვარ დარჩია.

**ლევანს პირადად არ ვიცნობ, არ ვიცი როგორი ადამიანია, მაგრამ როგორც გავიგე, მირიანთან ის მსგავსება აქვს, რომ მასაც ბევრი შვილი ჰყავს, აქვს ბევრი ფული და ბევრ კეთილ საქმეს აკეთებს**

**– როგორია შენს თვალში მირიან ბარათეონი – ეს საკმაოდ მიმზიდველი გარეგნობის, მაგრამ ისეთი თვისებების მამაკაცი, როგორც წესით, თანამედროვე ადამიანი არ უნდა იყოს.**

– თანამედროვე მამაკაცს რომ არ ახასიათებს მგონი, თამაშობს. მიაჩნია, რომ მამაკაცი მჭევრმეტყველი და რაინდი უნდა იყოს და არა – მოძველბიჭო. თუმცა, ასეთებიც მრავლად არიან სერიალში, მაგალითად, ბაბულიკები. მირიანს ბრძნული აზრები და საკუთარი გამონათქვამები აქვს, რომელსაც მერე წიგნად გამოსცემს. ცოტა გიჟია, თუმცა მასზე ცუდს არაფერს ვამბობ, რადგან ბევრ კარგ საქმეს აკეთებს. ცოტა ამბიციური და მკვეხარა ტიპია, რომელსაც თავისი ფრაზები ყველაზე მაგარი ჰგონია.

**– რაც მირიანი გამოჩნდა სერიალში, მას შემდეგ მთელი თბილისი იმას ამბობს, ეს პერსონაჟი ლევან ვასაძის პროტოტიპიაო. თავად თუ ეთანხმები ამ მოსაზრებას და საერთოდ, თუ გსმენია ამის შესახებ?**

– როგორ არ მსმენია. მართალია, სოციალური ქსელით არ ვსარგებლობ და არც პირადი გვერდი გამაჩნია, მაგრამ, ვისაც აქვს, ყველა მეუბნება, ამის შესახებ ხშირად არის იქ საუბარიო. ბატონ ლევანს პირადად არ ვიცნობ, არ ვიცი როგორი ადამიანია. მაგრამ, როგორც გავიგე, მას მირიანთან ის მსგავსება აქვს, რომ მასაც ბევრი შვილი ჰყავს, აქვს ბევრი ფული და ბევრ კეთილ საქმეს აკეთებს. ამით თუ ჰგვანან ერთმანეთს, მივესალმები. ისე, არც ის ვიცი, ლევანი რას საქმიანობს და არც ის – მირიანი კონკრეტულად რას საქმიანობს. თან, მგონი, არც ფიზიკურად ვგავართ ერთმანეთს. ასე რომ, რაღაც ცდომილებები ნამდვილად არის. პირადად მე, არავის პროტოტიპს არ ვთამაშობ. ვცდილობ, მოგონილი მირიან ბარათეონი განვასახიერო დავით დარჩიას პატარ-პატარა ელემენტებით.

**– მიუხედავად ამისა, ეთანხმები თუ არა ხალხის აზრს?**

– 50/50-ზე.

**– იმედი მაქვს, ლევან ვასაძემდეც მივიდოდა ეს ამბავი და ადრე თუ გვიან ერთმანეთს გაიცნობთ.**

– ალბათ, ერთმანეთს გავიცნობთ, არაფერია გამორიცხული. მართალია, მას არ ვიცნობ, მაგრამ რამდენჯერმე მინახავს ტელევიზიით. შემეძლო, მომესმინა მისთვის და რაღაც დეტალებზე „ჩამევლო,” მაგალითად, როგორ საუბრობს და ასე შემდეგ. მაგრამ, ამას არ ვცდილობ, რადგან მინდა, მირიან ბარათეონს უფრო დათო დარჩიას რაღაცეები მივცე, ვიდრე ლევან ვასაძის.

**– სანამ ამ სერიალში გამოჩნდებოდი, მანამდე თუ იყავი „ჩემი ცოლის დაქალების” მაყურებელი?**

– რა თქმა უნდა, ვიყავი. ამ სერიალის თითქმის ყველა სეზონში ჩემი მეგობრები თამაშობდნენ. ასე რომ, მეც ყოველთვის ვუყურებდი.

**– ქუჩაში უყურადღებოდ ნამდვილად არ დარჩები მაყურებელს. მირიანსაც ხომ არ გეძახიან?**

– მირიანს ძირითადად მაინც მეგობრები მეძახიან. რომ დამინახავენ, მელადავებიან: ოხ, ბარათეონი მოვიდაო. მერე უკვე შეიძლება, გაიზარდოს ეს თემა და უცნობებმაც დამიძახონ, ისევე როგორც წლების წინ ჯიოს მეძახდნენ სპექტაკლიდან გამომდინარე – „მერე რა რომ სველია სველი იასამანი.”



მინდა, მირიან ბარათეონს უფრო დათო დარჩიას რაღაცეები მივცე, ვიდრე ლევან ვასაძის

**– ოჯახის წევრებმა როგორ მიიღეს ამ სერიალში შენი გამოჩენა?**

– ძალიან კარგად, განსაკუთრებით შვილებმა. ელენიკო ძალიან ბედნიერია, როცა მეგობრები ეუბნებიან, მამაშენი ვნახეთო. ძალიან მოსწონს ამის გამო ყურადღების ცენტრში ყოფნა. მეუღლეს რაც შეეხება, ვიკას აზრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან „ლაითი” ადამიანი არ არის და პირში მეუბნება ყველაფერს. ჩემი გმირი ვიკასაც მოეწონა და დადებითად შეაფასა.

**– დათო, რაც შეეხება თეატრს, რა ხდება რუსთაველის თეატრში?**

– სეზონი გაიხსნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით დიდი სცენა ვერ დავტვირთეთ. იმის გამო, რომ რამდენიმე ფესტივალი გადაება ერთმანეთს და ბევრი სტუმარია ჩამოსული უცხოეთიდან, მათ დაეთმოთ ეს სცენა. ნოემბერში უკვე ჩვეულ რეჟიმში დავიწყებთ მუშაობას. სხვა მხრივ, ექსპერიმენტულიც და მცირე სცენაც, დატვირთულია. თან, მაესტროს ველოდებით, პრემიერა აქვს რუსეთში, რომლის შემდეგაც დაგვიბრუნდება და განვაგრძობთ მუშაობას.

**მარიკა ხიდურელი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



# როდის ექცევა კაცი ქალს ისე, როგორც მოძველებულ ნივთს

**ამბობენ, რომ ქალს ვერავინ მოატყუებს, თუკი მან თვითონ არ მოიტყუა თავი სრულიად შეგნებულად და სიყვარულის სახელით. თუმცა, არსებობენ მამაკაცები, რომლებსაც ნამდვილად შესწევთ უნარი, ქალს თავბრუ დაახვიონ, დაუხატონ ისეთი მომავალი, რომელზეც სუსტი სქესის უმრავლესობა ოცნებობს. სიყვარულიც „მუშაობს“, – აკეთებს იმას, რომ ყველაფერი ბრჭყვიალა ფერებში დავინახოთ. რთულია, ადამიანს, რომელიც გიყვარს და ენდობი, გამადიდებელი შუშით უყურო; ეჭვი შეიტანო მის ქმედებებში, სიტყვებში გრძნობაში... მერე კი საშინელი იმედგაცრუება შობს ნიჰილიზმსა და გულგატეხილობას. ზოგჯერ აგრესიასაც და, კიდევ, ისეთ დეპრესიას, რომლიდანაც გამოსვლა ძალიან რთულია.**

**ლილიკო** *(27 წლის):* ჩემი ცხოვრება თავდაყირა დადგა, რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი. ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს, რადგან, იმის გაკეთება მომიხდა, რაც საერთოდ ეწინააღმდეგება ჩემს პრინციპებს, ჩემი ცხოვრების სტილსა და წარმოდგენას ადამიანობაზე. ისე ძალიან მრცხვენია... ვნერვიულობ და, რაც ყველაზე ცუდია, ნდობა დავკარგე.

**– ნდობა რის მიმართ დაკარგეთ?**

– სამწუხაროდ, ყველაფრის: კაცის, სიყვარულის, ერთგულების ნდობა. არ ვიცი, რამდენი წელი უნდა გავიდეს, რომ დამავიწყდეს მომხდარი. თავს ისე ვგრძნობ, როგორც მარტოსული და განდგომილი. აღარაფერი მახარებს. ვის ავუხსნა, რომ სინანული მკლავს და მომხდარში ბრალი არ მიმიძღვის?! ჩემი უახლოესი მეგობრებიც კი ალმაცერად მიყურებენ და მეუბნებიან, ასე როგორ მოიქეციო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში ვარ, საკუთარი თავისაც კი მრცხვენია. ვიღაცეებისთვის მე ზნედაცემული, უსირცხვილო ქალი ვარ, რომელიც სხვას ბედნიერებაში შეეცილა, არადა, მსგავსი არაფერი ყოფილა. პირიქით, ყოველთვის ერთგულებისა და ოჯახის დაცვის სადარაჯოზე ვიდექი. სინამდვილეში, პროფესიონალი მატყუარას მსხვერპლი გავხდი. მე ის ადამიანიც მეცოდება, ვინც გვერდით ჰყავს. დარწმუნებული ვარ, არც პირველი მსხვერპლი ვარ და არც უკანასკნელი, კიდევ ბევრჯერ გაიმეორებს იმავეს, თანაც, ისეთივე წარმატებით და ისევ დაუსჯელი დარჩება.

**– საუბარია მამაკაცზე, რომელიც გიყვარდათ?**

– დიახ, ძალიან მიყვარდა. ისე ძალიან, რომ, ვერ წარმოვიდგენდი, საერთოდ თუ შეიძლებოდა ასეთი სიყვარული. როგორ მოვტყუვდი... ერთადერთხელ გამიჩნდა დიდი გრძნობა და ესეც სანანებელი მაქვს. ვიცი, ის დავაშავე, რომ გამომძიებელივით არ გამოვიკითხე ყველაფერი და ბრმად ვენდე. როგორ უნდა იცხოვრო ისე, რომ ყველას და ყველაფერს ეჭვის თვალით უყურო?! გავიცანი ადამიანი, გულწრფელი მეგონა, მაგრამ... თურმე, ბევრია ისეთი კაცი, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია ყველანაირი ღირებულება და მთელი ცხოვრება გასართობის ძიებაშია.

**– და, თქვენ ამის შესახებ არაფერი იცოდით?**

– მართლა არ ვიცოდი, გეფიცებით. რატომ გგონიათ, რომ გამოქექილი და ყველაფრის მცოდნე ქალი ვარ? საკმაოდ გულუბრყვილოდ ვუყურებდი ქალისა და კაცის ურთიერთობას. ანუ, ვფიქრობდი, კაცს თუ საყვარელი უნდა, ის საყვარლობანას არ თამაშობს; რატომ უნდა დაიღალოს რომეოს როლის თამაშით, როცა თავისუფალი, უკომპლექსო ქალები ყოველ ნაბიჯზეა-მეთქი. ჩემი მხრიდან ეს დიდი შეცდომა იყო. ვიცი და ვხვდები ამას, მაგრამ, ძალიან გვიანაა. როგორც თქვენ უყურებთ ეჭვით ჩემს სიტყვებს, ზუსტად ასეთი დამოკიდებულება აქვთ ჩემს ახლობლებსაც. სწორედ ეს მაწუხებს და მტკივა. პლუს, ის საშინელი იმედგაცრუება, რომელიც იმ კაცის გამო განვიცადე. გავიცანი კურორტზე. მეგობართან ერთად მივდიოდი, მაგრამ, მერე ბოლო წუთს შეეცვალა გეგმები. ბილეთი – აღებული, სასტუმრო – დაჯავშნილი... რა მექნა? მეგობრის გარეშე წავედი. ზოგადად, მიყვარს მარტო ყოფნა. თან, ისეთი გადაღლილი ვიყავი, ვიფიქრე, კარგად დავისვენებ-მეთქი. არაფერს ვგეგმავდი, მით უმეტეს, რომანს და, თანაც – ასეთს. პირველი-ორი დღე მშვიდად გავატარე. სასტუმროში ყველაფერი მომეწონა – გარემო, მომსახურება, ზღვა... ძალიან კმაყოფილი ვიყავი. რომ გითხრათ, ძალიან კომუნიკაბელური ვარ-მეთქი, ასე ნამდვილად არ არის... იმან გამოიჩინა ინიციატივა, მერედა, როგორი ინიციატივა... პირდაპირ მომადგა – უნდა გაგიცნოო... ვსაუზმობდი და ძალიან გამიკვირდა, დავიბენი და ავფორიაქდი. სიმპათიური ტიპი ნამდვილად იყო, მაგრამ, ისეთი არა, რომ დავფეთებულიყავი. ცოტა ვიყოყმანე, მაგრამ დაბრძანდით, ჩემს მაგიდასთან-მეთქი, – მივიპატიჟე.

**– მარტო იყო?**

– დიახ, რა თქმა უნდა. დაჯდა და საუბარი

> **ბევრია ისეთი კაცი, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია ყველანაირი ღირებულება და მთელი ცხოვრება გასართობის ძიებაშია**

გამიბა. დიდი ხანია, ასეთი მშვენიერება არ მინახავსო, – ჩემზე თქვა და გამიკვირდა. ისეთი დამაბრმავებელი ლამაზი არ ვარ, რომ ვინმეს ჩემს დანახვაზე სუნთქვა გაუჩერდეს. ამიტომ, თავიდან ცოტა ირონიულად ვუყურებდი ჩემს მოულოდნელ თაყვანისმცემელს. მიხვდა, რომ არ გადავირიე მისი კომპლიმენტებით. ამიტომ, ტაქტიკა შეცვალა: უცებ დასერიოზულდა, ზედმიწევნით თავაზიანი გახდა, დახვეწილი მანერებით, ღიმილით... არ ვიცი, როდის ვუთხარი საკუთარ თავს, მგონი, ეს ის არის, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი-მეთქი.

**– განსაკუთრებული რა გააკეთა?**

– ალბათ, არაფერი და, ამიტომაც მივიჩნიე, რომ ის გულწრფელი იყო. ძალდაუტანებლად ილიმებოდა, მეჯიბრებოდა ცურვაში, დავყავდი შემოგარენის დასათვალიერებლად, დახტოდა კლდეებზე, ხალისობდა... ცოლიანი კაცები ასე არ იქცევიან, ამიტომაც არ შემპარვია ეჭვი, რომ მარტო იყო.

**– თქვენ არ გიკითხავთ?**

– არა. არც მომსვლია აზრად, რომ ეს შეკითხვა უნდა დამესვა მისთვის. არ იქცეოდა ცოლიანი კაცივით. მართლა. ამან ისეთ შეცდომაში შემიყვანა, რომლიდანაც ველარ გამოვედი.

**– თქვენ თქვით, ცოლიანი კაცივით არ იქცეოდაო... ცოლიანი კაცები როგორ იქცევიან?**

– თავისუფლები არ არიან. ურთიერთობაში ბუნებრიობა და სილაღე აკლიათ, რაღაცნაირად, შებოჭილად გრძნობენ თავს. ისინი უფრო „შებმას“ ცდილობენ და არა ურთიერთობის „დალაგებას“. ეს რადიკალურად სხვანაირად იქცეოდა. პატარა ბიჭივით ხალისობდა ერთად გატარებული ყოველი წუთით. ცდილობდა, რაღაცით გავეხარებინე... თორმეტი დღე გავატარეთ ერთად და თორმეტივე დღე დღესასწაული იყო.

**– მომავლის გეგმებზე გელაპარაკებოდათ?**

– ყოველ წუთს და მუდმივად. მე ვიცინოდი – რა დროს ქორწილზე, კაბაზე და შვილებზე ლაპარაკია-მეთქი. სამი შვილი მაინც უნდა გამიჩინოო. შოკში ვარ. რისთვის სჭირდებოდა ეს ყველაფერი, მხოლოდ იმიტომ, რომ მოვეტყუებინე? აშკარად გამოუვიდა და გული მკვდარი მაქვს.

**– იქნებ, რამე გაუთვალისწინებელი მოხდა?!**

– არა. ცოლიც ჰყავს და შვილებიც, პლუს, ჩემნაირი მოტყუებულების მთელი არმია. ერთადერთი, რასაც უნდა დავეეჭვებინე, ის იყო, რომ სურათებს არ იღებდა ჩემთან ერთად. მე უამრავი სურათი გადამიღო, ყველანაირი... კარგიც, ცუდიც... პოზირება ძალიან გიხდებაო... ბოლო დღეს ლამის ტიროდა – მე ბილეთი ხვალ მაქვს და, ის დრო, სანამ ჩამოვალ და გნახავ, ჯოჯოხეთად მექცევაო. ერთ თვეში ჩემი ცოლი უნდა გახდეო. სხვა ქალზე არც მიოცნებია. მართლა გამიმართლა, რომ შემხვდი. ეტყობა, ოცდათვრამეტ წლამდე იმიტომ დავრჩი უცოლო, რომ ჩვენ უნდა ვყოფილიყავით ერთადო. მე არ ვარ დამნაშავე, რომ რომანი ცოლიან კაცთან გამომივიდა, თანაც, ისე, რომ საერთოდ არ მინდოდა... მეც მიმძიმდა მასთან განშორება, ცრემლებიც მომდიოდა... იცით, როგორ მეფერებოდა და მამშვიდებდა? იცით, როგორი თბილი და გულწრფელი სახე ჰქონდა?! მე ვერ შემეპარებოდა მასში ეჭვი. დავრწმუნდი, რომ ჩემი ცხოვრების სამუდამო

# როგორ დაკარგა ერთმანეთი მამა-შვილმა და ვინ ეძებს მამას უკრაინიდან საქართველოში

*27 წლის მარია გიორგის ასული ვოლოშინა ეძებს დაახლოებით 58-59 წლის გიორგი ქურციკიძეს.*

**ისტორია**: ვეძებ მამაჩემს, დაახლოებით 58-59 წლის გიორგი ქურციკიძეს. მამაჩემთან კავშირი 1988 წლის შემდეგ არ მქონია. მაშინ მე 2 წლის ვიყავი და მამა თითქმის არც კი მახსოვს. ძალიან მინდა მისი პოვნა და მისი ნახვა. ვიცი, რომ მამაჩემს აქვს სხვა ოჯახი და მე მყავს ნახევარდაძმა. დიდი იმედი მაქვს, რომ მათაც გავიცნობ, თუკი, რა თქმა უნდა, მათაც ექნებათ ამის სურვილი

**– როგორ დაკარგეთ მამა და როდის გადაწყვიტეთ მისი მოძებნა?**

– მე და დედაჩემი 1988 წლამდე ვცხოვრობდით თბილისში, ვაზისუბანში. მას შემდეგ, რაც საქართველოში არეულობა დაიწყო, ჩვენ საცხოვრებლად უკრაინაში, ქალაქ მარიუპოლში გადავედით. იმ დროს მე 2 წლის ვიყავი. დედისგან ვიცი, რომ მამაჩემს ჰქონდა ოჯახი – ჰყავდა მეუღლე და ორი შვილი: გოგონა – შორენა და ვაჟი – შალვა. ჩემთვის უცნობია, იცის თუ არა ჩემი არსებობის შესახებ ჩემმა ნახევარდაძმამ. მე არანაირად არ მინდა, რომ ჩემი გამოჩენით მამაჩემს ოჯახში რაიმე პრობლემა გაუჩნდეს. თუკი ჩემი გამოჩენა მისი ოჯახის წევრებისთვის საპრობლემო იქნება, მე ამასაც გავიგებ. უბრალოდ, მინდა მამის პოვნა. მისგან მე არაფერი არ მსურს, უკვე 27 წლის ვარ და არაფერი მაკლია. უბრალოდ, მინდა ვიცნობდე მამას და სხვა არაფერი. ამჟამად მე უკრაინაში ვცხოვრობ, საქართველოში არავის ვიცნობ და ძალიან მჭირდება თქვენი დახმარება მამის პოვნაში. დიდხანს ვერ ვწყვეტდი, როგორ მომეძებნა მამაჩემი. ბოლოს „ჟდი მენიას" სამძებრო საიტზე განვათავსე ჩემი ისტორია. ვიცი, რომ ბევრ ადამიანს დახმარებიხართ და, მინდა, მეც მათ რიცხვში ვიყო.



**– მარია, მამის პოვნის შემთხვევაში, თქვენი ერთმანეთთან დაკავშირება მხოლოდ და მხოლოდ ორმხრივი სურვილის შედეგად მოხდება. მზად თუ ხართ იმისთვის, რომ, შეიძლება, მამათქვენმა არ მოინდომოს თქვენთან დაკავშირება?**

– რა თქმა უნდა, მზად ვარ. ასეთ შემთხვევაში, ვიცი, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმას გავიგებ, თუ როგორ არის მამა და რომ მას რაღაც მიზეზის გამო ჩემთან დაკავშირება არ სურს. ყოველ შემთხვევაში, მე მაინც მეცოდინება, რომ ის ცოცხალია და კარგადაა.

**– დედაშენმა თუ იცის, რომ მამას ეძებ და რა აზრის არის ის ამასთან დაკავშირებით?**

– დედა წინააღმდეგი იყო, რომ მე მამა მომეძებნა, რადგან, მას არ სურს, რომ ჩემი გამოჩენით მას თავის ოჯახთან რამე პრობლემა შეექმნას, მაგრამ, მე ხომ მაქვს ჩემი უფლებები და სურვილი, რომ მამა ვიპოვო, მით უმეტეს, რომ მას მხოლოდ იმისთვის ვეძებ, რომ გავიცნო. ამდენი წლის განმავლობაში არ მქონია მასთან ურთიერთობა და, ვიცი, რომ მისი პოვნის შემთხვევაშიც კი, ჩვენი ურთიერთობის აწყობა არც ისე ადვილი იქნება, მაგრამ, მისი პოვნა მაინც მინდა. გულის სიღრმეში მჯერა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდება. მამის შესახებ კიდევ ის შემიძლია გითხრათ, რომ, არაა გამორიცხული, რომ ის 1985-1988 წლებში რკინიგზაში მუშაობდა.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

**ჟურნალისტის შენიშვნა:** 28 ოქტომბერს დაიბეჭდა ისტორია: „ვეძებ ჩემს ნათლიას, რომელიც, ასევე, ნათესავადაც მეკუთვნის, 1949 წელს დაბადებულ ჟანა ოშაკმაშვილს (გვარის სისწორეში დარწმუნებული არ ვარ). წლებია, ნათლიის შესახებ უკვე არაფერი ვიცი, სწორედ, იმ დროიდან, რაც რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა დაიძაბა. გთხოვთ, მაპოვნინოთ ნათლია. ვგზავნი მის ფოტოს და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ ვიპოვით ერთმანეთს". 38 წლის ვერა ვიქტორის ასული ჟურავლიოვა ეძებდა 62 წლის ჟანა გიორგის ასულ ოშაყმაშვილს. სამწუხაროდ, ქალბატონი ჟანა გარდაცვლილია, მაგრამ, ჩვენ გამოგვეხმაურა მისი შვილი, რომელიც ვერას დაუკავშირდება.

---

თანამგზავრი მყავდა გვერდით და სულ ცოტა ხნით ვემშვიდობებოდი... დავბრუნდი ბედნიერი. ვბრწყინავდი... ჩემმა დაქალებმა ეგრევე შემამჩნიეს, რომ რაღაც მოხდა. მოგვიყევიო. მეც ვუთხარი, ქორწილისთვის მოემზადეთ-მეთქი. გაგიჟდნენ – ასე მალე ვინ აგირია თავგზა, რომ ათ დღეში გადაწყვიტილება მიიღეო. ზოგადად, მძიმე ვარ ასეთ საკითხებში. იმდენი თაყვანისმცემელი მყავდა დაბრაკული... ამასთან კი რა მომივიდა, რა დამემართა... სხვათა შორის, ჩემი მეგობარი, ყველაზე ახლობელი და ჭკვიანი, ძალიან დაეჭვდა – გოგო, ასე უცებ, ათი დღის გაცნობილ კაცს როგორ ენდეო... არ იცი, საკურორტო რომანს როგორი ბოლო აქვსო? გავიგიჟე თავი – რას ამბობ, რა საკურორტო რომანი, ყველაფერი ძალიან სერიოზულად არის. აი, ნახავ, მალე გაგაცნობთ და ცოლადაც გავყვები-მეთქი. ერთი კვირა მომდიოდა მესიჯები (ესეც ჩემი ნერვების ბოლომდე გასანადგურებლად სჭირდებოდა, ეტყობა): ჩემო საყვარელო, სამსახურში რაღაც პრობლემები დამხვდა... არ მინდა, ჩემი პრობლემები შენზე გადმოვიდეს. მალე მოვაგვარებ და შენ ჩემი გახდები სამუდამოდო.... აი, ასეთი მესიჯების შემდეგ, უცებ გაქრა და მობილურიც გამორთო... გავგიჟდი... უცებ აღმოვაჩინე, რომ მის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცოდი მობილურის ნომრის გარდა და ისიც გამორთო. გლოვა მქონდა, მთელი ხმით ვბღაოდი. ჩემი დაქალი გაგიჟდა – ნუთუ ერთი ფოტო მაინც არ გაქვს, რომ მოვძებნო და ვიპოვოო. გამახსენდა, რომ ერთადერთი სურათი ჩუმად გადავუღე ტელეფონით, ჩემთვის, ისე... ვანახე ეს სურათი ჩემს მეგობარს და მანაც ნამდვილი გამოძიება ჩაატარა – ის რეისები გადაჩხრიკა, რომლებიც ჩემი შვებულების დღეებში დაფრინავდა იმ კურორტის მიმართულებით და იპოვა. აქვს საჭირო კავშირები და, მოახერხა, ჩემი ძვირფასი შეყვარებულის შესახებ ყველაფერი გამოერკვია. საერთოდ სხვა გვარისა და სახელის აღმოჩნდა; ცოლიანი, ორი მოზრდილი შვილით. სახლის ტელეფონიც კი მომიტანა და დამიდო. ვერც თქვენ და ვერც ვერავინ წარმოიდგენს იმ მდგომარეობას, რომელშიც მე აღმოვჩნდი. მოვკვდი... ამაზე მეტი ნერვიულობა აღარ შეიძლება. გამოვიფიტე და გამოვცარიელდი. ერთადერთი, რაც შეიძლებოდა, გამეკეთებინა, იყო ის, რომ დამევიწყებინა ეს ადამიანიც და ჩემი ცხოვრების ეს ეპიზოდიც, საერთოდ წამეშალა მეხსიერებიდან. ვერ ვიტყვი, რომ ეს შევძელი, მაგრამ, ძალიან ვცდილობ. ხომ ხედავთ, არც კი ვლანძღავ, მაგრამ ყველაფერ ცუდს ვფიქრობ მასზე... შეუძლებელია ჩემი ასე გამწარებისთვის დაუსჯელი დარჩეს. ეს ქვეყანა ძალიან პატარაა. შემთხვევით რომ შემხვდეს, თვალებში როგორ უნდა შემომხედოს? მისი ცოლი კი, უბრალოდ, მეცოდება...

**ერთი კვირა მომდიოდა მესიჯები – ეტყობა, ესეც ჩემი ნერვების გასანადგურებლად სჭირდებოდა**

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ეჭვიანი არასოდეს ვყოფილვარ. შეყვარებული რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ არასოდეს, არც ერთი მათგანი არ შემიზღუდავს. პირიქით, საკმაოდ თავისუფალი ურთიერთობები მქონდა. რა დამემართა, რაც ცოლი შევირთე, არ ვიცი. საშინლად ეჭვიანი გავხდი. ჩემი მეუღლე არანაირ საბაბს არ მაძლევს, მაგრამ მე მაინც ვეჭვიანობ. ჯერ იღიმებოდა ჩემს გამოხტომებზე, მაგრამ ახლა უკვე ძალიან ბრაზობს და არც მალავს ამას. მეშინია, სიტუაცია უარესად არ გამწვავდეს და ფეთქებადსაშიში არ გახდეს. როგორ განვიკურნო ამ ეჭვებისგან?**

**გამოხმაურება:** საკუთარ თავს მხოლოდ თქვენვე თუ დაეხმარებით – სხვა ვერავინ. მით უმეტეს, თუკი მეუღლე არანაირ საბაბს არ გაძლევთ. დაუკვირდით, რა იწვევს თქვენს გაღიზიანებას და ეცადეთ გამოასწოროთ.

გახსოვდეთ ისიც, რომ ეჭვი არ არის სიყვარულისთვის დამახასიათებელი. პირიქით, ძალიან უარყოფითად მოქმედებს მასზე.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**



ქართველი სამხედროებიც მოვინახულე, რომლებიც ავღანეთში, ყველაზე ცხელ წერტილში მსახურობენ და რეაბილიტაციას გადიან ვაშინგტონის სამხედრო ჰოსპიტალში. ეს ჩემთვის დიდი პატივია

**პლასიდო დომინგოს ქართველი რჩეული, მომღერალი ქეთევან ქემოკოლიძე, უკვე წლებია, უცხოეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მის შესახებ ჩვენი ჟურნალი არაერთხელ წერდა, თუმცა, მისმა ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მთელი მსოფლიო აალაპარაკა. როგორც იტყვიან, ქეთი ნამდვილ შემოქმედებით ზენიტშია. მისმა ამერიკულმა და იაპონურმა გასტროლებმა საკმაოდ ხმაურიანი და დადებითი შეფასებები დაიმსახურა.**

# როგორ დააპანიკა ავსტრიის ჰოჰენჰემის სასახლის პრინცესა ქეთი ქემოკლიძემ და რა დაკარგა ქართულმა პოლიტიკამ მისი უცხოეთში წასვლით

**ქეთი ქემოლიძე**: ახლახან დავბრუნდი იტალიაში ამერიკიდან და, მინდა გითხრათ, საოცარი შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ. ამერიკაში, კერძოდ, ჰოლივუდში, პლასიდო დომინგოს მიწვევით გახლდით, სადაც შევასრულე კონკიას როლი, რასაც საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

**– თუ არ ვცდები, ამერიკულმა პრესამ ამ როლის საუკეთესო შემსრულებლად დაგასახელა.**

– დიახ, ასეა. სხვათა შორის, ამ როლს ორნი ვასრულებთ: ერთი ამერიკელი ოპერის მომღერალი და მე. როგორც ამერიკული პრესა წერდა, ქართველმა კონკიამ ნამდვილად აჯობა ამერიკელ კონკიასო. წერდნენ, ქეთევანის კონკიამ, ნამდვილად მოგვაჯადოვა ამერიკელებიო ***(იცინის).*** მერწმუნეთ, ეს ყველაზე დიდი შეფასება და აღიარება გახლდათ. ლოს-ანჯელესშიც და ჰოლივუდშიც გადაჭედილი იყო დარბაზი.

**– ესე იგი, გახდი ჰოლივუდისა და ლოს-ანჯელესის მომაჯადოებელი კონკია?**

– ასე გამოდის ***(იცინის).*** შემდეგ ბონშიც ვიმღერე, სადაც არაერთი მილიონერი დაესწრო ჩემს გამოსვლას. ეს იყო საქველმოქმედო კონცერტი, რომლითაც შიდსით დაავადებულ ბავშვებს დავეხმარეთ. შემდეგ სოლო კონცერტი გავმართე ავსტრიაში, ჰოჰენჰემის სასახლეში, ავსტრიის „არპეჯონეს" ორკესტრთან ერთად. ამ ორკესტრის დირიჟორი კი გახლავთ, ქართველი ირაკლი გოგიბედაშვილი. სასახლის ეზო ულამაზესია, სადაც სცენა იყო გამართული. რასაკვირველია, იქ საგრიმიოროს ვერავინ მომიწყობდა და, ამიტომ, თავად ამ სასახლის პრინცესამ დამითმო თავისი ოთახი. აი, ამ ოთახში დამემართა სასწაული ***(იცინის).*** მოკლედ, ხუთი წუთი აკლდა ჩემს გამოსვლას, სწრაფად ვცდილობდი მოწესრიგებას, გადავიცვი კაბა და, ელვა-შესაკრავი, რომელიც კაბას მთელ სიგრძეზე აქვს, მთლიანად ჩაიხა. გადავირიე ნერვიულობით. თავად პრინცესა მაწყნარებდა, მეუბნებოდა, არ ინერვიულო, ჩემს კაბას ჩაგაცვამო. იმის კაბა ჩამეტეოდა მე?! ***(იცინის)*** დაიბნა, სასახლის მკერავი დღეს არ არის აქ, რაღა ვქნაო. უცბად, გაახსენდა: ერთ-ერთ სასტუმროში ვიყავი და იქიდან წამოვიღე ერთჯერადი ნემსი და ძაფი და ახლა მე უნდა გავხდე შენი პირადი მკერავიო ***(იცინის).*** მოკლედ, მეცა პრინცესა, დაიწყო კერვა და ისე ლამაზად მოახერხა, ვერ წარმოიდგენთ. ერთი სიტყვით, კონცერტმა არაჩვეულებრივად ჩაიარა. თუმცა, როგორც პრინცესამ მითხრა, თურმე, მთელი კონცერტის განმავლობაში ისე ნერვიულობდა, კინაღამ ტვინში სისხლი ჩაექცა, სულ ოფლში გაიწურა. ასე მეგონა, თითოეული ამოსუნთქვის დროს, ან ახლა შემოეხევა ჩემი შეკერილი კაბა ტანზე, ან ახლაო ***(იცინის).*** ხომ იცით, ოპერის მომღერლები თითო ამოსუნთქვას ლამის სულს ვაყოლებთ თან და, ის კი ამ ჩემს ამოსუნთქვაზე პანიკაშივარდებოდა ***(იცინის).*** წარმოიდგინეთ, პრინცესა ჩემი პირადი მკერავი ხომ გახდა, თან, ისე ვანერვიულე, საწყალი, ალბათ, ახლაც შოკშია.

**– ქეთი, საკმაოდ დატვირთული დღის რეჟიმი გაქვს, თუმცა, როგორც ვიცი, სახლში დამხმარე არ გყავს, მაგრამ, ოჯახისთვის და ბავშვისთვის დრო ყოველთვის გრჩება. არ გიჭირს დროის ისე გადანაწილება, რომ კარიერაშიც წარმატებული იყო და საოჯახო საქმეებიც მოასწრო?**

– არ არის რთული. დედა, მამა და ქმარი ძალიან მეხმარებიან, გვერდში მიდგას ყველა და, ამიტომ, კარიერისთვისაც და ოჯახისთვისაც ყოველთვის რომ მრჩება დრო, მხოლოდ ჩემი სიყოჩაღის ნაყოფი არ გახლავთ

**ამერიკული პრესა წერდა: ქართველმა კონკიამ ნამდვილად აჯობა ამერიკელ კონკიას და ქეთევანის კონკიამ ნამდვილად მოგვაჯადოვა ამერიკელებიო**

***(იცინის).*** თუ სწორად დაგეგმავ დროს და სწორად გადაანაწილებ ყოველ საათს, არ გაგიჭირდება საქმის კეთება და მოსწრება. რა ვიცი, მე ასე ვარ. სამი დღეა, რაც ვაშინგტონიდან ჩამოვედი და ახლა ცოტა ხნით ვისვენებ პროფესიული საქმიანობისგან. ჯერ იაპონიაში, ტოკიოში გახლდით. მინდა გითხრათ, რომ, იაპონია საოცარი ქვეყანაა. ყველაზე კულტურული, მომთმენი და თავმდაბალი ერია, ჩვენ არაფრით გვგვანან. ამდენი გაჭირვება გადაიტანა ამ ხალხმა და მაინც ფეხზე დგას, აშენებს სახელმწიფოს და მიუხედავად ყველაფრისა, მაინც სიმშვიდით იღებს იმას, რა განსაცდელსაც ღმერთი უგზავნის. ძალიან უყვართ ოპერა. ქუჩაში მხვდებოდნენ, ავტოგრაფებს მთხოვდნენ. სასტუმროში რიგი იდგა, მელოდებოდნენ, რომ ჩემთან ერთად ფოტოები გადაეღოთ. მართლა საოცარი ხალხი ცხოვრობს იქ. იაპონიიდან პირდაპირ ვაშინგტონში გადავფრინდი. არაერთი სპექტაკლი ჩავატარეთ და საკმაოდ დატვირთული გრაფიკით ვიმუშავეთ. ვაშინგტონში იმდენი ქართველი ესწრებოდა სპექტაკლებს, თავად მიკვირდა. მოკლედ, ძალიან გამანებივრეს ქართველმა ემიგრანტებმა ვაშინგტონში ყვავილებითა და საჩუქრებით და ამისთვის დიდი მადლობა მათ. სხვათა შორის, ელჩის რეზიდენციაშიც გაიმართა მიწვევა და იქ იმდენი მონატრებული ქართული კერძი დავაგემოვნე, ვერ გეტყვით. გული ვიჯერე ***(იცინის).*** მთელი ჩვენი დასი და ხელმძღვანელობა გაოგნდა ქართული კერძებით. ამ მიღებაზე ქართული ჰიმნიც ვიმღერე და ძალიან ამაყი ვიყავი. ვაშინგტონში გავიცანი უხუცესი ემიგრანტი ქართველი, ჟურნალისტი პეტრე ხვედელიძე. 95 წლის კაცი ისე მხნედ გამოიყურება და ისეთ ჯანზე და გონებაზეა, გადაირევით. სხვათა შორის, ოთხი წლის წინ რომ ვიმღერე ვაშინგტონში, მაშინაც დაესწრო ბატონი პეტრე ჩემს გამოსვლას და ყვავილები მომართვა, ახლა კი – უგემრიელესი შოკოლადები. მე და ბატონმა პეტრემ ის ქართველი სამხედროებიც მოვინახულეთ, რომლებიც ავღანეთში, ყველზე ცხელ წერტილში მსახურობენ და რეაბილიტაციას გადიან ვაშინგტონის სამხედრო ჰოსპიტალში. ეს ჩემთვის დიდი პატივია.

**– როგორ გგონია, შენ რომ საქართველოში დარჩენილიყავი, რა მოხდებოდა შენს კარიერულ ცხოვრებაში?**

– ალბათ, პოლიტიკაში ვიქნებოდი ან საზოგადოებრივ სფეროში ვიმოღვაწევებდი. ასე რომ, ჩემი უცხოეთში წასვლით საქართველომ ხმამაღალი პოლიტიკოსი დაკარგა ***(იცინის).*** ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. სულ ვამბობ, ძალიან იღბლიანი და ბედნიერი ადამიანი ვარ-მეთქი. რასაკვირველია, პატარ-პატარა პრობლემები ყველას აქვს, მაგრამ, ზოგადად, ნამდვილად გამიმართლა როგორც პირად, ასევე კარიერულ ცხოვრებაში. ახლა შემოქმედებითად წარმატებული პერიოდი მაქვს და ეს შრომისა და იღბლის შედეგია. მომავალში კი აუცილებლად ჩემს ქვეყანაში დავბრუნდები და იქ გავაგრძელებ ცხოვრებას ჩემს პატარა ოჯახთან ერთად.

**ნონა დათეშიძე**

# ვის სახელს უკავშირდება თბილისის ფუნიკულიორის ამოქმედება და ვისი ინიციატივით აიგო ულამაზესი ვერის ხიდი

*თბილისს მეცხრამეტე საუკუნიდან და მეოცე საუკუნის პირველ პერიოდამდე 19 ქალაქის თავი, ეგრეთ წოდებული მერი ჰყავდა. პირველი, 1849 წელს, თომა პრიდონოვი იყო, ხოლო უკანასკნელი, 1921 წელს – ბენიამინ ჩხიკვიშვილი. მათ შორის დიმიტრი ყიფიანი, ალექსანდრე მატინოვი და ვასილ ჩერქეზიშვილი თბილისის განვითარების სფეროში ყველაზე გამორჩეულები იყვნენ. თუ როგორ ვითარდებოდა თბილისი მათი მმართველობის პერიოდში, დღევანდელი სტატიიდან შეიტყობთ.*

### დიმიტრი ყიფიანი



დიმიტრი ყიფიანი (ფოტო გადაღებულია მისი ქალაქის თავად არჩევის დღეს. მედალიონი, რომელიც ქალაქის თავს ამ ფოტოზე გულზე უკიდია, დაკარგულად ითვლება)

თბილისის პირველი თავის, თომა პრიდონოვის ნამდვილი გვარი ფრიდონიშვილი იყო, ხოლო პირველი არჩეული თავი იყო დიდი ქართველი, საზოგადო მოღვაწე, წმინდანად აღიარებული დიმიტრი ყიფიანი, რომლის სახელს უკავშირდება თბილისის აღორძინება. მას შემდგომ ხდებოდა მერის არჩევა, მანამდე კი ისინი მეფისნაცვლის ან მთავარმართებლის მიერ ინიშნებოდნენ – სათათბირო ირჩევდა ქალაქის თავს. ყიფიანი მცირე ხანს იყო ქალაქის თავად – 1876 წლიდან 1878 წლამდე. ყიფიანის თბილისის თავობის პერიოდს უკავშირდება ყოფილი ერევნელის მოედნის კეთილმოწყობა, შუამდგომლობა ახალი სახაზინო თეატრის აგებისათვის, თანხების მოძიება თბილისში წყალსადენის პროექტის დასამუშავებლად. ამ პერიოდში დაბალჩინოსანთა ოჯახებისთვის დაიწყო დახმარების გაწევა, უპატრონო ძაღლების განადგურება, მოხდა ქალაქის გაზის ნათურებით განათება, აიგო ეგზარქოსის სასახლე – დღევანდელი საპატრიარქოს შენობა, რომელიც ერეკლეს მოედანზე მდებარეობს. ერეკლეს მოედანი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, სანამ თბილისში პრესა გაჩნდებოდა, ინფორმაციის გავრცელებაში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა – სწორედ აქ იყრიდნენ თავს ეგრეთ წოდებული „რაამბავისტები” და ქალაქის მოსახლეობას ინფორმაციას აწვდიდნენ მიმდინარე მოვლენებზე. სწორედ ამ მოედანზე შეიტყო თბილისის მოსახლეობამ ქვეყნის ანექსიის ამბავი. წარსულში ამ მოედანს „ეგზარხოსსკაია პლოშადს” უწოდებდნენ. გასაბჭოების შემდგომ მოედანს ბებელის მოედანი ეწოდა, დღეს კი ამ მოედანს ერეკლეს მოედანი ჰქვია. სამწუხაროდ, დიმიტრი ყიფიანი რუსეთის იმპერიის რისხვას შეეწირა. ცნობილი მოვლენების გამო ის გადაასახლეს სტავროპოლში, სადაც საიდუმლო ვითარებაში მოკლეს. ილია ჭავჭავაძის ძალისხმევით მოხერხდა მისი ნეშტის გადმოსვენება და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვა.



ეგზარქოსის სასახლე მეცხრამატე საუკუნეში



ვერის ხიდი

### ალექსანდრე მატინოვი

1878 წელს თბილისის მეორე მოწვევის სათათბიროს არჩევნები ჩატარდა და ქალაქის თავის თანამდებობაზე დასახელებული 17 კანდიდატიდან ალექსანდრე მატინოვმა გაიმარჯვა, რომლის ნამდვილი გვარი მათიაშვილი იყო. მას ჰქონდა კარგი თვისება – იგი ისმენდა ოპოზიციურ აზრებს. მისი ოპოზიცია იყო ნიკო ნიკოლაძე და სწორედ ამ ორს მიუძღვის დიდი ღვაწლი თბილისის განვითარებაში. ისინი იმ დროის ნოვატორები იყვნენ. მატინოვისა და ნიკოლაძის სახელს უკავშირდება ელექტროტრამვაის შემოყვანა თბილისში, პირველი სახაზინო თეატრის მშენებლობა და მისი დასის შესაქმნელად საფუძვლის ჩაყრა – საუბარია დღევანდელ რუსთაველის თეატრზე. მისი მმართველობის პერიოდში დაევალა არქიტექტორ ოზეროვს მერიის შენობის სარეკონსტრუქციო პროექტის შემუშავება; მისი მმართველობის დროს აიგო ვერის ლითონის ხიდი (დღევანდელი გალაკტიონის ხიდის ადგილზე). მანამდე ამ ადგილზე ბორანი ფუნქციონირებდა, ისევე, როგორც მუხრანის ხიდის ადგილზე. ქალაქის ბიუჯეტს ორივე ხიდის აგების საშუალება არ ჰქონდა და მიდიოდა კამათი, თუ რომელი ხიდი აეგოთ – ვერის თუ მუხრანის. ვერის ხიდს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა, რომლებიც ამბობდნენ: ის ქალაქის განაპირას არის, აქ მოძრაობა არ იქნება, სჯობს მუხრანის ხიდი ავაშენოთო. საბუთად იმას ასახელებდნენ, რომ მუხრანის ხიდის ბორანი წელიწადში 6 000 მანეთ შემოსავალს იძლეოდა, ვერის ხიდის ადგილას მოქმედი ბორანი კი – მხოლოდ რვა თუმანს. ვერის ხიდის აგების ერთ-ერთი მთავარი მომხრე იყო ნიკო ნიკოლაძე. მას კარგად ესმოდა, რომ ხიდს ქალაქის მომავალი განვითარებისთვის ჰქონდა მნიშვნელობა – ქალაქი სწორედ უმეტესად ამ მხარეს გაიზრდებაო,



ალექსანდრე მატინოვი

– ამბობდა ის. მის აზრს დაუჯერა მატინოვმა. ხიდი 1881 წელს აშენდა არქიტექტორ უმანსკის პროექტით. სამწუხაროა, რომ ეს ხიდი დაანგრიეს გზის გაფართოების გამო. 1878 წელს მატინოვის ინიციატივით ამუშავდა პირველი თბოსადგური, შეიქმნა სანიტარული ექიმის თანამდებობა (დღევანდელი გაგებით – სასწრაფო დახმარება); ქალაქის ქუჩებში დააყენეს ლამპიონები, შეიქმნა წყალკანალის სისტემა. მატინოვი თბილისელი იყო. თანამდებობის დატოვების შემდეგ იგი პარიზში გადავიდა საცხოვრებლად და გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მან თბილისს 200 ათასი მანეთი უანდერძა. შვილები არ ჰყავდა და თბილისს დაუტოვა მთელი თავისი ქონება. ანდერძში ასე ეწერა: „ვუტოვებ ჩემს საყვარელ ქალაქს”.



თბილისის სათათბირო და ერევნელის მოედანი (მეცხრამეტე საუკუნის ბოლო პერიოდი)

### ვასილ ჩერქეზიშვილი

ვასილ ჩერქეზიშვილი თბილისის გამორჩეული ქალაქის თავი იყო. იგი 1905 წელს აირჩიეს ამ თანამდებობაზე. მისი მმართველობის პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, მათ შორის: 1905 წელს ამუშავდა თბილისის ფუნიკულიორი, დასრულდა ქაშუეთის ეკლესიის მშენებლობა, მუშტაიდის ბაღში გაიხსნა პირველი კინოთეატრი, 1907 წელს აიგო ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი (დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრის შენობა), თბილისის ტერიტორიას შეუერთდა ვაკე, გაიხსნა უპოვართა სახლი (ამჟამანდელ ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე ბავშვთა



ვასილ ჩერქეზიშვილი

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

**ლოცვა, მართლმადიდებლობა, ზნეობრივ-ქრისტიანული ცხოვრება კარგია, მაგრამ, თუ ეს შენი ნების წინააღმდეგ ხდება, ამას სარწმუნოებისადმი რადიკალური მიდგომა, თავს მოხვევა ჰქვია, რასაც უფალი არ ითხოვს ჩვენგან. უფალი გვეძახის, გვიხმობს, მაგრამ, გავუღებთ თუ არა მას კარს, ეს ჩვენი თავისუფალი ნებაა. ჩვენი ნებით ვწყვეტთ საკუთარი ცხონება-არცხონების საქმეს. ამ საკითხისა და, ასევე, იმის შესახებ, თუ როდის უნდა ვაკურთხოთ სახლი, შეიძლება თუ არა ბინაში შინაური ცხოველის ყოლა, გვესაუბრება, ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# რატომ არ აქვს ბინაში ძაღლის ყოლას სახლის კურთხევასთან კავშირი და რა შემთხვევაში ვერ ერევა ბოროტი ძალა ადამიანს

– როდესაც სასულიერო პირები შევდივართ ოჯახში, ჩვენი მეშვეობით, ლოცვით, ხდება სახლის კურთხევა. ჩვენ უფალს შევთხოვთ, რომ მან იმ ოჯახისთვის მფარველი, მცველი ანგელოზი გამოგზავნოს. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ადამიანს ნათლობისას ეძლევა მფარველი ანგელოზი, რომელიც მისი მფარველია, მას უწევს ამ ცხოვრებაში წინამძღვრობას, განაწყობს ლოცვისთვის, კეთილი საქმისთვის, სიკეთისთვის. ბინის მფარველი ანგელოზი კი, ერთ ადამიანს კი არა, მთელ ოჯახს იცავს.

**– სახლის კურთხევისას მართლა შემოდის ოჯახის მფარველი ანგელოზი?**

– ლოცვის დროს ვკითხულობთ: ღმერთმა დაიცვას ეს ოჯახი ყველანაირი განსაცდელისგან, შეჭირვებისგან, უცხო მტერთა ზედა მოსვლისგან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როდესაც ოჯახში შევდივართ, ყველას ვეუბნებით: ძალიან კარგია, რომ ადამიანმა ისურვა სახლის კურთხევა, მაგრამ, მეორე საკითხია – თავად როგორ იქცევა. ანუ, როცა ვაკურთხებთ სახლს, იმ დროს ოჯახში შემოდის მფარველი ანგელოზი და მას შესაფერისი სიტუაცია, გარემოება უნდა შევუქმნათ, რომ დაივანოს, სუფევდეს უფლის შეწევნით და აკურთხებდეს ოჯახს. თუ სახლის განათლების, კურთხევის შემდეგ, იმ ოჯახში იქნება ის გარემოება, რაც არ შეესაბამება ქრისტიანულ ცხოვრებას, მფარველი ანგელოზი ძალიან მალე დატოვებს ოჯახს. ასეთი გამონათქვამიც არის – ფუძის ანგელოზმა დატოვა ოჯახიო, ანუ, ანგელოზი გადის ამ ოჯახიდან. ღმერთმა ყველა დაიფაროს და, მის მაგივრად შემოდის ბნელი ანგელოზი, რომელიც წარმართავს ოჯახის წევრებს არა კარგი საქმის კეთებისკენ, არამედ, დაშლისკენ, უთანხმოებისკენ, უსიყვარულობისკენ, სიძულვილისკენ. ეშმაკი ყოველთვის ყოფს, ღმერთი ყოველთვის აერთიანებს. ამიტომ, ის ადამიანი, რომელიც გადაწყვეტს ბინის კურთხევას, პირველ ყოვლისა, უნდა მოემზადოს საკუთარი თავის გასანათლებლად, საკუთარი თავი უნდა აკურთხოს. როდესაც ახალი აღთქმის დროს დაარსდა ეკლესია, პირველ საუკუნეებში იყო ასეთი ტრადიცია: მორწმუნე მრევლი, ერისკაცები, საკუთარ სახლს ყოველდღე აკურთხებდნენ, რათა სახლი განწმენდილიყო და ღვთის კურთხევა ყოფილიყო იმ ოჯახზე. ახლა ეს ტრადიცია დაკარგულია, აღარ არსებობს. რა თქმა უნდა, დღეს არ არის იმის საშუალება, რომ ყოველდღე აკურთხონ სასულიერო პირებმა ბინა, თუმცა, წელიწადში ერთხელ სახლის კურთხევა აუცილებელია. ეს არცთუ ისე მცირე პერიოდია. ერთ წელიწადში, შეიძლება, ისეთი რაღაც მოხდეს, რაც სულიერ ასპექტში დააზიანებს ოჯახს, მის წევრებს. ამ ხნის განმავლობაში, შეიძლება, ჩვენს სახლში, დაწესებულებაში, ისეთი ადამიანები შემოვიდნენ, რომლებმაც საკუთარი სულიერი მდგომარეობით, უარყოფითი ემოციებით, ცუდად იმოქმედონ ჩვენზე, ოჯახზე. ამიტომ, აუცილებელია, რაც შეიძლება ხშირად ვაკურთხოთ სახლი, ყოველდღე არა, მაგრამ, ექვს თვეში ერთხელ მაინც.



**დღეს არ არის იმის საშუალება, რომ ყოველდღე აკურთხონ სასულიერო პირებმა ბინა. თუმცა, წელიწადში ერთხელ სახლის კურთხევა აუცილებელია. ეს არცთუ ისე მცირე პერიოდია**

**– მამაო, ასეთი არასწორი აზრი არსებობს: როდესაც ცხოველი შემოდის სახლში, თუ ის სახლი ნაკურთხია და ანგელოზი ჰყავს, სულიწმიდა გადის იმ სახლიდან, ანგელოზი ტოვებს იმ ოჯახსო. ამის გამო ზოგიერთი სასულიერო პირი უშლის მათ ნაკურთხ ბინაში ცხოველების ყოლას, ზოგი – არა. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

– რა თქმა უნდა, ასეთი მოსაზრება არასწორია, არანაირი კავშირი არ აქვს საეკლესიო ცხოვრებასთან, აზროვნებასთან და კანონიკასთან. ხატებს ჩვენი მხრიდან დახმარება, დაცვა არ სჭირდებათ, პირიქით, აქეთ გვეხმარებიან, გვაძლიერებენ და საოცარ მადლს გვაძლევენ საკუთარი სიწმიდითა და ნეტარი მდგომარეობით. ამიტომ, არ უნდა გვეშინოდეს, რომ, თუ ოთახში ძაღლი ან კატა შევა, ამით რამე დაშავდება. თუმცა, ესთეტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ჯობია, ხატები ისეთ ადგილას, ისეთ სიმაღლეზე არ იყოს, რომ შინაური ცხოველი მას ადვილად შეეხოს. ამ ყველაფერს სახლის ხელმეორედ კურთხევასთან არანაირი კავშირი არ აქვს, ანუ, რადგან ცხოველი სახლში, ოთახში შედის, ამის გამო არ არის საჭირო, სახლი ხელმეორედ იკურთხოს. მთავარი სხვა საკითხია და თუ ოჯახის წევრები ეკლესიურები, მლოცველები, მმარხველები არიან, მათი სახლისთვის ცხოველს ზიანის მოტანა არ შეუძლია. უფალი გვეუბნება: თუ იქნებით მორწმუნეები, მლოცველები, თუ შესთხოვთ ზეციურ მამას წყალობასა და კეთილდღეობას, მაშინ, ცხოველი კი არა, უამრავი ბრბო ეშმაკებისა და დაცემული სულებისა რომ გებრძოდნენ, ვერაფერს დაგაკლებენო. ამიტომ, რა უნდა გვავნოს კატამ და ძაღლმა ისეთი, როგორისაც გვავნებს ჩვენი ულოცველობა, არასწორი ცხოვრების წესი?! არა მარტო ადამიანებს უნდა მივაგოთ პატივი, არამედ ღვთის სხვა ქმნილებებსაც. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ ცხოველები, შინაური იქნება ის თუ გარეული, უარყოფით როლს ასრულებენ ჩვენს ცხოვრებაში, არ არის სწორი. საკმარისია, გავიხსენოთ წმიდა მამების, ასკეტი მოძღვრების ცხოვრება-მოღვაწეობა, როგორ ეხმარებოდა შიო მღვიმელს მგელი, სერაფიმ საროველს – დათვი, დავით გარეჯელთან საკვები მოჰქონდა ირემს და ასეთი მაგალითი ძალიან ბევრია. უბრალოდ, ცხოველებთან ურთიერთობა, ამ საკითხისადმი მიდგომა, ყოველთვის უნდა იყოს ზომიერი.

**მშობელმა შვილისგან არ უნდა მოითხოვოს სრული დამორჩილება, ის არ უნდა ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში, არ შეზღუდოს მისი თავისუფალი ნება. აღზრდის დროს მთავარია, ბავშვი გაიზარდოს დამოუკიდებელ ადამიანად**

**– როდესაც ზომიერებაზე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, ეს გრძნობა ყველაფერში დავიცვათ, თუნდაც, მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში, რაც ხშირად არასწორად მიმდინარეობს.**

– სამწუხაროდ, მორწმუნე ადამიანებში არსებობს არასწორი, არაჯანსაღი მიდგომა – ისინი შვილებისგან ითხოვენ იმ ყველაფრის შესრულებას, რასაც თავად ასრულებენ. ყველამ ვიცით, რომ მართლმადიდებლობა თავისუფალი სარწმუნოებაა. სახარება გვასწავლის, რომ ადამიანი თავისი ნებით უნდა მიეახლოს უფალს. უფალი ღვთისკენ, სარწმუნოებისკენ ნაბიჯის ძალით გადადგმას არ ითხოვს. ის გველოდება, ყველას მოგვიწოდებს, მაგრამ, ამ ნაბიჯს ვინ როდის და როგორ გადადგამს, ეს უკვე ადამიანის გადასაწყვეტია. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი შვილები პიროვნებები არიან. რა თქმა უნდა, მათზე გარკვეული უფლებები გვაქვს, რადგან, ჩვენი შვილები არიან, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, ბოლომდე ჩავერიოთ მათ ცხოვრებაში, აზროვნებაში, თავისუფლებაში. თავად უფალი არ აბრკოლებს ადამიანს თავისუფალ არჩევანში, თუმცა, აჩვენებს ორ გზას: ერთი ცხონებისკენ მიდის, მეორე – წარწყმედისკენ. ასე რომ, ყველა მშობელმა უნდა გაითვალისწინოს: კი არ უნდა დააძალოს შვილს ლოცვა, ეკლესიაში სიარული, არამედ, საკუთარი ქცევით მისცეს მას მაგალითი. მშობელი, რომელიც ბავშვს აძალებს, იმარხულოს, ილოცოს მასთან ერთად, დაესწროს წირვას, მიუხედავად იმისა, შეუძლია და სულიერად მომწიფებულია თუ არა, აქვს თუ არა ამის სურვილი, რა თქმა უნდა, არასწორად იქცევა. ეს შემდეგში გამოიწვევს ამ ადამიანის ჩამოშორებას სარწმუნოებისგან. მშობელი უნდა ზრუნავდეს შვილზე, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლომდე ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში. შვილისგან არ უნდა მოითხოვოს სრული დამორჩილება, ის არ უნდა ჩაერიოს მის პირად ცხოვრებაში, არ შეზღუდოს მისი თავისუფალი ნება. აღზრდის დროს მთავარია, ბავშვი გაიზარდოს დამოუკიდებელ ადამიანად. ის უნდა შეეჩვიოს დამოუკიდებელ აზროვნებასა და გადაწყვეტილებების მიღებას, დამოუკიდებელ ცხოვრებას. ვინც მშობლებზე ბოლომდე დამორჩილებულნი გაიზარდნენ, უკვე გაზრდილნი გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ველარ იღებენ და საზოგადოების სრულყოფილი წევრებიც ველარ ხდებიან. ყველა შვილი პატივს უნდა მიაგებდეს მშობელს, ისევე, როგორც მშობელი – შვილს, მაგრამ, დამოუკიდებლობა და ინდივიდუალიზმი ყველამ საკუთარ თავში უნდა განავითაროს.

**ნათია უტიაშვილი**

# სასწაულებრივი მოქცევა

1999 წელს ერთი ჩემი ახლობელი მოულოდნელად მძიმედ დაავადდა. მას გენადი ერქვა. ის მთელი ცხოვრების განმავლობაში საქმიანი ადამიანი იყო, თავის ოჯახსა და ახლობლებზე მზრუნველი, ბევრ სიკეთესაც აკეთებდა, მაგრამ ყველაფერ ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, ყურადღებას არ აქცევდა ეკლესიურ ცხოვრებას. მისთვის ეს მნიშვნელოვანი არ გახლდათ. ასე მიაღწია მან 49 წლის ასაკს და უცებ სრულიად ჯანმრთელს სარკომა დაემართა.

დიაგნოზის გაგების შემდეგ ახლობლებმა მისი სულის გადარჩენისთვის იწყეს ზრუნვა, ტაძარში მიიყვანეს, მაგრამ გენადი ვერც წირვაზე გაჩერდა, არც მოძღვრის სიტყვა შეისმინა, სასულიერო პირს უმიზეზოდ განურისხდა, შეურაცხყოფა მიაყენა და ტაძრიდან გაიქცა.

სარკომა ძალიან სწრაფად ვითარდება და მოკლე ხანში ბოლოს უღებს ადამიანს. მართლაც გენადის ავადმყოფობა ელვის სისწრაფით განვითარდა, რასაც მძიმე ტკივილები ახლდა თან. ფაქტობრივად, გენადის ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა, ბუნებრივია, აღარც ძილი ჰქონდა, აღარც სიმშვიდე. ექიმები ვერაფრით უმსუბუქებდნენ მდგომარეობას, გამაყუჩებლებიც არ მოქმედებდა.

ერთ დღეს – ეს იყო 1999 წლის სექტემბერი, პარასკევი საღამო. ჩვენს ოჯახში ტელეფონის ზარი გაისმა. დარეკა გენადის მეუღლემ და ჩემთვის დაუჯერებელი რამ მითხრა: გენადი მღვდლის მოყვანას ითხოვს. ჩემთვის ეს იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ვიფიქრე, რაიმე გაუგებრობა ხომ არ არის-მეთქი. ამიტომ მის მეუღლეს ვთხოვე ხელმეორედ შეკითხვოდა გენადის, თუ რა სურდა. მაშინ ტელეფონით თავად გავიგონე ლოგინად ჩავარდნილი ახლობლის ავადმყოფობისგან მისუსტებული ხმა: დიახ, დიახ, მღვდელი მომიყვანეთ.

სასწრაფოდ დავუკავშირდი ჩემს მოძღვარს, რომელმაც მისთვის ჩვეული გულისხმიერება გამოიჩინა და დაახლოებით ერთ საათში, უკვე გენადისთან ვიყავით. ის სრულიად მოწყვეტილი დაგვხვდა, კისრის ქვემოთ ველარაფერს გრძნობდა, კიდურებს ვერ ამოძრავებდა. ყველა ნიშნის მიხედვით, აშკარა იყო, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენოდა. რა თქმა უნდა, ყველას გვაინტერესებდა, თუ როგორ გაუჩნდა მას მოულოდნელად მღვდლის ნახვის სურვილი. გენადიმ საოცარი ამბავი გვიამბო: დღეს ჩემი სული გამოვიდა სხეულიდან, მოვიარე ოთახები, დავათვალიერე მთელი სახლი, რისი გაკეთებაც დიდი ხანია, უკვე აღარ შემიძლია, აივნიდანაც კი გადავიხედე, შემდეგ სული სხეულში ჩაბრუნდა, რაც ძალიან არ მინდოდა. ამავე დროს განაგრძო მან: საშინელ კოშმარებს ვხედავდიო. როგორც მისმა მეუღლემ აგვიხსნა, ავადმყოფი ცხადში ხედავდა შავით მოსილ არსებებს, რაც მის, ტკივილებისგან ისედაც გაუსაძლის ყოფას, სრულიად აუტანელს ხდიდა. როგორც არაეკლესიური ადამიანისთვის, მისთვის გაუგებარი იყო ამის მნიშვნელობა. მან, ბუნებრივია, არ იცოდა პატერიკებში აღწერილი მრავალი შემთხვევა, როდესაც მომაკვდავს დემონები ეცხადებიან და სულს უშფოთებენ. ასეთმა მდგომარეობამ გადააწყვეტინა გენადის მოძღვართან საუბარი და ზიარება. სულში მანამდე უცნობმა გრძნობამ გაიღვიძა. დაიწყო აღსარება, მე დავტოვე ოთახი. აღსარება დიდხანს გრძელდებოდა. ჩანს, ბოროტს, თავისი მსხვერპლის ხელიდან გაშვება არ სურდა. ავადმყოფშიც გარკვეული გაორება იგრძნობოდა: მთელი ცხოვრება მასში დალექილი ათეისტური ცნობიერება უჩვეულო გრძნობას ებრძოდა. ეს იყო ბრძოლა ურწმუნობასა და რწმენას, ბოროტსა და კეთილს შორის. მოძღვარმა მომიხმო და ჩემი თანდასწრებით განაგრძო სნეულთან სარწმუნოებრივი საკითხების შესახებ საუბარი. სასულიერო პირი ყოყმანობდა – ეზიარებინა თუ არა ის, მაგრამ ავადმყოფმა მტკიცე სურვილი გამოამჟღავნა: მე მინდა ზიარება და სწორედ ამიტომაც დაგიბარეთო. გენადი ეზიარა. ცოტა ხანს კიდევ დავყავით მასთან. როგორც შემდეგ გადმოგვცეს, მას ჩვენი წასვლის შემდეგ ჩასძინებია. დიდი ხნის განმავლობაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მას ორი საათი მშვიდად ეძინა. როდესაც გაეღვიძა, „შავოსნების“ ნაცვლად მის წინაშე ბავშვის სახის არსებები გაჩნდნენ.

ეს მოხდა პარასკევს. კვირას, საღამოს 5 საათისთვის კი გენადიმ თავისი სული ყოვლადმოწყალე უფალს მიაბარა, რომელსაც არავის წარწყმედა არ სურს. გაჩნდა იმედი გენადის სულის გამოხსნისა, რისთვისაც მადლობა შევწირეთ უფალს.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა**: **როგორი სიხშირით უნდა ეზიარებოდეს ერისკაცი და რამდენი ზიარებაა წელიწადში აუცილებელი? ზოგი ხშირად არ ეზიარება იმ მიზეზით, რომ თავს ულირსად თვლის.**

**პასუხი**: ყველა წმიდა მამა ერთხმად აღიარებს, რომ მორწმუნე ქრისტიანი დიდი ხნით არ უნდა მოაკლდეს მაცხონებელ მადლს წმინდა ზიარებისას, განსაკუთრებით მარხვის პერიოდში არ უნდა დააყოვნოთ ზიარება. ამ ყოველივეს კი უნდა იქმოდეთ თქვენი სულიერი მომზადების შესაბამისად, მოძღვრის კურთხევის მიხედვით.

**კითხვა**: **არ მყავს მოძღვარი. მინდა, აღსარება ვთქვა. შეიძლება თუ არა, ამისთვის ნებისმიერ მღვდელს მივმართო, თუ, აუცილებლად მოძღვარი უნდა ვიყოლიო?**



**პასუხი**: ყველა მღვდელს აქვს მიცემული სამღვდელო მსახურების მადლი, მაგრამ, მოძღვრად ადამიანი ირჩევს მღვდელს, რომელსაც გამოუცხადებს ნდობას და იღებს მისგან სულის მხსნელ რჩევა-დარიგებას. ასეთი ადამიანი კი ნებისმიერი მღვდელი ვერ იქნება. აღსარებისთვის უარს არც ერთი მღვდელი არ გეტყვით, მაგრამ, მომავლისთვის უნდა იზრუნოთ, რომ გყავდეთ თქვენი მოძღვარი, რომელიც ყოველთვის მოგცემთ სასარგებლო რჩევა-დარიგებებს.

**კითხვა**: **როგორ ითმენს უფალი ამდენი ცოდვიანი ადამიანის არსებობას?**

**პასუხი**: ღმერთის მოთმინება დამყარებულია ცოდვილთაგან მონანიების მოლოდინზე. პეტრე მოციქული ამბობს: „უფალი სულგრძელია თქვენდამი და, არ სურს, რომ ვინმე დაიღუპოს, არამედ, რომ ყველა მოვიდეს მოსანანიებლად“.

**კითხვა**: **როდის ეთვლება ადამიანს ცოდვად პირჯვრის გამოსახვა?**

**პასუხი**: პირჯვრის გადაწერა ცოდვად ჩაითვლება, თუ ადამიანი პირჯვრის გამოსახვით ცდილობს დაგვიდასტუროს სიცრუე, ფლიდობა, ყალთაბანდობა და სხვა არაწმინდა საქმე. ამით ის საკუთარ თავზე მსჯავრს მოიწევს.

# პატერიკები

### ურწმუნოს სასწაულებრივი განკურნება

ერთმა სამხედრო პირმა თავის მეგობრებთან წმიდა მიტროფანე ვორონეჟელის წმიდა ნაწილებზე საუბრისას თქვა: „ნება თქვენია, მეგობრებო, მე კი ვერაფრით დავიჯერებ, რომ ამ სარკოფაგში ას წელზე მეტხანს უხრწნელი სხეული ინახებოდა. ეს ყოველივე სიცრუეა, გნებავთ, მივალ, ჩავყოფ ხელს კუბოში და შემდეგ მოგიყვებით, რისგან შედგება სხეული, რომელსაც თქვენ აღმერთებთ“.

ყველანი ეკლესიაში წავიდნენ, ურწმუნო კი მოგონილი ღვთისმოსაობით მიუახლოვდა მოსაგრის წმიდა ნაწილებს და კუბოში ხელი ჩაყო.

„წარმოიდგინეთ, ჩვენი გაოცება, – ყვებოდა ამ ამბის ერთ-ერთი მომსწრე, – ვერც კი მოასწრო კუბოში ხელის ჩაყოფა, რომ რაღაც სასწაულებრივმა უხილავმა ძალამ ეს ხელი უკან გადმოაგდო, თვითონ კი გაფითრებული და ნახევრადმკვდარი ძლივს ჩამოვიდა სარკოფაგის წინ მდებარე კიბიდან.

### ჯაფით მიღებული პურის ლუკმა ნაქურდალ ქარავანს ჯობია

ახალი ტბის მიდამოებში მოთარეშე ყაჩაღთა გუნდი უკმაყოფილო იყო კუნძულზე ადამიანთა დასახლების გამო, რომლებსაც შეიძლება, მათი საქმიანობის შესახებ შეეტყოთ. ერთხელ მძარცველები ნავით წითელ კუნძულს მიადგნენ. „უსჯულოების შვილნო,“ – ყაჩაღებს მკაცრად მიმართა განდეგილად მყოფმა ღირსმა მამამ კირილე ნოვოზერელმა – „ღვთის საშინელი სამსჯავროს არსებობა დაგვიწყებიათ; უკაცრიელ კუნძულზე გასაქურდად მობრძანებულხართ. მეუდაბნოე მამის გაძარცვა განგიზრახავთ. რას სჩადიხართ?! მთელი ჩემი ვერცხლი სენაკშია“. ერთი მათგანი სენაკისკენ გაეშურა, დარჩენილი ყაჩაღები კი უეცრად სიბნელემ მოიცვა და დაბრმავდნენ. მალე ღირსი მამის სამყოფელიდან საცოდავი ხმა გაისმა. – მძარცველი ორი ჭაბუკისაგან გათავისუფლებას ითხოვდა, რომლებიც უმოწყალოდ სცემდნენ. დაბრმავებულებმა ბერს ხვეწნა-მუდარა დაუწყეს, რათა მშვიდობიანად გაეშვა ისინი. ღირსი მამა სენაკში შევიდა, გონებადაკარგული ყაჩაღი მოასულიერა და ყველანი ერთად გაისტუმრა. „ამიერიდან აღარ იქურდოთ, თორემ ჯოჯოხეთში მოხვდებით“, – ასე დამოძღვრა ისინი კირილე ნოვოზერელმა გამომშვიდობებისას.

გავიდა ხანი. ერთხელ ქურდებმა სავანის სამრეკლოდან ზარი ჩამოხსნეს და მდინარის მეორე მხარეს გადატანა მოისურვეს, მაგრამ გზა აებნათ და იძულებული გახდნენ, სავანეში დაბრუნებულიყვნენ. „რატომ მოხვედით?“ – ჰკითხა განდეგილმა. ქურდები მიწაზე დაემხნენ და პატიება შესთხოვეს. „ჯერ არ ყოფილა სხვისი ქონების მპარავი ბედნიერი ყოფილიყო,“ – მიუგო ღვთის სათნო მამამ, – „მოყვასის სიმდიდრისკენ სიხარბით მომზირალი, საკუთარსაც დაკარგავს. ქურდის სიმდიდრე ქურდის კუზია. მპარავს უბედურება არ ასცდება. შრომით მოპოვებულ კაპიკს საუკუნო ბარაქა გააჩნია. ხალხური სიბრძნე გახსოვდეთ: ჯაფით მიღებული პურის ლუკმა ნაქურდალ ქარავანს სჯობიაო. შემდეგ ქურდები დააპურა და გაისტუმრა.

**ჩაწერილია არქიმანდრიტ დიმიტრი ტელიანიდის მონათხრობის მიხედვით**

**მოამზადა რევაზ ტომარაძემ**

# როგორ ითარგმნება კობი ბრაიანტის სახელი იაპონურად და „მილანის" რომელი ფეხბურთელები იყვნენ მისი კერპები

***ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ სეზონი მის გარეშე დაიწყო. კობი ბრაიანტი ტრავმას იშუშებს და ჯერჯერობით ვერ ახერხებს მოედანზე გასვლასა და მშობლიური „ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" დახმარებას. ამ გუნდთან მას მთელი სპორტული კარიერა აკავშირებს. სანამ ლეგენდარული სპორტსმენი მოედანზე გასვლისთვის ემზადება, გავეცნოთ მისი ცხოვრების ნაკლებად ცნობილ ფაქტებს.***




* ბრაიანტების ოჯახში ბავშვებს მკაცრად ზრდიდნენ. მაგალითად, მშობლები ჯერ თავად უყურებდნენ ფილმებს და მხოლოდ მათი თანხმობის შემდეგ ეძლეოდათ კობის და მის დებს ფილმის ნახვის საშუალება. კინოთეატრში კი, თუკი ეკრანზე უხამსი სცენები – კოცნის ან ჩახუტების კადრები იყო, კობის თვალებზე აფარებდნენ ხელს.

* თავისი საყვარელი ფილმი „ნათლიმამა" კობი ბრაიანტმა 17 წლის ასაკში ნახა პირველად, დრაფტის დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე.

* კობის მამა – ჯო ბრაიანტი კალათბურთელი გახლდათ. ამბობენ, მას არ გაუმართლა, რადგან ზუსტად იმ პერიოდში თამაშობდა, როცა მოედნებზე მეჯიქ ჯონსონი „ჯადოქრობდაო." 14 წლის ასაკში ერთი-ერთზე თამაშის დროს, კობი უგებდა მამას, ხოლო 16 წლის ასაკში, სულაც დაჩრდილა ფარზე თამაშსა და ჩატენვებში.

* კარიერის დასაწყისში კობი ბრაიანტს კონფლიქტი მოუვიდა ლეგენდარულ კარლ მელოუნთან. „ფოსტალიონად" წოდებულმა მელოუნმა ყველა ვარსკვლავის მატჩის დროს ბრაიანტს შენიშვნა მისცა, რაზეც უკმეხი პასუხი მიიღო. მას შემდგომ მელოუნი და ბრაიანტი მოედანზე ერთმანეთს არ ინდობდნენ.

* ცნობილია, რომ კობი ბრაიანტი დიდ კალათბურთში პირდაპირ სკოლიდან მოვიდა, რაც უნიკალური შემთხვევაა. ის პირველი მოთამაშეა, ვინც კოლეჯთა ლიგის გვერდის ავლით მივიდა NBA-ში, კობი კარგად სწავლობდა სკოლაში და ნებისმიერი უნივერსიტეტი ან კოლეჯი მას უპრობლემოდ აიყვანდა გუნდში, მაგრამ მან უნივერსიტეტის გვერდის ავლითააწყო კარიერა ლიგაში.

* იტალიაში ცხოვრების პერიოდში კობი დიდ დროს ატარებდა სათამაშო მოედნებზე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ის მარტო თამაშობდა კალათბურთს, ხოლო მისი მეგობრები ფეხბურთს ანიჭებდნენ უპირატესობას და კობი ხშირად კარებში დგებოდა, რადგან კარგად ეხერხებოდა ბურთების დაჭერა.

* კობი ბრაიანტი პირველი ამერიკელი კალათბურთელია, რომელიც ფლობდა ევროპული კლუბის წილს. 1999 წელს ბრაიანტმა იტალიურ საკალათბურთო კლუბ „მილანის" აქციათა 50 პროცენტი შეიძინა. ამ კლუბის ღირსებას იცავდა მამამისი. 2009 წელს ბრაიანტმა თავისი აქციები გაასხვისა.

* კობი ბრაიანტი საშინელებათა ჟანრის ფილმების თაყვანისმცემელია.

*როდესაც „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა" კობი ბრაიანტი დრაფტზე აიყვანა, პირველი, რაც მან გააკეთა იყო ის, რომ გადარეკა მეჯიქ ჯონსონის ოფისში და დაინტერესდა, სად ვარჯიშობდა ლეგენდარული კალათბურთელი. ცნობილია, რომ, როდესაც მეჯიქ ჯონსონს 1991 წელს შიდსის ანალიზი დაუდასტურდა, მან კალათბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო. კობის მშობლები შეეცადნენ, ეს ინფორმაცია „ლეიკერსისა" და პირადად ჯონსონის ქომაგი – კობისთვის მაქსიმალურად მსუბუქ ფორმებში ეცნობებინათ, რომ მას არ ენერვიულა.

* კობი ბრაიანტის საყვარელი რეპერია „კანიბუსი". ასევე, კობის მონაწილეობა აქვს მიღებული შაკილ ონილის ალბომის ჩაწერაში.

* 1997 წელს კობი ბრაიანტმა უარი განაცხადა შეესრულებინა მთავარი როლი ფილმში „მისი თამაში", სადაც მისი პარტნიორები დენზელ ვაშინგტონი და მილა იოვოვიჩი იქნებოდნენ. ეს როლი მოგვიანებით, რეი ალენმა ითამაშა.

* კობის მშობლები ლათინოამერიკელზე მისი ქორწინების კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ. ქორწილში არ მივიდნენ არც მშობლები, არც დები, არც აგენტი და არც თანაგუნდელები. მშობლები იწუნებდნენ რძალს, არ მოსწონდათ, რომ ის ლათინოამერიკელი იყო. უნდოდათ, რომ კობი აფროამერიკელზე დაქორწინებულიყო. კობის მშობლები ორი წელი არ ელაპარაკებოდნენ შვილს, მიუხედავად იმისა, რომ მეზობლად ცხოვრობდნენ. ცნობილია, რომ პირველი ჩემპიონობის შემდეგ, კობი ბრაიანტი ცხარე ცრემლით ტიროდა, რომ მამამისი მის არც ერთ ფინალურ მატჩს არ დაესწრო.

* ბავშვობაში კობი ბრაიანტი გატაცებული იყო ალმოსავლური ორთაბრძოლებით, კერძოდ, ის დღემდე ვარჯიშობს ჯიტ კუნ-დოში. კობის კერპი ბრიუს ლია.

* სპორტულ ფეხსაცმელს კობი ბრაიანტი ყოველი მესამე მატჩის შემდეგ იცვლის.

* „ლოს-ანჯელეს კლიპერსის" ხელმძღვანელებმა 17 წლის კობი ბრაიანტი, მხოლოდ იმიტომ არ აიყვანეს დრაფტზე, შეეშინდათ, რომ ბიჭი არ აღმოჩნდებოდა მზად დატვირთვებისთვის. კლუბში დღემდე ნანობენ ამ გადაწყვეტილებას.

* კობი ბრაიანტი ფასტფუდის დიდი მოყვარული გახლდათ. მას „მაკდონალდსის" პროდუქცია მოსწონდა 2010 წლამდე. მას შემდეგ, რაც კობი გაუპატიურების სკანდალში გაეხვა, „მაკდონალდსმა" მასთან სარეკლამო კონტრაქტი გაწყვიტა და კობიმაც საპასუხოდ უარი განაცხადა ჰამბურგერების ჭამაზე.

* იტალიაში ცხოვრების პერიოდში კობი ბრაიანტი საფეხბურთო კლუბ „მილანის" ქომაგი იყო. ის არც ერთ მატჩს არ აცდენდა, სადაც მისი საფეხბურთო კერპები – მარკო ვან ბასტენი, რუუდ გულიტი და ფრანკ რაიკაარდი თამაშობდნენ. ამჟამად, თავისუფალ დროს კობი ცდილობს სეზონზე საყვარელი გუნდის ერთ საშინაო მატჩს მაინც დაესწროს. „მილანთან" ერთად კობი „ბარსელონას" ქომაგიც არის.




* კობი ბრაიანტი მაიკლ ჯექსონის ახლო მეგობარი იყო.

* პირველი ტატუირება კობი ბრაიანტმა მომავალი მეუღლის, ვანესას პატივსაცემად გაიკეთა.

* სკოლაში სწავლის პერიოდში კობი ბრაიანტი რეპ-ჯგუფის წევრი იყო. ის სოლოკარიერის დაწყებაზეც ფიქრობდა, რომ არა კალათბურთი.

* კობი რეკორდსმენია ყველა ვარსკვლავის მატჩებში მონაწილეობის რაოდენობით. ის ზედიზედ 15-ჯერ მოხვდა საუკეთესოთა შორის და ჯერჯერობით არ აპირებს გაჩერებას.

* სინამდვილეში კობი ბრაიანტის ნამდვილი სახელია კობე - რაც იაპონურად მარმარილოსფერ საქონლის ხორცს ნიშნავს. საქონელს სპეციალური იაპონური ტექნოლოგიით ზრდიან და მის ხორცს მარმარილოს შეფერილობა აქვს. ასეთი ხორცისგან შემწვარი კერძი გასინჯეს კობის მშობლებმა ფილადელფიაში, ერთ-ერთ იაპონურ რესტორანში და გადაწყვიტეს, შვილისთვის მისი სახელი დაერქმიათ.

* კობი ბრაიანტი ნაციონალური ასოციაციის ისტორიაში მეხუთე კალათბურთელია, რომელმაც 30 ათასი ქულის ნიშნულს მიაღწია, მანამდე მსგავსი შედეგი უილტ ჩემბერლენმა, ქარიმ აბდულ-ჯაბარმა, მაიკლ ჯორდანმა და კარლ მელოუნმა დააფიქსირეს.

* 2003 წელს კობი ბრაიანტს ბრალი ედებოდა სასტუმროს თანამშრომლის, კატელინ ფაბერის გაუპატიურებაში. თუმცა საბოლოოდ, კატელინმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე და სკანდალი სასამართლოს გარეშე დარეგულირდა.

* კობი ბრაიანტს საკუთარი ვიდეოთამაშების სამი ვერსია აქვს გამოშვებული, სახელწოდებით „კობი ბრაიანტ NBA ქოურთსაიდ".

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

## ტაისონი და ჰოლიფილდი რინგზე დაბრუნდებიან

მაიკ ტაისონი და ევანდერ ჰოლიფილდი, შესაძლოა, რინგზე დაბრუნდნენ და შეხვედრა გამართონ მოსკოვში, თუკი მათი წარმომადგენლები დათანხმდებიან საპრომოუტერო კომპანია „კრივის სამყაროს" პრეზიდენტის, ბიზნესმენ ანდრეი რიაბინსკის შემოთავაზებას. რამდენიმე ხნის წინ ტაისონი და ჰოლიფილდი ცნობილ ამერიკელ ჟურნალისტთან, ლარი კინგთან, შოუში იყვნენ მიწვეულნი, სადაც რინგზე შესაძლო დაბრუნებაზე ჩამოაგდეს სიტყვა. სწორედ ამიტომ დაინტერესდნენ რუსი პრომოუტერები ვეტერანი მოკრივეების მატჩის ორგანიზებით. ჰოლიფილდი და ტაისონი ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს: 1996 წელს ჰოლიფილდმა ტექნიკური ნოკაუტით გაიმარჯვა, ხოლო 1997 წელს მატჩი-რევანში ყველას ტაისონის კბენითა და ჰოლიფილდის მოკბეჩილი ყურით დაამახსოვრდა. უკანასკნელი ბრძოლა 47 წლის ტაისონმა 2005 წელს გამართა, ხოლო 51 წლის ევანდერ ჰოლიფილდმა რინგზე ბოლოს 2011 წელს იბრძოლა.




## ყაჩაღების მსხვერპლი დელ პოტრო

მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა, ხუან მარტინ დელ პოტრომ, სულ რამდენიმე წამით მოადუნა ყურადღება და ყაჩაღების მსხვერპლი გახდა. არგენტინელი სპორტსმენი პარიზიდან ლონდონში რკინიგზით მიემგზავრებოდა. პარიზის სადგურში მან ავტოგრაფების დარიგება დაიწყო და თაყვანისმცემლებთან ფოტოების გადაღებით გაერთო, რა დროსაც ბოროტმოქმედებმა დრო იხელთეს და უყურადღებოდ მიტოვებული ბარგიდან დელ პოტროს ჩანთა მოჰპარეს, რომელშიც დოკუმენტაცია, პასპორტი, ფული და რომის პაპის, ფრანცისკის მიერ ნაკურთხი კრიალოსანი ეწყო. „ყველაზე მეტად კრიალოსანზე მწყდება გული, რადგან სულ თან დამქონდა," – განუცხადა ჟურნალისტებს დელ პოტრომ.

## რაფაელა ფიკოს განცხადება

იტალიელი მოდელი რაფაელა ფიკო, რომელიც წარსულში მარიო ბალოტელის გერლფრენდი იყო, პირობას დებს, რომ, თუკი „ნაპოლი" ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდება ის გაიხდის და ფოტოკამერების წინ იპოზირებს. „დიახ, ვაპირებ გავიხადო და, ვგრძნობ, რომ გახდა არ ამცდება," – აცხადებს ფიკო, რომელიც „ნაპოლის" იტალიის ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემთხვევაშიც გაშიშვლებას გეგმავს. ცნობისთვის, ფიკო ბალოტელის მას შემდეგ გაშორდა, რაც სკანდალურმა მარიომ განაცხადა, რომ მისი მეგობარი გოგო მადრიდის „რეალის" ყველა ფეხბურთელს დაუწვებოდა, თუკი მადრიდული გრანდი „დორტმუნდის" ბორუსიას დაამარცხებდა, რაც, ფიკოსთვის საბედნიეროდ, არ მოხდა.

## გინესის რეკორდსმენი პელე

ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი, „ფეხბურთის მეფე" – პელე, ლონდონში გინესის რეკორდების წიგნის პრიზით დააჯილდოვეს. თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში პელემ 1 283 გოლი გაიტანა და სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი ნაკრებთან ერთად – 1958, 1962 და 1970 წლებში. პელეს პრიზი გადაეცა, როგორც „ფეხბურთის ლეგენდას". „დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის," – დაწერა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე ფეხბურთის 73 წლის ლეგენდამ. შეგახსენებთ, რომ რამდენიმე ხნის წინ პელემ ილუსტრირებული ავტობიოგრაფია გამოსცა, რომელიც 15 კილოგრამს იწონის და მისი ფასი 1 500 დოლარია.

## მეცნიერებმა დედამიწის მომავლის რუკა შექმნეს

გლობალური დათბობის შესაძლო შედეგების პროგნოზირებას გეოლოგები კვლავ განაგრძობენ. რა მოუვა დედამიწას, თუკი, მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებით, მთელი ყინული, რომელიც დღეისთვის დედამიწაზეა, დადნება?

მათ დათვალეს ყველა შესაძლო შედეგი და შექმნეს ინტერაქტიური რუკა, რომელზეც თვალნათლივ აჩვენეს მოვლენების განვითარების სცენარები ყველა კონტინენტისთვის.

პირველ ყოვლისა, ყინულების დნობის შემთხვევაში, ზღვის დონე დედამიწაზე დაახლოებით 65 მეტრით აიწევს. შედეგად, პლანეტის საშუალო ტემპერატურა 14-დან 26 გრადუსამდე გაიზრდება.

ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტის სანაპირო, ფლორიდისა და მექსიკის ყურის სანაპიროს ჩათვლით, მთლიანად წყალში ჩაიძირება. ლათინურ ამერიკაში დაიტბორება არგენტინის დედაქალაქი ბუენოს-აირესი, აგრეთვე, ზღვისპირა ურუგვაი და პარაგვაი.

აფრიკა მნიშვნელოვნად ხელუხლებელი დარჩება, მაგრამ, მისი დიდი ნაწილი დაუსახლებელი გახდება.

ეგვიპტეში, ხმელთაშუა ზღვის წყლის დონის გაზრდის შედეგად, დაჭაობებული აღმოჩნდება უძველესი ქალაქები – ალექსანდრია და ქაირო. განადგურდება, აგრეთვე, ევროპის მრავალი ღირსშესანიშნაობა. გაქრება ლონდონი, ვენეცია... წყლის ქვეშ აღმოჩნდება, ასევე, ნიდერლანდები და დანიის დიდი ნაწილი.

აზიაში დაიტბორება ტერიტორიები, რომლებზეც დღეისთვის 600 მილიონი ჩინელი ცხოვრობს. პირისაგან მიწისა აღგვილი აღმოჩნდება ბანგლადეში და ინდოეთის ზღვისპირა რაიონები.

რაც შეეხება ავსტრალიას, იქ ყინულების დნობა კონტინენტის ცენტრში ზღვის წარმოშობას გამოიწვევს. ამას გარდა, დატბორილი აღმოჩნდება ზღვის სანაპიროს მიწების დიდი ტერიტორია, რომელზეც დღეისათვის მოსახლეობის 80 პროცენტი ცხოვრობს. ანტარქტიდა კი საერთოდ უხილავი გახდება.

ეკოლოგები ამბობენ, რომ ყინულის დნობის პროცესი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორისაა ატმოსფეროში სასათბურე გაზების კონცენტრაციის გაზრდა და სხვა. თუმცა, მეცნიერები და სპეციალისტები, რომლებიც ყინულების დნობის პროცესს აკვირდებიან, გვამშვიდებენ, რომ მათი გათვლებით, იმისთვის, რომ დედამიწაზე არსებული მთელი ყინული დადნეს დაახლოებით ხუთი ათასი წელია საჭირო.

## საშინელი ჯავშნოსანი თევზი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გარჩევის თემა გახდა

მეთევზემ კუნძულ ბორნეოს სანაპიროზე, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, საოცარი თევზი დაიჭირა: სქელი ქერცლით, დამცავი ფირფიტებითა და ეკლებით დაფარულ იშვიათ არსებას ადგილობრივებმა „ჯავშნოსანი თევზი" შეარქვეს. თავდაპირველად ექსპერტებმა ვერ გაარკვიეს, რომელ სახეობას ეკუთვნოდა ფაუნის ეს ნიმუში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საბაბი მიეცათ, აეტაცათ და ფართოდ გაეშალათ თემა: „მეცნიერებისთვის დღემდე უცნობი საშინელი ჯავშნოსანი თევზი". თუმცა, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ეს თევზი არავითარ აღმოჩენას არ წარმოადგენს. ლუის დელ-სერომ, რომელსაც საკანდიდატო ნაშრომი ზღვის მანათობელი თევზების ოჯახზე აქვს დაცული, განმარტა, რომ „ჯავშნოსანი თევზი" სულაც არ არის აღმოჩენა და ყველა ოკეანის ღრმა წყლებშია გავრცელებული.



უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიები ზღვის ამოუცნობ არსებებზე საკმაოდ ხშირად ჩნდება, თუმცა, შემდგომში ირკვევა, რომ არავითარი უნიკალურობა მათში არ არის. მაგალითად, მიმდინარე წლის მაისში ახალი ზელანდიის პლაჟზე ცხრა მეტრი სიგრძის უცნობი არსება იპოვეს, რომელმაც ჟურნალისტები საგონებელში ჩააგდო... 



## უზმოზე ფორთოხლის ჭამა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას აწესრიგებს

ფორთოხალი ბევრ დაავადებას ებრძვის და გვიცავს სავალალო შედეგებისგან: მას ორგანიზმიდან გამოაქვს ნივთიერებათა ცვლის ნარჩენები და ტოქსინები. კარგია მისი ახალგამოწურული წვენის დალევაც. ფორთოხალი შეიცავს კალიუმს, A, $B_1$, C ვიტამინებს, ფოლის მჟავას, მაგნიუმს, რკინას, ფოსფორს, მანგანუმს, სპილენძსა და თუთიას, რაც აძლიერებს იმუნიტეტს.

იმ ნივთიერებებთან ერთად, რომლებსაც ფორთოხლის ქერქი შეიცავს, ვიტამინები სტიმულს აძლევს ორგანიზმს ანტისხეულების გამოსამუშავებლად, ეს კი აძლიერებს ჩვენს გამძლეობის უნარს, გვიცავს სხვადასხვა ინფექციისა და თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისგან.

ფორთოხალი ამცირებს კიბოს წარმოშობის რისკს – კუჭში დალექილი ნიტრატები წარმოქმნის კანცეროგენურ ნივთიერებებს, მასში შემავალი C ვიტამინი კი აფერხებს მათ წარმოქმნას. ასევე, თუ ყოველდღე ერთ ცალ ფორთოხალს შეჭამთ, ამით თრომბის წარმოქმნის რისკსაც შეამცირებთ.

უზმოზე ფორთოხლის ჭამა აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას, საუზმეზე დალეული ფორთოხლის ახალგამოწურული წვენი კი ენერგიით აგავსებთ მთელი დღის განმავლობაში. სამხარზე აუცილებლად ფორთოხალი კანიანად მიირთვით, რადგან, მის ქერქში არსებული პექტინები აკონტროლებს ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს.

## სასუნთქი გზების დაავადების დროს ევკალიპტი გიშველით

ხალხურ მედიცინაში ევკალიპტის ფოთლებს იყენებენ ზედა სასუნთქი გზების დაავადებების, ლარინგიტების, ინფექციებისა და ანთებების დროს. გარდა ამისა, ევკალიპტის ფოთლებისგან დამზადებული პრეპარატები გამოიყენება პლევრიტის, პნევმონიის, დამწვრობის, ფლეგმონიის, ტროპიკული წყლულის, საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს.

ევკალიპტის ფოთლებისგან შინაურ პირობებში ნახარში ასე მზადდება: 2 სადილის კოვზ ევკალიპტის დაქუცმაცებულ ფოთოლს, რომელსაც აფთიაქში შეიძენთ, დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში, შემდეგ გააცივეთ და გადაწურეთ.

ნაყენი გამოიყენება ინფექციური ჭრილობების დასამუშავებლად, ასევე, ფლეგმონების, აბსცესების, ჩირქოვანი გასტრიტების, გინეკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ.

აღნიშნული ნაყენის ინჰალაციის პროცესში ჩართვა უებარია ზედა სასუნთქი გზების დაავადების დროს.

ევკალიპტის ზეთი კი, როგორც ანთების საწინააღმდეგო, უნიკალური ანტისეპტიკური საშუალება, გამოიყენება ყელში გამოსავლებად და ინჰალაციისთვის.

## როდის ხდება გულის უეცარი წასვლა და რა დახმარება უნდა გაუწიოთ ამ დროს ადამიანს

გულის უეცარი წასვლის საფუძველი თავის ტვინის მწვავე, მაგრამ, მცირე ხნით განვითარებული სისხლნაკლებობაა. ეს კი, როგორც წესი, არტერიული წნევის მნიშვნელოვანი დაქვეითებით არის განპირობებული. გულის წასვლა ვითარდება ნერვული გადაძაბვის, შიშის, გადაღლის, სისხლის დაკარგვის, გულის დაავადებების, მწვავე სისხლდენის, შიმშილისა და ჩახუთულ ჰაერზე ყოფნის დროს. ზოგჯერ გულის წასვლა აღინიშნება ფეხზე დგომისას, ან, ჰორიზონტალურიდან ვერტიკალურ მდგომარეობაში უეცარი გადასვლის დროს. ამ დროს ადამიანი ფერს კარგავს, ოფლიანობს, ვითარდება ჰიპოთერმია, ანუ, სხეული ცივდება, სუნთქვა ნელდება და არტერიული წნევა ქვეითდება. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია გულწასული ადამიანის დაწვენა. ტვინის სისხლმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია, მას ფეხები ააწევინოთ, რომ სისხლმა თავისკენ დაიწყოს სვლა. გულის წასვლის გახანგრძლივების დროს, შესაძლოა, განვითარდეს ტვინის ინფარქტი, ამიტომ, დროზე უნდა დაეხმაროთ ადამიანს.

ზოგჯერ გულის წასვლას თან ახლავს სხვა სიმპტომებიც, მაგალითად, გულმკერდის არეში ტკივილი, რაც გულის იშემიურ დაავადებაზე მეტყველებს; გულის ფრიალი კი, შესაძლოა, არითმიამ გამოიწვიოს. დიაგნოსტიკური მნიშვნელობა ენიჭება სისხლის წნევის გაზომვას. ასევე, მნიშვნელოვანია გულის წასვლისგან სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული თავბრუხვევის, კერძოდ, ჰიპოგლიკემიის, ეპილეფსიური გულყრისა და ისტერიული გულის წასვლის ერთმანეთისგან გარჩევა. ამ დროს არტერიული წნევა და გულისცემა ნორმის ფარგლებშია. ადამიანს არ აქვს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა ოფლიანობა და სიფერმკრთალე.

ხშირი გულის წასვლის დროს აუცილებელია, ჭარბი მარილის შემცველი საკვების მიღება და ვიტამინოთერაპია.

თუ მისი გამომწვევი მიზეზი რაიმე სერიოზული პათოლოგიაა, მაგალითად, გულის მანკი, გულის იშემიური დაავადება და სხვა, მაშინ, საჭიროა ამ ძირითადი დაავადებების მკურნალობა. გაფრთხილებთ, აუცილებლად მიაქციეთ ჯანმრთელობას ყურადღება – თუ უეცრად გული წაგივიდათ, ჩაიტარეთ სათანადო გამოკვლევები.

## როდის ვითარდება კუნთების არაბუნებრივი ტკივილი

ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ ბევრი უჩივის კუნთების ტკივილს, რაც ბუნებრივი მოვლენაა და არ არის საშიში, თუმცა, ზოგჯერ ასეთი ტკივილი რომელიმე პათოლოგიურ პროცესს ახლავს თან.

ბუნებრივი ტკივილი მაშინ ვითარდება, როცა ვარჯიშს ამძიმებთ და დიდ დატვირთვას აძლევთ კუნთებს. ამ დროს კუნთებში გროვდება დიდი რაოდენობით რძემჟავა, რომელიც იწვევს ტკივილს, თუმცა, ეს სრულებით უსაფრთხოა.

ტკივილი ვითარდება მაშინაც, როცა ჩვეულ ვარჯიშში ახალი ელემენტები შეგაქვთ ან ფიზიკური დატვირთვის ხანგრძლივობას ზრდით. ამ დროს კუნთების ტკივილი ვარჯიშის შემდეგ დასვენებისას ვლინდება. მაგრამ, დროთა განმავლობაში კუნთები ახალ დატვირთვას ეჩვევა და ტკივილი ქრება.

კუნთების არაბუნებრივი ტკივილი კი ვითარდება სხვადასხვა სიმძიმის, ტრავმის, ართრიტის, იოგების დაჭიმულობის, მოტეხილობის გამო და ასე შემდეგ.

თუ ვარჯიშის დროს ტკივილი უმიზეზოდ და უეცრად წარმოიშობა, ტკივილის ინტენსივობა დღითი დღე იმატებს, ნატკენი ადგილი კი შეშუპებულია და სახსრის შიგნითაც შეიგრძნობა ტკივილი, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ფიზიკური დატვირთვა.

ზოგადად კი, გაითვალისწინეთ, რომ ექიმის კონსულტაციის გარეშე თვითნებურად ნუ დაიწყებთ ორგანიზმის ფიზიკურ დატვირთვას.

## რომელ ქალებს არ ემუქრებათ მკერდის კიბო და როგორაა შესაძლებელი ავთვისებიანი სიმსივნის სიმპტომების ნაადრევად აღმოჩენა

ქალებში გავრცელებულ ავთვისებიან და კეთილთვისებიან სიმსივნეებს შორის ყველაზე ხშირია მკერდის კიბო. ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია მასტოპათია – სარძევე ჯირკვლის პათოლოგია, რომელიც, თავისთავად, სერიოზულ დაავადებას არ წარმოადგენს, მაგრამ, საკმაოდ ზრდის კიბოს წარმოქმნის რისკს.

ქალის სარძევე ჯირკვალი, ასაკობრივი თუ ფიზიოლოგიური ფაქტორების გამო, მთელი ცხოვრების განმავლობაში განიცდის გარდაქმნას. მას განსხვავებული აგებულება აქვს ბავშვობისა და გარდატეხის ასაკში. სარძევე ჯირკვალი პერიოდულად განიცდის ცვალებადობას. მის სტრუქტურაზე ძალიან მოქმედებს ქალის ცხოვრებაში მიმდინარე ბუნებრივი მოვლენები, მაგალ-

ითად, ორსულობა, ძუძუს წოვება, კლიმაქ-სი და სხვა.

ზოგიერთი პროცესი, კერძოდ: აბორტე-ბი, საკვერცხეებისა და მათი დანამატების ანთებები, ნერვული სისტემის დაავადებები და ასე შემდეგ, ჰარმონიული დისბალანსის განვითარებას იწვევს, ანუ, ჰორმონები სა-ჭიროზე მეტი ან ნაკლები რაოდენობით გა-მომუშავდება. დროთა განმავლობაში ამ მდგომარეობამ, შესაძლოა, არა მხოლოდ კე-თილთვისებიანი წარმონაქმნების (მასტოპ-ათია, ადენომა), არამედ, ზოგჯერ ავთვისე-ბიანი სიმსივნის ჩამოყალიბებაც გამოიწვი-ოს.

კეთილთვისებიანი სიმსივნის განვითარ-ება ბევრადაა დამოკიდებული სოციალურ ფაქტორებზეც, მაგალითად: მცირე შობად-ობაზე, ხშირ აბორტებზე, არასწორ სქესო-ბრივ ცხოვრებაზე, ზედმეტ წონაზე, შაქრი-ან დიაბეტზე, გენეტიკაზე. კვლევამ აჩვენა, რომ, ქალებს, რომლებიც 30 წლამდე თხო-ვდებიან, აბორტებს არ მიმართავენ და პა-ტარებს ძუძუთი კვებავენ, მკერდის კიბოს საფრთხე ნაკლებად ემუქრებათ.

* მასტოპათია ძირითადად 20-45 წლის ასაკის ქალბატონების ხვედრია. დაავადე-ბა, როგორც წესი, სარძევე ჯირკვალში გა-მკვრივებული წარმონაქმნის სახით ვლინდ-ება და, შეიძლება, ერთ ან ორივე ჯირკვა-ლში განვითარდეს ერთეული თუ მრავლო-ბითი წარმონაქმნის სახით.

* მასტოდინია – ამ დაავადების დროს, ზოგჯერ, სარძევე ჯირკვალში არანაირი



ცვლილება არ არის, მაგრამ, ქალი მაინც უჩივის მკერდის ტკივილს. ტკივილი ძლიე-რია, შესაძლოა, ბეჭსა და მხარშიც გადაეც-ემოდეს.

* ფიბროადენომატოზი – სარძევე ჯირ-კვალში კვანძების გაჩენაა. ისინი ან მთელ ჯირკვალშია გავრცელებული (ლიმფური ფი-ბროადენომატოზი), ან მხოლოდ მის რამდ-ენიმე უბანში (კვანძოვანი).

* ფიბროადენომა – მოძრავი, გლუვი ზე-დაპირის კვანძებია, რომლებიც ძირითადად 20-25 წლის ქალებში ვლინდება.

* ცისტები – სხვადასხვა ზომისა და რა-ოდენობის კვანძებია. ზოგჯერ ახასიათებს დვრილიდან გამჭვირვალე, მღვრიე, მომწვ-ანო, რძისფერი ან სისხლიანი გამონადენი, რომელიც გამოიყოფა თავისთავად ან დვრი-ლზე თითის დაჭერის შედეგად.

სარძევე ჯირკვლებში ტკივილების არს-ებობა მასტოპათიის აუცილებელ ნიშანს არ წარმოადგენს.

მკერდის სიმსივნის ამოცნობა თვითონ ქალსაც შეუძლია: ყურადღება უნდა მიაქც-იოთ სარძევე ჯირკვლების სიმეტრიუ-ლობას, კანის ფერს, გამონადენს დვრილ-იდან, გამკვრივებ-ულ, მტკივნეულ უბ-ნებს.

არსებობს სიმპტ-ომები, რომლებიც ავთვისებიანი სიმს-ივნის პროცესის და-წყებას მიგვანიშნე-ბს. ესენია, ფიქსაც-ია ანუ კვანძი, დვრილის გასქელე-ბა: დვრილის თავ-ზე კანის ჩაზნექა, იღლიის ფოსოში ჯირკვ-ლების გაჩენა, დვრილიდან სისხლიანი გამ-ონადენი. ამგვარი სიმპტომების გაჩენისას სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

გვერდები მოამზადა
ნონა დათეშიძემ

## ექიმის რჩევები

**კითხვა: რა არის აბსცესი და როგ-ორ უნდა დადგინდეს მისი არსებობა ორ-განიზმში?**

**პასუხი:** აბსცესი ანუ ჩირქგროვა – (შემოფარგლული ჩირქოვანი ანთება) ვი-თარდება ორგანიზმში ჩირქმბადი მიკრო-ბის მოხვედრის ან რომელიმე დაავადების (პნევმონია, ტრავმა და ასე შემდეგ) გარ-თულების შედეგად. ქსოვილში მოხვედრი-ლი მიკრობი იწვევს ანთებასა და ქსოვილ-ის კვდომას. მკვდარი ქსოვილის ადგილზე წარმოიქმნება ჩირქოვანი ღრუ, რომელიც სალი ქსოვილებისგან კაფსულით გამოიყ-ოფა. დამახასიათებელია მაღალი ტემპერ-ატურა, შემცივნება, ოფლიანობა, საერთო სისუსტე, სისხლში – ლეიკოციტოზი, ერი-თროციტების დალექვის სიჩქარის მომატ-ება.

**კითხვა: რა არის ბართოლინიტი?**

**პასუხი:** ბართოლინიტი – ბართოლი-ნის (საშოს კარიბჭის) დიდი ჯირკვლების ანთებაა. იწვევს სხვადასხვა მიკრობი, უმ-ეტესად – გონოკოკი. ანთებითი შეშუპებ-ის შედეგად ჯირკვლის სადინარი იხშობა, გამოყოფილი ჩირქოვანი სეკრეტი გარეთ ვერ გამოდის და წარმოიქმნება ბართოლ-ინის ჯირკვლის აბსცესი. დამახასიათებე-ლია: ძლიერი ტკივილი შორისის არეში, სხე-ულის ტემპერატურის აწევა, საშოს შესას-ვლელთან შესიება.

**კითხვა: ვარ 34 წლის, მყავს ერთი შვილი. საზარდულთან ხელის შეხებით რაღაც ჯირკვალივით მესინჯება, რომელიც შეხებისას მტკივნეულია. რას ახასიათებს ხშირ შემთხვევაში ამ ადგი-ლას ჯირკვლის გამიზეზება? (ციკლი არეული არ მაქვს, არც რაიმე გამონად-ენი).**

**პასუხი:** უმეტეს შემთხვევაში, სას-ქესო ორგანოთა ინფექციური პათოლო-გიებისა და ვენერიული დაავადებების დროს, დიდდება საზარდულის ლიმფუ-რი კვანძები. ამიტომ, პირველ ეტაპზე, გინეკოლოგს უნდა მიმართოთ.

**კითხვა: ვარ 40 წლის. რაც თავი მახსოვს, სახეზე, ცხვირისა და ლოყის შუაში, მაქვს ხალი, რომელიც არც ისე დიდი ზომისაა. ახლა შევამჩნიე, თით-ქოს ცოტა ამოიწია კანიდან. საერთ-ოდ, მაინტერესებს, ჯობია, ამოვიკვე-თო თუ არ შევეხო?**

**პასუხი:** ხალის მოშორების საკით-ხი დგება საეჭვო ნიშნების შემჩნევისას, ან, ისეთი ხალების, რომლებიც ხშირად განიცდის ტრავმას, მექანიკურ დაზიან-ებას, ან კიდევ – კოსმეტიკური თვალს-აზრისით. ზოგადად, ასეთი მიდგომაა: თავდაპირველად კონსულტაციისთვის ონკოდერმატოლოგს უნდა მიმართოთ. თუ ხალი ონკოლოგიურად უსაფრთხო აღმოჩნდა, შეგიძლიათ, ესთეტიკური ქი-რურგიის კლინიკაში მიბრძანდეთ და შე-მაწუხებელი წარმონაქმნი მოიშოროთ. თუ გაირკვა, რომ ხალი უკვე გადაგვარებუ-ლია, ოპერაცია ონკოლოგიურ კლინიკა-ში უნდა ჩატარდეს.

**კითხვა: ალკოჰოლური სასმლის მიღებისას ცხვირი მეჭედება. შეიძლ-ება, ეს ალერგიის ბრალი იყოს?**

**პასუხი:** დიახ, შეიძლება. არსებობს რინიტის არაალერგიული ფორმა, რომე-ლიც, შესაძლოა, პროვოცირებული იყოს საკვებით: ალკოჰოლით, სუნელებით, წი-ნაკით და ასე შემდეგ.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი
მაია ნუცუბიძე**

**გაიადვილეთ საჭმლის მონელება**

**იქონიეთ მიიღეთ ეფექტური**

# კრეზამი

**თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს**

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# როგორ აქცია დამ ვახტანგ ჭაბუკიანი მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ბალერონად

„ცხოვრებამ ჭაბუკიანს ყველაფერი მისცა, გარდა ოჯახური ბედნიერებისა (დავით ჯანგველაძე, „ვახტანგ ჭაბუკიანი – 100") ალექსანდრ ვერტინსკი წერდა, რომ დიდი არტისტები ღმერთებივით არიან, მაგრამ, მარტოხელები. მის ცხოვრებაში იყო დიდი სიყვარული, რაც ქორწინებით დაგვირგვინდა, თუმცა, მეუღლეს, ბალერინა გალინა კუზნეცოვას, მალე დაშორდა. მიუხედავად ამისა, მათ ურთიერთსიყვარული და პატივისცემა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეს. განქორწინების შემდეგ გალინა ვახტანგს სწერდა: „ძვირფასო, ვახტანგ! დღეს უკანასკნელად მაქვს უფლება, ვიამაყო ჩემი საყვარელი, ნიჭიერი ქმრით. ძვირფასო ვახუშტი, მთელი გულითა და სულით გისურვებ ყველაზე დიდ გამარჯვებებს შენს ცხოვრებაში. სამუდამოდ ვრჩები შენს გულწრფელად ერთგულ მეგობრად. გკოცნი მაგრად, შენი გალია". გალინა თავის მოგონებებში წერდა, რომ ჭაბუკიანის გვერდით ცხოვრების წლები მას ბედის საჩუქრად მიაჩნდა. მსოფლიოში სახელმოხვეჭილი და ძალიან სიმპათიური ხელოვანის მიმართ გულგრილი არავინ რჩებოდა. ვახტანგს თაყვანისმცემელ ქალბატონთა უზარმაზარი არმია ეხვია გარს, გულიც ბევრჯერ ასძგერებია სიყვარულისთვის, მაგრამ, გენიალურმა მოცეკვავემ სიყვარულისა და ოჯახური ბედნიერებისთვის ვერ შეძლო გულის ნაწილის გაღება, რადგან მთლიანად ხელოვნებას მიუძღვნა ის.


იაპონიაში



ვახტანგ ჭაბუკიანის წინაპარმა დატოვა საქართველოს ულამაზესი მთიანი მხარე – სვანეთი, ქართლში გადმოვიდა და დილომში დასახლდა. ვახტანგ ჭაბუკიანის მამა, მიხეილი, სადურგლო ხელოსნობის ოსტატი ყოფილა. ის მიხეილ რომანოვისთვის ლიკანის საზაფხულო სახლის მშენებლობაზე მიუწვევიათ სადურგლო სამუშაოების შესასრულებლად. ამ პერიოდში მიხეილმა გაიცნო ბორჯომში სამკურნალოდ ჩასული მშვენიერი ახალგაზრდა პოლონელი ქალი, ელენე კრისტიანის ასული ვაიცეროვსკაია-პლიახი და მასზე დაქორწინდა. ქართული გიმნაზიის მშენებლობისას სადურგლო სამუშაოებს ატარებდა უკვე სახელგანთქმული ხურო – მიხეილი. გიმნაზიის მშენებლობისას იქვე, ფიქრის გორაზე (ფასანაურის ქუჩაზე) მიხეილ ჭაბუკიანმა ბანკიდან გამოტანილი თანხით სახლი აიშენა. მიხეილსა და ელენეს შეეძინათ შვილები: ეკატერინე, კონსტანტინე, მარიამი, ელენე, თამარი და, ნაბოლარა – ვახტანგი... ოჯახი შრომისმოყვარე, გამრჯე, სტუმართმოყვარე, ხელგაშლილი იყო. მიხეილს ძალიან უყვარდა ძმაკაცები და მათთან პურობა. პატარა ვახტანგი საოცრად ცელქი ყოფილა. მან ბავშვობა ფიქრის გორაზე გაატარა, დარბოდა ვარაზისხევში, ჭყუმპალაობდა მდინარე ვერეში, უბნის ბიჭებთან ერთად თამაშობდა ლახტს, სალაობას, ომობანას ხის თოფებითა და ხმლებით. როდესაც ამ პატარა ტანის გამხდარ ბიჭს რაზმის უფროსობა დაავალეს, მან ისეთი გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ მისმა გუნდმა გაიმარჯვა. დამსახურებისამებრ, გულზე ჯილდო – თუნუქის ჯვარი დაჰკიდეს. ამ ამბავს თვითონ ჭაბუკიანი სიცილით იხსენებდა – ერთი კვირა ყოჩივით დავდიოდი ბიჭებშიო. 8 წლის ვახტანგი ვერაზე (ბელინსკის ქუჩაზე), მესამე დაწყებითი სკოლის მოსწავლე ხდება. ოჯახი ხელმოკლედ ცხოვრობდა. სკოლის პარალელურად, ვახტანგი შეგირდად მუშაობდა ღარიბთა შვილებისთვის მარიამ შევალიეს მიერ გახსნილ საოსტატო-სამხატვრო სახელოსნოში და შესრულებულ სამუშაოში გასამრჯელოსაც იღებდა. ის წნავდა წნელის კალათებს, პაპიე-მაშესგან აკეთებდა კოლოფებს, მუყაოსგან ხერხით ჭრიდა ფიგურებს. ვახტანგის ნამუშევარი პატარა კალათა შევალიეს მოხუცებულობაშიც ჰქონდა შენახული, როგორც ძვირფასი რელიქვია. შევალიე ატყობდა, რომ ბავშვი ნიჭიერი იყო და ცეკვისადმიც ჰქონდა მიდრეკილება, ვინაიდან, სულ ფეხის წვერებზე ტრიალებდა და ამის გამო მან ვახტანგს „ბზრიალა" შეარქვა. შევალიემ ვახტანგი თავის მეგობართან, ქორეოგრაფიული სტუდიის ხელმძღვანელთან, მარია პერინისთან გაგზავნა და დაავალა, პერინის სტუდიაში ნაძვის ხისთვის შეგირდების მიერ გაკეთებული სათამაშოები წაეღო. შევალიესა და პერინის შორის წინასწარი მოლაპარაკების თანახმად, ვახტანგი სტუდიაში შეიპატიჟეს, რათა ცეკვები ენახა. ბიჭი ამ სანახაობით მოიხიბლა. „მე ისე გამიტაცა სანახაობამ, რომ დავიწყე მოძრაობებისა და ცეკვების ცალკეული ფრაგმენტების უსასრულოდ გამეორება". მან შევალიეს პერინის სტუდიაში მოწყობა სთხოვა. შევალიე ისედაც მზად იყო, ბიჭისთვის ეს ოცნება შეესრულებინა და 12 წლის ვახტანგი პერინის ქორეოგრაფიული სტუდიის მოწაფე გახდა, თან, შევალიეს სახელოსნოშიც განაგრძობდა მუშაობას. ერთ დღეს კი შევალიემ სახელოსნოში ცეკვების დილა მოაწყო. მონაწილეები სახელოსნოს შეგირდები იყვნენ, რომლებსაც პატარა ბალეტმეისტერი ვახტანგ ჭაბუკიანი ამეცადინებდა. ვახტანგი სასტიკი და ენერგიული ბალეტმეისტერი აღმოჩნდა. გახარებული შევალიე ეუბნებოდა: ჩემო ბზრიალა, თუ ასე იმეცადინებ, პირველი ბიჭი იქნებიო. პატარა ტანის ვახტანგი, დიდი ნებისყოფის ფასად, მთელი წელი ვარჯიშობდა ძელზე, რათა მაღალი გამხდარიყო. ბურთიკაშვილი ამბობს: „მოხუცმა შევალიემ მიამბო, ვახტანგი ყოველდღე მეკითხებოდა: „დეიდა მანია, მემატება სიმაღლე თუ არა?" მე ვპასუხობდი: „იზრდები, შვილო, იზრდები. შენ ნამდვილი მარიუს პეტიპა იქნები..." ვახტანგს, ცეკვის გარდა, თეატრი და კინო უყვარდა. რადგან ბილეთის ფული არ ჰქონდა, საზრიანი და გონიერი ბიჭი ყოველთვის მოძებნიდა ხოლმე გამოსავალს სანახაობაზე მოსახვედრად: ხან თეატრის უკანა კარიდან შეიპარებოდა პატარა მსახიობებთან ერთად; ხან აგურს გაახვევდა ქაღალდში – ვითომ სასცენო კოსტიუმი მიჰქონდა; ხან გროშებს აგროვებდა... ერთხელ საკუთარი ხალათიც კი გაყიდა, რათა შესასვლელი ბილეთი შეეძინა. მოგვიანებით ვახტანგიც გამოიყვანეს სცენაზე – „აბესალომ და ეთერში" გოგოს კაბა ჩააცვეს. ვახტანგმა ეს იწყინა, მაგრამ, მოითმინა, რომ სპექტაკლი არ ჩაეშალა.


მასტერკლასი


იაპონიაში

... მამა დაუძლურდა, დედას დიდი ჯაფა დააწვა მხრებზე, კერვით გადაიღალა და ვახტანგი ცდილობდა, ოჯახისთვის ტვირთი შეემსუბუქებინა. ფიქრის გორაზე შესანიშნავ სახლში ნაცხოვრები ოჯახი, ბოლოს ვაკის რაიონის მოტიტვლებულ, ხრიოკ ადგილას, ქოხში ცხოვრობდა ორ-სამ მოსახლესთან ერთად. არც წყალი იყო, არც არაფერი. ვახტანგი ოჯახს წყლით ამარაგებდა, რომელიც შორიდან მოჰქონდა – ვაკესა და საბურთალოს შორის, ხევში მდებარე წყაროდან. ტრანსპორტი მათ საცხოვრებელ ად-


„ოტელო"


ალ. მაჭავარიანთან ერთად


ლენინგრადის სასწავლებელში


მასტერკლასი

გილამდე არ მიდიოდა და ბიჭი 5-6 კილომეტრს გადიოდა ფეხით ყოველდღე: სახლიდან სკოლაში, ვერაზე, იქიდან – შევალიეს სახელოსნოში, შემდეგ კი – პერინის სტუდიაში. პერინის ქორეოგრაფიულ სტუდიაში სწავლის პერიოდში ვახტანგმა რამდენიმე სტუდენტისგან მოცეკვავეთა ჯგუფი შეადგინა. ბალეტებიდან მოამზადა საცეკვაო ნომრები და კირკის ქუჩაზე (ახლა მარჯანიშვილის ქუჩა) მდებარე საკრებულო ბაღში გამართა საბალეტო ჯგუფის პირველი გამოსვლა. აფიშები იუწყებოდა, რომ საბალეტო ცეკვები დადგმული იყო ჭაბუკიანის მიერ. ამის შემდეგ საცეკვაო გამოსვლებს ითხოვდნენ სხვა კლუბებიც. პერინის სტუდიაში სწავლის დროს ჭაბუკიანი პრაქტიკის მისაღებად ჩარიცხეს თბილისის ოპერის თეატრში სტაჟიორად (1924-1925 წლები). ჭაბუკიანმა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე შეასრულა საკუთარი დადგმა – „ცეცხლის ცეკვა“. ამ დღეს დაიბადა იგი, როგორც მოცეკვავე და ბალეტმეისტერი. „ბედის ნებით თუ შემთხვევით, მე, 12 წლის ბიჭი, შევხვდი პერინის და მან გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. ვფიქრობ, შეიძლება, არც მოვსულიყავი ბალეტში, ჩემი ცხოვრების გზაზე რომ არ ყოფილიყო პერინი. მარია პერინი ხელმოკლე ოჯახიდან გამოსულთ, მათ შორის მეც, უფასოდ გვასწავლიდა. პერინიმ ჩემი შვილად აყვანა გადაწყვიტა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩემი მშობლები არ დაეთანხმნენ“.



ჭაბუკიანი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა. ვახტანგის და, ეკატერინე, მეუღლესთან, სამხედრო ექიმ მაქსიმ გორდონთან ერთად, ოჯახით ლენინგრადში ცხოვრობდა. მან გადაწყვიტა დახმარებოდა ძმას. იგი შეხვდა ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორს, სემიონოვს, ესაუბრა ვახტანგის შესახებ, მაგრამ, სემიონოვმა დახმარებაზე უარი უთხრა იმ მოტივით, რომ ბალეტი რჩეულთა ხვედრია – ბავშვი ხელოსანთა ოჯახიდანაა, უკვე ჭაბუკია და ვერ შეძლებს, დაძლიოს საბალეტო სიმაღლეები. საუბარი კატეგორიული უარით დამთავრდა, მაგრამ ეკატერინემ უკან არ დაიხია და თბილისში ჩამოვიდა ძმის წასაყვანად. ამავდროულად, ვახტანგმა გადაწყვიტა, გამგზავრებისათვის ფული შეეგროვებინა. მან რუსთაველის თეატრის სარდაფში მდებარე რესტორან „ქიმერიონს“ მიაშურა, სადაც თავისი მომაჯადოებელი ცეკვებით იზიდავდა ხალხს. რესტორნის დირექცია მაღალ გასამრჯელოს უხდიდა. შეაგროვა თუ არა საჭირო თანხა, დასთან ერთად გაემგზავრა ქალაქ ლენინგრადში. 1926 წლის შემოდგომის წვიმიან დღეს ვახტანგი ეკატერინესთან ერთად ლენინგრადის რკინიგზის სადგურიდან პირდაპირ როსის ქუჩისკენ გაემართა, სადაც ლენინგრადის ქორეოგრაფიული სასწავლებელი მდებარეობდა. მიმდინარეობდა მისაღები გამოცდები. საგამოცდო დარბაზიდან გამოსული დირექტორი სემიონოვი გაოცებული დარჩა მათი დანახვით: „რა, მაინც ჩამოიყვანეთ?!“ კატიამ სიტყვა მისცა, თუ ბიჭი არ მოეწონებოდათ, მაშინვე წაიყვანდა უკან, თბილისში. სემიონოვმა უკმაყოფილოდ გაიყვანა ვახტანგი საგამოცდო კომისიაზე წარსადგენად. კატია ელოდა. გავიდა 15 წუთი. უცებ დარბაზიდან გამოვიდა აღელვებული სემიონოვი და დაიძახა: „სად არის ჭაბუკიანის და?“ – მოეხვია მას და აღტაცებულმა შესძახა: „თქვენ სასწაული ჩამოიყვანეთ! ეს ჭაბუკი ყველას დაგვრჩდილავს!..”





განათლების მიღების პარალელურად, მუშაობდა. მან საკუთარი შრომით მოიძია საარსებო წყარო – კინოთეატრ „კაპიტოლიის” დირექტორმა მიიღო სამუშაოზე. იმ დროს, ხალხის მოზიდვის მიზნით, კინოსეანსებს შორის კონცერტები იმართებოდა. ჭაბუკიანი თავისი ცეკვით ისეთ ფურორს ახდენდა, რომ უამრავი ხალხი მოდიოდა კინოთეატრ „კაპიტოლიაში” გრიგალისებური ტემპერამენტის მქონე მოცეკვავის სანახავად... ჭაბუკიანს ლენინგრადის სხვა კინოთეატრების დირექტორები სთხოვდნენ, რაც შეიძლება დიდი ხნით დაედო მათთან კონტრაქტი. ჭაბუკიანის მატერიალური მდგომარეობა იმ დონეზე გამოკეთდა, რომ ის თბილისში ოჯახსაც კი უგზავნიდა ფულს“.


პირველი მაისის აღლუმზე

***P.S. ფოტოები გამოყენებულია ვახტანგ ჭაბუკიანის მუზეუმიდან.***

**ეკა პატარაია**

**(23-ე გვერდიდან)**

# ვის სახელს უკავშირდება თბილისის ფუნიკულიორის ამოქმედება და ვისი ინიციატივით აიგო ულამაზესი ვერის ხიდი

სასავადმყოფო). 1908 წელს ჩერქეზიშვილი გარდაიცვალა და მის ადგილზე ტიგრან ენკიციანცი დაინიშნა, 1911-1917 წლებში კი ქალაქის თავი ალექსანდრე ხატისოვი იყო, რომლის სახელს უკავშირდება ცნობილი მუხრანის ხიდის აგება, ხოლო ბოლო ქალაქის თავი გახლდათ ბენიამინ ჩხიკვიშვილი, რომელიც 1921 წელს მოხსნეს და მას შემდეგ თბილისში საბჭოთა


თბილისის უპოვართა სახლი (ამჟამინდელი მთაწმინდის რაიონის გამგეობის შენობა)

მთავრობის მმართველობის პერიოდი დაიწყო.

თბილისის თავები წლების მიხედვით: თომა პრიდონოვი (ფრიდონაშვილი) – 1849-1850 წლები; ზაქარია ამირაგოვი (ამირაღაშვილი) – 1851; იოსებ მირიმანოვი (მირიმანაშვილი) – 1852-1853; ავეტიკ სვეჩნიკოვი – 1854; ანდრო მანანოვი (მანანაშვილი) – 1855-1858; ვართან არშაკუნი – 1859-1861; სოლომონ მირიმანოვი (მირიმანაშვილი) – 1862-1867; ერემია არწრუნი – 1869; ნიკოლოზ ალადატოვი (ალადათაშვილი) – 1870; იასონ თუმანოვი (თუმანიშვილი) – 1871-1875; დიმიტრი ყიფიანი – 1876-1878; ალექსანდრე მატინოვი (მათიაშვილი) – 1878-1890; ნიკოლოზ არღუთაშვილი (არღუტინსკი – წყვეტებით – 1892-1904 წლები); პავლე იზმაილოვი - 1895; გიორგი ევანგულოვი - 1899-1901; მიხეილ შესტაკოვი - 1902-1903; ვასილ ჩერქეზიშვილი – 1905-1908; ტიგრან ენკიციანცი – 1909-1910; ალექსანდრე ხატისოვი – 1911-1919; ბენიამინ ჩხიკვიშვილი – 1919-1921 წლები.


მარჯანიშვილის თეატრი (თანამედროვე ხედი)

**უშანგი რუხაძე**



**სამწუხაროდ, ძალიან მომრავლდნენ ბოროტი ადამიანები. ბევრი ამას გაჭირვებულ ყოფას, მოუწყობელ კარიერას თუ პირად ცხოვრებას აბრალებს. ფაქტია, ირგვლივ ძალიან ბევრი ნეგატიური ენერგია ტრიალებს, იმატა შურმა და ღვარძლმა. სწორედ ამის დასტურია ამდენი მკვლელობა, დაჭრა თუ სამაგიეროს სხვადასხვა ფორმით გადახდა. როგორ დავიცვათ თავი ბოროტების, ნეგატიური ენერგიის ზემოქმედებისგან და რა მოვიმოქმედოთ, რომ შევიმსუბუქოთ ყოფა, ამ თემებთან დაკავშირებით ეზოთერიკოსი, ქალბატონი ნინო გვესაუბრება.**

# როდის ხდება ადამიანის ნააზრევ-ნაფიქრალის რეალურ ცხოვრებაში ახდენა და რატომ არის საშიში საცხოვრებელში უცხო ნივთის აღმოჩენა

**ნინო**: სამწუხაროდ, ბოლო დროს სამყაროში ცუდი ენერგიების შემოდინებამ იმატა, რაც ყველას დისკომფორტს უქმნის. ასევე, ბევრს ლაპარაკობენ წინასწარ განზრახულ ჯადოქრობაზე, უარყოფითი ენერგიით გაჟღენთილი ნივთების ზეგავლენაზე და ასე შემდეგ. მეც ბევრი მეკითხება, რა გავაკეთო, ცხოვრება რომ შევიმსუბუქოო.

**– ეს რეალური კითხვაა, არ მეთანხმებით?**

– გეთანხმებით და იმასაც გეტყვით, რომ, თუ გეცოდინებათ, რა არ უნდა დატოვოთ უყურადღებოდ თქვენს ირგვლივ, მაშინ საკმაოდ ადვილად შეძლებთ, პრობლემები და გაუგებრობები აიცილოთ თავიდან. მაგალითად, თუ საცხოვრებელში რამე არაბუნებრივი შეამჩნიეთ, ან, ისეთი ნივთი ნახეთ, რომელიც ადრე არასდროს გქონიათ, სასწრაფოდ იმოქმედეთ. ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ნივთმა, შესაძლოა, დიდი უბედურება მოგიტანოთ. არ არის გამორიცხული, ის უარყოფითი ენერგიით იყოს დამუხტული და რომელიმე ბოროტმა ადამიანმა თქვენს საცხოვრებელში შემოიტანა. ასევე, არ არის გამორიცხული, რომ თქვენი ცხოვრების თავდაყირა დაყენებაში სწორედ მსგავსი ნივთი იყოს დამნაშავე. ახალგაზრდობაში ერთი მეგობარი გოგონა მყავდა. ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებდით და სულ ერთად ვიყავით. ერთი ბიჭი უყვარდა და მას უნდა გაჰყოლოდა ცოლად. თითქმის ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ, ბოლო წუთს იმ ბიჭმა გადაიფიქრა და სულ სხვა შეირთო ცოლად. რამდენიმე დღეში, ჩემმა მეგობარმა სახლში იპოვა პატარა ხის სათამაშო, რომელიც ადრე არასდროს ჰქონია. მაშინვე წაუღო ის ერთ-ერთ მკითხავს, რომელიც ჩვენს უბანში ცხოვრობდა და განთქმული იყო თავისი წინასწარმეტყველებით. სწორედ იმან უთხრა, ეს ხის სათამაშო ნეგატიური ენერგიით არის გაჟღენთილი, ანუ, მოჯადოებულია და მხოლოდ შენზეა მომართული – ბოროტებით უნდა, რომ ბედი ჩაგიკეტოსო. მაშინ უარყოფით ენერგიებზე არაფერი მსმენოდა, ჯადოც გამოგონილი მეგონა. მაგრამ, ფაქტია, დღეს მის ბოროტებას ბევრი აღიარებს და, მათ შორის – მეც. ასე რომ, თუ სახლში ნახავთ ისეთ ნივთს, რომელიც არც თქვენ გეკუთვნით და არც ოჯახის რომელიმე წევრს, სასწრაფოდ მოიშორეთ თავიდან. კარგია, თუ სახლში ხშირად დაანთებთ იისფერ სანთლებს და ფანჯრებს გაალებთ – მის კვამლს, ბოროტი ენერგიაც გაჰყვება და საფრთხეც მცირდება, ამით კი გარანტირებული გექნებათ წარმატებული და მშვიდი ცხოვრება და ვერც ბოროტი ძალები მოგერევათ.

**– ძველი ხალხისგან გამიგია, რომ, თუ საცხოვრებელში უცხო ნივთს ნახავთ, ის ცეცხლის ალზე მოატარეთ და მისი უარყოფითი ენერგია განეიტრალდებაო. ამაზე რას იტყვით?**

– დიახ, უცხო ნივთი ცეცხლის ალზე უნდა მოატაროთ და მერე გამდინარე წყალში მოისროლოთ. ამით მასზე დამუხტულ ნეგატიურ ენერგიას აიცილებთ, რომელიც თქვენზე ან თქვენი ოჯახის რომელიმე წევრზეა მიმართული.

**– იმასაც ხომ ამბობენ, რომ ადამიანები საკუთარ თავს თავადვე აპროგრამებენო. ეს როგორ ხდება?**

– მართალია, ადამიანები თავადვე ვაპროგრამებთ საკუთარ თავს და მერე გვიკვირს, ეს რატომ დაგვემართა. უფრო სწორად, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ჩვენ ბევრ რამეს ვგეგმავთ. არადა, სწორედ, ამით ვაპროგრამებთ საკუთარ თავს ხან გააზრებულად, ხან – გაუაზრებლად. დაპროგრამება კი, ხდება, მაგალითად, წარმატებაზე, წარუმატებლობაზე, უბედურ შემთხვევაზე, დიდ სიხარულსა თუ მწუხარებაზე, სიყვარულსა თუ სიძულვილზე. ალბათ, გსმენიათ, რომ ადამიანის აზრსას და ფიქრსაც კი, მატერიალიზების უნარი გააჩნია. შთაგონებით, შესაძლოა, ადამიანმა საკუთარი სიკვდილიც კი გამოიწვიოს. მაგალითად, ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა ადამიანს რაიმე კონკრეტულზე უთქვამს, ოღონდ ახლა ეს გავაკეთო და მერე თუ გინდა მოვკვდეო. გაითვალისწინეთ, ასე არასდროს არ უნდა თქვათ, რადგან, ბევრს ეს ნათქვამი თუ ნააზრევ-ნაფიქრალი რეალურ ცხოვრებაში ახდენია და მართლაც უმიზეზოდ გარდაცვლილა. არადა, მერწმუნეთ, ასე საკუთარ ცხოვრებას ბევრი გეგმავს, ანუ, წარმატებას სიკვდილზე აპროგრამებს და შემდეგ უხდება კიდეც. ასე რომ, გაუაზრებელმა ფიქრმა, შესაძლოა, ადამიანის ბედი უკუღმართად შეცვალოს. სხვისი დაცინვა ან ბოროტად ნათქვამი სიტყვაც ბუმერანგივით გვიბრუნდება. ანუ, როდესაც ადამიანი სხვაზე გაუაზრებლად, თუნდაც ხუმრობით იტყვის რამეს, ის საკუთარ თავზე აუხდება. რასაკვირველია, შეიძლება ეს, ერთ საათში, ერთ დღეში და ერთ წელში არ მოხდეს, მაგრამ, მომავალში აუცილებლად ახდება. ალბათ, ხშირად გსმენიათ: „რომ მოვკვდები, მერე დავისვენებ”; „ნეტავ, მე მიმაღწევინა მაგის წლოვანებამდე”, „ნეტავ არ გადავბერდე და ახალგაზრდა წავიდე ამქვეყნიდან, რომ გული დასწყდეთ ჩემზე, გულიანად დამიტირონ”; „ნეტავი კიდევ 30 წელი მაცოცხლა და მეტი არ მინდა”; „ნეტავ, სამოცდაათ წელს მივაღწიო და მერე სიკვდილს ხელგაშლილი შევეგებები” და ასე შემდეგ. ასეთი გამონათქვამები ქვეცნობიერში არ იკარგება, ის იბეჭდება, სადაც საჭიროა და მერე მუშაობს. ამით ადამიანი აპროგრამებს თავს და შემდეგ ეს პროგრამა იწყებს ამოქმედებას ისე, როგორც ადამიანმა გაუცნობიერებლად იწინასწარმეტყველა.

**მუცლად ყოფნის დროს წინაპრებისგან ჩვენზე გადმოცემული პროგრამა, მთელი ცხოვრება გაგვყვება და, ასე ვთქვათ, ჩვენს ცხოვრებას მართავს**

**– არადა, თითქოს სპეციალური პროგრამა ადამიანს წინაპრებისგან კარმულად გადაეცემა და ის მთელი ცხოვრება მოქმედებს. გამოდის, რომ ეს ასე არ არის?**

– როცა ქალის ორგანიზმში ახალი სიცოცხლე ისახება, მას მექანიკურად გადაეცემა წინაპრების პროგრამა – თუ როგორი ბედი უნდა ჰქონდეს, რა ნიჭით დაჯილდოვდეს, როგორი ცხოვრება ექნება და ასე შემდეგ. ამ პროგრამას კი დედის მუცელში ჩასახული პაწაწინა არსება ენერგეტიკის სახით იღებს. ეს ენერგეტიკა ინფორმაციის მატარებელია და, რასაკვირველია, მუცლად ყოფნის დროს წინაპრებისგან ჩვენზე გადმოცემული პროგრამა მთელი ცხოვრება გაგვყვება, ასე ვთქვათ, ის ჩვენს ცხოვრებას მართავს. ერთი ნათესავი მყავს და, რაც თავი მახსოვს, სულ იწყევლება. შენიშვნას რომ ვაძლევთ, ეცინება – მე ასე ვიცი ბრაზის გამოხატვაო. სულ მარწმუნებდა, როცა ადამიანი თავის დაბადების დღეს წყევლის, არაფერიც არ ემუქრება, უბრალოდ, სიტყვებში თავის დარდს აყოლებს და ხმამაღლა ამბობს, რასაც განიცდის, თორემ, რა ბედი, რის ბედი, ამ სიტყვებს რა საშიშროება უნდა მოჰქონდეს მისთვისო. ბევრი ვუხსენი, ეს ასე არ არის, ცდები-მეთქი, მაგრამ, დამიჯერა?! მესმის, რომ ყოველდღიურად იმდენ პრობლემას ვაწყდებით, შეიძლება, ხშირად, გაუცნობიერებლად, გაჩენის საათიც დავიწყევლოთ და დღეც, მაგრამ, ამ გამოთქმით თავად ვიწვევთ მოსალოდნელ უბედურებას, შემდეგ კი ამაზე პასუხი სხვას არ უნდა მოვთხოვოთ. დამიჯერეთ, იმდენი წყევლა ამ ჩემმა ნათესავმა თავისი გაჩენის დღე და საათი, რომ რამდენიმე დღის წინ, ტვინში სისხლის გაჟონვა დაემართა, ხელფეხი გაუჩერდა და ახლა საწოლზეა მიჯაჭვული. თუ ჩემი გჯერათ, ყველას გაფრთხილებთ: ნურასდროს დაწყევლით დაბადების დღეს და საათს, ნურასდროს დაიწუწუნებთ საკუთარ ბედზე და, ეცადეთ, წუწუნისა და ბედის ჩივილის გარეშე მოაგვაროთ ყოველდღიური პრობლემები.

**ნონა დათეშიძე**

## სტაბილიზაციის ეტაპი

ცხოვრება სავსეა უსიამოვნო მოულოდნელობებით. წინასწარ არავინ იცის, როგორი იქნება მისი ხვალინდელი დღე. ახლა თუ კარგად ხართ და თავდავიწყებამდე გიყვართ ერთმანეთი, არ არის გამორიცხული, ხვალ განშორების მომენტი დადგეს. ნებისმიერმა უნდა იცოდეს, რომ ასეთი სიტუაციებისთვის მზად იყოს.

განშორებისგან მიღებული სტრესი სხვადასხვა ხანგრძლივობისაა. ამან შესაძლოა, გასტანოს ერთი, ორი, სამი კვირა ან რამდენიმე თვეც კი. მოვლენებს ვერც დააჩქარებ, ვერც შეანელებ. ყველაფერი ბუნებრივად ხდება. ინდივიდუალურად და სპეციფიკურად... ზუსტად ისე აალდება ხოლმე და იწვის ემოციების კოცონი, როგორც ჩვეულებრივი ხის ტოტების. საჭიროა, ბევრი ენერგია და მცდელობა, რომ შევძლოთ ჩვენი ემოციების მართვა.

არსებობს ერთი – სტაბილიზაციის ეტაპი, რომელიც გარდაუვალია ყოველი განშორებისას. ეს არის დრო, როცა სტრესით დაღლილები ნელ-ნელა ვეგუებით ახალ მდგომარეობას და ვცდილობთ, მივიღოთ ახალი რეალობაც. უებარი წამალია აკეთო ჩვეული რაღაცეები განსხვავებულად. ეს იმას ნიშნავს, რომ შეცვალო დღის განრიგი, რეჟიმი და გართობის სტილი. აუცილებელია გაერთოთ, თუმცა ჭკვიანურად. დადგა დრო, ლიმონისგან ლიმონათი გააკეთოთ – ეს ხუმრობით. ისე კი, პოზიტივს ყველაფრისგან და ყველაფერში იპოვით. მთავარია, შეწყვიტოთ გლოვა, თვითგვემა და იფიქროთ მხოლოდ საკუთარ „მე“-ზე. აღარ გაფლანგოთ დრო იმ ადამიანის გამო, ვინც არ იმსახურებს თქვენს ყურადღებას.

სტაბილიზაციის ეტაპი მოიტანს აღმავლობის ეტაპსაც, რასაც დამსახურებული ბედნიერებაც მოჰყვება.

## ზღაპრები... ზღაპრები...

ზღაპრებს ბავშვობაში ყველანი ვუსმენდით. დიდებიც არ ვამბობთ უარს, რომ ზოგჯერ, თუნდაც მცირე ხნით დავბრუნდეთ ბავშვობაში. გავიხალისოთ და გავიფერადოთ ნაცრისფერი ყოველდღიურობა. მაგრამ... ზღაპრებზე მეტისმეტი აყოლიება სასურველი არ არის. მათ საკმაოდ დიდი ძალა აქვთ. ასევე, ახდენს გავლენას ადამიანის ფსიქიკაზე. განსაკუთრებით იმათზე, ვისთვისაც ოცნება დამახასიათებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მაშინაც კი, როცა უკვე დიდები და დაბრძენებულები ვართ, ანუ გვაქვს საკუთარი რეალობა, არცთუ იშვიათად, იმ რეალობისკენ მივიწევთ, რომელსაც ზღაპარი გვთავაზობდა. შეიძლება თქვათ, რა არის ამაში ცუდიო... ცუდი ის არის, რომ რეალობასთან აცდენას ყოველთვის სავალალო შედეგებამდე მივყავართ. გვიჩნდება შიშები არარსებული საფრთხეების მიმართ. ასევე, იმ წვრილმანების მიმართ, რომლებიც მუდმივად ჩნდება ყოველდღიურობაში.

ზღაპარში „ჩარჩენას“ კიდევ ერთი ძალიან ცუდი თვისება აქვს: ის მუდმივი მოლოდინის რეჟიმში გვამყოფებს, რომ ყველაფერი თავისით მოგვარდება. გვაკარგვინებს საკუთარი შესაძლებლობების რწმენას და უმოქმედობისკენ გვიბიძგებს.

დროა, ზღაპრები ბავშვებს დავუტოვოთ და ვეცადოთ, ისინიც მეტისმეტად არ გავხვიოთ ამ ჯადოსნურ, გამაბრუებელ სამყაროში. თავიდანვე აუხსენით მათ და შესაბამისად, განუმარტეთ საკუთარ თავსაც, რომ ზღაპარი კარგია, მაგრამ ყველა ადამიანს თავისი, ინდივიდუალური რეალობა აქვს...

## ასეთი მინდა

როგორი ქალები მოსწონთ მამაკაცებს უფრო ხშირად? – ერთი შეხედვით, თითქოს ისე ჩანს, კაცისთვის ქალის შეფასების მთავარი კრიტერიუმი მისი გარეგნობაა. გრძელი ფეხები, მკერდი, თეძოები და ასე შემდეგ. მაგრამ ხასიათს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებია, მით უფრო, როცა საქმე სერიოზულ ურთიერთობას ეხება.

ფსიქოლოგების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კაცისთვის მეუღლედ მისაღებია ქალი, რომელიც ახლოს იქნება დედამისის სტერეოტიპთან. მაგრამ რეალობა ჯიუტად ამტკიცებს: მამაკაცები სულ უფრო ხშირად ებმებიან ავანტურისტი, პრინციპული, უშიშარი, ჯიუტი, ტემპერამენტიანი და ჭკვიანი ქალების ბადეში. ერთგულება, სიკეთე, მორიდებულობა და კეთილშობილება სულაც არ არის თვალშისაცემი ღირსებები. როგორც წესი, ხშირად ამ თვისებებით გამორჩეული ქალები ჩრდილში რჩებიან ხოლმე. მამაკაცი ბუნებით მონადირეა და წარმოუდგენელია, არ მოსწონდეს აქტიური, მიზანდასახული, უშიშარი და მოქნილი პარტნიორი.

ასე რომ, დროა, დაიწყოთ საკუთარი თავისთვის და საკუთარი სურვილებისთვის ბრძოლა. დაცვა სჭირდება როგორც თქვენს ცხოვრებისეულ არჩევანს, ისე თქვენს სიყვარულს. მამაკაცმა შესაძლოა, არ დააფასოს ეს, მაგრამ დაგემორჩილებათ და დაგნებდებათ. ანუ, მიზანი მიღწეული იქნება. მამაკაცი აუცილებლად იტყვის: აი, ასეთი ქალი მინდა და არავის დაუთმობს თქვენს თავს.

## ბრძოლა წესების გარეშე

„ძვირფასო, ჩვენ ხომ არასოდეს ვიჩხუბებთ?!“ – გულუბრყვილო შეკითხვა, ზოგჯერ სერიოზულ „აფეთქებებს“ იწვევს. თანაც მთვარეზე კი არა, ჩვენს რეალურ ცხოვრებაში. ფაქტია, რომ მამაკაცები და ქალები ვერასოდეს იცხოვრებენ მშვიდად და ჰარმონიულად ერთ სივრცეში. რამდენი კვლევაც უნდა ჩატარდეს, რამდენიც უნდა ვიჩხუბოთ და ვიკამათოთ, რაც არის, იმას ვერსად წავუვალთ. შედეგი ყოველთვის ერთნაირი იქნება: ძლიერი სქესის წარმომადგენლები აშკარად ახდენენ იმის დემონსტრირებას, რომ ქალებზე ჭკვიანები, წარმატებულები და ძლიერები არიან. სამწუხარო ის არის, რომ ამ უპირატესობებს ერთპიროვნული ლიდერობისთვის ბრძოლაში იყენებენ. არ უნდათ, დაინახონ უამრავი წარმატებული ქალი, რომელიც მათ არაფრით ჩამოუვარდებათ. სხვათა შორის, მამაკაცები დიდი ხანია, კარგავენ ლიდერის პოზიციებს როგორც ჰუმანიტარულ, ისე ტექნიკურ სფეროებში. საზოგადოებაში ქალის როლი ისეთი გააქტიურებულია, როგორც არასოდეს და ამით საზოგადოება მხოლოდ იგებს.

თქვენ როგორ გგონიათ, ამ ყველაფრის



შესახებ კაცებმა არ იციან? რა თქმა უნდა, იციან და ბრძოლას აკრძალული წესებით განაგრძობენ. სულაც არ ცდილობენ, შეინარჩუნონ ძლიერი სქესისთვის დამახასიათებელი ღირსება. სამწუხაროდ, მამაკაცებს ავიწყდებათ, რომ ქალები არასოდეს ჩაებმებიან ბრძოლაში იმ კაცის წინააღმდეგ, რომელსაც რაინდის თვისებები აქვს!

**გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# რა შემთხვევაში იცვამს „იღბლიან ტრუსებს“ კოლინ ფარელი და რომელი დაავადება დაუდგინეს მას 12 წლის ასაკში

***მსოფლიო კინოს ირლანდიელი სექს-სიმბოლო და პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი მამაკაცი, კოლინ ფარელი, უკანასკნელი ათწლეულის საუკეთესო მსახიობია, რომელსაც ჰოლივუდის მსხვილბიუჯეტიან ბლოკბასტერებში იწვევენ. მსახიობს არაერთი თაყვანისმცემელი ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ამიტომ, გთავაზობთ მის მოკლე ავტობიოგრაფიას ფაქტების სახით:***

* სრული სახელი და გვარი: კოლინ ჯეიმს ფარელი.

* დაიბადა 1976 წლის 31 მაისს, დუბლინში.

* ჰყავს სამი და-ძმა: უფროსი ძმა – იმონ-უფროსი და დები: კლოდინი და კეტრინი.

* 12 წლის ასაკში კოლინ ფარელს ქრონიკული უძილობა დაუდგინეს. მსახიობი დღემდე იტანჯება ამ სენისგან და გადასულია ღამის ცხოვრებაზე – ღამის განმავლობაში ის რამდენიმე კლუბსა და წვეულებას იცვლის.

* 17 წლის ასაკში კოლინ ფარელი მასწავლებლის ცემის გამო გამოაგდეს სკოლიდან. მასწავლებელმა გაკვეთილზე ჩაძინებულ კოლინს შენიშვნა მისცა, რის გამოც ბიჭმა მას სახეში, ხელი გაარტყა. ამ ინციდენტის შემდეგ კოლინ ფარელი ერთი წელი ავსტრალიაში ცხოვრობდა.

* კოლინი პროფესიონალი ფეხბურთელია, იგი ირლანდიური კლუბის – „შემროკ როვერსის” ნახევარმცველის, იმონ ფარელისა და დიასახლისი რიტა ფარელის მეოთხე შვილია.

* 2003 წელს ჟურნალმა „ფიფლმა” კოლინ ფარელი პლანეტის 50 ყველაზე ლამაზ ადამიანს შორის დაასახელა.

* კოლინ ფარელს გავლილი აქვს ქასთინგი პოპ-ჯგუფ „ბოიზონში” მოსახვედრად, მაგრამ, მისი ვოკალური მონაცემები არ ცნეს სათანადოდ.

* 1997 წელს კოლინ ფარელმა რამდენიმე თვე გაატარა ცეკვის ანსამბლთან ერთად. იგი ირლანდიაში და დიდ ბრიტანეთში გასტროლირებდა.

* კოლინ ფარელის კანდიდატურა განიხილებოდა ჯეიმს ბონდის როლზე, მაგრამ, საბოლოოდ, აგენტი 007 შოტლანდიელი დანიელ კრეიგი გახდა.

* კოლინ ფარელს ორი შვილი ჰყავს: მოდელ კიმ ბორდენევისგან ვაჟი – ჯეიმსი და პოლონელი მსახიობისა და მომღერლისგან ალიცია ბაჰლედისგან ვაჟი ტადეუშ ჰენრი.

* კოლინ ფარელის სიმაღლე 178 სმ-ია.

* კოლინის მავნე ჩვევებიდან აღსანიშნავია სიგარეტის მოწევა – ის დღეში 2-3 კოლოფს ეწევა.

* მისი საყვარელი წიგნია „როდესაც ნიცშე ატირდა” (ავტორი – ირვინ იალომი), მსახიობებიდან კი კოლინის კერპი ალ პაჩინოა, რომელთან ერთადაც მან ფილმში „რეკრუტი” ითამაშა.

* ინგლისურის გარდა კოლინ ფარელი გერმანულ და ფრანგულ ენებსაც ფლობს.



2003 წელს ჟურნალმა „ფიფლმა” კოლინ ფარელი პლანეტის 50 ყველაზე ლამაზ ადამიანს შორის დაასახელა

* კარიერის დასაწყისში კოლინ ფარელს თავისი ირლანდიური აქცენტის დამალვა უხდებოდა. ერთადერთი ფილმი, სადაც მას აქცენტი გამოადგა, იყო მძაფრსიუჟეტიანი „თავზეხელაღებული”, სადაც კოლინმა ბენ აფლეკის გმირის მოწინააღმდეგე განასახიერა.

* ლეგენდის თანახმად, ყოველი ახალი გადაღებების პირველ დღეს კოლინ ფარელი იცვამს „იღბლიან ტრუსებს”, რომელსაც მუდამ თან დაატარებს ჩემოდნით.

* კოლინ ფარელის საყვარელი ლუდის მარკაა „კარლსბერგი”.

* კოლინ ფარელის ჰონორარი 8 მილიონ დოლარზე ნაკლებს არ შეადგენს, უმეტესად იგი 12-15 მილიონ დოლარს იღებს ერთ ფილმში.

* ისტორიული დრამის – „ალექსანდრეს” გადაღებების დროს, კოლინ ფარელი დათვრა, კიბიდან ჩამოვარდა და ფეხი დაიზიანა, რის გამოც გადაღებების ერთი კვირით გადადება გახდა აუცილებელი.

* „ჰარტის ომის” გადაღებების დროს კოლინ ფარელმა თავის პარტნიორს, ბრიუს უილისს, გადამღები ჯგუფის თვალწინ შენიშვნა მისცა იმის გამო, რომ ვარსკვლავს საკუთარი რეპლიკები ავიწყდებოდა და გადაღების პროცესს აფერხებდა.

* სხვადასხვა დროს კოლინ ფარელს რომანები ჰქონდა ანჯელინა ჯოლისთან, ბრიტნი სპირსთან და როზარიო დოუსონთან.

* კოლინ ფარელმა სულ რაღაც ოთხ წელიწადში გაიარა გზა უცნობი მსახიობობიდან ჰოლივუდის ვარსკვლავობამდე, რაც ჰოლივუდისთვის დიდი იშვიათობაა.

* ფილმ „ამერიკელი გმირების” გადაღებებისთვის კოლინ ფარელი 6 კვირის განმავლობაში ვარჯიშობდა ცხენით ჯირითში.

* ბავშვობაში კოლინ ფარელი პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერაზე ოცნებობდა. მისი მამა და ბიძა, იმონ და ტომ ფარელები, 1960-იან წლებში „შემროკ როვერსში” თამაშობდნენ.

* კოლინ ფარელს წყლის შიში აქვს. ცნობილია, რომ მსახიობი არ ცურავს – მას პანიკა ეწყება, როგორც კი ღრმად შედის წყალში. გარდა ამისა, ჰოლივუდში ბევრს ქილიკობენ იმაზე, რომ წყლის შიშის გამო კოლინ ფარელს ბანაობაც არ უყვარს.

* ჰონორარი, რომელიც კოლინ ფარელმა მიიღო ფილმისთვის – „დოქტორ პარნასუსის გამოგონებანი,” ჯონი დეპთან და ჯუდ ლოუსთან ერთად, მან ჰიტ ლეჯერის ქალიშვილის, მატილდას ანგარიშზე გადარიცხა.

* თავდაპირველად ფილმში „სატელეფონო ჯიხური” მთავარი როლის შემსრულებლად ჯიმ კერის, მელ გიბსონს, უილ სმიტსა და ტონი კერტისს იწვევდნენ, მაგრამ, საბოლოოდ როლი კოლინ ფარელს შეხვდა.

* 2001 წელს კოლინ ფარელი დაქორწინდა მსახიობ ამელია უორნერზე, მაგრამ, იმავე წლის ნოემბერში ისინი განქორწინდნენ.

* 2011 წელს ბევრ საუბრობდნენ კოლინ ფარელის და რიჰანას შესაძლო რომანზე, თითქოს კოლინმა მას თავისი შვილებიც კი გააცნო, მაგრამ, საბოლოოდ, მათი რომანის შესახებ ტყუილი გამოდგა.

* კოლინ ფარელი თავის პირველ ქასთინგზე ორ წუთსაც ვერ გაჩერდა. რეჟისორმა ის გაუშვა და ამის გამო კოლინი უგონოდ დათვრა. როდესაც ერთი კვირის თავზე მას კვლავ დაურეკეს და მიიწვიეს იმავე ქასთინგზე, მან კვლავ უზომოდ დალია, ოღონდ, ამჯერად, სიხარულისგან.

* კოლინ ფარელს არ უყვარს სპორტულ დარბაზში სიარული და ვარჯიში.

* კოლინ ფარელს რამდენიმე ტატუ აქვს: პირველი ცოლის ამელია უორნერის სახელი აწერია მარჯვენა ხელის უსახელო თითზე, ჯვარი მხარზე და სხვები.

* 2006 წელს კოლინ ფარელმა სასამართლოში უჩივლა თავის ყოფილ მეგობარ გოგოს ნიკოლ ნარაინს, იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა ინტერნეტში მათი ინტიმური ურთიერთობის ვიდეო განათავსა.

* ფრანგმა მომღერალმა სედრიკ გოტიემ დაწერა სიმღერა „მინდა ვიყო კოლინ ფარელი”, რომელიც ჰოლივუდის ვარსკვლავს მიუძღვნა.

* კოლინ ფარელი ძირითადად დუბლინში ან ლოს-ანჯელესში ცხოვრობს.

* კოლინ ფარელის ჰონორარები: „ჰარტის ომი” – 2 მილიონი დოლარი; „რეკრუტი” – 5 მილიონი დოლარი; „ალექსანდრე” – 10 მილიონი დოლარი; „მაიამის პოლიცია” – 10 მილიონი დოლარი.

**უშანგი რუხაძე**



ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.................................
მარიკა 599 24 28 31

# რატომ გაუგზავნა სტალინმა ჩერჩილსა და რუზველტს ქართული ჭაჭა



იოსებ სტალინი, შეძლებისდაგვარად, ცდილობდა, რომ უცხოელი პოლიტიკოსებისა თუ დელეგატებისთვის საქართველო გაეცნო. იალტის კონფერენციის მსვლელობისას, დიდი სამეულის ერთ-ერთ მორიგ სადილზე, სტალინმა ქართული მშრალი ღვინო შეაქო. იცით რა არის ჭაჭის არაყი? – ჰკითხა ამის შემდეგ რუზველტსა და ჩერჩილს. რა თქმა უნდა, მათ გაგონილიც არ ჰქონდათ ჭაჭის არაყის შესახებ. ქართული ჭაჭის არაყი საუკეთესოა ყველა არყებს შორის, თუმცა, მე არ ვსვამ, მსუბუქი მშრალი ღვინის მოყვარული უფრო ვარ, – განაგრძო სტალინმა. ამ საუბრის შემდეგ ჩერჩილმა სტალინს ჰკითხა როდის დავლიოთ ჭაჭის არაყიო. სტალინმა აღუქვა, რომ უახლოეს დღეებში შეეცდებოდა, სტუმრებითვის ჭაჭის არაყი დაეგემოვნებინებინა. მეორე დღეს, ჩერჩილსა და რუზველტს გადასცეს ბელადისგან გაგზავნილი ქართული არაყი – ჭაჭა.

მრავალი მაგალითი მოიძებნება ბელადის ბიოგრაფიაში, თუ როგორ უწევდა ის საქართველოსა და ქართველ ხალხს, ქართულ ტრადიციებსა და ქართულ ზნე-ჩვეულებებს პროპაგანდას. 1951-1952 წლებში მოსკოვში დასასვენებლად და სამკურნალოდ ჩამობრძანდა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ტეროზი. ის რამდენჯერმე მოინახულა სტალინმა. მათ ერთ-ერთ შეხვედრას მოლოტოვიც იხსენებს. ფრანგმა სტუმარმა და სტალინმა კარგა ხანს ისაუბრეს, – წერს ის. საუბარი საქართველოზეც ჩამოვარდა. ცხადია, თქვენ ნამყოფიც არ ხართ საქართველოში, ამხანაგო ტეროზ, არ გსურთ იქ ჩასვლა? – დაინტერესდა ბელადი. ჩემი ოცნებაა მოვინახულო ქვეყანა, სადაც თქვენ დაიბადეთ და გაიზარდეთ – უპასუხა ტეროზმა. თუ ასეა, ხელს რა გიშლით? – დაინტერესდა სტალინი. ჯანმრთელობის გარდა არაფერი – იყო პასუხი. ბელადმა დაარწმუნა ტეროზი, რომ ის იმდენად გამოჯანმრთელდა, საქართველოში ჩასვლას შესძლებდა. თან, ცნობისმოყვარეობაც გაუღვივა, ქართველები ჩინებულ მასპინძლობას გაგიწევენო.

გარკვეული ხნის შემდეგ ტეროზმა მართლაც იმოგზაურა საქართველოში და კარგა ხანიც დაჰყო ბელადის სამშობლოში. ამის შემდეგ კვლავ შედგა ბელადისა და ფრანგი სტუმრის შეხვედრა. ტეროზი მოხიბლული იყო, აქებდა ქართულ ჭედურობას, ფიროსმანს, ფუნიკულიორს... კარგია, კმაყოფილი დარჩა ბელადი და ტეროზს შესთავაზა, მოდი, საქართველოს სადღეგრძელო დავლიოთო. დიდი სიამოვნებით შევსვამ საქართველოსა და ქართველი ხალხის სადღეგრძელოს, – თქვა მან, ღვინით სავსე ჭიქას წამოვლო ხელი და წამოდგა. ბრძანდებოდეთ, – უთხრა ბელადმა. ამხანაგო სტალინ, ნება მიბოძეთ, ამ შემთხვევაში არ დაგემორჩილოთ. სტალინიც აღარ შეეწინააღმდეგა. ტეროზმა ერთ სადღეგრძელოში ჩამოაყალიბა, რაც კი რამ ჰქონდა საქართველოს შესახებ გაგონილი: თუ როგორ მოიხიბლა მოგზაურობისას ამ ქვეყნით, მისი სტუმართმოყვარეობით, კულტურითა და ისტორიით, „ვეფხისტყაოსნით". იდიდოს და იდღეგრძელოს ქართველმა ხალხმა, ამ სიტყვებით გამოცალა სასმისი ტეროზმა. შემდეგ ჭიქა ამოატრიალა და დასძინა: ასე მტერი და ორგული დაეცალოს საქართველოსა და ქართველ ხალხსო. „ამინ!" – არ დააყოვნა სტალინმაც. ასე, ფეხზე წამოდგომით განსაკუთრებულ სადღეგრძელოს სვამენ ქართველები, სადღეგრძელოს წარმოთქმის შემდეგ კი სასმისში წვეთს არ ტოვებენ. მეც საქართველოში მასწავლეს ეს ყოველივეო, უთხრა ტეროზმა სტალინს.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლება ცუდად იყო განწყობილი დიდი ქართველი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის მიმართ. 1926 წელს ის აიძულეს, გადამგარიყო მისივე დაარსებული – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობიდან. მათი ძალისხმევით, დიდმა მეცნიერმა თითქოსდა ავადმყოფობის გამო, დატოვა ეს თანამდებობდა. 30-იან წლებში ჯავახიშვილი გააკრიტიკეს, მიწასთან გაასწორეს და შეიძლება ითქვას, იდეოლოგიურად ჩაქოლეს. მაშინდელ შსს სახალხო კომისრის მოადგილე ლავრენტი ბერიას მოხსენება გაუგზავნეს, რომელშიც ვკითხულობთ, რომ უნივერისტეტში დიდი არარეგალური ორგანიზაცია „აღმოაჩინეს". „ძიების ყოველმხრივ შემოწმებული მასალებით დადგენილია, რომ იდეოლოგი და შთამაგონებელი ამ კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციისა, მთელი მისი ანტისაბჭოთა საქმიანობის განმავლობაში, გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, რომელმაც თავის გარშემო შეაკოწიწა ქართული ინტელიგენციის ყველაზე რეაქციულად განწყობილი ნაციონალური ნაწილი. კონტრრევოლუციურ ფაშისტური ორგანიზაციის რიგი დაპატიმრებული მონაწილე ხელმძღვანელობის ჩვენებებით, ასევე დადგენილია, რომ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, არის რა დაკავშირებული ფაშისტური გერმანიის მთავრობის წევრებთან, ახორციელებს აქტიურ ჯაშუშურ საქმიანობას გერმანიის დაზვერვის სასარგებლოდ. დაბოლოს... კონტრრევოლუციურ-ფაშისტური ორგანიზაციის დაპატიმრებულმა ერთ-ერთმა მთავარმა მონაწილემ მთლიანად აღიარა თავისი საქმიანობა, სავსებით დაადასტურა ჩვენს ხელთ არსებული ყველა მასალა ივანე ჯავახიშვილის ფაშისტური საქმიანობის შესახებ," – ვკითხულობთ მოხსენებაში.

**სტალინმა ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის საქართველოს სახელმწიფო ანსამბლი ვერ აღმოაჩინა პირველი ხარისხის პრემიაზე წარდგენილთა სიაში. როდესაც მიზეზი იკითხა, უპასუხეს: კენჭისყრისას ხმა არ ეყოო. ჩემი ხმა თუ ეყოფაო, – ორაზროვნად უკითხავს სტალინს**

ივანე ჯავახიშვილი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილით დასჯას. ამგვარ მძიმე სიტუაციაში ვიღაცამ ივანე ჯავახიშვილის ამბავი სტალინს აცნობა. სტალინმა კრემლიდან თითი დაუქნია: ქართველებს მაგის ტოლი მეცნიერი სხვა ვინ გყავთო?! ასე გადაურჩა სცნობილი ისტორიკოსი დაპატიმრებას და „სუკის" ჯურღმულში სიკვდილს. ბელადის ამ ცნობილი ჩარევის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილის გარშემო სიტუაცია დათბა. ამის გამოხატულება იყო ის, რომ 1939 წელს დიდი ისტორიკოსი აკადემიკოსად აირჩიეს.

როგორც ცნობილია, ბელადთან ყოველთვის წინასწარ შეჰქონდათ ხელმოსაწერად სტალინური პრემიით დასაჯილდოებელთა სია. ერთხელ მან ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის საქართველოს სახელმწიფო ანსამბლი ვერ აღმოაჩინა პირველი ხარისხის პრემიაზე წარდგენილთა სიაში. როდესაც მიზეზი იკითხა, უპასუხეს: კენჭისყრისას ხმა არ ეყოო. ჩემი ხმა თუ ეყოფა? – ორაზროვნად უკითხავს სტალინს. ასე მიენიჭა, მართლაც სახელოვან ანსამბლს პირველი ხარისხის პრემია.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან".*

**კურტ ვონეგუტი**

# რას უნდა მიაქციოთ ყურადღება კონკრეტულ თვეში დაბადებულ ადამიანთან ურთიერთობისას

***კონკრეტულ თვეში დაბადებული ადამიანები თავიანთი სახასიათო შტრიხებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან ასტროლოგიურად და, თუ გეცოდინებათ, რომელ თვეში დაბადებულ ადამიანს რა ხასიათი აქვს, მაშინ მასთან ურთიერთობა საკმაოდ გაგიადვილდებათ.***

**იანვარში** დაბადებული ადამიანი არ არის მომთხოვნი, არც საკვებისა და ჩაცმის მიმართ ამჟღავნებს პრეტენზიას. კმაყოფილდება იმით, რაც აქვს. ავტორიტეტულ და გავლენიან ადამიანებთან ურთიერთობისას ის მეტ გამოცდილებასა და ცოდნას იძენს. ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ, არ უყვარს ზედმეტი კრიტიკა და, ცდილობს, არც სხვა გააკრიტიკოს. ხშირად უჩნდება სურვილი, განმარტოვდეს და დაფიქრდეს წარსულსა თუ მომავალზე.

**თებერვალში** დაბადებული ადამიანები კარგად ერკვევიან ცხოვრებისეულ საკითხებში. ისინი გაწონასწორებულები და გონებამახვილები არიან. არასდროს იბრძვიან დიდების მოსაპოვებლად. სერიოზულ ემოციურ პრობლემას ხშირად უქმნით ახლობელ ადამიანებთან დაპირისპირება. თებერვალში დაბადებულები განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ იმის მიმართ, თუ რას ამბობენ მათზე უცხო ადამიანებიც კი, ანუ, მათთვის მნიშვნელოვანია მათი აზრი. ისინი კარგი მრჩევლები არიან მეგობრებისა და ოჯახის წევრებისთვის. უყვართ, როცა საზოგადოებაში მათ ამჩნევენ.

**მარტში** დაბადებული ადამიანები გონებამახვილობითა და იუმორის გრძნობით აშკარად გამორჩეულები არიან და ყველა ადამიანთან შეუძლიათ საერთო ენის გამონახვა. ჰუმანიტარული საგნები უფრო იზიდავთ, ვიდრე ტექნიკური. ხშირად სწყდებიან რეალურ სამყაროს და ფანტაზიებში ოქროს კოშკებს აგებენ. ამ თვეში დაბადებულ ადამიანებთან ურთიერთობა დადებით ემოციებსა და განცდებს იწვევს. ისინი არ უჩივიან თაყვანისმცემლების უყურადღებობას, თუმცა, ოჯახურ სფეროში იშვიათად უმართლებთ. თუ მოინდომებენ, თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენენ.

**აპრილში** დაბადებულები იმპულსურობითა და მებრძოლი სულისკვეთებით გამოირჩევიან. მათ გარშემო ბევრია მტრულად განწყობილი და შურიანი. გარემოება ხშირად აძლევს მათ შანსს, მატერიალური დოვლათი მოიპოვონ. მთავარია, საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდნენ. თუ მიზანს დაისახავენ, ყოველთვის მიაღწევენ. არ უყვართ, როცა ატყუებენ და ამით სარგებლობენ. ამის გამო, შესაძლოა, მათი ქმედება უკონტროლო გახდეს და ყველაზე საყვარელი ადამიანიც კი სამუდამოდ დაივიწყონ.

**მაისში** დაბადებულები ვერ იტანენ თავისუფლების შეზღუდვას. ისინი ცდილობენ, არ ეკონტაქტონ თავისზე განათლებულებს, რომ მათ გვერდით უმწეონი არ გამოჩნდნენ. ერთი შეხედვით, წყნარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებენ, მაგრამ, თუ გაბრაზდნენ, დიდხანს ვერ დაამშვიდებთ, ტკბილი სიტყვით კი ნებისმიერ საქმეს გააკეთებინებთ. ამ თვეში დაბადებულებს ხშირად ბედში არ უმართლებთ. არ არიან ზედმეტად მომთხოვნები და აკმაყოფილებთ ის მცირედიც კი, რაც გააჩნიათ. თუმცა, უკეთესී მომავალზე ფიქრს არასდროს გაურბიან და, სჯერათ, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

**ივნისში** დაბადებული ადამიანები ნიჭიერები, მაგრამ ზარმაცები არიან. ახასიათებთ ექსტრავაგანტური და არაორდინარული ქმედებები. აქვთ მატერიალური დოვლათის დაგროვების ნიჭი. პატივს სცემენ ტრადიციებს, წინაპრების ხსოვნას და იცავენ ადათ-წესებს. ოჯახის წევრების მიმართ გამოხატავენ სითბოს. უყვართ ანტიკვარული ნივთები და მოდურად ჩაცმა. ცოტა მშიშრები არიან და ამის გამო ცხოვრებაში ხშირად უწევთ უკან დახევა. ისმენენ სხვების აზრს, მაგრამ, იშვიათად ან საერთოდ არ ითვალისწინებენ.

**ივლისში** დაბადებული ადამიანი ბუნებით თბილია, ცდილობს, არავის აწყენინოს და ყველასთან კარგი ურთიერთობა დაამყაროს. თუ ის სპეციალობა აირჩია, რაც გულით უნდა, ადვილად მიაღწევს წარმატებას. ხშირ შემთხვევაში, ბედში არ უმართლებს და, არ არის გამორიცხული, რამდენჯერმე იქორწინოს. ერიდება კონფლიქტურ სიტუაციებს, აყალმაყალსა და ჩხუბს. ჯანმრთელობის მხრივ სუსტია და ამის გამო ხშირად ავადმყოფობს, რაც მის პროფესიონალიზმს აფერხებს.

**აგვისტოში** დაბადებული ადამიანები კონფლიქტური ხასიათით გამოირჩევიან. უყვართ დამოუკიდებელი ცხოვრება და ხშირად ოჯახის წევრებისგან ცალკე არჩევენ ცხოვრებას. ასაკში კი ფინანსურ კეთილდღეობას აღწევენ. უჭირთ ცხოვრების თანამგზავრის არჩევა და სასიყვარულო-რომანტიკულ ურთიერთობებში ხშირად უშვებენ შეცდომებს. ცხოვრებაში ბევრი კრიზისული პერიოდი აქვთ, მაგრამ, ამის გამო დეპრესიაში არ ვარდებიან. ცდილობენ, საკუთარი შრომისუნარიანობითა და მებრძოლი სულისკვეთებით გადალახონ ბარიერები და წინაღობები.

**სექტემბერში** დაბადებულები ხშირად ხვდებიან საკამათო სიტუაციებში, რაც მათი ბუნების ბრალია. ჭკვიანები არიან და, თუ სწორად აირჩიეს პროფესია, მათგან კარგი ორატორები, მეცნიერები და პოლიტიკოსები დგებიან. ცხოვრების პირველ ნახევარში შედარებით ბევრ პრობლემას აწყდებიან და ბედსაც უჩივიან, თუმცა ცხოვრების მეორე ნახევარი მეტად იღბლიანი და წარმატებულია მათთვის. პარტნიორები და მეგობრები არასდროს აქცევენ ზურგს და, მათი დახმარებით, საქმესა თუ ბიზნესში წარმატებებს აღწევენ.

**ოქტომბერში** დაბადებული ადამიანი დახვეწილი გემოვნებით გამოირჩევა. სადაც შედის, სიხალისე, ჰარმონია და იდილია შეაქვს. სახელმწიფო სამსახურში ის დიდ წარმატებებს აღწევს და გარშემო მყოფებშიც კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. უყვარს ახლობლების, მეგობრებისა და ოჯახის წევრებისთვის დახმარების გაწევა. ცხოვრებაში სულ ძიებაშია და მიღწეული არასდროს კმაყოფილდება. საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულია.

**ნოემბერში** დაბადებულ ადამიანს გამუდმებით უწევს ახლობლებზე ზრუნვა და დახმარების გაწევა. გარშემო მყოფებში თავისი აქტიურობითა და მიზანდასახულობით გამოირჩევა. ადვილად ამჩნევს ფარულ მტრებს და ყოველთვის აცრხებს, იყოს მათზე ძლიერი. შეუძლია, დიდ წარმატებებს მიაღწიოს საკუთარი ძალებით და არა სხვების დახმარებით. თუმცა, შესაძლოა, პატარა წარუმატებლობამაც კი დეპრესიაში ჩააგდოს. არ არის გამორიცხული, სიყვარულში ხშირად შეცდეს და ეს მისი დამყოლი ბუნების ბრალია. საყვარელ ადამიანთან ის მხოლოდ გრძნობით მოქმედებს და გონების კარნახს ხშირად უკეთესს იგნორირებას. ამის გამო, შესაძლოა, ცხოვრების ბოლომდე არ გაუმართლოს სიყვარულში.

**დეკემბერში** დაბადებულები შემტევები, მკაცრები და ზედმეტად კრიტიკულები არიან. უყვართ სიმართლის პირში თქმა და ამის გამო, გარშემო მყოფებთან ხშირად უწევთ კამათი. ასევე, სწრაფად იკეთებენ კარიერას და არც ბიზნესში უჭირთ სასურველი შედეგების მიღწევა. საკუთარ ავტორიტეტს ყოველთვის პირადი მიზნებისთვის იყენებენ. უყვართ ოჯახური სიმშვიდე და იდილია. კარგად ართმევენ თავს საყვარელ ადამიანთან „თამაშს" და ამის გამო მათ ბევრ შეცდომას პატიობენ. უყვართ, როცა მათ პატივს სცემენ და მათით ამაყობენ.

ასე რომ, სანამ კონკრეტულ ადამიანთან გადაწყვეტთ ურთიერთობის დაწყებას, აუცილებლად გაითვალისწინეთ მისი სახასიათო შტრიხები დაბადების თვის მიხედვით და ეს გაცილებით გაგიადვილებთ მასთან ახლოს ყოფნას.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1983 წლის 1 ივნისს. მაინტერესებს, რა არის ჩემი კარმული მისია და რა გავაკეთო ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად?**

**პასუხი:** წარმატების მისაღწევად აუცილებელია, შეასრულოთ თქვენი კარმული მისია, კერძოდ, იყავით მეტად ორგანიზებული, დისციპლინირებული, შეუპოვარი, მიზანსწრაფული, შრომისმოყვარე, ნებისყოფიანი, ფულის ყაირათიანი მხარჯველი, პუნქტუალური; მეტად გქონდეთ საკუთარი შესაძლებლობების იმედი, შეძელით ინიციატივის აღება, გამოავლინეთ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, ლიდერულ-ორგანიზატორული თვისებები წამოწიეთ წინა პლანზე. ამასთანავე, დაეყრდენით ინტუიციას, დაიცავით საიდუმლო. ამით თქვენ სწორ ევოლუციურ გზაზე დადგებით, შეასრულებთ კარმულ მისიას და გაიმარჯვებთ კიდეც. გეტყვით იმასაც, რომ, აუცილებელია, დაასტაბილუროთ საოჯახო და სანათესაო წრე. უნდა ემსახუროთ სამშობლოს, დაიცვათ ადათ-წესები, იყოთ პატრიოტი, პატივი სცეთ ტრადიციებს. ასე რომ, თქვენი სამყოფელი არის სამშობლო და მისია – სამშობლოს სამსახური.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

22 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 **„ქარი მწყურია მე პირდაპირი”** - მონოსპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

23-24 ნოემბერი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„ჰაერა”** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 7, 8, 9, 10, 12, 15 ლარი), (დიდი სცენა), ქორეოგრაფიული წარმოდგენა. იდეის ავტორი და დამდგმელი ქორეოგრაფი - მარიამ ალექსიძე. მონაწილეობენ: ნათია კვაშალი, თამთა ინაშვილი, რუსუდან მაყაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ქეთევან ხიტირი, ლევან ხურცია, დავით ანანიაშვილი, თამთა ბახტაძე, ეკატერინე ლომინაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

18 ნოემბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„არტ-ხელოვნება”** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ზურა ყიფშიძე, მიხეილ გომიაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

19 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჟოლო”** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა;

19 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი“** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

20 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები”** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

21 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„პიგმალიონი”** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, აკაკი ხიდაშელი, გივი ჩუგუაშვილი, გივი ბერიკაშვილი, მანანა კოზაკოვა, ნინო დუმბაძე, თეონა ქოქრაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

21 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„სილამაზის დედოფალი”** - (მცირე სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: გურამ ვაშაკიძე. მონაწილეობენ: თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გომართელი, ირაკლი ჩოლოყაშვილი, პაატა პაპუაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

22 ნოემბერი, **პარასკევი** 20.00 - **„პეიზაჟს აკლია სითბო”** (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), დამდგმელი რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ვარლამ კორშია, ლილე ფილფანი, დიმიტრი ტატიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

19 ნოემბერი, **სამშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი”** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

20, 23 ნოემბერი, **ოთხშაბათი, შაბათი** 20.00 - **„ტარტიუფი”** - (ბილეთის ფასი - 5 - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

19 ნოემბერი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა”** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

20 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი”** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

21 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!”** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

22 ნოემბერი, **პარასკევი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული”** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

23 ნოემბერი, **შაბათი** 19.00 - **„მექანიკური ფორთოხალი”** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

24 ნოემბერი, **კვირა** 19.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები”** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

## სამეფო უბნის თეატრი
**გ. აბესაძის ქუჩა №10.**
**ტელ.: 292-38-70, 299-61-71**

18 ნოემბერი, **ორშაბათი** 20.00 - **„ფრეკენ ჟული”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დათა თავაძე. მონაწილეობენ: პაატა ინაური, კატო კალატოზიშვილი, ნატუკა კახიძე, მაგდა ლებანიძე, სალომე მაისაშვილი, ქეთა შათირიშვილი, გიორგი შარვაშიძე, იაკო ჭილაია, ანა წერეთელი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

20 ნოემბერი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„კატცელმახერი”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: მიხეილ ჩარკვიანი. მონაწილეობენ: გაგა შიშინაშვილი, სალომე მაისაშვილი, იაკო ჭილაია, ანი გულიაშვილი, მაგდა ლებანიძე, ანა წერეთელი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

21 ნოემბერი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ტაქსისტი გივის სასიყვარულო ისტორია”** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: მალხაზ ასლამაზაშვილი. მონაწილეობენ: ბაჩო ქაჯაია, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური, ანდრო სარიშვილი, გიორგი ქსოვრელი, კახა ჯოხაძე, ზურაბ იაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

22-23 ნოემბერი, **პარასკევი-შაბათი** 19.00 - **„სასტუმრო, ორი სამყაროს გასაყარზე”** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: აკაკი ხიდაშელი, ნუგზარ ყურაშვილი, ანა მატუაშვილი, გვანცა კანდელაკი, ნინო ანდრიაძე, ბექნუ ქაფიანიძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

***სამხარი*** – ხილისა და ბოსტნეულის სალათა: 1 ცალი მოზრდილი კივი (გათლილი და დაჭრილი), 1 ცალი მომცრო ზომის ვაშლი (დაჭრილი) და 1 ცალი პატარა მსხალი (დაჭრილი) შეურიეთ ერთმანეთს და მიირთვით პატარა ლუკმებად.

***ვახშამი*** – წყლითა და ფქვილით მომზადებული ბლინი, ცოცხალი ხილფაფის შიგთავსით – 2-3 ცალი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: როგორ მოვუარო ფრჩხილების ქლიბსა და სპონჯს?**

**პასუხი**: ფრჩხილების ქლიბი ყოველი მოხმარების შემდეგ უნდა გარეცხოთ ცივი წყლით, კარგად გაამშრალოთ და შემდეგ გაწმინდოთ სპირტით. ფრჩხილების ნაწილაკების სრულიად მოსაშორებლად კი გამოიყენეთ ლეიკოპლასტირი ან სქელი სკოჩი: დააკარით ქლიბს მთელ სიგრძეზე და შემდეგ მკვეთრი მოძრაობით ააძრეთ. ცნობისთვის, ფრჩხილებისთვის ყველაზე უსაფრთხოა მინის ქლიბები.

რაც შეეხება სპონჯს (ეგრეთ წოდებულ „გუბკას“) პუდრის წასასმელად, მოხმარების შემდეგ ის უნდა გარეცხოთ საპნიან ხსნარში, რომელშიც უნდა შეურიოთ ჩაის ხის ზეთის რამდენიმე წვეთი – მას აქვს ძლიერი ანტიბაქტერიული ზემოქმედება და არა მარტო ასუფთავებს სპონჯს, არამედ, დეზიფენქციასაც უკეთებს.

**კითხვა: იმის გამო, რომ თითქმის მთელი დღე კომპიუტერთან ვმუშაობ, ძალიან მეღლება თვალები, რაც შემდეგ თვალის გარშემო კანზეც აისახება: დილაობით ქუთუთოები შესიებული მაქვს, კანი კი – მოშვებული. გთხოვთ, მასწავლოთ რაიმე მარტივი ხალხური რეცეპტი, რომელიც ამ პრობლემას მომიგვარებს.**

**პასუხი**: გასწავლით რამდენიმე რეცეპტს:

1) ძალიან წვრილად დაჭერით 8-10 ღერი ოხრახუში (ღერებიანად) და ხელით ასრისეთ, რომ წვენი გამოუვიდეს. შეაზილეთ 2 ჩაის კოვზი არაჟანი, მიღებული მასა სქლად დაიდეთ ქუთუთოებზე, თვალების გარშემო და წამოწექით. 30 წუთის შემდეგ მოიშორეთ ოდნავ დასველებული და გაწურული ბამბის ტამპონით და წაისვით თვალის გელი.

2) 1 ცალი საშუალო კარტოფილი მოხარშეთ კანიანად. გაფცქვენით, გააკეთეთ პიურე და შეურიეთ 1 ჩაის კოვზი არაჟანი ან ზეითუნის ზეთი. წაისვით ქუთუთოებზე თვალების გარშემო და წამოწექით. 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ გრილი წყლით და წაისვით თვალისთვის განკუთვნილი მკვებავი. ამავე მიზნით კარგია დახუჭულ თვალებზე უმი კარტოფილის თხელი რგოლების დაფენა, ოღონდ, დაახლოებით ყოველ 10 წუთში, რგოლები ახლით უნდა შეცვალოთ. შემდეგ გაიწმინდეთ ბამბის ტამპონით და წაისვით მკვებავი.

3) უმი კიტრი გახეხეთ მსხვილ სახეხზე (კანიანად), მიღებული მასა ოდნავ გაწურეთ (რომ არ ჩამოგეწუწოთ), გაურიეთ ლიმონის 3-5 წვეთი, სქლად დაიფინეთ ქუთუთოებზე, თვალის გარშემო და წამოწექით. 20-25 წუთის შემდეგ მოიშორეთ ბამბის ტამპონით და წაისვით თვალის გელი.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# პარიზული რომანტიკა

### ბუნებრივი სილამაზე

პარიზელმა ქალებმა, როგორც არავინ სხვამ, იციან, როგორ უნდა გამოასხივონ მშვენიერება. მათი საიდუმლო ძალიან მარტივია – ბუნებრიობა. ამიტომ, თუ გსურთ, დაემსგავსოთ პარიზელ ქალბატონებს, უპირატესობა მიანიჭეთ ნატურალურ მაკიაჟს. თქვენმა რჩეულმა მამაკაცმა თქვენ უნდა დაგიმახსოვროთ, და არა თქვენი მაკიაჟის მკვეთრი ფერები. და, გახსოვდეთ: ღიმილი საუკეთესო „მაიკ-აპია“ ნებისმიერი ქალისთვის.



### ფლირტის ხელოვნება

პარიზელი ქალების წარმატების (რა თქმა უნდა, კაცებთან წარმატების) 50 პროცენტი მოდის ფლირტის ბრწყინვალედ ცოდნაზე. ამოუცნობ ღიმილსა და მამაკაცებისთვის უფლების მინიჭებაზე – თვითონ ამოიცნონ მათი მომხიბვლელობა. იყავით ამოუცნობი და მიუწვდომელი, ცოტათი სიტყვაძუნწი და სულისშემძვრელად ნაზი – ერთი სიტყვით, აგრძნობინეთ თქვენს კავალერს თავი ძლიერ მფარველად და დამცველად.

### დაუვიწყარი სურნელი

შეუძლებელია, პარიზელი ქალის წარმოდგენა სუნამოს უნაზესი „შლეიფის“ გარეშე. პარიზული სტილის პაემნისთვის შეარჩიეთ მსუბუქი, ცივი სურნელი, რომელიც მთელ თქვენს მომხიბვლელობას მთლიანად წარმოაჩენს.

**აი, რას ურჩევს ქალებს პარიზელი პარფიუმერი ზერლინა დიუბუა:**

„მამაკაცების თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთარ თავში დარწმუნებული ქალი იზიდავს. საკუთარი თავის რწმენა კი, შეიძლება, გამოიწვიოს შინაგანმა, სულიერმა განწყობამ, ან, სულაც, კარგმა ვარცხნილობამ ან ლამაზმა კაბამ – ყველაფერი ეს სასიამოვნო დეტალებია, რომლებიც დაგეხმარებათ, მყარად იყოთ დარწმუნებული საკუთარ განუმეორებლობაში. თუ გსურთ, რომ შეგიყვაროთ სხვამ, თავად გიყვარდეთ საკუთარი თავი და არასდროს თქვათ უარი ისეთ პატარ-პატარა სიამოვნებასა და რიტუალებზე, როგორებიც არის, მაგალითად, სურნელოვანი აბაზანა ან ახალი ლოსიონი სხეულისთვის. თქვენს ბუნებრივ მოთხოვნილებად უნდა იქცეს სურვილი – იყოთ ნამდვილი ქალი, ისეთი, როგორზეც ჭკუას კარგავენ მამაკაცები, ანუ, იგრძნოთ თავი დახვეწილ და მშვენიერ ქალად და შედეგიც არ დააყოვნებს“.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# როგორ მოიპარეს თბილისის საიდუმლო ქარხნიდან ბოროტმოქმედებმა 20 კილოგრამი პლატინა და 340 კილოგრამი ოქრო



### გაქცევა

1972 წლის 10 ივნისს, ციმბირის დაბა ვოლჩი ლოგოვში მდებარე №9 შრომა-გასწორების კოლონიიდან 35 წლის გურამ გურგენიძე გაიქცა. ის, სხვა პატიმრებთან ერთად, ტაიგაში იყო გაყვანილი და ხეების დამუშავებაზე მუშაობდა. მან ისარგებლა ბადრაგის უყურადღებობით, იქაურობას შეუმჩნევლად მოშორდა, შემდეგ კი ადგილს მოსწყდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიქცა. მან თან ნაჯახი წაიღო.

ვოლჩი ლოგოვის დასახლებას 40 კილომეტრის რადიუსში გაუვალი ჭაობები და ტაიგა აკრავდა გარს, ამიტომ, იმ კოლონიიდან თითქმის არავინ გარბოდა. ერთადერთი ბილიკი კი, რომელიც პატარა რკინიგზის სადგურამდე მიდიოდა, კარგად იყო დაცული და იქ ვერავინ მოახერხებდა გაძრომას. ამის გამო, მდევარი მხოლოდ ფორმალურად ატარებდა

**გენერალ ომანიშვილს წოდება ჩამოართვეს, დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. თუმცა, მან შეურაცხყოფა ვერ აიტანა და საკანში გული გაუსკდა**

ხოლმე დევნის ოპერაციას და, თუკი გაქცეულს 12 საათის განმავლობაში ვერ პოულობდნენ ცოცხალს ან მკვდარს, მისი ძებნა წყდებოდა და მას უგზო-უკვლოდ დაკარგულად აცხადებდნენ, თუმცა, მასზე ძებნა ფორმალურად მაინც ცხადდებოდა და მთელი საბჭოეთის მასშტაბით მის სურათებსაც კი აკრავდნენ, რომლებზეც ეწერა: „იძებნება“.

გურამ პეტრეს ძე გურგენიძე 1937 წლის 9 ივნისს იყო დაბადებული და 35 წელი მას გაქცევის წინა დღეს შეუსრულდა. გურგენიძე პროფესიონალი ბოროტმოქმედი არ ყოფილა და 1970 წელს ათწლიანი სასჯელი იმის გამო მისცეს, რომ ეგრეთ წოდებულ „ოქროს დამტაცებელთა“ ჯგუფის წევრად მოიაზრებოდა. ისინი თბილისის ერთ-ერთი სამხედრო ქარხნიდან ოქროს იპარავდნენ და გარეთ გაჰქონდათ. გურამიც ამ ქარხანაში მუშაობდა ინჟინრად, ხელი მიუწვდებოდა ოქროზე და, მიუხედავად იმისა, რომ მას ერთი გრამი ძვირფასი ლითონიც კი ვერ უპოვეს და ვერც დანაშაული დაუმტკიცეს, მაინც გაასამართლეს და ათი წლით ციხეში ჩასვეს, თანაც, რატომღაც, გააციმბირეს.

### „ოქროს საქმე“

ეგრეთ წოდებული „ოქროს საქმე“ ჯერ კიდევ 1968 წელს გახდა მილიციისთვის საინტერესო. თუმცა, ფორმალური მოკვლევის შემდეგ ის დაიხურა და მხოლოდ 1969 წელს განახლდა და ძიება უშიშროების კომიტეტის საგამოძიებო ნაწილმა განაგრძო.

გამოძიების მასალების მიხედვით, თბილისის ერთ-ერთ საიდუმლო სამხედრო ქარხანაში ძვირფასი ლითონების (პლატინა, ოქრო), ძირითადად კი ოქროს დატაცება ხდებოდა. ეს ქარხანა სამხედრო თვითმფრინავების თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებისთვის ამზადებდა ზეგამტარ მავთულებს, რომლებშიც ძირითადად ოქროსა და პლატინას იყენებდნენ. ერთ-ერთი საცდელი ფრენის დროს, მაღალტექნოლოგიური სისტემით აღჭურვილი საბჭოთა სამხედრო თვითმფრინავი შუა აზიის პოლიგონზე ჩამოვარდა და აფეთქდა. მართალია, პილოტმა კატაპულტირება მოასწრო და გადარჩა, მაგრამ, 25 მილიონი მანეთი წყალში ჩაიყარა. ექსპერტები და სპეციალისტები ორი თვის განმავლობაში საგულდაგულოდ ამოწმებდნენ ჩამოვარდნილი თვითმფრინავის გადარჩენილ ნაწილებს და, საბოლოოდ, დაასკვნეს, რომ კატასტროფის მიზეზი ელექტროგაყვანილობა იყო: „კატასტროფის მთავარი მიზეზი მავთულის სისქეა, რომელიც 0,5 მილიმეტრით ნაკლებია ნორმაზე, რაც უხეში ტექნოლოგიური დარღვევაა“. საქმეში ჩახედულმა ექსპერტებმა მწარე ღიმილით თქვეს:

– იმ ქარხანაში, სადაც ეს მავთულები მზადდება, ოქროს იპარავენ. ისინი უფრო წვრილ მავთულებს ამზადებენ თითოეული მავთულიდან 15 გრამი ოქრო რჩებათ. ხოლო, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ყოველთვიურად ათას ცალ მავთულს უშვებენ, ყოველწლიურად კი – თორმეტი ათასს, გამოდის, რომ ბოროტმოქმედები ყოველწლიურად 180 კილოგრამ ოქროს იპარავენ...

ექსპერტიზის დასკვნამ შოკში ჩააგდო უშიშროების კომიტეტის მოსკოველი გამომძიებლები. სპეციალურმა ჯგუფმა ჯერ ფარული მოკვლევა დაიწყო ქარხანაში, შემდეგ კი „კარტები გახსნეს“ და უპირველეს ყოვლისა, მისი დირექტორი, გენერალ-მაიორი, 62 წლის არჩილ ომანიშვილი დააპატიმრეს. ომანიშვილის დაპატიმრებიდან ერთ კვირაში კიდევ 14 თანამშრომელი აიყვანეს პატიმრობაში და ორზე ძებნა გამოცხადდა, ყველაზე ბოლოს კი გურამ გურგენიძე აიყვანეს. მას პირდაპირ „ცეხში“ დაადეს ხელბორკილები და შევჩენკოს ქუჩაზე, „კაგებეს“ ციხეში წაიყვანეს...

### სისხლიანი სპეცოპერაცია

უშიშროების კომიტეტის გამომძიებლებმა დაადგინეს, რომ ქარხნიდან ოქროს დატაცება ორი წლის განმავლობაში ხდებოდა და მოპარული იყო 300 კილოგრამი ოქრო და 18 კილოგრამი პლატინა... ძიებამ ცხადყო, რომ დაპატიმრებული 16 ადამიანიდან უშუალოდ ოქროს მოპარვაში არავის მიუძღოდა ბრალი, გურამ გურგენიძე კი საერთოდ არაფერში იყო დამნაშავე. ქარხნის დირექტორს, ომანიშვილს, გენერლობა ჩამოართვეს და თორმეტწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ის საკანში გარდაიცვალა გულის შეტევით. 12-12 წელი მისცეს ქარხნის დაცვის უფროსსა და მის მოადგილეს; დანარჩენ ბრალდებულებს, მათ შორის გურამ გურგენიძესაც, გულგრილობისთვის, რამაც განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს, 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს...

ძიებით დადგინდა, რომ ოქროს დატაცების ორგანიზატორები და უშუალო შემსრულებლები იყვნენ ქარხნის მთავარი ინჟინერი, 39 წლის ნესტორ კაკალია და „ცეხის“ უფროსი (საიდანაც ოქრო იკარგებოდა), 42 წლის მურთაზ ჯორჯიაშვილი. ისინი იმ დღესვე უკვალოდ გაქრნენ, როგორც კი „კაგებემ“ ქარხნის დირექტორი დააპატიმრა და მათზე ძებნა გამოაცხადა. უშიშროების ოპერმუშაკებმა კაკალიასა და ჯორჯიაშვილის ოჯახის წევრები და მათი ახლობლები დაკითხეს, მაგრამ, მათ ვერ მიაგნეს. აგრეთვე, გულდასმით გაიჩხრიკა როგორც მათი, ისე მათი ახლობლების ბინები და აგრაკები, თუმცა, ვერც ოქროს კვალი აღმოაჩინეს.

უშიშროებამ და მილიციამ მთელი აგენტურული ქსელი ფეხზე დააყენეს და მოსკოვიდან „ალფას“ სპეცჯგუფიც კი ჩამოიყვანეს, რომელიც ყოველ წუთს მზად იყო, რომ სათანადო ბრძანების შემდეგ ძებნილების აყვანის ოპერაცია ჩაეტარებინათ. 1973 წლის 11 მაისს, „ალფას“ თორმეტკაციანი ჯგუფი საიდუმლოდ წაიყვანეს დაბა წყნეთში. ღამის 0 საათსა და 55 წუთზე, მათ ალყა შემოარტყეს ხისგან აშენებულ ერთ-ერთ ორსართულიან აგარაკს, რომელიც ვინმე ანზორ ხომასურიძეს ეკუთვნოდა. ოპერატიული ცნობით, აგარაკზე იმალებოდა ძებნილი ნესტორ კაკალია და „ალფას“ ჯგუფს ის გასროლის გარეშე უნდა აეყვანა. როგორც კი ალფელები ხის სახლში შეცვივდნენ, აგარაკზე ჯერ რამდენიმე გასროლა მოხდა, შემდეგ ორი აფეთქების ხმა გაისმა და ხის აგარაკს ცეცხლი წაეკიდა. ხანძარმა იქაურობა სულ ერთიანად გადაბუგა და შემთხვევის ადგილზე მისულ მილიციას, პროკურატურას, ექსპერტებსა და უშიშროების თანამშრომლებს თექვსმეტი დანახშირებული გვამი დახვდათ. თორმეტი გვამი ალფელების იყო, დანარჩენებზე კი მოკვლევა დაიწყო...

### გაუჩინარებული ოქრო

წყნეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ უკიდურესად გააცოფა ცენტრალური „კაგებეს“ მმართველობა და თბილისში დამატებითი ძალები გამოგზავნეს გამომძიებლების დასახმარებლად. ექსპერტებმა გამოიკვლიეს ოთხი დანახშირებული გვამი და მხოლოდ ის დაადგინეს, რომ ორი ქალი და ორი კაცი

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. მათი ვინაობის დადგენა მაშინვე ვერ მოხერხდა და მხოლოდ ივარაუდეს, რომ ერთ-ერთი მათგანი ძებნილი ქარხნის მთავარი ინჟინერი ნესტორ კაკალია უნდა ყოფილიყო, წყნეთის ინციდენტიდან ათი დღის შემდეგ, სოფელ თელეთში მურთაზ ჯორჯიაშვილი დააპატიმრეს, რომელიც თავისი საყვარლის, ლუბა გონგლიაშვილის სახლში იმალებოდა. ჯორჯიაშვილი უკიდურესად შეშინებული იყო და ამბობდა, რომ გატაცებული ოქროს ადგილმდებარეობა არ იცოდა. მან აღიარა, რომ ნესტორ კაკალიასთან ერთად, ქარხნიდან 20 კილოგრამი პლატინა და 340 კილოგრამი ოქრო მოიპარეს, რაც „კაგებეს“ გამომძიებლების ვარაუდზე მეტი იყო, თუმცა, ჯორჯიაშვილი ამტკიცებდა, რომ მოპარული ძვირფასი ლითონები ნესტორ კაკალიამ გადამალა, მაგრამ, სად, არ იცოდა. „კაგებეს“ გამომძიებლებმა, რა თქმა უნდა, არ დაუჯერეს ჯორჯიაშვილს და მასზე საგანგებო მეთოდები გამოიყენეს, რაც უბრალო ენაზე წამებას ნიშნავს. შედეგი ვერც წამებამ გამოიღო – ჯორჯიაშვილი იმეორებდა, რომ გატაცებული ძვირფასი ლითონის ადგილმდებარეობა არ იცოდა. მან წამებას ვერ გაუძლო და „კაგებეს“ ჯურღმულში სული დალია, გატაცებული ოქროს კვალი კი დაიკარგა...

### მთავარი ინჟინრის ჩვენება

1973 წლის 10 ივლისს, ანუ, გურამ გურგენიძის ზონიდან გაქცევის 13 თვის შემდეგ, გლდანის მასივის ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის ოთხოთახიანი ბინის კეთილმოწყობილ სარდაფში ნესტორ კაკალია დააპატიმრეს. ბინა 31 წლის ქვრივ ქალს, ვინმე ნაზიბროლა კელენჯერიძეს ეკუთვნოდა. კელენჯერიძე კაკალიას საყვარელი იყო და, სარდაფში, სადაც ნესტორი აიყვანეს, სამხედრო ქარხნიდან მოპარული 10 კილოგრამი პლატინა და 170 კილოგრამი ოქროც იპოვეს. ანუ, გატაცებული ძვირფასი ლითონების ზუსტად ნახევარი.

**წყნეთის აგარაკი კაკალიამ რუს ოფიცერს დაანაღმვინა, რომელიც შემდეგ მოკლა და ლისის ტბაში ჩააგდო**

– მეორე ნახევარი სადღაა? – ჰკითხა კაკალიას გამომძიებელმა ვიტალი სავჩენკომ, რომელიც უკვე სამი წელია, ამ საქმეს იძიებდა და მისი ყველა დეტალი ზედმიწევნით ზუსტად იცოდა.

– გურამ გურგენიძეს გავატანე.

– ვინ გურგენიძეს, ათი წელი რომ მიუსაჯეს გულგრილობისთვის და ციმბირიდან რომ გაიქცა შარშან?

– დიახ, სწორედ მას.

სავჩენკომ ზუსტად იცოდა, რომ გურგენიძე აბსოლუტურად უდანაშაულო იყო და ოქროს გატაცებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. ამიტომ, გაკვირვებულმა თქვა:

– ზუსტად ვიცი, რომ მას თქვენთან და ჯორჯიაშვილთან არანაირი დანაშაულებრივი კავშირი არ ჰქონია.

– მერედა, ვინ ამბობს, რომ ჰქონდა?

– აბა, მოპარული ოქრო რატომ გაუყავით?

– გურამი იმაზე ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. მთავარი კი მაინც შემთხვევითობაა.

– რა შემთხვევითობა, გარკვევით მოგვიყევით ყველაფერი.

– ამ შვიდი თვის წინ, ღამის ათ საათზე, გურამი მოგვადგა და მითხრა:

– ნესტორ, შენი და ჯორჯიაშვილის გამო სულ ტყუილუბრალოდ ათი წელი მომისაჯეს. ექვსი თვის წინ კი ციხიდან გავიქეცი და ახლა ვიძებნები. ყოველგვარი სახსრების გარეშე დავრჩი და, ან ნახევარ ოქროსა და პლატინას მომცემ, ან ერთად წავალთ მილიციაში.

– ბაზარი არაა, ნახევარს მოგცემ, მაგრამ, მითხარი, აქ როგორ მომაგენი? თითქმის ორი წელია, „კაგებე“ მეძებს და ვერ მპოულობენ, შენ როგორ მიპოვე?

გურამს ჩაეცინა და მითხრა:

– ერთი შეხედვით, სრულიად შემთხვევით, სინამდვილეში კი აქ ღმერთის ხელი ურევია, – მითხრა გურამმა, – ნაზიბროლა ჩემი დის თანაკლასელია და ბავშვობიდან ვიცნობ. ერთხელ, შენს გაქცევამდე ერთი თვით ადრე, შენ და ის ერთად გნახეთ შენს მანქანაში და, მივხვდი, რომ საყვარლები იყავით, თუმცა, საგულდაგულოდ მალავდით ამას. ციხეში ხშირად ვფიქრობდი ყველაფერ ამაზე და, რაც მთავარია, ტყუილუბრალოდ ჯდომა არ მინდოდა. ერთ დღეს კი გავრისკე, გამოვიქეცი და გამიმართლა. გასაგებია?

– გასაგებია, – მივუგე გურამს. იმავე ღამეს ფურგონიან „მოსკვიჩში“ ჩავუდე 10 კილო პლატინა, 170 კილო ოქრო და მას შემდეგ აღარ მინახავს.

ნესტორ კაკალიამ ისიც აღიარა, რომ ჯორჯიაშვილის ადგილმდებარეობა სწორედ მან შეატყობინა მილიციას, წყნეთის ინციდენტი კი წინასწარ ჩაიფიქრა და ხის აგარაკი ერთ რუს სამხედროს დაანაღმვინა, რომელსაც ფული გადაუხადა, ბოლოს კი მოკლა და ლისის ტბაში ჩააგდო მისი ცხედარი.

– კვალს სპობდით, მაგრამ, ბოლომდე ვერ მოახერხეთ, – უთხრა კაკალიას ვიტალი სავჩენკომ – თქვენ სასამართლო გელოდებათ, ალბათ, დაგხვრეტენ...

კაკალია დახვრიტეს, გურამ გურგენიძის კვალს კი ვერ მიაგნეს. მხოლოდ 25 წლის შემდეგ, 1998 წელს, ნიუ-იორკის ერთ-ერთ ბიზნესფორუმზე იცნო ის ერთ-ერთმა ქართველმა ბიზნესმენმა, თუმცა, გურგენიძე იქ სულ სხვა გვარით იყო მისული...

**ნიკა ლაშაური**

## რა მოხდა ამ დღეს

### 18 ნოემბერი

1307 – ამ დღეს, ლეგენდის მიხედვით, ვილჰელმ ტელმა თავისი შვილის თავზე დადებულ ვაშლს შორიდან გატყორცნილი ისარი გაარტყა.

1626 – რომში დასრულდა წმიდა პეტრეს ტაძრის მშენებლობა.

1820 – ამერიკელმა კაპიტანმა ნათანიელ პალმერმა აღმოაჩინა ანტარქტიდის კონტინენტი.

1928 – მიკი მაუსის „დაბადების“ დღე.

2000 – მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა-ჯონსის ქორწილი.

### 19 ნოემბერი

1703 – ბასტილიაში გარდაიცვალა იდუმალი ტყვე, რომელსაც მომავალში უწოდეს „ადამიანი რკინის ნიღაბში“.

1891 – გერმანიაში მაღაზიებში გასაყიდად გამოიტანეს პირველი სათამაშო რკინიგზა.

1949 – მონაკოს მთავარი გახდა რენიე მესამე.

1985 – ჟენევაში ერთმანეთს პირველად შეხვდნენ რეიგანი და გორბაჩოვი.

### 20 ნოემბერი

1917 – პირველი ფართომასშტაბიანი სატანკო ბრძოლა. კამბერასთან 474-მა ინგლისელმა ტანკმა გაარღვია გერმანელთა დაცვა.

1929 – პარიზში გაიხსნა სალვადორ დალის პირველი პერსონალური გამოფენა.

1945 – დაიწყო ნიურნბერგის პროცესი ფაშისტ დამნაშავეთა წინააღმდეგ.

1969 – პელემ გაიტანა თავისი მეათასე გოლი.

### 21 ნოემბერი

1783 – შედგა ძმები მონგოლფეების მიერ შექმნილი საჰაერო ბურთის პირველი ფრენა.

1920 – ლენინმა თქვა თავისი ცნობილი ლოზუნგი: „კომუნიზმი არის საბჭოთა წყობილება + მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაცია“.

1987 – ბრიუს უილისისა და დემი მურის ქორწილი ლას-ვეგასში.

### 22 ნოემბერი

1247 – ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ამ დღეს გარდაიცვალა „კეთილშობილი“ ყაჩაღი – რობინ ჰუდი.

1917 – კანადაში დაარსდა ნაციონალური ჰოკეის ლიგა – NHL.

1928 – პარიზში შედგა მორის რაველის „ბოლეროს“ პრემიერა.

1975 – ესპანეთის მეფე გახდა ხუან-კარლოსი.

### 23 ნოემბერი

1899 – სან-ფრანცისკოში, სასტუმრო „პალე-როიალში,“ დააყენეს პირველი მუსიკალური ავტომატი.

1936 – გამოვიდა ამერიკული ჟურნალ Life-ის პირველი ნომერი.

1955 – საბჭოთა კავშირში კვლავ დაუშვეს აბორტები (აკრძალული იყო 1936 წლიდან).

1979 – გამოვიდა ჯგუფ Pink Floyd-ის ლეგენდარული ორმაგი ალბომი – The Wall.

### 24 ნოემბერი

1859 – ჩარლზ დარვინმა გამოაქვეყნა თავისი მთავარი ნაშრომი – „სახეობების წარმოშობა ბუნებრივი გადარჩევის გზით“.

1874 – ამერიკელმა ჯოზეფ გლიდენმა დააპატენტა ეკლიანი მავთული.

1901 – სტალინი გახდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

1991 – შიდსით გარდაიცვალა ფრედი მერკური.

**თანამედროვე კინო სპეცეფექტებისა და კომპიუტერული გრაფიკის გარეშე წარმოუდგენელია. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა რეჟისორები კონკრეტული მიზანსცენების გადასაღებად ძალიან მარტივ ილეთებს მიმართავდნენ. დღეს ნიუ-იორკის ქუჩებში 20-მეტრიანი ტალღის „გაჩენაც" შეიძლება და ზაფხულის თაკარა მზეში თავსხმა წვიმის „მოყვანაც". მოკლედ, პიროტექნიკოსებს, რომლებიც სპეცეფექტების ოსტატებად ითვლებიან, თანამედროვე ტექნიკური საშუალებების წყალობით, ასეთი სასწაულების მოხდენა აღარ უჭირთ. სოსო გვასალიას, სპეცეფექტების ქართველ ოსტატს, საკუთარ სახელოსნოში ჯადოსნური სამყარო აქვს: წვიმის, ქარის, ნისლის მანქანები; აპარატი, რომელსაც ადამიანის გასროლა შეუძლია... მოკლედ, იმ ყველაფერზე, რაც ქართულ პიროტექნიკაში ხდება, თავად სოსო გვასალიასგან შეიტყობთ.**

# რა მოუწყო სპეცეფექტების ქართველმა ოსტატმა სოსო გვასალიამ ინდოელ ბელადს და რატომ წვავს ის ადამიანებს ცოცხლად

**სოსო გვასალია:** პროფესიით მხატვარი ვარ, სამხატვრო აკადემიის ხისა და ლითონის გამოყენებითი ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული. ერთ-ერთი პირველი ვიყავი მათ შორის, ვისი დისერტაციის თემაც მინანქარი იყო. წლების განმავლობაში ვმუშაობდი მინანქარზე, ბევრი რამ დავხვეწეთ მე და ჩემმა მეგობრებმა ამ მიმართულებაში. კარგა ხანს „ვუბერავდი" მინანქარში, მაგრამ, მერე დადგა სხვა დრო. როცა პროფესიულ განათლებას ვიღებდი, საქართველოში პიროტექნიკა და სპეცეფექტები უცხო ხილი იყო. ჩვენთან სერიალების ბუმი დაიწყო თუ არა, მივატოვე მინანქარი. ქართველი კაცი, ხომ იცით, ათას რამეს მიედ-მოედება და მეც აღმოვჩნდი „ტელე-იმედში", რომელიც ახალი გახსნილი იყო. ახალი დაქორწინებული ვიყავი, ოჯახს რჩენა უნდოდა. პირველი სერიალი, რომელშიც მოვხვდი, იყო „ყავა და ლუდი", სადაც ხმის რეჟისორად ვიმუშავე. როცა სპეცეფექტების გადაღება დაგვჭირდა, მოიყვანეს დილეტანტი პიროტექნიკოსი, რომელმაც კასკადიორ დათო ხუბუას ისეთი აფეთქება გაუკეთა, ლამის ყელი გამოუწვა და თავი გაუგლიჯა. სწორედ იმ დროს დავინტერესდი სპეცეფექტებით. კომუნისტების დროს, ფილმების გადაღებებზე ისე აქტიურად არ სჭირდებოდათ სპეცეფექტები, როგორც ახლა, თანამედროვე კინოშია საჭირო, მაგრამ, დათა თუთაშხიას, ბაში-აჩუკის და სხვა ასეთი ფილმების გადაღებებზე ბათქა-ბუთქი იყო გადასაღები.



**დაკვეთით ქარი არ ქრის, გადაღებებზე ხომ გვჭირდებოდა ქარის შრიალი და გავაკეთე ქარის მანქანა**

**– დღეს, ალბათ, ბევრად წინ ვართ სპეცეფექტებში, ვიდრე ბაში-აჩუკის „ბათქა-ბუთქს" სჭირდებოდა.**

– რა თქმა უნდა, შეიცვალა მასალები, წესები. მე თვითნასწავლი პიროტექნიკოსი ვარ, ინტერნეტით ვისწავლე ბევრი რამ. თავიდან ტანზე ტყვიის მოხვედრის ეფექტების გაკეთება ვისწავლე, ეს საკმაოდ იოლი იმიტაციაა: თუ იცი, რა დოზით უნდა დააყენო ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც კაპსულის სახით და დაცვით მაგრდება ტანსაცმელზე, – ბახ! – კაპსულა სკდება და სისხლის გასხმის ეფექტიც სახეზეა. ამაზე ცოტა არ მიწვალია, რა აღარ მოვძებნე მასალად, მათ შორის ისიც კი, ბავშვები რომ აფეთქებენ ახალ წელს. რას ვიზამდი, ყველაფერი საიდანღაც უნდა დაიწყო. მერე ნელ-ნელა ტექნიკის გაკეთება დავიწყე – გავაკეთე ქარის მანქანა, ქარის იმიტაციის შესაქმნელად. დაკვეთით ქარი არ ქრის და, გადაღებებზე ხომ გვჭირდებოდა ქარის შრიალი?! მანამდე უკვე მქონდა გაკეთებული წვიმის მანქანა, რომლისთვისაც ჩვეულებრივი პომპა გამოვიყენე, მერე ეს მანქანა გადავაკეთე და გადავაწყვე ქარის მანქანად. როცა ნისლი დამჭირდა, ნისლის მანქანაც „გამოვჭედე". მანქანები ბლომად მაქვს, ასე რომ, ქარი, წვიმა და ნისლი პრობლემა არაა *(იცინის)*. სპეცეფექტების ყველაზე დიდი გამოცდილება რენი ჰარლენის ფილმის გადაღების დროს მივიღე.

**– ისეთ ბატალურ სცენებს, როგორიც ამ ფილმშია, თქვენი თვითნასწავლი სპეცეფექტები „ეყო"?**

– მათ ჰყავდათ ჩამოყვანილი რუსი პიროტექნიკოსები, მაგრამ, აქაურებიც დასჭირდათ და მეც ამიყვანეს. ძალიან ბევრი სამუშაო იყო, დაახლოებით 12 ტონამდე ცემენტი ავაფეთქეთ წალკაში, ვაზიანში და გორში. ძალიან დიდი მასშტაბის სპეცეფექტები იყო საჭირო საომარი სცენებისთვის. ცემენტი აფეთქების დროს დიდ მტვერს წარმოქმნის და მიწის აფეთქების განსაკუთრებული ეფექტი იქმნება. ამ დროს ვერტმფრენების გადაფრენა და – ბუბუბუ! – უკვე მაგარი კადრია. ერთი დუბლის გადაღებას ერთი ტონა ცემენტის აფეთქება მოჰყვა, მეორე დუბლს მეორე ტონა და ასე „ვაგროვეთ" ტონები, დანარჩენი კი უკვე მონტაჟის საქმეა *(იცინის)*. აფეთქებებზე ჩვენთან, ძირითადად, კასკადიორები მუშაობენ, მსახიობს, შეიძლება, არ ჰქონდეს საჭირო ფიზიკური მომზადება. როლი ითამაშოს თუ იმაზე იფიქროს, როგორ გადავარდეს, რომ არაფერი დაიზიანოს და გადაღებების მიტოვება არ დასჭირდეს?!

**– „ჩეპე" არ გქონიათ?**

– არა. ჩვენს საქმეში ყველაზე ცუდი ისაა, როცა დააწვები ღილაკს და „ბახ!" არ არის *(იცინის)*

**– ვაიდა, ძალიან აფეთქდა?!**

– „ძალიან" არ არსებობს. იმით განვსხვავდებით ჩვენ ჯარისკაცებისგან, რომ ისინი ძალიან აფეთქებენ. „აგვისტოს ხუთი დღის" გადაღებაზე ვერ მოვახერხეთ გორში ჩასვლა და ჯარისკაცებს ჩვენი დახმარების გარეშე მოუწიათ ავტობუსის აფეთქება. დოზა ვერ განსაზღვრეს და, ისე ავარდა ავტობუსი ჰაერში, ნახევარი საათი ცვიოდა ძირს ნაწილები *(იცინის)*. ბოლივუდის ფილმის გადაღებაზეც ბევრი ვიმუშავეთ. ვიღაც ძალიან ცნობილი მსახიობი იყო ჩამოსული ინდოეთიდან, ჩინჩხაჩხუ ჰქონდა გვარი. ეს გვარი ინდოეთში ყოფილა როგორც ბელადთა გვარი. მერე იქ არჩილ მენაღარიშვილი იყო ჩასული და მაჩვენა კადრები, რა ხდებოდა ფილმის პრემიერაზე. ამ ჩინჩხაჩხუს ვეებერთელა სურათი ჰქონდათ ბილბორდზე, გვირგვინებით ადიოდა თურმე ხალხი და, როგორც ბელადს, ისე ეფერებოდნენ იმ ბილბორდს. აქ, თბილისში, შემთხვევით გადაგვეყარნენ ინდოელები და სულ ფეხები უკოცნეს თავის „ბელადს."



**– არ თქვა, რომ ინდოელების ბელადი ააფეთქე.**

– მთლად მასე არ იყო, მაგრამ, მის ზურგს უკან ხოშიანი გრგვინვა გავაკეთე, თავისი მძაფრი ჩაცხრილვებითა და აფეთქებებით. ამ ფილმში კონტაქტური აფეთქებაც იყო, როცა მსახიობს ცეცხლი წაეკიდა.

**– ნამდვილი ცეცხლი?**

– კი, ცეცხლი ნამდვილია, მაგრამ შიგნით დამცავი სამოსი აცვია მსახიობს, ზედაპირზე კი სპეციალური ნაზავი უსვია, რომელსაც ცეცხლი არ „შეჰყავს" შიგნით, ოღონდ, ცეცხლი სწრაფად თუ არ ჩააქრე, შეიძლება დამწვრობაც კი მიიღოს. ასეთ დროს კასკადიორს ხელებსა და სახეზე სპეციალურ ჟელეებს ვუსვამთ, რომ ნაკლებად დაეწვას. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როცა კასკადიორს ცეცხლი მართლაც მოჰკიდებია, ოღონდ, რა თქმა უნდა, მსუბუქად. საინტერესო სამუშაოა, მაგრამ, რისკიანი. სამუშაო არის, უამრავი რეკლამა კეთდება. ხან კინოში მეძახიან, ხან - კლიპებზე... ჩემს სახელოსნოში „ჯადოსნობები" ხდება, მაქვს მანქანა, რომლითაც კაცის გასროლა შეიძლება. ეს მექანიზმიც საკუთარი ხელით მაქვს გაკეთებული – პლატფორმაზე დააყენებ კასკადიორს და – ფიუუ, – გაისვრის. მაქვს ელვის აპარატიც – ესეც საჭიროა. მთელი ჩემი ჰონორარები ამაში მიდის. მე რომ საზღვარგარეთ ვცხოვრობდე და ისეთი შეკვეთები მქონდეს, იმათ რომ აქვთ, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ძალიან მაგარ სახელოსნოს გავაკეთებდი, ქარი და წვიმა სულ დონეების მიხედვით მექნებოდა. გადაღების დროს მაგარი წვიმა თუ არ მოიყვანე, შხაპუნა წვიმა კადრში არ ჩანს.

**– შენ, როგორც მივხვდი, გამომგონებელიც ხარ. შენს საქმეში კაცმა ფიზიკა, ქიმია და მთელი რიგი მეცნიერებები უნდა იცოდეს.**

– კი, ტექნიკური ცოდნა აუცილებელია კონსტრუქციების გასაკეთებლად. ამ წლებში ფიზიკაც კარგად ვისწავლე და ქიმიაც. ამდენი მანქანის გაკეთებას ბევრი დეტალის გათვლა უნდა. ჩემი მანქანები ვამუშავე ინგლისურ ფილმშიც, რომელიც დამოუკიდებელი სტუდიის დაკვეთით გადაიღეს.

**– ჰოლივუდელმა და ევროპელმა პიროტექნიკოსებმა შენს სახელოსნოში რომ შემოიხედონ, ალბათ, ბევრს იცინებენ.**

– ჩემი სახელოსნო, შეიძლება, ჰოლივუდურს არ ჰგავს, მაგრამ, არც ისე პრიმიტიულია. ახლა ფრანგები რომ არიან ჩამოსულები, ჩემმა კოლეგებმა მითხრეს, ჩვენც ასე დავიწყეთო. მაგარი კაცი იყო ეს ჟორჟი. ჰაზანავიჩუსის ფილმზე იყო ჩამოსული, რომელსაც საქართველოში იღებენ. ფრანგებს ძალიან მოსწონდათ ჩემი სახელოსნო. აქ იმდენი დალიეს, რომ წასვლისას მომიტანეს მინიატურული სასწრაფო მანქანა, რომელზეც

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ვოლვო 760”, რომლის მოდებაც – „ცეპლენია”, დამიზიანდა. ხელოსნები მეუბნებიან, „ცეპლენიას” მოვხსნით და ახალ, ეგრეთ წოდებულ „ნაკლადკებს” გადავაკრავთო. ანუ, ახალ ფენას გადააკრავენ, რომლითაც ის ნორმალურად იმუშავებს. ზოგიერთი კი მეუბნება, რომ ეს არ ვარგა და „ნაკლადკის” გადაკვრას, ისევ თურქული „ცეპლენიის” დისკი ჯობიაო. როგორც ვიცი, არც ერთი არ ვარგა, მაგრამ ორიგინალი დეტალი ძალიან ძვირი ღირს. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე? ცუდს და უარსესს შორის არჩევა მომიწევს?**

**პასუხი**: რა თქმა უნდა, „ცეპლენიის” ორიგინალი დისკი ძალიან სერიოზულად განსხვავდება ხარისხით იმათგან, რაც ჩამოთვალეთ. ის ძალიან დიდხანს მუშაობს. გერმანიიდან ჩამოყვანილ მეორად ავტომობილებს, რომელთა ძირითადი ნაწილი უკვე ათ წელზე მეტისაა, მოდების დისკი შეცვლილი არც ერთხელ არ აქვთ, ანუ ქარხნულია. თურქულ ან გადაკრულ დისკებს შეცვლა ორ წელიწადში

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

ერთხელ მაინც უნდათ. ისიც იმ შემთხვევაში, თუ კარგად მოუარეს: „ცეპლენიაზე” ფეხს ძალიან დიდხანს ადგამთ, აღმართზე „ცეპლენიას” „აბუქსავებთ” და სხვა. მისი კარგად მუშაობისთვის ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა სიმძლავრის ძრავითაა ის აღჭურვილი. არის შემთხვევები, როცა პატენტი დისკი რამდენიმე თვის მუშაობასაც კი ვერ უძლებს. რაც შეეხება გადაკვრას, ამას ხელოსნები სხვადასხვა მასალით აკეთებენ. კარგ მასალას, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, აქ სხვა მომენტი იჩენს თავს. ქარხანაში „ცეპლენიის” დისკი ქარხნული წესითა და სიზუსტით იხვრიტება და იშტამპება. ხელოსნები კი ამას სახელდახელოდ აკეთებენ. ჩვეულებრივი ხელის ბურღით ხვრეტენ და ხელის დარტყმით „შტამპავენ”. ამ შემთხვევაში, ის ბზარებს იკეთებს და შესაძლოა დაიშალოს. თუ თქვენ მაინც დისკის გადაკვრას გადაწყვეტთ, ეს აუცილებლად კარგად გამოცდილ ხელოსანს გააკეთებინეთ, მით უმეტეს, რომ ისეთი სიმძიმის მანქანის ტარება როგორიც „ვოლვო 760-ია,” გადაკრულ დისკებს ძალიან უჭირს ამ შემთხვევაში დაძვრა. ამიტომ, თუ ორიგინალის ყიდვის საშუალება არ გაქვთ, თურქული წარმოების დისკები მაინც უნდა შეიძინოთ.

**კითხვა: მყავს 1999 წლის გამოშვება „სუზუკი გრანდ ვიტარა”. ჩემდა გასაკვირად ორი დღის წინ დილით აღმოვაჩინე, რომ საჭე გახდა ძალიან რთულად დასამორჩილებელი, უხეში. შესაბამისი ღვედი დასუსტებული არ არის, საბურავებში წნევა ნორმალურია, ჯვარედინი გადამცემი, ეგრეთ წოდებული კრესტავინა, დაზიანებული არ არის, ჰიდრავლიკის ზეთი არ აკლია. როგორც მეუბნებიან ყველა სიმპტომით პრობლემა ჰიდრავლიკის ტუმბოშია. რას შეეძლო ამის გამოწვევა, ვის მივმართო და როგორ ავიცილო მსგავსი პრობლემა შემდგომში?**

**პასუხი**: ამ შემთხვევაში ორი მიზეზი შეიძლება იყოს, რომელიც თქვენ პრობლემას იწვევს. პირველი, ეს არის ჰიდრავლიკის ტუმბო, რომელიც წნევას ქმნის – ის დაზიანდა და საჭირო წნევას ვერ, ან საერთოდ არ ქმნის და მეორე, დაზიანდა ეგრეთ წოდებული „რულავოი კალონკა” – მოწყობილობა, რომელიც საჭის მართვას უზრუნველყოფს. ანუ, შესაძლებელია, ტუმბოდან საჭირო წნევა „რულავოის” მოეწოდებოდეს, მაგრამ ის სათანადოდ არ რეაგირებდეს, არ გადმოჰქონდეს წნევა საჭეზე. საჭის მექანიზმის გადამოწმება და შეკეთება შეგიძლიათ დიღომში – ლუდუშაურის სახელობის საავადმყოფოსთან არის ჩასახვევი, საიდანაც დაახლოებით, 40-50 მეტრში, მარჯვენა მხარეს შედის ვიწრო ქუჩა, რომლის სიღრმეშიც საჭის ხელოსნები არიან. რაც შეეხება იმას, რომ მომავალში პრობლემა თავიდან აიცილოთ, ეს თქვენზე არ არის დამოკიდებული და შესაბამისად, ვერც თავიდან აიცილებთ. ერთადერთი, რითაც საჭე ზიანდება ხოლმე, ჰიდრავლიკის ზეთის დაკლებაა. როდესაც ის იცლება, სხვადასხვა ზეთს ასხამენ და ამით მხოლოდ ის ადგილი კი არა, სხვა დეტალებიც ზიანდება. ამიტომ, ზეთის დაკლების შემთხვევაში, ყოველთვის კარგი ხარისხის და ზუსტად ის ზეთი ჩაასხით, რომელიც საჭიროა.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მიცუბიში პაჯერო”. როდესაც ხიდებს ვრთავ, ხან თავისუფლად ვარდება, ხანდახან კი ამისთვის ძალდატანება მჭირდება. ერთხელ ხიდების გამორთვაც ძალიან გამიჭირდა. ბევრი ვიწვალე და როგორც იქნა გამოვრთე. რამე გავაფუჭე, არასწორად ვრთავ თუ ყველა „ჯიპს“ ასე უჭირს ხიდების ჩართვა?**

**პასუხი**: ხიდების მექანიკურ ჩართვას თავისი სპეციფიკა აქვს. თუ ხიდების ჩართვა გინდათ და ბერკეტი გეწინააღმდეგებათ, ეს იმას ნიშნავს, მისი ჩასართავი კბილანა თავის ბუდეს ვერ პოულობს, ანუ, კბილი კბილზეა დამიზნებული. ამისთვის ძალიან მარტივი მოქმედებაა საჭირო. ავტომობილი წინ ან უკან, სულ ოდნავ დაწიეთ, რომ კბილი კბილს ასცდეს და თავის გზით წავიდეს. შემდეგ კი ხელმეორედ სცადეთ ხიდის ჩართვა. ყველაზე კარგი მომენტია, როცა აღმართზე ან დაღმართზე დგახართ, შესაბამისად ავტომობილს დაგორების საშუალება აქვს. ამ დროს შეგიძლიათ, ხიდების ჩამრთველ ბერკეტს მიაწვეთ, მუხრუჭს მსუბუქად შეუშვით ფეხი, რომ ავტომობილს ოდნავ დაგორების საშუალება მისცეთ. ამ დროს ის თავისუფლად იპოვის ბუდეს და თავის ადგილას ჩახტება. როგორც არ უნდა დარწმუნდეთ, რომ ხიდები ჩაირთო, მაინც გააკეთეთ საკონტროლო მოძრაობა. იგივენაირად მოიქეცით ხიდების გამორთვისასაც. ანუ, სულ ოდნავ დაძარით ავტომობილი და მოდება გათიშეთ, რათა ხიდების ჩასართავ კბილანას საშუალება მიეცეს თავის ბუდეს კარგად მოერგოს. ამ წესების დაცვით, თქვენ არასდროს გააფუჭებთ ხიდების ჩასართავ მოწყობილობას და ზოგადად, არც მათი ჩართვა გაგიჭირდებათ.

> **ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**
>
> ** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
>
> ** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
>
> ** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
>
> ** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
>
> *გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა
სალომე გველესიანმა**

სიმბოლურად ლიმონათით სავსე შპრიცი იყო მიმაგრებული.

**– თანამედროვე კინოში კომპიუტერული გრაფიკა არ ანაცვლებს პიროტექნიკოსის საქმეს?**

– კომპიუტერული სპეცეფექტები ფილმისთვის აუცილებელია, მაგრამ, არის ნატურალური სპეცეფექტები, რომლებაც ჩვენ ვაკეთებთ – ისეთს, რომელთა ჩანაცვლებაც შეუძლებელია. კარგ გრაფიკას რა ჯობია, მაგრამ, ეს ძალიან რთულია და ძვირად ღირებული. წლების განმავლობაში მუშაობს ათასობით სპეციალისტი ამ გრაფიკის შესაქმნელად, მაგრამ, სახლს ნატურალური სპეცეფექტით ხომ ვერ „დაანგრევ”? ჩვენც დავანგრიეთ ახლა ფრანგულ ფილმში სახლი ვაზიანში – ავარიული სახლი იყო და, რა პრობლემაა... მოკლედ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას აკეთებ. ნიუ-იორკის სცენებს, 20-მეტრიანი ტალღა რომ მოდის, გრაფიკის გარეშე ვერ გააკეთებ. მე, მაგალითად, უცხოურ ფილმებს ველარ ვუყურებ – უკვე მოსაწყენია, როცა იცი, რომელი სპეცეფექტი როგორი გაკეთებულია, შინაარსზე ველარ აკეთებ აქცენტს – მაინც სპეცეფექტებისკენ გაგირბის ყურადღება... ასეთია ჩვენი საქმე, რომელსაც დიდი ქვეყნების კინოინდუსტრიაში „ელიტურ დეპარტამენტს” უწოდებენ.

**თამუნა ნიჟარაძე**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



გაბუ-ტვა უყვარს

გუნდი / მასშიც აგდებენ ბურთს

ავგიას ჰქონდა / ცხრი-ილშია

რუს-ეთის ტბა

დელ-იბის ოპერა

რუსი მსახ-იობი ანდრეი

კამათი

(.....)-მორ-ტალე

მოლდ-ოველი კომპო-ზიტორი

საჭმელს წვავს / გრაფიკ. ნიშანი

თვით-მოქ-მედი

ძველ-ბერძენი მეცნ-იერი

დილის სიმღერა / რუსი მსახიობი ევგენი........

ძვ.იტა-ლიელი ფეხბუ-რთელი

იარაღის საწყობი

დიდი ტანის

პარკ-ოსანი მცენარე

მამალს აქვს

შეკვრა / ესეც იშლება

ბეთჰო-ვენის ოპერა

არის ას-ეთი ხე / დიდი გუთანი

ზოლე-ბიანი

ბაგირი / უწვერო

ჩვენი არაბი ჭაბუკი

ფაშის-ტების ბანაკი

ზოგი კლდე ასეთია

არის ასეთი საყვირი

ერთ-ერთი არითმეტიკული მოქმედება

ჭადრაკში მსოფლი-ოს ექს-ჩემპიონი

.....კას-რაძე / ერთი წიგნი

ქიშკარი

რიდი, კრძალვა / ძვ.ასუ-რეთში

დღე-ღამის ნაწილი

...და აბელი / ღვინის ჭურჭელი

ლამპ-რის პატ-რონი

თამაშის სახლი

დიდი ველი / ცუდი კვერცხი

ბრძოლა

პირველი ანუ? / დიდი საკეტი

ფრანგი მოქანდაკე / ჭრილობა ანუ?

გამოუ-ცდელი

ძვ.მცხ-ეთის კარპი

პატარა თითი

ველოს-ტადიონი / ქალის სახეობა

ორგან-იზაციის ნაწილი

ფაკულ-ტეტის შეფი

წრის ნაწილი

მით-იური თასი

ძვ.რო-მის იმპერ-ატორი

პირვ-ელი მრგვ-ალი

პამლ-ეტის სატრფო

სულხან საბას სოფელი / აირი

ალექს-ანდრა მოკლედ

ზვამ-ბაია / სეიკო

დიდი კარავი

ტყის მცველი

ზეობა ანუ? / (.....) კალმანი

თბი-ლისის უბანი

(.....)-კრანი

(........) ელიავა / გამხმარი ბალახი

ასო-ქია-ყელა

მუსიკის მცოდნე და მოყ-ვარული

პოეტი ლადო

პოლონ-ური მი-მართვა ბატონო!

ძველი არგენტინელი ფეხბურთელი

ოზურ-გეთის სოფელი / გერმანული მანქანა

ქართ-ველი კინორე-ჟისორი

ფეხის ნაწილი / ....გოძი-აშვილი

ჩვენგან შორს

ორი დღის შემდეგ თეფში

აზერბა-იჯანშია / საცხოვ-რებელი

„ბით-ლზის“ რინგო...

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | 1 | 4 | | | 4 | 1 | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | 1 | 3 | 1 | | | 1 | 3 | 1 | | 1 | 2 | 3 | 3 | | | |
| | | | | | | | | | 3 | 3 | 2 | 1 | | 6 | 3 | 1 | 2 | 2 | 1 | 3 | 6 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | | | |
| | | | | | | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 6 | 2 | 3 | 3 | 2 | 7 | | |
| 1 | 1 | | | | | | | 7 | 2 | 3 | 3 | 2 | 6 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | |
| 1 | 1 | 5 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 2 | 2 | 13 | 13 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 4 |
| | | | | | | 10 |
| | | | 3 | 1 | 1 | 3 |
| | | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | 2 | 2 | 2 | 2 |
| | | | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | 2 | 1 | 1 | 2 |
| | | | | 1 | 10 | 1 |
| | | | | | 8 | 8 |
| | | | | 1 | 10 | 1 |
| | | | | | 6 | 6 |
| | | | | | | 20 |
| 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 |
| | | | | | | 2 |
| | | | | | | 2 |
| | | | | | | 2 |
| | | | | | | 2 |
| | | | | | | 2 |
| | | | | | | 2 |
| | | | | 1 | 2 | 6 |
| | | | | 5 | 8 | 5 |
| | | | 8 | 2 | 2 | 1 |
| | | | 5 | 4 | 9 | 4 |
| | | | | 1 | 8 | 4 |

### სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | 5 | 4 | 8 | | 7 | 3 | |
| 8 | | | 3 | | 1 | 2 | | 4 |
| | 9 | | 6 | 7 | 2 | 5 | 8 | |
| | | 9 | | 1 | 5 | | 2 | 8 |
| 2 | 8 | 7 | | 4 | | 1 | | 3 |
| | 1 | | 8 | 2 | 3 | 6 | 7 | |
| 6 | | 8 | 5 | | 7 | | 1 | 2 |
| | 3 | | 2 | | 8 | 9 | | 5 |
| 9 | 5 | 2 | | 3 | 4 | | 6 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | 7 | | 4 | | 6 |
| 2 | | 4 | 9 | | | | | |
| | 6 | | | | 4 | | | 5 |
| 8 | | 1 | 6 | | | | 5 | |
| | | | 5 | | 8 | 1 | | |
| | | 2 | | 9 | | | | 8 |
| | 8 | | 2 | | 3 | 5 | | |
| 6 | | | | | | | 8 | 3 |
| | | 5 | | | 6 | | 1 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. წრის ფორმით დაიწყეთ ჩიტის ხატვა



2. მიახატეთ ქოჩორი და წრეში ჩახატეთ გეომეტრიული ფიგურა



3. ჩახატეთ ასევე სამკუთხედის და მთვარის ფორმის ფიგურები



4. გამოკვეთეთ თვალები



5. დაასრულეთ ნახატი



6. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე თაგუნას



## რომელი ფრანი რომელ დათუნიას ეკუთვნის



## ბულბული და მერცხალი

### (იგავ-არაკი)

ერთხელ მერცხალმა ბულბულს ურჩია, ჩემსავით ადამიანის სახლში დაიდე ბინაო.

– ძვირფასო, სულაც არ მეპიტნავება წარსულის გახსენება, ამიტომაც ვცხოვრობ ადამიანისგან შორსო, – მიუგო ბულბულმა.

როცა კაცი უბედურებას გამოცდის, იმ ადგილსაც გაურბის, სადაც ეს უბედურება შეემთხვა.

## რიცხვრებუსი

10,, ,,,,13, ,,0, 10,, ,100



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.

**ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: ჩემს ძაღლს ძალიან უყვარს რეზინის სათამაშოთი თამაში. სათამაშო სპეციალურად ძაღლისთვის არ არის განკუთვნილი, ის ბავშვს ეკუთვნის. საშიშია თუ არა ჩვეულებრივი, რეზინის სათამაშოს დაღრღნა ძაღლის ჯანმრთელობისთვის?**

**პასუხი:** ბავშვის სათამაშო ბევრად რბილი და დამყოლია, ვიდრე ძაღლის. ძაღლის სათამაშოს სპეციალური მასალისგან ამზადებენ, რათა ადვილად ვერ გაღრღნას და ნაწილები არ გადაყლაპოს თქვენმა ოთხფეხა მეგობარმა.

**კითხვა: მაცივრიდან გამოღებული კერძის ჭმევა თუ შეიძლება ძაღლისთვის?**

**პასუხი:** ოჯახის პირობებში დამზადებული წვნიანი კერძი, თუ ის მაცივარში დევს, როგორც ადამიანისთვის, ასევე ძაღლისთვის ჯერ უნდა წამოვადუღოთ, მერე გავაგრილოთ და ისე ვაჭამოთ. საერთოდ, არც არის რეკომენდებული, რომ საერთო კერძი ჭამოს ძაღლმა, რადგან, როგორც წესი, თითქმის ყველა ოჯახში კერძებს სანელებლებით აზავებენ. სანელებელი კი ძაღლისთვის არ ვარგა. გაითვალისწინეთ, რომ სანელებელი ძაღლებში ნაღვლის ბუშტის ანთებას და ღვიძლის გადაგვარებას იწვევს.

**კითხვა: ძალიან მომწონს ტაქსას ჯიშის ძაღლები. როგორც ვიცი, ის რამდენიმე სახეობის არსებობს. შეგიძლიათ, მითხრათ რამდენიმე სიტყვით ტაქსას შესახებ?**

**პასუხი:** ტაქსას სამი სახეობა არსებობს. ესენია: სტანდარტული, ჯუჯისებრი და ბოცვერისებრი, რომლებიც თავის მხრივ იყოფა გრძელბეწვიან, გლუვბეწვიან და უხეშბეწვიან ჯიშებად. ტაქსა იდეალური მონადირე ძაღლია. სოროდან ნადავლის გამოყვანაში მას ხელს უწყობს სხეულის მოკლე კიდურები, შეუპოვრობა და მონადირისთვის დამახასიათებელი აზარტულობა. კონტრასტული ხასიათი ტაქსას ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ის არის უზომოდ თბილი, იმავდროულად, მკაცრი და მომთხოვნიც. მას შეუძლია, ეშმაკური მოქცევით პატრონი თავის ჭკუაზე უპრობლემოდ ატაროს.

**კითხვა: როგორც ვიცი, ინფექციური ენტერიტი ძალიან საშიშია ძაღლის ჯანმრთელობისთვის. ამ დაავადებით ყველაზე ხშირად რომელი ძაღლები ავადდებიან?**

**პასუხი:** ინფექციური ენტერიტით, ძირითადად, ახალგაზრდა ძაღლები ავადდებიან. ზრდასრულ ძაღლებს თავისებური იმუნიტეტი უმუშავდებათ. აცრები რომ არ ჰქონდეთ ჩატარებული, თბილისის ძაღლების 70 პროცენტი მოზრდილ ასაკამდე ვერც მიაღწევდა. სანამ ვაქცინას გააკეთებდნენ, ინფექციური ენტერიტი იმდენად იყო გავრცელებული, რომ პრაქტიკულად, მთელ მსოფლიოში ნაყარის 30-40 პროცენტი იღუპებოდა.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ჭამის შემდეგ ბოლო დროს ხშირად ერევა გული. რისი ბრალი შეიძლება, იყოს ეს?**

**პასუხი:** ეს შეიძლება საკვების ბრალიც იყოს, ანუ აძლევთ ისეთ საკვებს, რაც საჭმლის მომნელებელი სისტემის გაღიზიანებას იწვევს. ეს კი შემდგომ გასტრიტის, დუოდენიტს და ქოლეცისტიტს იწვევს. ყოველივე ამას გართულება რომ არ მოჰყვეს, საჭიროა, დროულად მიიყვანოთ თქვენი ოთხფეხა მეგობარი ვეტერინართან.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: რთული მოსავლელია თუ არა აგავა და როგორ პირობებში შეიძლება მისი გახარება?**

**პასუხი:** აგავა ძალიან გამძლე მცენარეა. ყველაზე კარგად ნათელსა და თბილ გარემოში ხარობს. მთელი წლის განმავლობაში სინათლე არ მოაკლოთ. ეს მცენარე ზამთრის დაბალ ტემპერატურას, 5-6 გრადუსსაც იტანს, მთავარია, მშრალ ადგილას იდგეს. აქტიური ზრდის პერიოდში მორწყეთ რეგულარულად, ზამთარში კი მიწა მთლიანად არ გამოაშროთ. მას განსაკუთრებული პირობები არ სჭირდება და პრობლემებს არ შეგიქმნით.

**კითხვა: რა სინათლესა და ტემპერატურაზე დავდგათ ალოკაზია?**

**პასუხი:** ეს მცენარე მოარიდეთ მზის პირდაპირ სხივებს, მაგრამ, გაბნეული შუქი არ მოაკლოთ. ზამთარში მინიმუმ 15-18 გრადუსზე უნდა ამყოფოთ, ზაფხულში კი იდეალურია 20-25 გრადუსი. მას მუდმივად ტენი და სითბო სჭირდება. მოზრდილ ალოკაზიას ფოთლები სიგრილეში სცვივა, თუმცა თუ ოთახის ტემპერატურა მოიმატებს, ფესურადან ახალი ფოთლები ამოუვა. მისთვის საუკეთესო ადგილი ნათელი სააბაზანოა.

**კითხვა: როგორ და რა პირობებში მოვუარო ქლოროფიტუმს?**

**პასუხი:** გაზაფხულიდან შემოდგომამდე, აქტიური ზრდის პერიოდში, ქლოროფიტუმის მიწა ტენიანი უნდა იყოს. ამ დროს ორ კვირაში ერთხელ ბალანსირებული, თხევადი სასუქით მიწის განოყიერება მას სიჯანსაღეს შეუნარჩუნებს. ზამთარში, დასვენების პერიოდში, მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. კარგია ოთახის ნორმალური ტემპერატურა, 18-24 გრადუსი, ზამთარში კი – მინიმუმ 8 გრადუსი. ფოთლების სიხასხასის შესანარჩუნებლად დადგით ნათელ ადგილას, ოღონდ, მწველ მზეს მოარიდეთ. მიწის ზედაპირზე ფესვების გამოჩენა მცენარის გადარგვის აუცილებლობის ნიშანია. ფოთოლს სიმშრალისა და უჰაერობისგან გაყავსიფრებული ბოლოები წააჭერით. ქლოროფიტუმი კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს.

**კითხვა: შესაძლებელია თუ არა ბინაში ზამიოკულკასის გახარება და აყვავება?**

**პასუხი:** ეს აფრიკული მცენარე ჩრდილში ყოფნას კარგად იტანს და ამიტომ ოთახის პირობებს ადვილად ეგუება. ის იოლად გასაზრდელი მცენარეა და არც განსაკუთრებული მოვლა სჭირდება. დროდადრო სიმშრალესაც იტანს, მაგრამ, შეიძლება, ფოთლები დასცვივდეს. თუმცა, თუ ჩამოვარდნილ ფოთოლს ტენიან მიწაზე დადებთ, დაფესვიანდება და ორ წელიწადში ახალი მცენარე გექნებათ. ის გაბნეულ შუქზე უკეთ იზრდება. ამ მცენარეს ბუნებრივ გარემოში მწვანე და თეთრი ყვავილები ამოსდის, მაგრამ ოთახის პირობებში იშვიათად ყვავის.

**კითხვა: რამდენ ხანში ერთხელ მივაწოდო ტილანზიას სასუქი?**

**პასუხი:** ზრდის პერიოდში მეოთხედად გაზავებული ბალანსირებული თხევადი სასუქი ტილანზიას თვეში ერთხელ, დანამვისას ან წყალში ჩაშვებისას შეასხურეთ. შეუქმნეთ მაქსიმალურად ტენიანი გარემო, მაგრამ, ზედმეტი წყალი მცენარის დალპობას იწვევს. ამიტომ, აუცილებელია კარგი დრენაჟის მქონე მიწა. ზაფხულში ან ხშირად დანამეთ, რათა მიწა წყლით გაიჟღინთოს, ან, თუ მიწა თითქმის მშრალია, ოთახის ტემპერატურის რბილ წყალში ჩაუშვით და შემდეგ კარგად დაწრიტეთ, ზამთარში კი იშვიათად მორწყეთ.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# მამაკაცმა მეზობელი დედის გინების გამო 29-სანტიმეტრიანი დანით დაჩეხა და ცოცხალ-მკვდარი მდინარეში ჩააგდო



მამუკა დ-ძე ციხეში პირველად 21 წლის ასაკში მკვლელობის ბრალდებით მოხვდა. სასამართლომ მას 19 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, მაგრამ გაუმართლა – 12-წლიანი ტუსაღობის შემდეგ ვადაზე ადრე პირობით გაათავისუფლეს. ყოფილ პატიმარს გარეთ მეუღლე და შვილი ელოდნენ, მაგრამ, მძიმე გამოცდის მიუხედავად, ციხეში მეორედაც მკვლელობისთვის აღმოჩნდა – მეზობელი დედის შეგინების გამო მოკლა.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სწორედ შეგინების გამო მოკლა მამუკა დ-ძემ მეზობელი, ედიშერ მ-შვილი, ყოველ შემთხვევაში, ასე უთხრა მან მეუღლეს. მაგრამ, საინტერესო ისაა, რომ დღემდე არ არის ცნობილი, რა გახდა გინების მოტივი. არაა გამორიცხული, მკვლელობას სულ სხვა მიზეზი ჰქონდეს, მაგრამ, არ მოიძებნა არც ერთი მოწმე, რომელიც მომხდარს შეესწრო.

საქმის მასალების თანახმად, 18 დეკემბერს, მამუკა დ-ძემ დილით ჯერ სახლში, შემდეგ კი მეზობლის ბავშვის დაბადების დღეზე მისულმა დალია. სუფრა დაახლოებით ღამის 2 საათზე დატოვა. თავის სახლთან მისულს, მეზობელი, 39 წლის ედიშერ მ-შვილი შეხვდა, რომელიც ასევე მთვრალი იყო. ედიშერმა მას დედა შეაგინა, მაგრამ რატომ, საქმის მასალებში ამის მიზეზი არ ჩანს. საბრალდებო დასკვნის თანახმად, „ამ ფაქტით განაწყენებულმა დ-ძემ, შურისძიების მოტივით, მეზობლის მოკვლა გადაწყვიტა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად თან ნაქონი დანა ამოიღო და მ-შვილს კისრის არეში ორი, ხოლო ბარძაყის არეში ერთი ჭრილობა მიაყენა".

გამოძიების მასალებითვე, დ-ძემ დაჭრილი იქვე მიატოვა, თავად კი სახლში შევიდა, სისხლიანი დანა გარეცხა და მომხდარი მეუღლეს უამბო. კერძოდ, უთხრა, რომ დედის შეგინების გამო ედიშერ მ-შვილი მოკლა, მაგრამ მეუღლემ ქმრისა არ დაიჯერა, რადგან ციხიდან გამოსულ დ-ძეს, განსაკუთრებით სიმთვრალეში, ბოდვითი მოვლენები ახასიათებდა. ამიტომ, იფიქრა, რომ ქმარს მორიგი დეპრესია ჰქონდა.

საქმის მასალების თანახმად, დ-ძე იმავე ღამეს დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე, სადაც დაჭრილი ჯერ კიდევ ცოცხალი დახვდა, მაგრამ მის გადარჩენაზე არც უფიქრია, დაჭრილი ნახევრად გაყინულ მდინარესთან გადაათრია და წყალში გადააგდო. შემდეგ კი ისევ სახლში დაბრუნდა, ნივთები ჩაალაგა და იქაურობა დატოვა.

მოკლულის ცხედარი მდინარეში მეორე დილითვე იპოვეს და საქმეს შურისძიების მოტივით, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაცია მიენიჭა. გამოძიებას დამნაშავის დადგენა არ გასჭირვებია, მაგრამ მის კვალს ველარ მიაგნო – დ-ძემ საქართველოს დატოვება და მიმალვა მოასწრო.

საქმის მასალებით, ის რუსეთში, კერძოდ, ქალაქ ხარკოვში იმყოფებოდა, მაგრამ არც იქ უცხოვრია მშვიდად – მორიგი დანაშაული ამჯერად ხარკოვში ჩაიდინა, მაგრამ, იქაურ პოლიციას ველარ დაუძვრა. დ-ძე ბინების ძარცვისთვისა და პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევისთვის დააკავეს და ხარკოვის სასამართლომ 6 წელი მიუსაჯა. თუმცა, ვინაიდან საქართველოში უფრო მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ, მისი საქართველოში ექსტრადიცია მოხდა.

საქართველოში ჩამოყვანის შემდეგ, პროკურატურამ მ-შვილის მკვლელობის თაროზე შემოდებული საქმე განაახლა და ერთთვიანი გამოძიების შემდეგ საქმე სასამართლოს გაუგზავნა. დ-ძის საქმე უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ განიხილა.

ექსტრადირებულმა პატიმარმა წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ საერთოდ არ სცნო. აცხადებდა, რომ იმ დღეს საერთოდ არ შეხვედრია მოკლულ მეზობელს და საერთოდ არაფერი იცოდა მომხდარზე.

განსასჯელის ჩვენებიდან: „არანაირი მკვლელობა არ ჩამიდენია, ესაა ტყუილი და ამ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ვცნობ. არც ის ვიცი, ვინ მოკლა ედიშერ მ-შვილი. იმ დღეს მე ის საერთოდ არ მინახავს. რაც შეეხება საქართველოდან ჩემს გამგზავრებას, დიდი ხანია, რუსეთში სამუშაოდ წასვლა მინდოდა და ამიტომ წავედი. ამ ხნის განმავლობაში არც კი ვიცოდი, რომ პოლიცია მეძებდა. ეს ბრალდება მას შემდეგ გავიგე, როცა რუსეთში დამაკავეს".

მოკლედ, მკვლელობასთან კავშირს განსასჯელი კატეგორიულად უარყოფდა, მაგრამ სასამართლომ დ-ძეს დანაშაული არა მხოლოდ მისი მეუღლის, არამედ სიდედრის ჩვენებებითაც დაუდასტურა. საქმე ისაა, რომ განსასჯელის მეუღლე პროკურატურას ჯერ კიდევ წინასწარ გამოძიებაში ჰყავდა დაკითხული, რომელმაც ქმარი ამხილა. ჩვენებაში მაშინ განაცხადა, რომ იმ ღამეს, როდესაც ქმარმა მკვლელობის შესახებ უამბო, არ დაუჯერა, რადგან ეგონა, რომ დეპრესიაში იყო და ბოდავდა. წლების შემდეგ კი სასამართლოს სრულიად სხვა ჩვენება მისცა და პროცესზე ქმრის დაცვა საერთოდ არ უცდია.

– სად ვარ?.. რა... რა გამიკეთეთ... მე ხომ ცოცხალი ვარ, რატომ მკლავთ...

ბუჩისთვის ეს მეტისმეტი აღმოჩნდა. არაადამიანური ხმით იბღავლა, გადარეულივით გაიქცა კიბეებისკენ, თან მორიგე ოფიცერს ეძახდა. კლაივი სიცილით წამოხტა. ზეწარი გვამზე მიაგდო და სათადარიგო კიბით სამივე სამორიგეოში დაბრუნდა... ათ წუთსაც არ გაევლო, რომ ცარცივით გათეთრებული ბუჩი მათთან შევიდა.

– ძალიან ცუდად მოიქეცით, მისტერ ბრადლი. შიშით კინაღამ მოვკვდი, – ნაწყენი, თუმცა შედარებით მშვიდი ხმით წარმოთქვა მან, – ოფიცერი მაშინვე მიხვდა, რომ ეს თქვენ მოიმოქმედეთ და ძალიან გაბრაზდა. თქვა, თუ კიდევ განმეორდება მსგავსი რამ, უფროსობას ვაცნობებ და მაგათი ფეხი აქ აღარ იქნებაო... ავადმყოფი ცოლი მყავს. პენსია ძალიან ცოტაა... ასე რომ, ნუღარ გამეხუმრებით, ძალიან გთხოვთ...

კლაივ ბრადლი განყოფილებიდან ღამის ორ საათზე გავიდა... ისევ ცელქობის განწყობაზე იყო.. იქვე ახლოს, პატარა ბარში შევიდა და ვისკი შეუკვეთა. ბარში თითქმის არავინ იყო. მხოლოდ ოდნავ მოშორებით იჯდა ვიღაც გასაცოდავებული ტიპი. დაბალი და თავმოტვლეპილი. ღია სანდლები ეცვა და რაღაცაზე ფიქრობდა. კლაივმა, ვითომ შემთხვევით, იატაკზე სანთებელა დააგდო და მის ასაღებად დაიხარა. ჯიბიდან შეუმჩნევლად ამოიღო ასანთი, ორი ღერი ტიპს შიშველი ფეხის თითებს შორის ჩაურჭო და მოუკიდა... მერე სწრაფად წამოდგა, ეფექტი წარმოუდგენელი იყო. საწყალი დამდუღრულივით წამოხტა და ადგილზე დაიწყო ხტუნვა, ცეცხლი რომ ჩაექრო. ისეთი განწირული, შეშინებული სახე ჰქონდა, ბრადლი ჩაბჟირდა სიცილისგან... მაგრამ ხუმრობა ძალიან ძვირად დაუჯდა. ასანთი ჩაქრა და გაცოფებული უცნობი, ჩასისხლიანებული თვალებით მისკენ შემობრუნდა.

– ნაბიჭვარო! – დაიყვირა და ყბაში ისეთი ძალით ამოარტყა მუშტი, კლაივი იატაკს მოსწყდა, ჰაერში ავარდა და ბარის სკამს ზურგით დაენარცხა. გაიგონა, როგორ გაილღჭიალა ძვლებმა ხერხემალში და გონება დაკარგა...

– მგონი, მოკალი ნაბიჭვარი, – ბარმენი შიშით დააშტერდა ჟურნალისტის უსულო სხეულს.

– მოვკალი? შეუძლებელია. მხოლოდ ერთხელ დავარტყი.

– ჰო, მაგრამ, როგორი ძალით. შენი მუშტი რკინასავითაა. რა ვქნათ ახლა? პოლიციასთან პრობლემები არ მჭირდება.

– მისი ბრალია. რა უნდოდა ჩემგან? თანაც, ეს უბედური შემთხვევა იყო. მისი მოკვლა აზრადაც არ მქონია.

– იცი, რა ვქნათ? სანამ ვინმეს უნახავს, გარეთ გავათრიოთ და თხრილში ჩავაგდოთ. მოიცა, ჯიბეები ამოუსუფთავე... ვითომ ვიღაცამ გაძარცვის მიზნით მოკლა...

კლაივი გონს ქუჩაში მოვიდა... სიცივემ გამოაფხიზლა. მაგრამ არც ხმის ამოღება შეეძლო, არც ხელ-ფეხის განძრევა. თვალებსაც ვერ ახელდა, მაგრამ ყველაფერი ესმოდა.

– საცოდავი, მოუკლავთ... ალბათ, მძარცველები დაესხნენ თავს... სასწრაფოს გამოვუძახოთ, თუ განყოფილების მორგში მივიტანოთ?

– სასწრაფო რად უნდა, ვერ ხედავ, რომ პულსი არ ესინჯება? საბუთებიც არაფერი აქვს, რომ გავიგოთ, ვინ არის... მორგში მიხედავენ...

ხმები მიჩუმდა. ბრადლიმ იგრძნო, რომ ასწიეს და სადღაც წაიღეს. მოძრაობას უნარი ისევ არ ჰქონდა, მაგრამ ყველანაირად შეეცადა, ტუჩები მაინც აეცმაცუნებინა და რაღაც ხმა ამოუშვა. იმედი ჰქონდა, რომ მორგში ბუჩს მაინც მიახვედრებდა, რომ ცოცხალი იყო... თვალები რომ გაახილა, დაინახა ნაცნობი, პატარა ოთახი და ბუჩი, რომელიც შიშველ ფეხზე ნომრიან ჟეტონს აბამდა. მოხუცს წარმოდგენა არ ჰქონდა, ვინ იწვა მის წინ.

რეპორტიორმა მთელი სხეული დაძაბა, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა და დაიძახა: „ბუჩ... ბუჩ... მე ცოცხალი ვარც... ცოცხალი... გამოიძახე ექიმი და ოფიცერსაც დაუძახე...“

ბუჩი შეკრთა, თითქოს რაღაც მოესმა... ყუთთან უფრო ახლოს მივიდა და უსულო სხეულს დააშტერდა...

„...ბუჩ... მე ცოცხალი ვარ... ცოცხალი...“ – ოდნავ გასაგონი ხმით ჩიფჩიფებდა რეპორტიორი... დარაჯმა თავი გადააქნია.

– ეჰ, მისტერ ბრადლი... ხომ გთხოვეთ, ასე სულელურად ნუღარ იხუმრებთ-მეთქი... ასე როგორ შეიძლება? სამი საათიც არ გასულა და იგივეს აკეთებთ. მაგრამ ამჯერად აღარ გაგივათ. აღარ ავყვები თქვენს სისულელეებს, მორჩა. ვიცი, როგორც უნდა მოვიქცე. ამ სიტყვებით ბუჩმა ბრადლის ზეწარი გადააფარა, ყუთი მაცივარში შეაგორა, კარიც დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო... მერე მშვიდად ჩამოჯდა სკამზე და გათენებას დაელოდა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# მსოფლიო ლიდერების ყველაზე სკანდალური გამონათქვამები და „ფრთიანი“ ფრაზები

*არცთუ იშვიათად, ქვეყნების პირველ პირებსაც მოსდით ლაფსუსები საჯარო საუბრის დროს, ისინიც უშვებენ შეცდომებს და ხშირად ეს შეცდომები სკანდალურ ელფერს სძენს მათი პრეზიდენტობის პერიოდს. გთავაზობთ სხვადასხვა სახელმწიფოს პირველი პირების მიერ გამოთქმულ ყველაზე სკანდალურ ფრაზებს.*

### რონალდ რეიგანი – ამერიკის შეერთებული შტატები

1984 წლის 11 აგვისტო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, რონალდ რეიგანის უცნაური განცხადებით დაიწყო: „ძვირფასო ამერიკელებო! მოხარული ვარ, შეგატყობინოთ, რომ რუსეთი უკანონოდ არის გამოცხადებული და ჩვენ გავგზავნეთ ჩვენი ბომბდამშენები. დაბომბვა დაიწყება ხუთ წუთში”. რეიგანმა არ იცოდა, რომ მისი ამ საუბრის დროს მიკროფონი უკვე ჩართული იყო და გადაიცემოდა პირდაპირ ეთერში. ეს იყო პრეზიდენტის ერთგვარი ხუმრობა, უფრო სწორად, იმის შემოწმება, მუშაობს თუ არა მიკროფონი. „ცივი ომის” პერიოდში ასეთი ფრაზის მოსმენის შემდეგ სიტუაცია მსოფლიოში დაიძაბა. საბჭოთა კავშირმა ამერიკელი ლიდერის ქმედება დაუშვებლად მიიჩნია და ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. მსოფლიო ბირთვული ომის დაწყების მოლოდინში იყო, რადგან, დაძაბულობამ ორ ქვეყანას შორის პიკს მიაღწია, თუმცა, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ცნობისთვის, რეიგანისთვის მსგავსი ხუმრობა არ იყო პირველი შემთხვევა – 1982 წელს, პირდაპირ ეთერში, პოლონეთის ხელისუფლება მან „უვარგის ტილიან უსაქმურებად” დაახასიათა.



### ნიკიტა ხრუშჩოვი – საბჭოთა კავშირი

„მი ვამ პოკაჟემ კუზკინუ მაწ!” – საბჭოელი ლიდერის ეს სიტყვები მსოფლიომ მაშინვე დაიმახსოვრა. ეს სიტყვები ხრუშჩოვმა ამერიკის პრეზიდენტს, რიჩარდ ნიქსონს უთხრა და მთარგმნელები, უბრალოდ, დაიბნენ – მათ არ იცოდნენ, როგორ ეთაგრმნათ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვები. იგივე შეიძლება ითქვას ხრუშჩოვის კიდევ ერთ ფრაზაზე, „ჩვენ გავუსწრებთ და გადავასწრებთ ამერიკას”, რომლის თარგმნა ასევე გაუჭირდათ მთარგმნელებს. მათ პირდაპირი მნიშვნელობით უთარგმნეს ნიქსონს და, მან, რა თქმა უნდა, ვერაფერი გაიგო. ხრუშჩოვის კიდევ ერთი „ფრთიანი” ფრაზის გამო კი მსოფლიო შეშფოთებული იყო. „ჩვენ თქვენ დაგასამარებთ!” – გამოაცხადა საბჭოელმა ლიდერმა და იგულისხმა, რომ კომუნიზმი დაამარცხებდა კაპიტალიზმს და მსოფლიოში კომუნისტური წყობილება დამკვიდრდებოდა, მაგრამ ფრაზა „დაგასამარებთ” ყველამ ისე მიიღო, თითქოს საბჭოთა კავშირი ომის გამოცხადებას უპირებდა მსოფლიოს.

### ლეონიდ კუჩმა – უკრაინა

„მე პრეზიდენტი ვარ, ქვეყნის მეთაური და, არ უნდა ვიყო დაკავებული სხვა საკითხებით, მათ შორის – ეკონომიკით!” – ეს ფრაზა უკრაინის პრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას ეკუთვნის. ცნობილია მისი კიდევ რამდენიმე გამონათქვამი: „უკრაინა ღარიბი ქვეყანაა უამრავი პრობლემით, მასზე შეგვიძლია ფეხებიც კი გავიწმინდოთ, როგორც სველ ტილოზე,” – ასეთი განცხადება გააკეთა მან უკრაინის ფინანსურ მდგომარეობაზე. რუსეთთან ვალის შესახებ კი კუჩმამ განაცხადა: „რუსეთი ჩვენი მოვალეა არა იურიდიულად, არამედ, მორალურ ასპექტში. ეს გვაკავშირებს და არა გვაშორებს და, ჩვენ არ ვივიწყებთ, რომ მათი ვალი გვაქვს, მაგრამ, მის გადახდას არ ვაპირებთ, თქვენ იცით, რატომაც”.

### ალექსანდრ ლუკაშენკო – ბელარუსი

ბელარუსის ქარიზმატულ ლიდერს, ალექსანდრ ლუკაშენკოს, რამდენიმე „ფრთიანი” ფრაზა ეკუთვნის, მაგრამ, ერთ-ერთი მათგანი ყველა ბელარუსმა, სავარაუდოდ, ზეპირად იცის. საკუთარ თავზე პრეზიდენტმა შემდეგი განაცხადა: „ჩემ თავზე დავფიქრდი და მივხვდი: ღმერთს მადლობა, რომ არსებობს ასეთი პრეზიდენტი, რომელსაც შეუძლია სტაბილურობის შენარჩუნება საზოგადოებაში. ბელარუსები მას უნდა უმადლოდნენ”.

### ვიქტორ იანუკოვიჩი – უკრაინა

უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი ასევე ხშირად უშვებს შეცდომებს. მაგალითად, მან ვერ გაიხსენა ფიოდორ დოსტოევსკი, როდესაც ამბობდა: „არ მახსოვს, ვინ თქვა, მაგრამ, სწორად თქვა – „სილამაზე მუდამ იმარჯვებს”, დოსტოევსკიმ თქვა, მგონი, ზუსტად არ მახსოვს (იანუკოვიჩი გულისხმობდა დოსტოევსკის „სილამაზე გადაარჩენს მსოფლიოს”). იანუკოვიჩის კიდევ ერთი „შედევრია”, როდესაც მან ლვოვის მოსახლეობა „ქვეყნის გენოციდად” გამოაცხადა, იანუკოვიჩს, უბრალოდ, აერია სიტყვები: „გენოციდი“ და „გენოფონდი.“

### ნიკოლა სარკოზი – საფრანგეთი

2011 წლის ნოემბერში საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე სკანდალში გაყო თავი და რეპუტაცია შეირყია. პრეზიდენტის პრესკონფერენციის ორგანიზატორებმა შეცდომით ადრე ჩართეს მიკროფონები და ყველა ჟურნალისტმა მოისმინა სარკოზისა და ბარაკ ობამას პირადი საუბარი, რომლის დროსაც სარკოზიმ ისრაელის პრემიერ-მინისტრი მატყუარად მოიხსენია, რაზეც ობამამ უპასუხა: „მიუხედავად ამისა, ჩვენ მასთან ყოველდღე გვიწევს მუშაობა”.

### ვლადიმირ პუტინი – რუსეთი

„ფორბსის” 2013 წლის ვერსიით, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ადამიანი, ვლადიმირ პუტინი, არაერთხელ მოხვედრილა მსგავს სიტუაციებში. მაგალითად, ცნობილი ფაქტია, რომ ჯორჯ ბუშ-უმცროსთან სტუმრობის შემდგომ, პუტინმა ჟურნალისტებს განუცხადა: „არ მაწუხებს ის ფაქტი, რომ ამერიკის პრეზიდენტის რანჩოზე გავატარე ღამე; მგონი, პირიქით



უნდა იყოს, ის უნდა წუხდეს, რომ საკუთარ სახლში საბჭოელი ჯაშუში შეუშვა”. პუტინის კიდევ ერთი ცნობილი „ფრთიანი” ფრაზაა, როდესაც მან ტერორისტებზე განაცხადა, რომ ყველას „საპირფარეშოში მოაკვლევინებს”. სულ ბოლო „ფრთიანი” ფრაზა კი პუტინმა თავისი მესამე გაპრეზიდენტების შემდგომ გაახმოვანა, რომლის მნიშვნელობაც დიდი ხნის განმავლობაში ვერავინ გაიგო. „როგორ ვმუშაობთ?! მუშაობის ხარისხი სავალალოა. ყველაფერს ზედაპირულად ვაკეთებთ. თუ ასე გავაგრძელებთ, ვერაფერს გავაკეთებთ. თუ ამას ვერ გავაკეთებთ, მაშინ ჩემს მუშაობას არაეფექტურს ვუწოდებ, ან, მთავრობა ცუდად იმუშავებს და წასვლა მოუწევს. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ დღეს მე მეორე ვარიანტის მომხრე ვარ”.

### ვისენტე ფოქსი – მექსიკა

2002 წლის მაისში ევროკავშირის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნების სამიტზე მექსიკის პრეზიდენტი ვისენტე ფოქსი და ბრაზილიის მაშინდელი პრეზიდენტი ფერნანდო ენრიკე კარდოზო ყველას გასაგონად განიხილავდნენ სხვადასხვა თემას ჩართულ მიკროფონში. სხვა მოსაზრებებს შორის ორმა პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ესპანეთის რესპუბლიკა არაიმიტომ გადაურჩა ეკონომიკურ სიძნელეებს ფრანკოს დიქტატურის დაცემის შემდეგ, რომ დემოკრატიული სახელმწიფო გახდა, არამედ, იმიტომ, რომ მიიღო შესაბამისი დახმარება ამერიკისგან. პრეზიდენტების აზრით, მსგავსი დახმარება მათ ქვეყნებსაც არ აწყენდა. ეს საუბარი ყველამ მოისმინა, რამაც სკანდალი გამოიწვია.

**უშანგი რუხაძე**

სახლი მარშალ გელოვანის გამზირზე

აქცია მხოლოდ ერთი თვით - 90მ² ბინები ყველაზე ხელსაყრელ ფასად!

* შიდა განვადება – 0%
* VTB-ბანკის სესხი მხოლოდ პირადობის მოწმობით.

გაყიდვების ოფისი:
სარაჯიშვილის №1
Tel: +995 32 254 04 27;
+995 599 30 14 18
www.ed-development.ge
www.facebook.com/eddevelopment.ge



**ქართველმა მაყურებელმა ბაბე ჯერ კიდევ წლების წინ გაიცნო, ოღონდ, როგორც რეპერი. დღეს ის Go-Go danceri და ფოტომოდელია. ცოტა ხნის წინ კი, ზედიზედ ორჯერ მონაწილეობდა „ნიჭიერში“: ერთხელ – როგორც მოცეკვავე, ხოლო მეორედ – დრიფტერთან ერთად, რომელმაც მას ავტომობილიდან გახადა კაბა.**

# რა „სტავკები“ აქვს ბაბეს და რატომ დათანხმდა ის ქართველ დრიფტერს რისკის ფასად კაბის გახდაზე

**ბაბე**: Go-Go danceri ვარ, ვცეკვავ კლუბ „სენატში“, ვარ „კლაბ შოუში“. ცოტა ხნის წინ მარკუს მეტრეველთან ერთად მქონდა ჩაწერა. ასე რომ, ცეკვით ვარ ძირითადად დაკავებული, თუმცა, წარსულში ვრეპავდი. ჩემი სიმღერა – „გაიჩალიჩებ“, თავის დროზე ძალიან პოპულარული იყო, ფურორი მოახდინა და დღემდე ახსოვს ხალხს. სწორედ აქედან წამოვიდა ჩემი ფსევდონიმიც. დღეს რეპი დროებით გვერდზე გადავდე, რადგან, არ მინდა, მხოლოდ ერთი სფეროთი შემოვიფარგლო. ფოტომოდელიც ვარ, სხვადასხვა სააგენტოსთან ვთანამშრომლობდი, მაგრამ, ახლა უკვე თავისუფალი მოდელი ვარ. ყველა შემოთავაზება ჩემთან პირდაპირ მოდის და თავად ვწყვეტ, რა ვაკეთო. მსახიობობასაც ვიწყებ. ერთი კვირის წინ ერთ-ერთ სტუდიაში ვიყავი ქასთინგებზე, ამიყვანეს და ვიქნები ერთ-ერთ სერიალში, რომელიც „კომედი არხზე“ გავა. ასევე, არ არის გამორიცხული, ვითანამშრომლო კახი ხაბეიშვილთან, რომელსაც, ჩემთან დაკავშირებით, როგორც სამოდელო, ასევე, კინოს მხრივ, საინტერესო შემოთავაზებები აქვს. საქართველოში, სამწუხაროდ, ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ „გოგო დენსერსა“ და „სტრიპტიზ-დენსერს“. ნახევრად შიშველი გოგონა აივანზე თუ ცეკვავს გამომწვევი მიმიკით, პლასტიკით, მოძრაობებით, ის უკვე სტრიპტიზის მოცეკვავე ჰგონიათ. „გო-გო დენსერი“ იგივე შოუვუმენია, რომელიც ხალხს ამხნევებს, მოუწოდებს ცეკვისკენ, ცდილობს, მათ კომპლექსი მოუხსნას, რაც საქართველოში არა მხოლოდ გოგონებში, ბიჭებშიც შეიმჩნევა. მე, ზოგადად, უკომპლექსო ადამიანი ვარ, თან, ისეთი, რომ ამის გამო ხშირად მაკრიტიკებენ, თუნდაც „ფეისბუქზე”. ეს კრიტიკა მოდის არა მხოლოდ გოგონებისგან, არამედ, მამრობითი სქესის წარმომადგენლებისგანაც. მე ქუჩაშიც თავისუფლად ჩაცმული დავდივარ და ამის გამო ბევრი მაკრიტიკებს – ნუ დადიხარ ასე, ეს საქართველოა, ამის გამო პრობლემები შეგექმნებაო. მერე რა, თუ შემექმნება. ეს ჩემი „პაგოდაა“, ასე სიარული მომწონს და, ისე ვივლი, როგორც „მისწორდება“.

– **ისე, შეგქმნია პრობლემები?**

– სერიოზული არა. როცა რაღაც არ მომწონს, ამას პირდაპირ ვამბობ და ესეც არ მოსწონთ. არ დაგიმალავ და, გინებაც მიყვარს, მაგრამ, არ ვიგინები იქ, სადაც არ უნდა შევიგინო, იქ ვიგინები და იმას ვაგინებ, ვისაც, ვიცი, რომ უნდა ვაკადრო და, ისიც ვიცი – რატომ. არც იმის პრობლემა მაქვს, შიშველმა გადავიღო ფოტოები ან თამამ სცენებში ვითამაშო. თუმცა, იმიტომ არ ვიღებ ფოტოებს, რომ მერე „ფეისბუქი“ ავაჭრელო, ამას პროფესიული კუთხით ვუყურებ. მე მაქვს ჩემი „სტავკა“, აწყობთ – აწყობთ, თუ არა, ნახვამდისმეთქი, ვეუბნები. ეს ჩემი პროფესიაა და, ზუსტად ვიცი, რომ შემიძლია, ამაში პროფესიონალურად, ბოლომდე დავიხარჯო და, საბოლოოდ, მეც კმაყოფილი დავრჩე და ისინიც.

– **როგორია შენი „სტავკები“?**

– ფოტოებს გააჩნია. რა თქმა უნდა, თამამი ფოტოები სხვა ღირს, სამოყვარულო ფოტოები – სხვა. ინდივიდუალურად ხდება შეთანხმება.

– **თუ გიწვევენ პრივატულ საღამოებზე, როგორც მოცეკვავეს?**

– უცხოეთში მცხოვრები ქართველი ჩამოვიდა და თან ჩამოიყვანა ევროპელი მეგობარი, რომელსაც დაბადების დღე ჰქონდა. მოკლედ, გადაწყვიტეს, მისთვის სიურპრიზი მოეწყოთ, დამიკავშირდნენ „ფეისბუქზე“ და შემომთავაზეს მათთან მუშაობა. იუბილარისთვის თვალები უნდა აეხვიათ, ეთქვათ, რომ მისთვის რაღაც სიურპრიზი აქვთ და ამ დროს უნდა შევსულიყავი მე და მეცეკვა. ყველაფერზე შევთანხმდით, ვიცეკვე მისთვის პრივატული ცეკვა, რომელიც კლუბში ცეკვისგან იმით განსხვავდება, რომ, შეგიძლია, შეეხო მას, ვისთვისაც ცეკვავ, სამაგიეროდ, მას არ აქვს უფლება, შეგეხოს. ძალიან მოეწონა, ირგვლივ ყველა კმაყოფილი დარჩა. თან, წვეულებას ბევრი ქალბატონი ესწრებოდა, ძირითადად, „დამაჩკები“ იყვნენ და, მეგონა, ჩემს გამოსვლას კრიტიკა მოჰყვებოდა, მაგრამ, პირიქით მოხდა – მოვიდნენ ეს ქალბატონები და მითხრეს, ძალიან კარგად იცეკვეო. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ, ხშირად, როცა ადამიანი კლუბში მოცეკვავეს მხედავს, მერე სახლში მისულს „ფეისბუქში“ ასეთი შემოთავაზება დამხვედრია: დაგინახე, ცეკვავ-



**ჩემი საჯდომი ტამ-ტამად აღიქვეს და ამის მერე ჩემს საჯდომს თავისი სახელი აქვს – „ტამ-ტამი“**

დი, მომეწონე. ღამეში რამდენი გინდა გადაგიხადო?! ასეთი რაღაცეები პირველად არ ხდება, ამიტომ, უკვე მეცინება. თან, დავიღალე ახსნით: „იცი, მე მოცეკვავე ვარ და არ ვარ ის გოგონა, რომელიც შენ გინდა.“ ამიტომ, მაშინვე, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, შავ სიაში ვაგდებ და ვბლოკავ.

– **არ ხარ გათხოვილი?**

– ვიყავი. 4 წლის შვილიც მყავს – ბარბარე.

> **მერე რა, თუ პრობლემები შემექმნება. ეს ჩემი „პაგოდაა“, ასე სიარული მომწონს და, ისე ვივლი, როგორც „მისწორდება“**

ყველანარად ვცდილობ, არაფერი მოვაკლო, მისთვის ყველაფერი გავაკეთო და, რაც მთავარია, არანაირ დისკომფორტს არ მიქმნის ის ფაქტი, რომ ბავშვს მარტო ვზრდი. შვილი მაძლევს იმის სტიმულს, რომ უფრო მეტი ვაკეთო, სხვა გზით არ წავიდე, რადგან, როცა ქალს საქმე კარგად არ მისდის, ზოგჯერ მას გონება ცუდი რაღაცეების კეთებისკენ უბიძგებს. მე ეს არ მემართება, მყარად ვდგავარ და, შევეცდები, ჩემს შვილს კარგი მომავალი შევუქმნა. ამ ეტაპზე არც გათხოვებას ვგეგმავ და, რაც მთავარია, არ მივეკუთნები იმ გოგონების რიცხვს, რომლებიც ცდილობენ, „დაითრიონ ფულიანი ბიძუნები“. არ ვნადირობ ფულიან ბიჭებზე, ბიძებზე, რომელიც ჩამაცმევს, კარგ სუნამოს მიყიდის, ფიტნესკლუბში მატარებს... იმდენად დამოუკიდებელი ქალი ვარ, მირჩევნია, ჩემით ვაკეთო ყველაფერი, ვიდრე ვინმემ წამომაძახოს, ჩემი ნაყიდი კაბით დადისო. ნებისმიერ დროს შემიძლია, მყავდეს ადამიანი, რომელთან ყოფნაც მომინდება. რაც მთავარია, ისიც თამამი აზროვნების უნდა იყოს, არ უნდა ჰქონდეს კომპლექსები და არ უნდა ამიკრძალოს ცეკვა, მოდელობა, რაც ხშირად ხდება საქართველოში. ისე მიყვარს ჩემი საქმე, რომ ვერავის გამო ვერ დავანებებ თავს. ზუსტად ვიცი, რომ გათხოვება ამ ეტაპზე არ მინდა. ვაკეთებ ჩემს საყვარელ საქმეს, ვუვლი ჩემს შვილს, ვერთობი ისე, როგორც მე მინდა, ზომიერების ფარგლებში და, ზოგადად, ვაკეთებ იმას, რაც მე მინდა და ამაში ვერავინ შემზღუდავს, რადგან, საკუთარი თავის პატრონი თავად ვარ. ზოგადად, თავისუფალი ურთიერთობის მომხრე ვარ, რადგან, იქ არანაირი ეჭვი, ოფიციალურობა არ არის. როგორც კი დაიწერება, რომ შეყვარებულები ვართ ან ცოლ-ქმარი, იქვე მთავრდება ყველაფერი – ოფიციალურობა აფუჭებს ურთიერთობებს. მე მინდა, ჩვენს ურთიერთობაში სპონტანურობა იყოს: იმ დროს გავუკეთო საჭმელი ან საჩუქარი, როცა მას მოუნდება ან მე მომინდება; ისე უნდა იყოს ყველაფერი, როგორც ახლად დაწყებული ურთიერთობა და არა დაგეგმილი. ჩემი თავის პატრონი ვარ და, როცა მომინდება, მაშინ მეყოლება ასეთი ადამიანი. პირდაპირ ვიტყვი: რეზინის ადამიანი არავინ არ არის, სხვა რაღაცეების გაკეთებას რამენაირად ვახერხებთ, ამ მხრივ, პრობლემები არ მაქვს. რომ სხედან და ელოდებიან – როდის გავთხოვდები, რომ სექსუალური ურთიერთობა მქონდესო, ეს არ არის ჩემთვის პრობლემა. მინდა – მექნება, არ მინდა – არ მექნება, ეს ჩემი საქმეა.

– **ცოტა ხნის წინ „ნიჭიერში“ გამოხვედი.**

– ერთხელ მუსიკოსების ჯგუფთან ერთად გამოვედი, როგორც მოცეკვავე – მათ მთხოვეს გამოსვლა. სამწუხაროდ, მეორე ტურში ვერ გადავიდნენ, ჩვენ, მოცეკვავეები უფრო მოვეწონეთ, ვიდრე თვითონ მუსიკოსები. ჩემი საჯდომი კი „ტამტამად“ აღიქვეს. ამის მერე ჩემს საჯდომს თავისი სახელი აქვს – „ტამ-ტამი.“ მეორე შემთხვევაში, უკვე გიორგი სარიშვილთან ერთად გამოვედი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო დრიფტერია საქართველოში. მას „ნიჭიერისთვის“ სჭირდებოდა გოგონა-მოდელი, ანუ, მსხვერპლი, რომლისთვისაც კაბა უნდა გაეხადა. ძალიან სარისკო იყო, ყველამ მითხრა, როგორ გაბედეო. რადგან ძალიან რისკიანი ადამიანი ვარ, გავრისკე, თუმცა, ორივე ვნერვიულობდით, რადგან, ქარი იყო და, შეიძლებოდა, ამას ჩვენთვის ხელი შეეშალა. საშიშროებაც იყო, რადგან, მანქანა ჩემთან ძალიან ახლოს უნდა ყოფილიყო, შემდეგ შორიდან უნდა შემოევლო წრე და კაბა გაეხადა, რომლის ქსოვილი კი იწელებოდა, მაგრამ, შეიძლება, არ გაქაჩულიყო და წავქცეულიყავი. უბრალოდ, საჭესთან პროფესიონალი ადამიანი იჯდა და მე მის პროფესიონალიზმსა და საკუთარ თავს ვენდე. რაც მთავარია, ვგრძნობდი დიდ ადრენალინს, მყარად ვიდექი, ვცდილობდი, შოუ გამეკეთებინა, თუმცა, შინაგანად ცოტა ვშფოთავდი. შეიძლება, ამას მსხვერპლი არ მოჰყოლოდა, მაგრამ, არაფრისგან არ ვიყავი დაზღვეული. დღეის შემდეგ, ალბათ, უფრო „ყინულის ლედის“ დამარქმევენ ან „სტერვას“, თუმცა, ისედაც ვაღიარებ, რომ „სტერვა“ ვარ.

**ნათია უტიაშვილი**

# სერიული მანიაკები

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №38-46(672)**

ანა და გიორგი, რომლებიც ბოლომდე არ დასწრებიან დაკითხვას, გაოგნებულები კითხულობდნენ დაკითხვის ოქმს. ბოლოს ანამ ზიზღით დაუშვა ფურცლები მაგიდაზე და ჩაილაპარაკა:

– არ მჯერა ყოველივე ამის. ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია!

– მეც არ მჯერა, – ჩაურთო გიორგიმ, – მგონი, დევიძე პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ცდილობს და რაღაცას ბოდავს მითიურ მოძალადეებზე.

– არა მგონია, – თავი გააქნია მირიანმა, – დევიძე საერთოდ არ იცნობს სისხლის სამართლის კოდექსს. თანაც, დანაშაულში კიდევ ერთი ჯგუფის მონაწილეობა მისთვის არაფერს ცვლის. იმ ჯგუფის არსებობა თუ დამტკიცდა, ეს უფრო დაამძიმებს მის მდგომარეობას.

– რატომ? – ჰკითხა ანამ.

– დევიძესა და მის თანამზრახველს გოგონა უბრალოდ რომ მიეტოვებინათ ზღვაზე, სასამართლო სხვა შეფასებას მისცემდა დანაშაულს, მაგრამ, მათ უცნობ მიძალადეებს შეატოვეს ნონა. მათ ხომ იმის წარმოდგენაც კი არ შეეძლოთ, თუ რა შეიძლებოდა, მოჰყოლოდა ამას. თანაც, მათ არაფერი მოიმოქმედეს მოძალადეთა ხელიდან ნონას დასახსნელად. ისინი, უბრალოდ, სახელოსნოში, მანქანის შესაკეთებლად გაემგზავრნენ. ამ ქმედებას სასამართლო ცალკე კვალიფიკაციას მიანიჭებს.

– ესე იგი, ახლა ის ჯგუფი უნდა მოვძებნოთ? – იკითხა გიორგიმ.

– ბუნებრივია, – უპასუხა მირიანმა, – მგონი, შენ რამდენიმე ნაცნობი პოლიციელი გყავს ლოტკინის ქვეგანყოფილებაში.

– ჰო... კრიმინალურის ბიჭებს ვიცნობ.

– არა მგონია, მათი მოძებნა გაძნელდეს. ნარკოტიკი, დანები, აგრესიულობა... – ასეთი ტიპები თავისთავად მოხვდებოდნენ პოლიციის თვალთახედვის არეში. ერთ-ერთ მათგანს კი მოზრდილი ხალი აქვს ყვრიმალზე, – ჩაილაპარაკა მირიანმა.

– ჰო, – დაეთანხმა გიორგი, – მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი ლოტკინელები არიან!

– იმედი ვიქონიოთ, რომ ასეა. ყოველ შემთხვევაში, ძებნას მაინც ლოტკინიდან და ზღვის მიმდებარე უბნებიდან დავიწყებთ. მაგრამ, მანამდე სხვა საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი.

– აბულაძე? – თქვა ანამ.

– ბუნებრივია, – დაეთანხმა მირიანი, – პირველ ყოვლისა, მან უნდა დაადასტუროს დევიძის ჩვენება.

დაკითხვისას დევი დევიძის მიერ თანაზრახველად დასახელებული ზურაბ აბულაძე დიდუბის ეკლესიის სიახლოვეს ცხოვრობდა. მის შესახებ ანამ გარკვეული მონაცემების შეგროვებაც შეძლო. აბულაძე ტექნიკური უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი იყო. უნივერსიტეტის რექტორატი მას დადებითად ახასიათებდა. მის მიმართ რაიმე პრეტენზია არც პოლიციის ტერიტორიულ სამმართველოს ჰქონდა. ის არ იყო შემჩნეული რაიმე სახის კანონდარღვევაში და არც რაიმე სახის კავშირი ჰქონდა კრიმინალურ სამყაროსთან.

მირიანმა აბულაძის საცხოვრებელ კორპუსთან შეაჩერა მანქანა და კარის სახელურს წაეტანა, მაგრამ ანამ გაღების საშუალება არ მისცა.

– ამათ შეხედეთ! – სწრაფად თქვა მან და მირიანსა და გიორგის ეზოს სიღრმისკენ მიანიშნა.

– ხედავ ამ ნაბიჭვარს?! – ბრაზით ჩაილაპარაკა გიორგიმ, როდესაც ეზოს კუთხეში წითელ „ტოიოტას” მოჰკრა თვალი. მანქანის გვერდით რამაზ დევიძე და უცნობი ახალგაზრდა საუბრობდნენ. აღწერილობით ის ძალიან ჰგავდა ზურაბ აბულაძეს. რამაზს მშვიდად ეჭირა თავი, სამაგიეროდ, მისი თანამოსაუბრე აშკარად ღელავდა. ის ნერვიულად ეწეოდა სიგარეტს, აქეთ-იქით მიდიმოდიოდა და ხელების ქნევით ლაპარაკობდა.

მირიანმა მაშინვე უკან დახია მანქანა, რათა წყვილს თვალში არ მოხვედროდა, მაგრამ, უკვე გვიან იყო: სწორედ ამ დროს რამაზმა მათი მიმართულებით გამოიხედა და გაოგნებული გაშეშდა, თუმცა, მალევე გამოფხიზლდა და რაღაცა გადაულაპარაკა აბულაძეს.

– გააფრთხილა ახვარმა! – წამოიძახა გიორგიმ და სწრაფად გადავიდა მანქანიდან. მის დანახვაზე აბულაძე ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს და ჯერ საპირისპირო მხარეს გაქანდა, მაგრამ, იქ ჩიხი იყო, ამიტომ, ეზოდან ვერ გავიდოდა. მაშინ ის უკან შემობრუნდა, რამაზი ხელისკვრით ჩამოიშორა გზიდან და მის მანქანაში ჩაჯდა. გიორგის რამდენიმე ნაბიჯი რჩებოდა მანქანამდე, როდესაც აბულაძე ადგილს მოსწყდა, გაოგნებულ რამაზს მუხლებზე კენჭები მიაყარა და საბურავების წივილით გავარდა ეზოდან. ამის დანახვაზე მირიანმა ანას გასძახა, რომელიც ამასობაში მანქანიდან გადასულიყო – დევიძე დააპატიმრე და პროკურატურაში წაიყვანეო, შემდეგ კი საჭეს მიუჯდა და მანქანა სწრაფად შემოაბრუნა. ამ დროს მანქანასთან გიორგიმაც მიირბინა, მის გვერდით სავარძელზე დაჯდა და თადარიგიანად მოიმარჯვა პისტოლეტი. მირიანმა უმალ დაძრა მანქანა ადგილიდან და გაქცეულ აბულაძეს უკან მიჰყვა.

მოსალოდნელი დაპატიმრებით შეშინებული აბულაძე არც თავს ზოგავდა, არც მანქანას და არც შემთხვევით გამვლელებსა თუ შემხვედრ მანქანებს. ეზოდან გასვლისას მან საჭის დამორჩილება ვერ შეძლო და გამვლელ მანქანას გაჰკრა გვერდი. შეჯახებისას „ტოიოტას” მოძრაობის მიმართულება შეეცვალა და ტროტუარზე ავარდა. საბედნიეროდ, ტროტუარზე მიმავალ რამდენიმე ახალგაზრდას კარგი რეაქცია აღმოაჩნდა – მათ დროულად შენიშნეს საფრთხე და სწრაფი ნახტომით გაერიდნენ მათკენ გაქანებულ მანქანას. ამის შემდეგ ავტომანქანამ მკვეთრად მოუხვია, განათების ბოძს გაეხახუნა, გზის სავალ ნაწილზე დაბრუნდა და ძრავას ღმუილით გავარდა წინ.

– ვიღაცას გადაიყოლებს ეს დამპალი! – ბრაზით ჩაილაპარაკა გიორგიმ.

– დროზე უნდა შევაჩეროთ! – თქვა მირიანმა, შემდეგ რადიოსადგური მოიმარჯვა და პატრულს დაუკავშირდა.

ამასობაში აბულაძემ უკან მოიტოვა „დინამოს“ სტადიონი და სანაპიროზე დაეშვა. ორიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ დევნაში პატრულის თანამშრომლები ჩაერთვნენ. პატრულის მანქანა მაშუქების ციმციმითა და სირენის კივილით გამოუდგა „ტოიოტას”. თან, მძღოლს მეგაფონით მოუწოდებდა გაჩერებისკენ, მაგრამ, აბულაძემ ყურად არ იღო პოლიციის თანამშრომლების მოთხოვნა, პირიქით, სისწრაფეს მოუმატა და მდევრის გასწრება სცადა. ამ დროს მირიანს რადიოსადგურით პატრულის თანამშრომლები დაუკავშირდნენ და გააფრთხილეს, რომ მათ კოლეგებს უკვე გადაკეტილი ჰქონდათ გზატკეცილი.

პატრულის ორი მანქანა მოულოდნელად გამოჩნდა აბულაძის წინ. მანქანებს სავალი ნაწილი ჰქონდათ გადაკეტილი, პატრულის თანამშრომლები კი მანქანების უკან პისტოლეტებშემართულები იდგნენ. მათ დანახვაზე აბულაძე საჭეს ჩააფრინდა და ერთ-ერთ მანქანასა და ტროტუარს შორის გაძრომა



სცადა. მაგრამ გასასვლელი „ტოიოტასთვის” ვიწრო აღმოჩნდა: მან ძლიერად გაჰკრა გვერდი პატრულის მანქანას, რის გამოც მოძრაობის მიმართულება შეეცვალა, გვერდზე შებრუნებულმა გადაკვეთა საპირისპირო მოძრაობის ზოლი და მთელი ძალით შეასკდა ბორდიურს. შეჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ „ტოიოტა” ჰაერში ავარდა, ამოტრიალდა, ზევიდან გადაევლო სანაპიროს ქვის მოაჯირს და ზათქით ჩავარდა მტკვარში.

მირიანმა სწრაფად დაამუხრუჭა. მანქანა საბურავების წივილით შეჩერდა თუ არა, ის და გიორგი მანქანიდან გადახტნენ და მოაჯირთან მიირბინეს. წყლის ზედაპირზე მანქანის საბარგულიღა მოჩანდა, რომელიც ნელა იძირებოდა, თავად აბულაძე კი არსად ჩანდა.

პატრულის ერთ-ერთი დანამშრომელი უმალ დაუკავშირდა სამაშველო სამსახურსა და სასწრაფო დახმარებას და შემთხვევის ადგილზე გამოიძახა.

– ვერ მოუსწრებენ, მათ მოსვლამდე დაიხრჩობა! – ულონოდ ჩაილაპარაკა მირიანმა. გიორგიმ მას სწრაფად გახედა, შემდეგ კი უეცრად გადაევლო მოაჯირს და მტკვარში გადაეშვა.

გიორგის მკლავის ორიოდ მოქნევა დასჭირდა მანქანამდე მისაღწევად. წამით შეჩერდა, ღრმად ჩაისუნთქა და ჩაყვინთა. მირიანს მოეჩვენა, რომ ის ორიოდე წუთი, რომელიც გიორგიმ წყლის ქვეშ გაატარა, უსასრულოდ გაიწელა. ცოტა ხანში გიორგიმ ამოყვინთა, ჩაისუნთქა და ისევ წყალქვეშ გაუჩინარდა. ამჯერად მისი მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა – ის აბულაძესთან ერთად გამოჩნდა წყლის ზედაპირზე, რომელიც ძლიერ იყო დაშავებული – მას შუბლიდან სისხლი სდიოდა და გონება ჰქონდა დაკარგული.

გიორგი დაშავებულთან ერთად მიცურდა სანაპიროს კედელთან და მასზე ამოზრდილ ხეს ჩაეჭიდა. ამასობაში შემთხვევის ადგილას სამაშველო სამსახურისა და სასწრაფო დახმარების თანამშრომლები გამოჩნდნენ. მაშველები უმალ ჩაერთნენ საქმეში: ორი მათგანი თოკებით დაეშვა კედელზე. წყლიდან მათ ჯერ აბულაძე ამოიყვანეს და სასწრაფო დახმარებას გადასცეს, შემდეგ კი გიორგისაც მიხედეს.

– როგორ ხარ? – ჰკითხა მირიანმა, როგორც კი ის მოაჯირიდან ჩამოხტა.

– დავსველდი, – ჩვეული ირონიით ჩაილაპარაკა გიორგიმ, – შეიძლება, გავცივდე.

– მანქანა წაიყვანე და სახლში წადი, – ურჩია მირიანმა.

– აბა, ასე ხომ არ გამოგყვები პროკურატურაში, მაგრამ, მანამდე ჩვენი ავტომრბოლელის მდგომარეობა გავარკვიოთ, – უპასუხა გიორგიმ და საკაცეს მიუახლოვდა, რომელზეც აბულაძე იწვა. მისთვის უკვე დაედოთ თავზე სახვევი, მაგრამ, ის მაინც უგონოდ იყო.

– მძიმედ დაშავდა? – ექიმს ჰკითხა მირიანმა.

– საკმაოდ. თავზე ნაკერების დადება სჭირდება. სავარაუდოდ, ტვინის მძიმე შერყევაც უნდა ჰქონდეს, – უპასუხა მან.

– ესე იგი, ჯერჯერობით მისი დაკითხვა შეუძლებელია?

– რაა საჩქარო? ეს ხომ მხოლოდ ავტოავარიაა, – გაუკვირდა ექიმს, – გამოკეთდება და შემდეგ დაკითხეთ.

– რომელ საავადმყოფოში წაიყვანთ? – ჩაურთო გიორგიმ.

– პირველი კლინიკურის ნეიროქირურგიულ განყოფილებაში, – უპასუხა ექიმმა და სანიტრებს ანიშნა, საკაცე მანქანაში გადაიტანეთო.

მირიანმა ჩაფიქრებული მზერით გააცილა მიმავალი სასწრაფო დახმარების მანქანა და, როგორც კი ის მოსახვევში მიიმალა, პოლიციის მთავარ სამმართველოს დაუკავშირდა, მოკლედ აუხსნა მომხდარი და აბულაძის სამეთვალყურეოდ ბადრაგის გამოყოფა მოითხოვა.



* * *

ის იყო, მირიანი პროკურატურას მიუახლოვდა, რომ დავითი დაუკავშირდა და სასწრაფოდ მის კაბინეტში მისვლა სთხოვა.

– ჩემთან შევივლი, დევიძეს დავხედავ და ამოვალ, – უპასუხა მირიანმა.

– რომელ დევიძეს? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ის იზოლატორში იმყოფება!

– უფროს ძმას ვგულისხმობ.

– რამაზს?! – გაუკვირდა დავითს, – რა ესაქმება მას შენს კაბინეტში?

– რამაზი ანამ ჩემი მითითებით დააკავა.

– შენ მე გამაგიჟებ! – ბრაზი მოერია დავითს, – მერამდენედ უნდა დააკავო ის კაცი?!

– რამდენჯერაც დაარღვევს კანონს! – მშვიდად უპასუხა მირიანმა.

– არავითარი დევიძე! – მკაცრად ბრძანა დავითმა, – პირდაპირ ჩემთან ამოდი!

– გასაგებია, – უპასუხა მირიანმა და ლიფტს მიუბრუნდა.

მირიანის გასაოცრად, კაბინეტში, დავითთან ერთად, მთავარი პროკურორიც დახვდა. ისინი მაგიდასთან ისხდნენ და აუჩქარებლად ათვალიერებდნენ დევიძესთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

– მოდი, მოდი, – დავითმა ხელით მიიხმო კაბინეტში შესული მირიანი და, როგორც კი ის მაგიდას მიუჯდა, უკმაყოფილოდ განაგრძო: რა ხდება, მირიან?! ამის მოლოდინი ნამდვილად არ მქონდა!

– რას გულისხმობ?

– ქალაქში მოწყობის რბოლას! – ჩაურთო მთავარმა პროკურორმა.

– კიდევ კარგი, რომ ავალიანმა სროლაც არ დაიწყო, როგორც საერთოდ სჩვევია, – დაამატა დავითმა, – სხვათა შორის, სად არის გიორგი?

– სახლში გავუშვი, – უპასუხა მირიანმა.

– გადაიღალა და დასვენება სჭირდება?! – ირონიით ჩაილაპარაკა დავითმა.

– არა, ტანსაცმელი უნდა გამოიცვალოს.

– ტანსაცმელი?! – გაუკვირდა მთავარ პროკურორს, – რატომ?

– ეჭვმიტანილი მანქანით მტკვარში გადავარდა და გიორგიმ სამაშველო სამსახურის მოსვლამდე მოახერხა მისი გადარჩენა.

– მეტი პასუხისმგებლობით რომ მოჰკიდებოდი საქმეს, არც ეჭვმიტანილი აღმოჩნდებოდა მტკვარში და არც ავალიანს მოუწევდა ჰეროიზმის გამოვლინება! – მკაცრად თქვა პროკურორმა, – დავიჯერო, რომ ასეთ აუცილებლობას წარმოადგენდა მისი დევნა და დედაქალაქის ცენტრში ნამდვილი ჯირითის გამართვა?! იმაზე თუ დაფიქრდი, რომ, შესაძლოა, ამას უდანაშაულო მაქალაქეების დაღუპვა მოჰყოლოდა?!

– ეს რომ არ მომხდარიყო, ამიტომაც ვცდილობდით აბულაძის სასწრაფოდ შეჩერებას! – გახედა მირიანმა.

– ყოველივე ამაში, შენს წინდაუხედაობასა და ოპერაციის არასწორად დაგეგმვის მეტს ვერაფერს ვხედავ! – მკაცრად შენიშნა მთავარმა პროკურორმა, – რატომ არ მიმართე პოლიციის ადგილობრივ სამმართველოს? შენ პროკურატურის გამომძიებელი ხარ, საქმე უნდა გამოიძიო და არა პისტოლეტმომარჯვებულმა მართო ქალაქში ავტორბოლები.

– ოცი წლის სტუდენტის დასაკავებლად სპეცრაზმი და პლიციის სამმართველო არ მჭირდება!

– თურმე, გჭირდება. მე შედეგით ვმსჯელობ და არა შენი თეორიებით! როგორ დაუშვით ასეთი რამ?

– მთელი თბილისის პოლიცია იქ რომ ყოფილიყო, ეს მაინც მოხდებოდა! – უპასუხა მირიანმა, – აბულაძე მანქანის გვერდით იდგა და, როგორც კი თვალი მოგვკრა, მაშინვე საჭეს მიუჯდა და გაიქცა.

– კი მაგრამ, როგორ? საიდან გიცნოთ?! – გაუკვირდა დავითს.

– დროზე გააფრთხილეს.

– ვინ გააფრთხილა?

– რამაზ დევიძემ.

– რამაზი იქ იყო?! – გაოცებით გახედა მთავარმა პროკურორმა.

– დიახ... და, როგორც კი მან ჩემს მანქანას მოჰკრა თვალი, აბულაძე გააფრთხილა.

– ამიტომაც დააკავე? – ჰკითხა დავითმა.

– ბუნებრივია. სისხლის სამართლის კოდექსით, მის ქმედებას გამოძიებისთვის ხელის შეშლა ეწოდება. ამას დაემატება ის საფრთხეც, რომელიც აბულაძემ გაქცევისას მოქალაქეებს შეუქმნა: მან დააზიანა ერთი მანქანა, დაეჯახა ბოძს და კინაღამ გადაუარა სამ ახალგაზრდას, ამაზე კი, აბულაძესთან ერთად, დევიძეც აგებს პასუხს, – თქვა მირიანმა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**შოუზე „ერთი ერთში“ უამრავი უცხოელი მუშაობს, რომლებსაც ანალოგიურ მეგაპროექტებზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, მათ შორის არიან ვოკალის პედაგოგი, გრიმიორები და ქორეოგრაფი. ზაკ რისი საოცარი პლასტიკისა და ნიჭის მქონე მოცეკვავეების დახმარებით, არაჩვეულებრივ შოუს დგამს. მას უმუშავია მეგავარსკვლავებთან როგორც საკონცერტო, ისე პოდიუმის, გადაცემებისა და სხვა სცენებზე.**

# რა დიდი ტკივილი გადაიტანა სალომე ქათამაძემ პროექტის – „ერთი ერთში“ – დაწყებამდე და რომელ ვარსკვლავებთან მუშაობდა შოუს ფრანგი ქორეოგრაფი ზაკ რისი

**ზაკ რისი**: მე ვარ ზაკ რისი, საფრანგეთიდან. პარიზში დავიბადე და გავიზარდე, ვგიჟდები ამ ქალაქზე, ეიფელის კოშკით დაწყებული, მისი არქიტექტურით, ქუჩებით, სამზარეულოთი დამთავრებული... ცეკვა 12 წლის ასაკში დავიწყე და 16 წლიდან უკვე მოცეკვავედ ვმუშაობდი. სკოლის დამთავრების შემდეგ ერთ ძალიან ცნობილ ქორეოგრაფთან დავიწყე მუშაობა, რომელიც ევროპაში ძალზე პოპულარული იყო. ახლა 26 წლის ვარ და უკვე მქონდა შესაძლებლობა მემუშავა ისეთ ვარსკვლავებთან, როგორებიც არიან: ჯენეთ ჯექსონი, ნიკოლ შლეზინგერი, კელი როულანდი, დევიდ გუეტა.

**– როგორ მოხდა ამ ვარსკვლავებთან თქვენი დაკავშირება?**

– ევროკავშირმა ყველაფერი შეცვალა. ახლა ეს უკვე ერთი მთლიანი სახელმწიფოა, საზღვრებისა და ვიზების გარეშე. ევროპა ერთი, გახსნილი ქვეყანაა. ლონდონში მქონდა ქორეოგრაფიული კლასი. ლონდონი ევროპის ნიუ-იორკია, იქ უამრავი რამ ხდება გართობის სფეროში. ხშირად ვარსკვლავებს არ აქვთ გამოყოფილი სპეციალური ბიუჯეტი მოცეკვავეებისთვის და პირდაპირ ადგილზე ქირაობენ მოცეკვავეებს. ბედნიერი ვარ, რომ მომეცა საშუალება, ბრიტანული და ფრანგული „იქს ფაქტორის“ ქორეოგრაფი ვყოფილიყავი. ერთი სიტყვით, საზღვრებმა მოიტანა ის, რომ ბრიტანეთში ჩამოსულ ვარსკვლავებს ამერიკიდან სამი-ოთხი მოცეკვავე ჩამოჰყავთ და დიდი შოუებისთვის უკვე ადგილზე ატარებენ ქასთინგებს. ეს ჩვენთვის ძალიან კარგია, რადგან, მათთან მუშაობის შანსი გვეძლევა. ძალიან ბევრი ევროპელი მოცეკვავე, ჩემი მეგობარი მეგავარსკვლავთან მუშაობს, მაგალითად, კეტი პერისთან და სხვებთან.



**– საქართველოში როგორ მოხვდით?**

– არის ასეთი ადამიანი, მარკი, რომელიც ბერასთან მუსიკალური მიმართულებით მუშაობს. მას კარგი კავშირები აქვს, მათ შორის, ამერიკელ პროდიუსერებთან. მან იცოდა ჩემ შესახებ და დამიკავშირდა. მითხრა: ზაკ, ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ, მაინტერესებს ხარ თუ არა თავისუფალი, რომ ამა და ამ მომღერლის ტურზე იმუშაოო. გამომიგზავნე შენი ლინკები, არტისტს ვაჩვენებო. გავუგზავნე, მაგრამ, ვინ იყო მომღერალი, წარმოდგენა არ მქონდა. ღამით მირეკავს ტელეფონი და მეუბნება – ძალიან მოგვეწონა, მომღერალი თავად დაგირეკავსო. ხუთ წუთში მირეკავს ბერა და მელაპარაკება გამართული ფრანგულით, რაც ჩემთვის ძალიან დიდი სიურპრიზი იყო. ახლა უკვე მე ვთხოვე, იქნებ თქვენ გამომიგზავნოთ ლინკები, რომ ვნახო, რას აკეთებთ-მეთქი... რომ ვნახე, გავოცდი, ძალიან მაგრად მომეწონა. ძალიან ბევრი მაქვს ნამუშევარი მოდის სფეროში – ჟან პოლ გოტიესთან და სხვებთან ვმუშაობდი ჩვენების რეჟისორად და რაც მოდაში მიყვარს, ეს განსხვავებულობაა. სწორედ ეს დავინახე ბერაში, მისი განსხვავებულობა. სასიამოვნოდ გაოცებული ვიყავი, რადგან, დარწმუნებული ვარ, მომავალი ასეთ განსხვავებულობებშია, ასეთ მიქსებში. ვიდეო ვნახე თუ არა, მივხვდი, რომ სიამოვნებით ვიმუშავებდი მის იმიჯზე, განვითარებაზე. ერთი სიტყვით, გადავწყვიტე, ჩამოვსულიყავი და დამეწყო ტურზე მუშაობა...

**– რა იცოდით საქართველოზე?**

– თითქმის არაფერი. მერე და მერე გავიგე, რომ ეს ყოფილი საბჭოთა ქვეყანა, რუსეთის მეზობელი ქვეყანაა. რუსეთი კი დიდად დადებითად არ ჩანს მსოფლიოს, კონკრეტულად – ევროპის თვალში. ამიტომ, ძალიან ბევრ კითხვას ვსვამდი, განსაკუთრებით – უსაფრთხოებაზე. სხვათა შორის, ორი წლის წინ მომიწია რუსეთში ჩასვლა და, სიმართლე გითხრათ, არცთუ ისე მომეწონა იქაურობა. საქართველოში სულ სხვა სიტუაციაა, სულ სხვანაირი ხალხია. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც სახლში. აქ ადამიანებთან ურთიერთობა მეგობრობა და ოჯახური დამოკიდებულება უფროა, ვიდრე ბიზნესი და ეს ძალიან მომწონს. უფრო ადამიანურები, თბილები და გახსნილები ხართ. შეიძლება, არც ისაა ცუდი, რომ მხოლოდ ბიზნესის კუთხით უყურებდე ყველაფერს, მაგრამ, ეს ურთიერთობები მართლა მენატრებოდა.

**– რამდენი ხანია, რაც საქართველოში ხართ და როდემდე რჩებით?**

– აგვისტოში ჩამოვედი და შოუს შემდეგ უკვე პარიზში ვბრუნდები.

**– რა განსხვავება და რა მსგავსებაა მსგავს შოუებზე მუშაობის თვალსაზრისით საქართველოსა და ევროპას შორის?**

– უამრავ სატელევიზიო შოუზე მიმუშავია და, რაც მათ განასხვავებს, ესაა სისწრაფე – იქ გაცილებით ცოტა დრო სჭირდება ყველაფერს, ალბათ, იმიტომ, რომ მეტი გამოცდილება აქვთ. აქ ძალიან მომწონს ის, რომ, შემიძლია, ჩემი ცოდნა ადამიანებს გავუზიარო და, ვიცი, რომ წავალ, ზუსტად ეცოდინებათ, რა როგორ უნდა გაკეთდეს. საოცარი ენერგიის მქონე ხალხი ხართ და არ გეშინიათ სწავლის, არ გეშინიათ იმის აღიარების, თუ რაღაც არ იცით. „ის ჩემზე პატარაა, რა უნდა მასწავლოს?“ – ასეთი დამოკიდებულება არავისთან შემხვედრია. ეს პოზიტიური აზროვნებაა და, მიხარია, რომ ამ ადამიანებთან მუშაობის საშუალება მომეცა.



ეს დავინახე ბერაში, მისი განსხვავებულობა. სასიამოვნოდ გაოცებული ვიყავი, რადგან, დარწმუნებული ვარ მომავალი ასეთ განსხვავებულობებშია, ასეთ მიქსებშია

**სალომე ქათამაძე**: ეს შოუ ნანახი მქონდა და მიუხედავად იმისა, რომ არასდროს მიცდია ცეკვა და სიმღერა ერთად და ამას წლების განმავლობაში სწავლობენ, მაინც გავრისკე და ვიფიქრე, რომ შევძლებდი. ჩვენ ყველას, ეს გამოგვივიდა. ძალიან მნიშვნელოვანია არტისტული მონაცემები. დედაჩემი კარგი მსახიობია, მაგრამ, არ არის ცნობილი, რადგან, კარიერა, როგორც ბევრმა ნიჭიერმა ადამიანმა, ოჯახისა და შვილების გამო გვერდზე გადადო. მისგან ეს ნიჭი ნამდვილად მაქვს და, ვაღიარებ, რომ გარდასახვა ნამდვილად შემიძლია. ექსპერიმენტზე წამოვედი, მაგრამ, ასეთი რთული თუ იქნებოდა, არ მეგონა. თავზე გვაყრია ყველაფერი, გიჟური გრაფიკი გვაქვს. ეს გრიმი და „მეიქ აფები“ საშინელებაა. მართალია, ძალიან მაგრად გვიკეთებენ, მაგრამ, ამის ტარება ძალიან რთულია. გუშინ ისე მქონდა თავის ქალა გადაქაჩული, კინაღამ სკალპი ამძვრა. თან, ეტყობა, ეს ნერვები დაკავშირებულია ერთმანეთთან და, მეგონა, კბილიც მტკიოდა. მაგრამ, ეს ძალიან დიდი გამოცდილებაა.

**– მოკლედ, ამერიკულად მუშაობთ.**

– კი, მაგრამ, მთლად ამერიკულად არ გამოგვდის. ხან მე ვაგვიანებ, ხან ვინ – ქართული „პონტები“ მაინც ხდება.

**– ყველა ტურში ძალიან მაგარი იყავი, მაგრამ, „ლელა წურწუმია“ რაღაც საოცარი იყო**

– მართლა ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მეც მხოლოდ ამას ვცდილობ – ვისიამოვნო და ვასიამოვნო მაყურებელს, რათა გაერთოს ამ შოუს ყურებით. ლელაზე მთელი აჟიოტაჟი ატყდა.

**– ოჯახი გვერდში გიდგას?**

– ესემესებსა და რაღაცეებს რაც შეეხება, პირველი ორი „ლაივ შოუ“ ჩემი ესემეს-ნომერიც არ ვიცოდი. ხომ შემიძლია, ჩემს „ფეისბუქზე“ მაინც ვთხოვო ხალხს, დამიმესიჯეთ-მეთქი – ესეც კი არ დამიწერია. იმდენად არ ვფიქრობ, რომ, არიქა, პირველ ადგილზე უნდა გავიდე-მეთქი, რომ ესეც არ მახსოვს; მინდა, ხალხი ვაცინო, გავართო და გავახარო. ბოლოზეც რომ გავიდე, მაგაზეც არ დამწყდება გული. ოჯახი ძალიან მაგრად მგულშემატკივრობს, ჩემი ქმრით დაწყებული, დედაჩემით, ჩემი დედამთილით და სხვა ყველა ადამიანით დამთავრებული, ვინც მე ძალიან მიყვარს. სამწუხაროდ, ბებიაჩემი, რომელიც ჩემთვის ყველაზე საყვარელი და მნიშვნელოვანი ადამიანი იყო, აღარ არის. ის პირველ „ლაივ შოუმდე“ ერთი კვირით ადრე გარდაიცვალა და ეს არ ვთქვი. სულმოუთქმელად ელოდებოდა პირველ კონცერტს, რომ ეყურებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემს დაბადების დღეზე გახდა ცუდად და მეორე დღეს გარდაიცვალა. ასეთი საჩუქარი გამიკეთა – ჩემს დაბადების დღეზე არ მიმატოვა.

**– „ლაივ შოუს“ გამოტოვების შანსი არ იყო?**

– არა, დასაფლავებიდან მეორე დღეს სცენაზე გამოვედი და ვიმღერე. მისი გაზრდილი ვარ, რომ ვმღერი, მისი დამსახურებაა და, ბრაზდებოდა ხოლმე – სულ შენს ქმარზე რომ გეკითხებიან და ინტერვიუებში რომ მასზე ლაპარაკობ, ჩემზე რატომ არაფერს ამბობო. ჟურნალისტები ყოველთვის ქმარზე, დედამთილზე და ასეთ რაღაცეებზე მეკითხებიან, არადა, მართლა ბებოს გაზრდილი ვარ, მას ვეკუთვნოდი, მთელი ცხოვრება მე მომიძღვნა.

**– ამ რეჟიმს როგორ უძლებ?**

– რომ მცოდნოდა, ასეთი რეჟიმი იქნებოდა, უარს ვიტყოდი. ჩიყვი მაწუხებს და ამის გამო ორგანიზმი დასუსტებული მაქვს, ამიტომ, ვცდილობ, ძალიან დიდი დატვირთვები არ მქონდეს. ჩემთვის ნერვიულობა და სტრესები არ შეიძლება. აქედან გამომდინარე, გადაჭარბებულად დატვირთული ვარ, მაგრამ, მაინც ვცდილობ, ყველაფერი ღირსეულად გავაკეთო, ისე, როგორც საჭიროა.

**– აპირებ სიმღერის სფეროში რამის გაკეთებას, ვთქვათ ჩაწერას, ალბომზე მუშაობას?**

– სიმღერასაც ჩავწერ და კლიპსაც გადავიღებ, მაგრამ, როგორ მიიღებს ამას მსმენელი, არ ვიცი. მე როგორი ალბომიც მინდა გამოვუშვა, ამას მასა არ უსმენს. თუმცა, ადამიანებისგან იმხელა სითბოს ვგრძნობ, რომ, იმასაც ვუშვებ – შეიძლება, ეს მიმდინარეობა არ მოსწონდეთ, მაგრამ, ჩემი სიყვარულით მოუსმინონ. ძალიან მინდა კარგი რაღაცეების გაკეთება ჩემს ჯგუფთან ერთად, დათო ფორჩხიძესთან ერთად და აუცილებლად გავაკეთებ. გეგმა ბევრი მაქვს და არც მათი განხორციელება მაშინებს.

**სალომე გველესიანი**




# რატომ უწოდებენ სასულიერო პირები ლელა გეჯაძის ნაყენს „სასწაულმოქმედს“, რომელმაც ბევრ ადამიანს მოუხსნა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები

***ლელა გეჯაძის ნაყენმა „ქავთასმა“ არაერთ პაციენტს გადაუჭრა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები. ამიტომაც უწოდებენ მის ნაყენს „სასწაულმოქმედს" პაციენტები: ტაო-კლარჯეთის ეპარქიის წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, არქიმანდრიტი მამა ლუკა (კონჩაკო), სამგორის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა ცოტნე. „ღვთიური მადლით გაჯერებული ბუნების საჩუქარი-უკვდავების ნაყენი,“ – ასე უწოდა ლელა გეჯაძის ნაყენს დმანისის ეპარქიის წმიდა ბასილი დიდის ტაძარში მოღვაწე დედა გაიანემ (ფილიშვილი). ქალბატონი ლელა მიიჩნევს, რომ მის ნაყენს უფრო მეტი ძალა მეტეხის ეკლესიის წინამძღვრის, მამა აკაკის (მელიქიძე) კურთხევამ მისცა, რომლის საფუძველი გახდა ეკლესიის მსახურთა და მრევლის განკურნების შემთხვევები. „ქავთასის“ მკურნალობის სპექტრი საკმაოდ დიდია, ის იცავს ორგანიზმს ლეიკემიის განვითარებისგან, სიმსივნის წარმოქმნისგან, ეფექტურია წინამდებარე ჯირკვლის ადენომების, ფიბრომიომების, კისტების, მასტოპათიების დროს, დიფუზიური, გიგანტური, კვანძოვანი ჩიყვის დროს. აღადგენს ღვიძლის ქსოვილს, ქრონიკულ დაავადებებზე (C ჰეპატიტი, ციროზი). წმენდს ნაღვლის ბუშტს და თირკმელებს სხვადასხვა ტიპის ნალექებისგან, კენჭებისგან. სწორედ ამის გამო ლელა გეჯაძის ნაყენს ბევრი პაციენტი მოიხმარს, მათი უმეტესობა შედეგით კმაყოფილია და სურთ, სხვა ადამიანებსაც გააცნონ მიღებული შედეგები.***

**პაციენტი ვლადიმერი**: 5 წლის განმავლობაში თირკმელები გათიშული მქონდა, ვიყავი დიალიზზე. ყოველ მესამე დღეს ვიტარებდი თირკმლის გამორეცხვას. ვერ გამოვყოფდი შარდს და თირკმელები ზომაში საგრძნობლად იყო გაზრდილი. ლელა გეჯაძის ნაყენით მკურნალობის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, გამიადვილდა შარდის გამოყოფა – დღეში 250 მილილიტრს გამოვყოფდი. ყოველი სამი კურსის შემდეგ, ექოსკოპიურად ვაკვირდებოდი თირკმელს და ვიკეთებდი თირკმლის ფუნქციას. შედეგები ყოველ ჯერზე იზრდებოდა – თირკმლის ფუნქციებმა დაიწყო აღდგენა, მომიწესრიგდა შარდოვანა, გადიდებულმა თირკმელებმა დაიკლო ზომაში, თავს უფრო ენერგიულად და კარგად ვგრძნობ. თუ ყოველ მესამე დღეს დავდიოდი დიალიზზე, ახლა მკურნალობის შემდეგ, კვირაში ერთხელ მიწევს მისვლა.



**ქალბატონი თამარი**: ექიმებმა დამისვეს ნაღველ-კენჭოვანი და თირკმლის კენჭოვანი დაავადებების დიაგნოზი: ნაღველში მქონდა წვრილი, მრავლობითი კენჭები, ასევე, ქრონიკული ბრონქიტი, ტოქსიკური ჩიყვი, მკერდზე მასტოპათიები და ფიბრო-ადენომები. კომპიუტერული ტომოგრაფიის გადაღების შემდეგ მითხრეს, რომ ფილტვები ძალიან ცუდ მდგომარეობაში მქონდა – ფიბროზული კერები იყო, თან, მრავლობითი. ანუ დამიდგინდა: ფილტვში მეტასტაზი, აუცილებლად უნდა გამეკეთებინა ბრონქოსკოპია. დავიწყე ლელა გეჯაძის ნაყენის მიღება, 5 კურსის შემდეგ თავს ვგრძნობდი კარგად. თუ მანამდე მქონდა ოფლიანობა, ულონობა, დაბალი ტემპერატურა, თავის საშინელი ტკივილები, ტკივილები გულ-მკერდის არეში, ნელ-ნელა მომეხსნა, ტკივილები გამიქრა. 5 კურსის შემდეგ ჩავიტარე ხელახალი გამოკვლევები – მასთოპათიები ზომაში შემცირდა, ნაღვლის ბუშტი გამეწმინდა, თირკმელებიც გამისუფთავდა კენჭებისგან, ქრონიკული ხველაც მომეხსნა. თავს ვგრძნობ ენერგიულად, კარგად. ვფიქრობ, წელიწადში რამდენჯერმე გავიმეორო მკურნალობის კურსი.

**პაციენტი მიხეილი**: მაქვს პროსტატის ადენომა, ისეთ მდგომარეობაში, რომ უროლოგებმა დამითხოვეს – აღარ მიგრძელებდნენ მკურნალობას. მოცულობაში გადიდებული იყო წინამდებარე ჯირკვალი, მიჭირდა მოშარდვა. ძალიან მაღალი მქონდა ონკო-მარსკერი, მაწუხებდა წელის, სახსრების ტკივილები, მქონდა მაღალი ტემპერატურა, უმადობა, კუჭის მოქმედება – დარღვეული, სისუსტე. ლელა გეჯაძის ნაყენით მკურნალობის სამი კურსის ჩატარების შემდეგ, ტკივილებმა დაიკლო, შარდვა მომიწესრიგდა, მომემატა მადა, სისხლის ანალიზებიც სასიკეთოდ შემეცვალა. 10 კურსი მაქვს ჩატარებული და ვაგრძელებ მკურნალობას, რადგან შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ.

***P.S.* *ვისაც გსურთ, უკეთესად იგრძნოთ თავი, გამოჯანმრთელდეთ, დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 595 26-32-17. მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით.***

**ნათია უტიაშვილი**

# რატომ ნატრობდა მეფე დემეტრე უფროსი ძის სიცოცხლის დამოკლებას

გიორგი მესამე, საკმაოდ დიდი მასშტაბების პოლიტიკური ფიგურაა. მიუხედავად ამისა, მის მოღვაწეობას მაინც გასდევს რამდენიმე ჩრდილი. ჩრდილი, რომელიც მის დახასიათებისას არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში გვაგდებს. ამ მონარქის დახასიათებას ისტორიკოს ჯაბა სამუშიას მასალებზე დაყრდნობით შევეცდებით.

გიორგი მესამის პიროვნებაზე საუბრისას, თვალწინ გვიდგება მისი ფრესკა ვარძიაში, ყინწვისში, საიდანაც მრისხანე გამომეტყველებით გვიმზერს – სიმკაცრე გამოსჭვივის ამ მონარქის თვალებიდან. გიორგი იყო დემეტრე მეფის შვილი. დემეტრეს უფროსი ვაჟიც ჰყავდა – დავითი. დავითი ძალაუფლებისმოყვარე პიროვნება გახლდათ. მან 1156 წელს ტახტიდან ჩამოაგდო მამამისი და მონასტერში განაწესა. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, თვითონ დაიკავა ტახტი. ამ მომენტში მის გვერდითაა გიორგიც. ამ ინფორმაციასთან ერთად, იმასაც ვკითხულობთ ქართულ წყაროში, რომ მეფე დემეტრეს გიორგი უფრო უყვარდა, ვიდრე დავითიო. მეტიც, წყაროში აღნიშნულია: დემეტრე ნატრობდა, რომ დავითს სიცოცხლე დამოკლებოდაო. ცხადია, მამა-შვილს შორის დიდი კონფლიქტი არსებობდა და ისიც ნათელია, რომ ეს არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ – ოჯახური. აშკარად ჩანს, მსოფლმხედველობითი განსხვავება მამასა და შვილს შორის. ის, რასაც აკეთებს დემეტრე რადიკალურად განსხვავდება დავითის ქმედებებისგან. ვინც დემეტრეს ციხეში ჰყავდა გამოკეტილი, დავითი – ათავისუფლებს. ფაქტია, რომ მამა-შვილს შორის კონფლიქტი დროთა განმავლობაში სამოქალაქო-პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ალბათ, გაინტერესებთ, როგორი იყო ასეთ ვითარებაში გიორგის პოზიცია. იგი ერთის მხრივ მამის უსაყვარლესი შვილია, მეორეს მხრივ კი ძმის გვერდით დგას. სწორედ ამ დროს მოხდა ძალიან საინტერესო ფაქტი. ერთ დღეს სალსალამათი დავით მეხუთე, მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა. ეს მოხდა მისი გამეფებიდან 6 თვის თავზე. როგორც სომეხი ისტორიკოსი ამბობს: დავით მეხუთე თავის სიკვდილით არ უნდა გარდაცვლილიყო, ჩანს, მას სიცოცხლე მოუსწრაფეს, კერძოდ – მოწამლესო. ხოლო კითხვაზე, თუ ვის უნდა მოეწამლა ის, სომეხი ისტორიკოსი ხელს გიორგისკენ იშვერს. გიორგიმ მოაწამვლინა დავით მეხუთე ორბელიანთა მეშვეობითო. მძიმე ბრალდებაა, თანაც ყოველივე უფრო რთულად აღსაქმელი ხდება, რადგან სიკვდლის წინ დემნა უფლისწული გიორგის შეავედრა დავითმა და სთხოვა – სანამ დემნა გაიზრდება, მანამდე მართე ქვეყანა, ხოლო შემდეგ ტახტი დემნა უფლისწულს გადაეციო. თითქოს გიორგიმ მიიღო ძმის წინადადება, მაგრამ ისევ ჩნდება სომეხი ისტორიკოსის ცნობა, რომელიც ყველაფერს თავდაყირა აყენებს. ის ამბობს, გიორგი იყო ძმის მკვლელობის ინიციატორიო. ძნელია, დღეს, როცა ამდენი საუკუნე გავიდა, ადამიანს ძმის მკვლელობა დააბრალო და სომეხი ისტორიკოსის ცნობა გადამოწმდეს სხვა ფაქტებით. თუმცა, საამისოდ ბევრი ეჭვი არსებობს. თუ ვივარაუდებთ, რომ გიორგიმ ძმის წინააღმდეგ შეთქმულება ნამდვილად მოაწყო. ასევე შესაძლებელია, ამ პროცესში ჩართული ყოფილიყო სამეფო ოჯახის სხვა წევრებიც. ასე მოდის ქვეყნის სათავეში გიორგი მესამე, მაგრამ მოდის არა როგორც მეფე, არამედ, როგორც რეგენტი, ადამიანი, რომელმაც უნდა გაზარდოს უფლისწული. ტახტი კი, ეკუთვნის დემნა უფლისწულს. გიორგიმ ფიცი დადო სამღვდელო პირებისა და დიდებულების წინაშე, რომ, როდესაც დემნა გაიზრდებოდა, მას საკუთარი ხელით გადასცემდა ტახტს. ამ პირობით ეკურთხა გიორგი მეფედ და დაიწყო ქვეყნის მართვა.

გიორგის მეფობის პირველ წლებში საკმაოდ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა, გაიზარდა საქართველოს საზღვრები. გიორგი არ არის სუსტი მონარქი, ვერ ვიტყვით, რომ სახელწმიფო ჩაიბარა და ვერ ითავა მისი პატრონობაო. მან დაიწყო ბრძოლა ქურდ-ავაზაკთა წინააღმდეგ და ეს სენი მთლიანად ამოძირკვა. მემატიანე წერს, ქურდსა და მოპარულ საქონელს ერთად ჩამოკიდებდნენ ხოლმე ძელზე გზის პირას, რომ ხალხისთვის საჩვენებელი ყოფილიყოო. ამავე პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი აშენდა. ეს ყველაფერი კარგია, თუმცა, არის მეორე ფაქტი, რომელიც ამ მონარქის დადებით მხარეებს კიდევ ერთ ჩრდილს აყენებს. კერძოდ, 1177 წელს საქართველოში საკმაოდ დიდმა აჯანყებამ იფეთქა. როგორც ჩანს, ეს აჯანყება მეფისთვის მოულოდნელი იყო. ასეთი დიდი აჯანყება საქართველოს ისტორიაში არც ისე ხშირად მომხდარა, ივანე ორბელიანის ხელმძღვანელობით, გადაწყვიტეს მეფის შეპყრობა. ამ აჯანყების მიზეზი იყო გიორგის პირობა – როგორც კი დემნა გაიზრდება, ტახტს დავუთმობო. დემნა ბატონიშვილი წამოიზარდა, ივანე ორბელიანის ქალიშვილზე იქორწინა და დროც დადგა მისი მეფობისა, მაგრამ გიორგი არ თმობდა ტახტს. ამის გამო დიდებულების დიდმა ნაწილმა ფარულად პირობა დადო, რომ გიორგი შეეპყროთ, მოეკლათ, ან მონასტერში გაეშვათ, ტახტზე კი დემნა აეყვანათ. თუმცა, აჯანყებულებმა ვერ მოახერხეს გიორგის შეპყრობა. ამის მიზეზი ის იყო, რომ გიორგისთან მივიდა ერთ-ერთი დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი – აფრიდონი და ფარულად შეატყობინა ამ აჯანყების შესახებ. ცნობისთვის, მომავალში აფრიდონი გიორგის ერთგულად და ერთობ მაღალი თანამდებობის პირად გვევლინება მის კარზე. აფრიდონისგან ინფორმირებულმა გიორგიმ მალე მოახერხა თბილისში ჩამოსვლა. ჩაიკეტა და თბილისი მის მხარეს გადაიბირა. ამასობაში, გიორგის მიემხრო იმ დროს არსებული ყივჩაღური გვარდია. იმდროინდელ სამეფო კარზე მსახურობდნენ ყივჩაღები, მაგრამ არა იმ ყივჩაღთა შთამომავლები, რომლებიც დავით აღმაშენებელმა ჩამოასახლა, არამედ „ახალი ყივჩაღები”, როგორც მათ მემატიანე უწოდებს. ისინი დაქირავებული მეომრები გახლდნენ. გიორგიმ ერთგული მომხრეები კახეთს გააგზავნა. აჯანყებულ კახელთა დამარცხება მოხერხდა. ამის შემდეგ მთელი რისხვა ქართლში, ლორეს ციხეში დაბანაკებულ აჯანყებულებს დაატყდათ. ლორეს ციხეში ივანე ორბელიანს, დემნა უფლისწულსა და მათ მომხრეებს, მუსლიმანური სამყაროს დახმარების იმედი ჰქონდათ. გიორგიმ ლორეს ციხეს ალყა შემოარტყა. ალყა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. მუსლიმები არ ჩანდნენ, რამაც აჯანყებულთა შორის ორჭოფობა გამოიწვია. აჯანყებულები ნელ-ნელა, ფარულად იპარებოდნენ ლორეს ციხიდან და მეფისგან პატიებას ითხოვდნენ. გიორგი მიხვდა, რომ მის გამარჯვებას წინ აღარაფერი ელობებოდა. მან საკმაოდ ეშმაკური ნაბიჯი გადადგა. მან ლორეს ციხიდან ყველა გამოპარული დიდი პატივით მიიღო, შეიწყალა და გულუხვად დააჯილდოვა. ამით კი სტიმული მისცა დანარჩენ აჯანყებულებს. ერთ მშვენიერ დღეს თვით დემნა უფლისწულიც ჩაჯდა გოდორში, გამოიპარა ციხიდან და წარდგა ბიძამისის წინაშე. გიორგიმ საკმაოდ კარგად მიიღო აჯანყების მთავარი ობიექტი. ბუნებრივია, ამის შემდეგ აჯანყების გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. ყოველივეს მოჰყვა ივანე ორბელიანის დამორჩილებაც. აჯანყება დასრულდა, მაგრამ ტრაგედია ამის შემდეგ დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს, დემნა უფლისწულს სეირნობისას უკნიდან მიეპარნენ და კლდეკარის კედლიდან გადმოაგდეს. ასეთი განაჩენი გამოუტანა ბიძამისმა.



ერთ მშვენიერ დღეს, დემნა უფლისწულს სეირნობისას უკნიდან მიეპარნენ და კლდეკარის კედლიდან გადმოაგდეს. ასეთი განაჩენი გამოუტანა მას ბიძამისმა

გიორგი მესამეს ორი ქალიშვილი ჰყავდა კანონიერი ქორწინებიდან და ერთი ქალიშვილი – ხარჭისაგან ნაშობი. დემნა უფლისწულის მოკვლით, გიორგი მესამემ ბაგრატიონთა ის შტო, რომელმაც შექმნა საქართველო და გააერთიანა – ვგულისხმობთ, ამიერტაოს ბაგრატიონთა შტოს, რომელმაც საქართველოს ისტორიას მისცა ბაგრატ მესამე, ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი, – არსებობა დაასრულებინა.

ბოლო მომენტამდე მრისხანებით იყო მოცული გიორგი. მან დემნა ბატონიშვილი გელათში არ დაასაფლავებინა, სადაც იმხანად ბაგრატიონთა საძვალე იყო. დემნა სვეტიცხოველში დაკრძალეს. ასე ტრაგიკულად დასრულდა დემნას ცხოვრება. რაც შეეხება ორბელებს, ისინი გიორგი მესამემ ქვეყნიდან გააძევა. ამის შემდეგ კი, იმისთვის, რომ ტახტი დაემტკიცებინა, 1178 წელს გიორგი მესამემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც დიდი პრივილეგიები მიანიჭა ეკლესიას. სანაცვლოდ, კი გიორგი მესამის თანამოსაყდრედ თამარი უნდა დაენიშნათ. ამის შემდეგ მოდის ტახტზე თამარი. ის ჯერ თანამოსაყდრე იყო მამისა, 1186 წლიდან – ტახტის მემკვიდრე. ასეთი იყო გიორგი მესამის ცხოვრება, რომელსაც ტახტისთვის ბრძოლა გვამებზე გადავლით მოუხდა.

**ეკა სალაღაია**

**საქართველოში, ალბათ, იშვიათია წარმატებული, ნიჭიერი მომღერალი, რომელსაც კომპოზიტორის, პედაგოგის – ნანა დაუშვილის ხელში არ გაუვლია და მისი მოწაფე არ ყოფილა. ქალბატონ ნანას დაწერილი ყოველი სიმღერა კი ნებისმიერი მომღერლისთვის წარმატების მომტანი ხდება – შესრულებისთანავე ჰიტდება და მსმენელის სიყვარულს იმსახურებს. მის სიმღერებს ასრულებენ: ბესიკ კალანდაძე, ანსამბლი „თბილისი“, დუეტი „ჯორჯია“ და ასე შემდეგ. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ის მუდმივად ჩრდილში ამჯობინებს ყოფნას და საკუთარ საქმეს, წლებია, ღირსეულად, დიდი სიყვარულით აკეთებს.**

# როგორ წერდა 5 წლის ნანა დაუშვილი მელოდიებს და როგორ ასრულებდნენ ჯერ კიდევ 17 წლის გოგონას სიმღერებს ცნობილი მომღერლები და პოპულარული ჯგუფები

**ნანა დაუშვილი:** დღემდე მადლობელი ვარ ჩემი პედაგოგების, აღმზრდელების, რომლებიც არასდროს დამავიწყდებიან. მეც როგორც მშობელი ზრდის თავის შვილებს, ასე ვზრდი ჩემს მოსწავლეებს. ჩემი სტუდიაც მაქვს, რომელიც მარჯანიშვილზე, ლეილა მესხის აკადემიაში მდებარეობს. იცით, რას დავაკვირდი? ჩემთან რატომღაც ფეხს ვერ იკიდებენ ცუდი ადამიანები, უარყოფითი პიროვნებები. რა თქმა უნდა, პირველად ნიჭით ვაფასებ ადამიანს და შემდეგ პიროვნული თვისებით. მაგრამ, თუ ადამიანს არ აქვს კარგი პიროვნული თვისებები, ის ვერც იმღერებს, ყოველ შემთხვევაში, დიდიხანს ვერ იქნება ასპარეზზე, რადგან ხალხისთვის საყვარელი მომღერალიც ხომ უნდა იყო?! ნიჭი, ეს ისეთი რამ არის, რასაც ვეთაყვანები, რის გამოც შემიძლია, ყველაფერი გავაკეთო, დათმობებზე წავიდე. ერთი პერიოდი „სათნოების სახლის“ დირექტორობას მთავაზობდნენ, – ეს ხუმრობით. უბრალოდ, ყოველთვის შევდივარ ადამიანის მდგომარეობაში და რაც მე შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ მისთვის. მაგრამ, ამას ისე ვაკეთებ, მერე ვერც ვიმახსოვრებ – შინაგანად, თავისით მოდის და მერე ბავშვები იხსენებენ.

**– თქვით, ნიჭს ვეთაყვანებიო. თქვენი მოსწავლეებიდან თუ გამოყოფთ ამ კუთხით ვინმეს.**

– უპირველეს ყოვლისა ნოდიკო ტატიშვილი უნდა ვახსენო. ის პატარაობიდან ძალიან მიზანდასახული ბავშვი იყო. იცოდა თავისი საქმე – გონებაც, მიმართულებაც სხვანაირი ჰქონდა. სულ ამბობდა: მე უნდა ვიმღერო, მე უნდა დავდგე სცენაზე, გავხდე ძალიან პოპულარულიო. მართლაც მიაღწია ამას, რა თქმა უნდა, საკუთარი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის, მიზანდასახულობის დახმარებით. ნინი შერმადინიც ჩემთან დადიოდა, ნინი წიკლაურიც, ორივე ნიჭიერია. გარდა ამისა, ჩემი ბევრი მოსწავლე გამოდიოდა „ჯეოსტარში“, „ნიჭიერში“, „ახალ ხმაშიც“ და ეს მე ძალიან მახარებს. ჩემი მოსწავლეა გიორგი ჩიქოვანიც – ნიჭიერი ბიჭი.

**– თქვენში როდის აღმოაჩინეს მუსიკალური ნიჭი, როგორ იზრდებოდით, როგორ ვითარდებოდა თქვენი კარიერა?**

– ტრადიციულ ოჯახში ვარ დაბადებული. დედაც, მამაც ორივე ძალიან მუსიკალურები იყვნენ. მამა გუნდშიც მღეროდა. სახლში სულ მრავალხმიანობა მესმოდა და მთელი ოჯახი ხმებში ვმღეროდით. როგორც მე გავიზარდე, ფაქტობრივად, ისე ვზრდი დღეს ბავშვებს. პატარა ასაკში, ლაპარაკიც რომ არ ვიცოდი, უკვე ვჰყვებოდი მელოდიას, თან, ძალიან კარგად. ყველა ფიქრობდა, რომ რაღაც სასწაული ხდებოდა: არც ლაპარაკი ვიცოდი და არც დავდიოდი. დედა პიანინოზე იღებდა ნოტებს, თან, არეულად, სხვადასხვა ოქტავაში და მე ზუსტად ვჰყვებოდი. 2 წლის ასაკში ფორტეპიანოს მივუახლოვდი, რომელიც ჩემი საყვარელი ინსტრუმენტიც იყო და სათამაშოც. ბავშვები რომ თოჯინებით თამაშობდნენ, მე იმ დროს პიანინოთი ვთამაშობდი. 2 წლის რომ ვიყავი, ჯერ მარჯვენა ხელით ავაწყვე მელოდია, ხოლო სამწლინახევრისამ იმავე მელოდიას უკვე მეორე ხელი ავუწყვე. არადა, პიანინოს ძლივს ვწვდებოდი. ნოტებიც არ ვიცოდი, როცა პატარა პიესა დავწერე და ჩემმა დებმა ჩაწერეს. შემდეგ მშობლებმა მერი დავითაშვილთან მიმიყვანეს, მაშინ 5 წლის ვიყავი. სხვათა შორის, საფორტეპიანო კუთხითაც სერიოზული წარმატებები მქონდა. ამ საქმეს რომ არ გავყევი, ჩემმა პედაგოგმა ინერვიულა, რადგან ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდა. მერი მეძმარიაშვილი იყო ადა-



ერთი მონაწილე მოვიდა და ჩემი სიმღერა მომასმენინა, რომელსაც იმ დროს ჯგუფი „75“ მღეროდა. შევუსწორე: სწორად არ მღერით-მეთქი, კამათი დამიწყო: თქვენ მე მასწავლითო. ბოლოს ვუთხარი: დიდი ბოდიში, მაგრამ ეს სიმღერა ჩემი დაწერილია-მეთქი

მიანი, რომელმაც ჩემში ყველა ნიუანსი აღმოაჩინა და მისი დღემდე მადლობელი ვარ. მეოთხე კლასში ვიყავი, როცა ძალიან რთული ნაწარმოები დავუკარი ორკესტრთან ერთად. მაგრამ, საბოლოოდ თეორიულ საკომპოზიციოზე ჩავაბარე. მინდოდა, ეს სფერო კარგად, სიღრმისეულად მესწავლა. შავერზაშვილი მასწავლიდა, რომელიც არაჩვეულებრივი კომპოზიტორი და პედაგოგი იყო. თავიდან რთული ფორმის ნაწამოებებს ვწერდი, მაგრამ მერე გადავერთე უფრო მცირე ზომის, სასიმღერო ნაწარმოებებზე, ალბათ, ეს ჩემი ბუნებიდან მომდინარეობდა, ახლოს იყო ჩემთან.

**– დღეს ნანობთ, რომ არ გახდით პიანისტი?**

– ძალიან კარგად ვუკრავდი და მიმაჩნია, ჩემი სახით კარგი პიანისტი დაიკარგა. თუმცა, რასაც ვაკეთებ, ეს საქმე ძალიან მიყვარს და ერთი წუთით არ ვნანობ, რომ ეს არჩევანი გავაკეთე. ხშირად ვამბობ: ღმერთმა მისიონერობა დამაკისრა, ბავშვები უნდა გავზარდო-მეთქი. საკუთარი შვილები არ მყავს, მაგრამ მყავს დისშვილები, დისშვილის შვილები და ჩემი მოსწავლე ბავშვების მთელი არმია. ამისთვის ღმერთს სულ მადლობას ვუხდი. ახლა ეკლესიაშიც ვგალობ, მეგობრებთან – ინგა ბერაძესთან და ნანა ცხვარაძესთან ერთად. ჩვენ, სამივეს სასიმღერო კარიერაც ერთად გვაქვს დაწყებული – თავიდანვე ხმებში ვმღეროდით, ტრიო გვქონდა. კაკო ვაშალომიძის ჯგუფში ჯერ კიდევ პატარები ვიყავით, რომ ვმღეროდით. მერე ინსტიტუტში ვმღეროდით, შემდეგ სასწავლებელში და ბოლოს საკონცერტო დარბაზში – ბასილაიას ხელში გავიზარდე. არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, მასთან მუშაობამ ბევრი რამ მასწავლა. მახსოვს, მთელ საქართველოში ეძებდნენ ნიჭიერ ადამიანებს და მათი ერთ-ერთი შემფასებელი მე ვიყავი. ჯერ მე ვუსმენდი, ვამოწმებდი და შემდეგ ხდებოდა ანსამბლთან რეპეტიცია. პროგრამასაც ვურჩევდი და ეს ყველაფერი ადრეულ ასაკში დაიწყო, 17 წლის ვიყავი. თან, იმ დროს უკვე ვასწავლიდი მუსიკალურ სასწავლებელში საესტრადო განყოფილებაზე. მახსოვს, ერთი მონაწილე მოვიდა და ჩემი სიმღერა მომასმენინა, რომელსაც იმ დროს ჯგუფი „75“ მღეროდა. რომ შევუსწორე, სწორად არ მღერი-მეთქი, კამათი დამიწყო, თქვენ მე მასწავლითო. ბოლოს ვუთხარი: დიდი ბოდიში, მაგრამ ეს სიმღერა ჩემი დაწერილია-მეთქი.

**– ვინ იმღერა თქვენი დაწერილი სიმღერა პირველად?**

– ჩემი პირველი სიმღერა იყო თბილისზე, ნანი ბრეგვაძეს მოეწონა ძალიან და „ორერას“ კონცერტებზე შეასრულა. მაშინ პატარა ვიყავი და ისე ძალიან მიხაროდა. „ივერიამ“ იუბილესთან დაკავშირებით სიმღერების კონკურსი გამოაცხადა. ახლაც, როცა რაღაც სიმღერას ვწერ, უკვე ვიცი, ვინ უნდა იმღეროს, წარმოდგენილი მაქვს ხოლმე, ოღონდ, არა მხოლოდ ხმითა და შესაძლებლობებით, არამედ ვიზუალურადაც – უნდა უხდებოდეს, მის ხასიათში უნდა ჯდებოდეს. ანა კალანდაძის ლექსზე „კანდელი“ დავწერე სიმღერა და ვიფიქრე, რომ თემურ წიკლაურს ძალიან მოუხდებოდა. ბასილაიას, წიკლაურს ძალიან მოეწონათ, გავიმარჯვე კონკურსში და მოკლედ, „ივერიის“ ყველა კონცერტზე დარბაზში ვიჯექი და ვუსმენდი, როგორ მღეროდნენ ჩემს სიმღერას. ტელევიზიითაც ხშირად აჟღერებდნენ, ყურადღებას გვაქცევდნენ. მახსოვს, ინოლას საიუბილეო საღამო იყო და მთხოვეს, სიმღერა დამეწერა. ინოლა ძალიან მიყვარდა, ვიცნობდი, ახალი გარდაცვლილი იყო. ისეთი სიმღერა გამოვიდა, არ შეიძლება, ადამიანმა დღესაც ცრემლის გარეშე მოუსმინოს. ორგანულად იყო შერწყმული ერთმანეთთან მელოდია და სიტყვები, რომელიც ოთარ მამფორიას ეკუთვნოდა. მე, ინგამ და ნანამ ხმებში შევასრულეთ. რომ დავამთავრეთ, პაუზა იყო, გადავხედე დარბაზს და ცრემლიანი თვალებით იჯდა ყველა. პატარა პაუზას ისეთი ტაში მოჰყვა, კულისებში ძლივს გამოვედი – ეს არასდროს დამავიწყდება..

**– ახლა აღარ მღერით?**

– ბავშვებმა ისე გამაზარმაცეს, აღარ ვმღერი, თუმცა, მათთან ერთად დღე და ღამე მიწევს სიმღერა. მე თუ არ ვაჩვენე, ისე როგორ იმღერებენ. თან, ახალგაზრდა ბიჭებიც მყავს, გოგონებიც... ბავშვებიც, ზოგჯერ ბიჭის დიაპაზონში მიხდება სიმღერა, ზოგჯერ – გოგონასი, ბავშვის... ეს კი საკმაოდ რთულია. თუმცა, ხმას სულ ვუვლი.

**– მახსოვს „ევროვიზიაზეც“ იყავით ნოდიკოთან და სოფო გელოვანთან ერთად.**

– ნოდიკოს და სოფოს სურვილი იყო, რომ მათთან ერთად წავსულიყავი. წავიღეთ სინთეზატორი და იქ დილა იწყებოდა ჩვენი დაკვრით, სიმღერით. ისეთი კმაყოფილი ვარ, იმის შემდეგ სულ სადღაც დავფრინავ. „ევროვიზია“ აბსოლუტურად განსხვავებული დონეა: საოცარი ატმოსფერო იყო. მთელი დღეები საკონკურსო განწყობით ვცხოვრობდით – საოცარი გარემო იყო, ყველაფერი შენ თვალწინ ხდებოდა. დასაწყისი კარგი იყო, მაგრამ ფინალი – სამწუხაროდ, ცუდად დამთავრდა.

**– რატომ არ გათხოვდით?**

– ისე გაირბინა წლებმა, ამაზე არც მიფიქრია. ჩემ გარშემო სულ ხელოვანი ხალხი იყო, ყურადღება არ მაკლდა, მაგრამ ჩემი მხრიდან სულ მეგობრული ურთიერთობები წამოვიდა. ვიპასიურე და გაირბინა წლებმა – სულ გგონია, რომ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ ასე არ ყოფილა.

**ნათია უტიაშვილი**

**ვარსკვლავები ყოველთვის ცეკვავდნენ – სცენაზე, წვეულებაზე, ქორწილსა თუ დაბადების დღეზე, მაგრამ, ისინი უკვე მესამე წელია, ამტკიცებენ, რომ „ცეკვა პარკეტზე“ – ეს სხვა პროფესიაა, არითმეტიკული სამყარო, რომელიც გართობასთან სულაც არ ყოფილა ახლოს – ასეთ სერიოზულ გამოწვევად იქცა გიორგი ყიფშიძისთვის ეს პროექტი. ის არის შოუს ყველაზე გალანტური, ქარიზმატული და მამაკაცური მონაწილე, ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით.**

# რა განტოლება ვერ ამოხსნა გიორგი ყიფშიძემ და რატომ ვერ უყურებს მისი ცოლი „ცეკვავენ ვარსკვლავებს“

**გიორგი ყიფშიძე**: პროექტი რომ დაიწყო უფრო ვერთობოდი, ახლა მოვდივარ „ხოდზე“ და ახლა ვხვდები, თუ რა ხდება საერთოდ. ამის შესრულება ძალიან რთული რომ იყო, პირველივე ცეკვაზე მივხვდი, მაგრამ, მაინც მეგონა, რომ რაღაცნაირად გავძვრებოდი. აი, ახლა და ახლა მოვდივარ გონს, რა ხდება რეალურად: თავიდან ბოლომდე მათემატიკაა, გეომეტრიულ ფიგურებზეა აწყობილი ყველაფერი – სვლები, თვლები, ხაზები, პარალელები, სინქრონები...

**– ახლოს იყავი მათემატიკასთან?**

– არანაირად *(იცინის)* და მთელი ეს მათემატიკა უნდა შეავსოს არტისტიზმმა, ემოციამ. მაგრამ, ამის ჩვენებას ვერ ასწრებ, იმდენად ფიქრობ გეომეტრიაზე. სულ ამას მეუბნებოდნენ: გასაგებია, მსახიობი ხარ და ემოციას მიჰყავხარ, მაგრამ, სიზუსტე-სისუფთავეზე იმუშავე, იდაყვი არ ჩამოგივარდეს, ხელი გაჯგიმე, ტრაკი შებზიკე, მუცელი შეისუნთქე... შოუში ჩავვარდი. ახლა, ეტყობა, ფიზიკამ, კუნთმა, რაღაცეები დაიმახსოვრა და ამაზე იმდენ დროს აღარ ვხარჯავთ, ხანდახან თუ შემახსენებს, რომ იდაყვი გაასწორეო. ახლა შევდივარ მულამში და ჩემი გაგდება იქნება?! ახლა ვარ მოქოქილი. ყველაზე რთული ცეკვები მოვიშორეთ, ასე ვთქვათ და, ყველაზე კარგი, ყველაზე სასიამოვნო და საცეკვაოდ ყველაზე ადვილი დამრჩა.

**– ოჯახი როგორ შეხვდა შენს ამ გადაწყვეტილებას?**

– მამაჩემი ფინალამდე თუ მიაღწევს, არ ვიცი; ისე ნერვიულობს, გიჟდება. ზურა ყველაფერზე ნერვიულობს, რომ ვჭამ იმაზეც და, წარმოიდგინეთ, ახლა რა სჭირს. ლენუკაც მაგრად ნერვიულობს. იმ დღეს ვუთხარი, მე რომ ესემესის გამო გავვარდე, დაგკარგავ სამუდამოდ ან დაგხოცავთ ყველას-მეთქი. ამაზე არ მაფიქროთ, მე ცეკვაზე უნდა ვიფიქრო და ესემესებს თქვენ მიხედეთ-მეთქი.



ახლა შევდივარ მულამში და ჩემი გაგდება იქნება?! ახლა ვარ მოქოქილი

**– გულშემატკივრები როგორ უნდა გადააქციო ესემესების გამომგზავნ ადამიანებად?**

– ეს ამოუხსნელი ამოცანაა, არ ვიცი, როგორ გავაკეთო. ყველას ჰგონია, რომ გიორგის ისედაც ძალიან ბევრი გულშემატკივრობს და რაღად უნდა ჩემი დამესიჯება. ამ დროს, ასე არ არის.

**– მესამე სეზონი გამორჩეულია ძალიან მაგარი მოცეკვავეებით, ასე მაგრად და ამდენი ერთად სხვა დროს ამ შოუში არ ყოფილან. ესეც ძალიან დიდი სირთულეა.**

– აბა, და, პლუს, მეცამეტე გოგო,



ზურა ყველაფერზე ნერვიულობს, რომ ვჭამ იმაზეც და, წარმოიდგინეთ, ახლა რა სჭირს

პროფესიონალი მოცეკვავეა, მე როგორ უნდა ვაჯობო?! ჩორგოლა ხომ, საერთოდ, „სუხიშვილებს“ გამოეყო და ცალკე, თავისი საგვარეულო მიმდინარეობა ჩამოაყალიბა *(იცინის)*. გიჟია, გადარეულია, როგორ უნდა აჯობო?! ამიტომ, მე ჩემი ნიშა უნდა ვიპოვო, თორემ, ცეკვის კლასიკური სტანდარტებით მაგათ რას ვაჯობებ?!

**– საერთოდ, კონკურსში მიგიღია მონაწილეობა?**

– არა, რას ლაპარაკობ, რა კონკურსი! ნიემ რომ მითხრა, დავთანხმდი – ვიფიქრე, მივალ, გავერთობი-მეთქი. მეგონა, ეს ადვილი იქნებოდა ჩემთვის, თურმე, „სადა ბანაობ“...

**– იყო ისეთი ცეკვა, რომლითაც ისიამოვნე?**

– ეგეთი წინ მაქვს. არა, „ლინდი ჰოპითაც“ ვისიამოვნე, მომწონს „როკ-ენ-როლის“ ტიპის ცეკვები, მაგრამ, წინ მაქვს „ჯაივი“ და, რაც მთავარია, „არგენტინული ტანგო.“ ულამაზესი ცეკვაა და, თან, საოცრად შინაარსიანი. ეს არის კონფლიქტი ქალსა და კაცს შორის. ჩვეულებრივ „ტანგოში“ სიყვარულია, იქ კი უფრო კონფლიქტია და ეს ძალიან მაგარია. „პასადობლეში“ ქალსა და კაცს შორისაა გადმოტანილი მამაკაცისა და ხარის დაპირისპირება, დაახლოებით იგივეა „არგენტინულ ტანგოშიც.“ ცეკვის ფილოსოფია ცალკე ძალიან საინტერესოა, ამ ყველაფერს მიყვებიან ყველა დადგმის წინ. „რუმბასაც“ ასეთი ხასიათი აქვს, მაგრამ, არ გამოგვივიდა. კინოტურში როლი გარეგნობიდან გამომდინარე შემირჩიეს, მაგრამ „რუმბა“ ინტიმურ სიტუაციას ითხოვდა, რაც გამორიცხული იყო 13 წლის ბავშვსა და მარტოხელა მკვლელ მამაკაცს შორის. აპრიორში განწირული იყო ეს ცეკვა. იქ ეროტიკა იქნებოდა მარაზმული, პათოლოგიური და, შესაბამისად, არ გამოვიდა.

**– ჯულიანა როგორი გოგოა?**

– პელეა, პირველი ნომერი. ძალიან მალე გავვარდებოდი, რომ არა ჯულიანა. წყნარად, ზედმეტი ხმაურის გარეშე იღებს ჩემგან ყველაფერს. თითქოს, რომ მგონია, აი, ყველაფერი კარგად არის-მეთქი, ჯულიანა ახერხებს, რომ კიდევ ათჯერ მეტი ამოიღოს ჩემგან. მკაცრი ტიპია, მაგრამ, არ ხმაურობს. რაც შესაძლებელია, მაქსიმუმს იღებს ჩემგან. თან, ძალიან ცოტა დროა – თითქოს ერთი კვირაა, მაგრამ, რეალურად, ოთხი დღეა სამუშაოდ: შემდეგი დღე დასვენებაა, ერთი დღე – თვითონ შოუ; ზოგჯერ მუსიკა არ არის გადაწყვეტილი და, თუ მუსიკა არ არის, ქორეოგრაფები ცეკვას ვერ გვიდგამენ. ზოგადად, ქალი ხომ მხოლოდ თინეიჯერულ ასაკში გინდება, კონკრეტულად რომელი, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მე კი უკვე იმ ასაკში ვარ, ჯერ ქალი უნდა ვნახო, რომ მერე ის მომინდესო *(იცინის)* – ასე ამბობს ჩვენი ქორეოგრაფი. ასე რომ მუსიკის ლოდინში კიდევ ერთ დღეს ვკარგავთ.

**– ანი აქტიურად არის ჩართული?**

– ანი მეუბნება, ახალ წლამდე თუ მივაღწიე, არ მგონიაო. წნევები და თავის ტკივილები აქვს, ვერც უყურებს პირდაპირ ეთერს, მერე ჩანაწერს ნახულობს ხოლმე.

**– დაგისტრესია ოჯახი.**

– მაგრად. ლენუკა დადის მხოლოდ და, კიდევ, ზურა, რომელიც სადღაც, კულისებში ჩუმად იმალება, ისე უყურებს, ტირის და რაღაცეებს აკეთებს. დედაჩემი სახლიდან მგულშემატკივრობს, იქიდან უშვებს დადებით ენერგიებს, ჩაკრებს მიხსნის და აურას მიწმენდს. *(იცინის)*.

**სალომე გველესიანი**




# ვის წაახალისებს დაჯილდოება „ოქროს ტალღა" და რა პირობას აძლევს, რომა რცხილაძე პროექტის მონაწილეებს

*კომპანია „რადიო საქართველო" 4 დეკემბერს გრანდიოზულ დაჯილდოებას გეგმავს. ჟიურის წევრები იქნებიან ობიექტურები და სამართლიანები, რაც იმის გარანტია, რომ გამარჯვებული ღირსეულიც იქნება. ჩვენი რესპონდენტი, ჟიურის ერთ-ერთი წევრი, მუსიკოსი, რომა რცხილაძე, რომელსაც მართალია, არც ისე ძალიან უყვარს ამ ამპლუაში ყოფნა, თუმცა წინადადებას მაინც სიამოვნებით დათანხმდა. რა არის ამის მიზეზი და როგორი შემფასებელი იქნება ის, მისივე ინტერვიუდან შეიტყობთ.*

**– როგორ ფიქრობთ, რამდენად საჭიროა დღეს „ოქროს ტალღის" დაჯილდოება ქართული შოუ-ბიზნესისთვის?**

– აუცილებლად საჭიროა და გეტყვით, რატომ. სამწუხაროდ, შოუ-ბიზნესში არაფერი ხდება და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ერთ ადგილს ვტკეპნით. დაჯილდოება „ოქროს ტალღა" კი ერთგვარი წახალისება იქნება მუსიკოსებითვის. მუსიკოსებმა უნდა იგრძნონ, რომ მათი შრომა დაფასდება და მხოლოდ რესტორანში სიმღერით არ შემოიფარგლება, როგორც ეს ხშირ შემთხვევაში ხდება, რადგან სხვა გზა და გასაქანი არ არის. „ოქროს ტალღა" კი სწორედ იმის სტიმული იქნება, რომ ადამიანმა თვითდამკვიდრების პერსპექტივა იგრძნოს. არ აქვს მნიშვნელობა როდის დადექი დიდ სცენაზე, ხარ პოპულარული თუ არა, სტიმული ყველას სჭირდება. მივესალმები კომპანია „რადიო საქართველოს" ამ წამოწყებას, რომელიც ერთჯერადი კი არა ყოველწლიური იქნება. ამ დაჯილდოებაზე ძალიან კარგი შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს. დაბადების დღეზე ადამიანს საჩუქარს რომ აჩუქებ და უხარია, დაახლოებით იგივეა „ოქროს ტალღაც," მომღერლებისთვის.



**– თუ გყავთ თქვენი ფავორიტი?**

– ჯერჯერობით რაც მოვისმინე, გამორჩეულად არც ერთი არ მომწონებია, რადგან ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა. თუმცა, იმედი მაქვს, სანამ ბოლომდე მოვისმენ შემსრულებლების ნამღერს, აუცილებლად აღმოვაჩენ რომელიმე განსხვავებულ სიმღერას. ამ ეტაპზე კი ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ყველა სიმღერა ერთ სტუდიაშია ჩაწერილი. ჩემი კეთილი თხოვნა იქნება, ნუ დაემსგავსებიან ერთმანეთს და იყვნენ ინდივიდუალურები. ჩემი სურვილია და დიდი იმედი მაქვს, რომ დაკემბერში სწორედ ღირსეულებს დავაჯილდოებთ და არა მათ, ვისაც უბრალოდ შეჩვეულები ვართ. ეს არ მოხდება, რადგან დაჯილდოებას კომპეტენტური ჟიური ეყოლება.

**– „ოქროს ტალღა" იმითაც გამოირჩევა, რომ მონაწილეობას ემიგრანტი ქართველებიც იღებენ. ეს, ალბათ, კიდევ უფრო განსხვავებულს გახდის დაჯილდოების ცერემონიალს.**

– ეს მათთვისაც წახალისება იქნება. სიმღერები რომ განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, პირადად მე, ემიგრანტი ქართველების დიდი იმედი მაქვს. ეს დაჯილდოება თავის შედეგს აუცილებლად დადებს. სხვა თუ არაფერი, წლის ბოლოს ერთგვარი შემაჯამებელი ინტერესია. ჟიურიში ყოფნა, სიმართლე გითხრათ, არ მიყვარს. მაგრამ, მაინც მივიღე გადაწყვეტილება, ვიყო ჟიურის ერთ-ერთი წევრი, აუცილებლად სამართლიანი ვიქნები. მართალია, ჩემს სათქმელს ღიმილით ვიტყვი, მაგრამ აუცილებლად ვიქნები მკაცრი და ობიექტური. წინ არასდროს გამიშვია ადამიანი იმის გამო, რომ ის ჩემი ახლობელი ან ნათესავია. ამას არ დავუშვებ. ვინც ღირსია, მე ყოველთვის იმ ადამიანს ვუჭერ მხარს. ჩემი გადასახედიდან, ვინც ყველაზე გემოვნებიანი, განსხვავებული, ჩამოყალიბებული და კარგია, მე ამას აუცილებლად აღვნიშნავ. ამის პირობას გაძლევთ.

**– კომპანია „რადიო საქართველოს" რომელ რადიოს უსმენთ?**

– ოთხივე რადიოს ვუსმენ, უბრალოდ, გააჩნია რა ხასიათზე ვარ.

**– ამ დაჯილდოებაში მსმენელებიც აქტიურად არიან ჩართული, რომლებიც რჩეულს ესესმესის საშუალებით ირჩევენ. ალბათ, ჟიურისთან ერთად, მსმენელებიც სამართლიანები უნდა იყვნენ.**

– ძალიან ვწუხვარ, რომ მსმენელების

> **ამ პროექტზე ძალიან კარგი შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს. დაბადების დღეზე ადამიანს საჩუქარს რომ აჩუქებ და უხარია, დაახლოებით იგივეა „ოქროს ტალღაც" მომღერლებისთვის**

გემოვნება გაჩერდა, ან უკან დაიხია. პრინციპში, ეს ყველაფერი იმის ბრალია, მათ ტელევიზიებისა და რადიოების საშუალებით, თითქმის სულ ერთი და იგივეს ვაწვდით. მათ კი აუცილებლად უნდა ჰქონდეთ არჩევანი. დიდი იმედი მაქვს, რომ მსმენელი იაქტიურებს და აი ამ ჩემს ეჭვს გამიფანტავს. ასევე, დიდი იმედი მაქვს, რომ დაჯილდოება „ოქროს ტალღა" აუცილებლად დაეხმარება ჩვენს მსმენელს გემოვნების აღზრდაში.

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**ნაპოლეონი**: არასდროს განიხილოთ, თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდა ადამიანი, რომელიც თქვენთან სამართალს ეძებს.

**ფრანკლი**: ცხოველები არასდროს არიან შეძრულნი თავისი არსებობის ფენომენით.

**ფრანსი**: რაც არ უნდა ვილაპარაკოთ ცხოვრების ამაოებაზე, ხანდახან ერთი ყვავილიც საკმარისია, რომ ყველაფერი გადაგვაფიქრებინოს.

**ტორო**: წიგნები უნდა ვიკითხოთ ისევე აუჩქარებლად და ფრთხილად, როგორც ისინი იწერებოდა.

**ბეკონი**: კითხვა ადამიანს მცოდნეს ხდის, საუბარი – მაძიებელს, ხოლო ჩაწერის ჩვეულება კი – ზუსტს.

**როკფელერი**: კარგი მართვა ნიშნავს, აჩვენო ჩვეულებრივ ადამიანებს, როგორ იმუშაონ არაჩვეულებრივად.

**დისტერვეგი**: ცუდ მასწავლებელს მოსწავლესთან მზა სახით მიაქვს ჭეშმარიტება, კარგი კი მის აღმოჩენას ასწავლის.

**დელეზი**: ჩვენ ვერაფერს ვსწავლობთ მათგან, ვინც ამბობს: „გააკეთე ჩემსავით." ჩვენი ნამდვილი მასწავლებლები არიან ისინი, ვინც ამბობს: „გააკეთე ჩემთან ერთად".

**ვოვენარგი**: მარტოობა ისევე აუცილებელია გონებისთვის, როგორც თავშეკავება საჭმლის მიღებისას – სხეულისთვის და, მომაკვდინებელია, თუ ის დიდხანს გრძელდება.

**ალ-მაალი**: მარტოობა ცუდ ამხანაგზე უკეთესია.

**პასკალი**: სიკვდილი უფრო ადვილია, როცა სიკვდილზე არ ფიქრობ, ვიდრე სიკვდილზე ფიქრი, როცა სიკვდილი არ გემუქრება.

**ოუენი**: მოსპეთ დანაშაულებრივ ხასიათთა შექმნის ხელის შემწყობი პირობები და დანაშაულიც აღარ იქნება.

**ლობენგრი**: მეცნიერება ჰქვია იმის რწმენას, რომ შესაძლებელია ბედისწერის განიდება.

**არისტოტელე**: ლაპარაკი არის ხელოვნება, რომელმაც რწმენა უნდა გააღვიძოს.

**ფულერი**: კმაყოფილება არის ბედნიერება.

**გოეთე**: კანონი ძლიერია, ოღონდ, უფრო ძლიერია გაჭირვება.

**ანაქარსისი**: კანონი იგივე ობობის ქსელია, რომელსაც დიდი ბზიკი გაგლეჯს, პატარა ბუზი კი შიგ გაებმება.

**ბაირონი**: კალამი უძლიერესი ხელსაწყოა პატარა კაცისა.

**ზოიმე**: ისტორია მეტწილად ადამიანთა მოდგმის შერცხვენაა.

**პრიორი**: იმედი სხვა არაფერია, თუ არა ფხიზლად მყოფთა სიზმარი.

**ბალზაკი**: თავმდაბალია არა ის, ვინც გულგრილია ქების მიმართ, არამედ ის, ვინც ყურად იღებს გაკიცხვას.

**ლესინგი**: ყველა როდია თავისუფალი, ვინც თავის ბორკილებს დასცინის.

**მოლიერი**: ეჭვიანი კაცის სიყვარული უფრო სიძულვილს ჰგავს.

**ვულფი**: ქალები სიყვარულს ელიან, კაცები კი – ქალებს.

**ბენ გურიონი**: ქალი აქლემია, რომელიც ცხოვრების უდაბნოს გავლაში გვეხმარება.

# თუ გაგიოცნოთ

1. აკვალანგისტმა-მკვლევრებმა მეთექვსმეტე საუკუნეში ჩაძირული ხომალდი ამოიღეს. მასზე ნაპოვნ სკივრში შენახული აღმოჩნდა მშვილდ-ისრები და ტყავის ხელთათმანები, ოღონდ, ყველა მარცხენა ხელისთვის. **რატომ მხოლოდ მარცხენა?**

2. ფრანგული ტექსტილის წარმოებისთვის მხარის დასაჭერად, რომელიც ხავერდსა და ფარჩას ამზადებდა, ნაპოლეონმა ბრძანა, ტუილრის ყველა ბუხარი ჩაექროთ. **რატომ?**

3. ორინტოლოგების კვლევებით, ზოგიერთი ფრინველი, მაგალითად, არწივი, ბუდეში მხოლოდ ორ კვერცხს დებს. ერთ-ერთი, რომელიც პირველად გამოიჩეკება, შედარებით ძლიერია და მეორეს კლავს. **რას უწოდებენ მეცნიერები ამ სინდრომს?**

4. მეოცე საუკუნის 30-იან წლებში, სპეციალურად, უმაღლესი პარტიული, საბჭოთა და სამხედრო ელიტისთვის გაკეთდა საიდუმლო თარგმანი წიგნისა, რომელსაც თავის სამშობლოში ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად, ავტორს კი კარიერული წინსვლა და რამდენიმე მილიონი ჰონორარი მოუტანა. საბჭოთა კავშირში ხალხისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ 80-იან წლებში გახდა. **დაასახელეთ წიგნი.**

5. დიუსელდორფის სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტებმა მშობლიური ქალაქის ერთ-ერთი შენობის კედლები მოხატეს. ეს თავისებური პროტესტი იყო დაზვერვის ფედერალური ბიუროს თვალთვალისა და მოსმენის წინააღმდეგ. **რა გამოხატეს მათ კედლებზე, თუ ის ცნობილ გამონათქვამს გამოსახავდა?**

6. თუ თქვენ ფილატელისტი ხართ და დაინტერესდით სხვადასხვა ქვეყნის მარკებით, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ფინურ ორგანიზაციას, რომლის მისამართზეც, დიდი ხანია, სეზონურად იყრის თავს თითქმის ყველა ქვეყნიდან გაგზავნილი უამრავი წერილი. დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი ფული კეთილ საქმეს მოხმარდება, რადგან, მთელ მოგებას ეს ორგანიზაცია „იუნისეფში" – ბავშვთა საერთაშორისო ფონდში რიცხავს. **რა საქმიანობას ეწევა ეს ორგანიზაცია?**

7. როდესაც არისტოტელემ თავისი ზოგიერთი თხზულება გამოაქვეყნა, უკმაყოფილო ალექსანდრე მაკედონელმა, მისმა ყოფილმა მოსწავლემ, საყვედურებით სავსე წერილი მისწერა. **რამ აღაშფოთა მაკედონელი?**

8. ამერიკის შეერთებულ შტატებში ეს დღე ყოველწლიურად 14 მარტს აღინიშნება და ემთხვევა აინშტაინის დაბადების დღეს. მთავარი ზეიმი დღის 1 საათსა და 34 წუთზე იწყება. **რას ეძღვნება ეს ზეიმი?**

9. ძველი ეგვიპტელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მზე უდიდესმა ღმერთმა, გოგოტუნმა შექმნა – დადო ოქროს კვერცხი. **როგორ წარმოიდგენდნენ და გამოსახავდნენ ეგვიპტელები ამ ღმერთს?**

10. 1984 წლის 30 აგვისტოს, პრესკონფერენციის დაწყების წინ, პრეზიდენტმა რეიგანმა მთელი ქვეყნის წინაშე განაცხადა: „ძვირფასო ამერიკელებო! მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ ახლახან მოვაწერე ხელი კანონს რუსეთის სამუდამოდ უკანონოდ ცნობის შესახებ. დაბომბვა დაიწყება ხუთი წუთის შემდეგ"... ამ ცნობამ არანაირი პანიკა არ გამოიწვია – მიიღეს, როგორც წარმატებული ხუმრობა. საქმე ის არის, რომ რეიგანმა ამით შეამოწმა... **რა?**

***პასუხები იხილეთ მე-60 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* მეთხუთმეტე საუკუნის ერთ-ერთ რუკაზე ჩვენს პლანეტაზე ხმელეთი მთლიანადაა გამოსახული. ამერიკა საერთოდ არ არსებობს. ჩრდილოეთი მარცხნივაა, ხოლო, რუკის ზემოთ მითითებულია... გზა სამოთხისკენ.

* ირემი – მეორე ადგილი, 8 000 ხმით; ლოსი – მესამე, 7 000 ხმით; შემდეგ, ციყვი – 1 000 ხმით... სხვა ცხოველებმა ათასზე ნაკლები ხმა მიიღეს, 20 000 ხმით კი პირველ ადგილზე დათვი გავიდა – 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის სიმბოლო.

* ბელგიელმა მოქანდაკემ ფილიპ დარდიუმ, ამერიკის შეერთებულ შტატებში თანამედროვე ხელოვნების გამოფენაზე თავისი ნამუშევარი – ნატურალური ზომის 4 ადამიანის ფიგურა თვითმფრინავით გადაიტანა: ჩვეულებრივ თვითმფრინავში 4 ბილეთი აიღო და პირველი კლასის სალონში, ადგილის ნომრების მიხედვით თვითონვე განათავსა ისინი.

* მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანელ AS-ს ერიხ ჰარტმანს, რომელმაც 352 საბჭოთა თვითმფრინავი ჩამოაგდო, 25 წელი მიუსაჯეს – საბჭოთა კავშირისთვის მატერიალური ზარალის მიყენების გამო.

* 1580 წელს კონკისტადორებმა, სხვა ველურ ცხოველებთან ერთად, ევროპაში გალიებით ჩამოიყვანეს ზღვის თაგვები, რომლებსაც ინკები საკვებად იყენებდნენ და ამრავლებდნენ. როგორც ამბობენ, მისი ხორცის გემო გოჭისას მოგაგონებთ.

* „ბეწვზე ჰკიდია" – ამ გამოთქმაში ინგლისელები და ესპანელები სიტყვა „ბეწვის" ნაცვლად „ძაფს" იყენებენ, გერმანელი კი „აბრეშუმისაც" ამატებს.

* გამოიგონეს სპეციალური სკაფანდრი მწეველი მყვინთავებისთვის – მას ბოლისთვის დამატებითი გამომყოფი მოწყობილობა და უტილიზატორი აქვს.

* მეცხრამეტე საუკუნის დანიაში წერილების გადასაზიდად სპეციალური სფერული, „ეკლებით" დაფარული საზიდრები შემოიღეს – ფეხით მიმავალი მგზავრები რომ არ შეხტომოდნენ.

* ჯოკ საიკე ისტორიაში შევიდა, როგორც კროსვორდის შევსებაში ყველაზე სწრაფი. გაზეთ „თაიმსის" გამოცხადებულ კონკურსში მან ადვილად დაამარცხა ყველა კონკურენტი და სარეკორდო დროში – 3,5 წუთში შეავსო კროსვორდი. არცაა გასაკვირი – ბატონი საიკე ცნობილი „ოქსფორდის ლექსიკონის" მთავარი რედაქტორია.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლe5-e8!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



სალამოა. გოგონას ვაჟი აეკიდა და ვერაფრით იშორებს... ბოლოს, შესთავაზა – რადგან ასეთი მონდომებული ხარ, ჩემთან ავიდეთო. შევიდნენ ბინაში.

– ცოტა ჩუმად, მშობლებმა არ გაიგონ, ორივე სახლშია; მამა სპეცრაზმელია, დედა –




მილიციის თანამშრომელი, ძმა კი ავღანეთიდან ახლა დაბრუნდა...

– აუ, სად მოვხვდი... – ჩაილაპარაკა ბიჭმა თავისთვის.

– გინდა, დაუვიწყარი ღამე გაჩუქო? – ეკითხება გოგო.

– კი! – სახე გაუნათდა ბიჭს.

– მიშველეეთ!

***

ლეიტენანტმა, გვიან ღამემდე მამაპაპური სმის შემდეგ, ძლივს ასწია თავი – ტელეფონი რეკავს. ქალის სასიამოვნო ხმა ეკითხება:

– გინდათ სექსი ტელეფონით?

– კი, კი, რა თქმა უნდა!

– მაშინ, გაერთებთ ბატალიონის მეთაურთან!

***

ეჰ, რა კარგი იყო წინათ – არც სამსახური გჭირდება, არც დიპლომი, არც ცოლი გაწუხებს.... იჯექი სილაში და აცხვე „პასკები"...

***

ინტელიგენტი ადამიანი არასდროს არ შეგაგინებთ, ის იტყვის: „ახალგაზრდავ, მე თქვენ მამად გეკუთვნით".

ინტელიგენტი ადამიანი უხამსად არასდროს გაგგზავნით „ერთ ადგილას," არამედ, გეტყვით: „მე ვხედავ, თქვენ შორს წახვალთ!"

ინტელიგენტი ადამიანი არასდროს არ გეტყვით, რომ ჰკიდიხართ, ის იტყვის: „თქვენ ჩემს ღირსებაზე დაბლა დგახართ"...

***

რეკლამებით ჩვენ გავიგეთ, რომ:

1. ყველა გოგო აუცილებლად თან ატარებს „ვენიშს".

2. ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ უზარმაზარ, ევრორემონტიან ბინაში – მხოლოდ მაკარონს მიირთმევენ.

3. კარგ დიასახლისებს აუცილებლად ჭუჭყიანი აბაზანა, ტუალეტი და გაზქურა და დაჟანგული წყალგაყვანილობა აქვთ.

4. ჩვენი მთავარი პრობლემა ქერტლია.

5. თუ ბავშვებმა მაისურები დაისვარეს, აუცილებლად მოდის დეიდა, ხელში სარეცხის ფხვნილით.

6. საკვები პროდუქტები და სალეჭი რეზინები შესანიშნავად მეტყველებენ.

7 და აუცილებელია, გამოუშვან 99-თეთრიანი მონეტა.

***

ვინც ეძებს სამსახურს: შეთანხმებული გრაფიკით, ხელფასი 1 300-1 500 ლარით, 45-დღიანი შვებულებით... გთხოვთ, დამირეკოთ – ერთად ვეძებოთ...

***

სიბრაზე – ორგანიზმის მდგომარეობაა, როდესაც ენა ტვინზე სწრაფად მუშაობს.

***

– მიხო, რა ცალი ჩექმით მოდიხარ, მეორე დაკარგე?




– არა, ჯო, ვიპოვე...

***

– ხედავ, როგორც დატოვე, ყველაფერი, ისევ ისე წესრიგშია, თავის ადგილზეა...

– კი მაგრამ, ამდენი მტვერი?

– მანდ საჭირო ტელეფონის ნომრები ჩამოვწერე...

– აქ კიდევ, ობობას ქსელი გაუბამს...

– აუ, ბუზოს ხელი არ ახლო! ეგ არაფერ შუაშია!..

***

„ძვირფასო მამა! ბერლინი ძალიან კარგი ქალაქია, აქ ნამდვილად მომწონს. ოღონდ, ხანდახან მრცხვენია: მე უნივერსიტეტში ჩემი ახალი „ფერარით" დავდივარ, ჩემი ამხანაგები და პროფესორებიც კი – მატარებლით.

შენი საყვარელი შვილი – ამირი".

„შვილო, გიგზავნი 25 მილიონს... თავი არ შეირცხვინო, იყიდე მატარებელი!

მამა."

***

– კარგია, იყო მამაკაცი: არანაირი ბოტოქსი და გაბერილი ტუჩები, არანაირი ეპილაცია... მოიფხანე გადანერგილთმიანი თავი და, წადი, სადაც გინდა...

***

– ვატყობ, ჩემო სიდედრო, პლიტა გჭირდება...

– გაზის?

– არა მარმარილოსი!

***

– დაწვი, ეგ კუდიანია!

– ლამაზი როა?

– კარგი, მაგრამ, მერე აუცილებლად დაწვი.

***

სასამართლო მოვიგე – ჩემმა ადვოკატმა დაამტკიცა, რომ 140 სიჩქარეზე სიჩქარის 40 კილომეტრამდე შეზღუდვის ნიშანი არ ჩანს...

***

ტყუპი გოგონა ბაღის სკამზე ზის. ჩამოი-




არა მამაკაცმა და გაოცებით უყურებს მათ...

– ბიძია, არ გეგონოთ, რომ მხედველობის გაორება გჭირთ, ჩვენ ტყუპები ვართ.

– როგორ, ოთხივე?!

***

ბგერის სიჩქარეს უცნაური თვისებაა – რასაც 20 წლის ასაკში გეუბნებიან, 40 წლისას იგებ.

***

ფრაზა: „მეგობრებად დავრჩეთ" ისეთივე ბოდვაა, როგორც ფრაზა „ძაღლო, მოდი, იყავი ჩემი კატა".

***

სიტყვათშეთანხმება „რომანტიკულ ვახშამში:" საკვანძო სიტყვა ქალებისთვის „რომანტიკულია", მამაკაცებისთვის კი – „ვახშამი".

***

ბიზნესმენი და ბანდიტი მომავალ ურთიერთთანამშრომლობაზე მსჯელობენ:

– აქ ყველაფერი გავარკვიეთ, მაგრამ ჩემი ბიჭი რას იზამს, ვერ გამირკვევია, – ამბობს ბიზნესმენი.

– მოდი, გამოვცადოთ: შენ მაგიდაზე დადე ფული, მე პისტოლეტს დავდებ. შემოვიდეს და რომელსაც აიღებს, ალბათ, იმ გზას დაადგება...

ასეც მოიქცნენ. შემოვიდა ბიჭი, ერთ ჯიბეში ფული ჩაიდო, მეორეში – პისტოლეტი და გავიდა.

– ო, პოლიციასაც არა უშავს რა...

# როგორ მოაწონეს თავადის ქალ კლეოპატრას სასიძოდ ავთო კუტუბიძე

გოჩა მხეიძეს და ავთო კუტუბიძეს პირველი სემესტრისთანავე მოეწონათ ერთმანეთი. ბიჭები დამეგობრდნენ და უმეტეს დროს ერთად ატარებდნენ.

ასეთი ამბავი არცთუ იშვიათია და... ავთოს გოჩას და – ტასო მოეწონა „ნამეტნავად“. ტასოს სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა და მის ასაკში, რა გასაკვირია, მასაც მოსწონებოდა მართლაც მოსაწონი ავთოია.

იქით-აქეთ, ოჯახის უფროსებმაც გაიგეს ეს ამბავი და საერთო დასკვნა გააკეთეს: „ქალიც – კაი, ვაჟიც – კაი, აღარ უნდა ლაი-ლაი“.

კინაღამ ყველაფერი წყალში ჩაიყარა.

გოჩას და ტასიკოს დიდი ბებიას თანხმობა იყო საჭირო. დიდი ქალბატონი – კლეოპატრა ჯაფარიძე თავად მხეიძეზე გახლდათ გათხოვილი რაჭიდან ქუთაისში. მუდამ მოწესრიგებული კლეოპატრა არისტოკრატიის განსახიერება გახლდათ. „შამპოს“ და „კონოს“ დრო გარდასული იყო, თუმცა ყავას კი ერთგულად მეგობრობდა, თან მანქანასაც დარდიმანდულად დააგელვებდა. იტალიური ესტრადის მოტრფიალე, ჩელენტანოზე, კუტუნიოზე და ალბანოზე „ეცემოდა“.

თბილისიდან ქუთაისში აფრინეს საცოლისძმო გოჩა, რათა ეს ამბავი ქალბატონ კლეოპატრა სოლომონოვნასთან შეეთანხმებინათ.

– რა დროს მაგ ლლაპის გათხოვებაა, ჯერ ფაფა არ შეშრობია ტუჩზე?! – პენსნეს ზემოდან გადმოხედა გოჩას შეშფოთებული თვალებით.

– უყვართ, ბებო, ერთმანეთი და რა ვქნათ ახლა? – არ დაიხია შვილიშვილმა უკან.

კლეოპატრამ დინჯად გააბოლა „კენტი“ და ძირძველი ქუთაისური აქცენტით დაინტერესდა:

– რა მოხელე ჩიქვანია ბიჭი?

– ჩემი კურსელია, ბებო... ეკონომისტი.

– ოჯახი?

– გადასარევი ოჯახიშვილია... დედა – ექიმი, მამა – ვექილი. დედისერთა ბიჭია, ბებო.

– რა გვარისაა?

– დედ-მამა?

– არა... ბიჭი... ბიჭი რა გვარია? – „ჭამა“ გოჩას წალადავება ქალმა.

– კუტუბიძე...

– მე მომეყურა... კუტუბიძე გევიგონე...




– მართლა კუტუბიძეა... არ მოგყურებია, ბებია.

კლეოპატრამ მოულოდნელად იფეთქა:

– რაო? – ჩააჭყლიტა სიგარეტი საფერფლეში – კუტუბიძეებიზა და შავყვერაშვილებიზა გავზარდეთ ბროლივით გოგო არისტოკრატულ ოჯახში! – წაუკივლა და რა წაუკივლა!

– კაი, ბებო, დაწყნარდი! – გასაქცევად მოემზადა გოჩა და გაიქცა კიდევაც მოგვიანებით.

– რაო? – შეეკითხნენ გულის ფანცქალით თბილისში.

– არაო... მშრალად ამოილუღლუღა საცოლისძმომ. სიტუაცია ჩიხშია. ტელევიზორში დაანონსეს, სამ დღეში ტოტო კუტუნიო ჩამოდის საგასტროლოდ თბილისშიო.

დაზაფრულ გოჩას ტვინში ბჟღვრიალა „ლამპოჩკა“ აელვარდა. მობილური მოიმარჯვა და ქუთაისში რეკავს.

– კლეოპატრა ბებო, სამ დღეში შენი საყვარელი კუტუნიო ჩამოდის. აქამდე ჩამოაღწიე, სადგურში დაგხვდებით და ცოცხალი კუტუნიოს კონცერტზე წაგიყვანთ.

კლეოპატრას ყველაფერი გადაავიწყდა.

– ჩემი ოცნება! ჩემი კუტუნიე... ნამდვილია თუ მატყუებ, ბიჭო?

– კი, ბებო, ნამდვილად ასეა, ტყუილი რა საკადრისია.

ბილეთები მესამე რიგში აიღეს.

საგანგებოდ (ჩუმად) კონცერტს მთელი აქეთ-იქეთა ოჯახი ესწრებოდა. ბებოსთვის ჯერ უცნობი სასიძო სულ განაპირა სკამზე იჯდა. ტოტო მთელი მონდომებით მღეროდა. დარბაზი სკანდირებდა: „ტოტო! ტოტო!“

კლეპოატრას ახალგაზრდობა გაახსენდა და დასაბმელი გახდა, აცმუკდა, ამსუბუქდა, ეშხში შევიდა და ტაშისკვრით ხელისგულები დაილურჯა.

– კუტუნიაა! ჩემი კუტუნიეე!!! შენ გენაცვალე, კუტუუუტოო!!! – ჩაახშო ყველას ხმა.

სახლში მივიდნენ და კმაყოფილებისგან გადაბარდღანებულს გოჩა ეუბნება:

– ბებო, შენ იცი, რომ ჩვენი სასიძო იტალიელია წარმოშობით?

– რაო? – წარბები აზიდა ქალმა.

– კი, აბა?! – კუტუნიოები ყოფილან იტალიაში, თურმე, მის წინაპარს ბატონი მოუკლავს, გადმოხვეწილან საქართველოში და კუტუბიძეებად გადაუკეთებიათ გვარი.

ქალი აშკარად გაიბადრა:

– არ მატყუებ?

– რას ამბობ, ბებია... ტყუილი რა საკადრისია.

– ოო, მაშინ, თანახმა ვარ... ვენაცვალე ჩემს მომავალ სიძეს, იტალიელ კუტუნიოს და ქართველ კუტუნია კუტუბიძეს! გამაცანით.

... ამბობენ, ქორწილი დაგეგმილიაო. ამ ამბის მომყოლიც გახლავართ დაპაიჯებული. აპა არაა?!

ყველაფერი წინაა... ვნახოთ...

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# რატომ ელოდება ჩინელი ბიჭი საქართველოში მეფობის აღდგენას

გამარჯობა დედა, როგორ ხარ? მე არა მიშავს, ვცხოვრობ ძველებურად. შეიძლება, ცოტა ხანში დიდი კაცი გავხდე და ამაზე მოგწერ.

დედა, როგორც გითხარი, ქართველებს ყოველ წელს სხვადასხვანაირი ლიდერი უნდათ. ალბათ ეს პრეზიდენტების არჩევა მობეზრდათ და ახლა იძახიან მეფე გვეყოლება ცოტა ხანშიო. ეს ჭორი ახალი გავარდნილი იყო, როცა ლამზირამ და დედამისმა, სულ ხელისკვრით მიმათრიეს იუსტიციის სახლში და ახალი გვარი დამიმატეს. თავიდან ძალიან ვეწინააღმდეგებოდი, გაქცევაც დავაპირე, მაგრამ მერე მომეწონა. პროცედურები გავიარეთ და ასე გავხდი - ტობი ვონგ ამილახვარი. ლამზირას და დედამისს მთელი გულით სჯერათ, რომ ცოტა ხანში ვილაც გამეფდება და მე თავადი გავხდები. სხვათა შორის, მარტო ჩემი ცოლი და სიდედრი არ გადარეულან ამ ამბავზე, საკმაოდ ბევრმა ადამიანმა დაიწყო თავისი წინაპრებისა და გვარის წარმომავლობის ქექვა. ბაზრობაზე რომ ლოთი ნუგზარაა, ჩემი დახლის ქვეშ სძინავს ხოლმე ღამით და ერთ დილას გამომიცხადა, ბარათაშვილი ვარ გვარად და ცოტა ხანში ქვეყნის ერთ-ერთი მმართველი გავხდებიო. დედა, ასეთი რამე საქართველოში გამორიცხული სულაც არაა. უცებ ისეთ კაცს დანიშნავენ დიდ თანამდებობაზე, შეიძლება გაგიჟდე. მე ოდნავ კარგად ვექცევი ნუგზარას – აღარც ლოთს ვეძახი, რა იცი, რა ხდება. ჩემი გვარის გადაკეთებით არ დასრულებულა ჩემი თავადობისთვის მზადება, ყოველ წუთს რაღაცას მისწორებენ სახლში. მაგალითად: პირს ნუ აწკლაპუნებ, დანა-ჩანგლით ჭამე, ყველას ნუ უყადრებ თავს და ასე შემდეგ. ლამზირამ ამას წინათ ისიც კი მითხრა, მაგ თვალებს ნუ ჭუტავ, ცოტა დაამრგვალე, რომ ქართველს ჰგავდეო. ლამზირას ნათესავებმა მოჩხრიკეს ვილაც შორეული ნათესავები, რომლებმაც თავის მხრივ, სხვა შორეულ ნათესავებთან დააკავშირეს და რაღაც ციხე-სიმაგრეზე ლაპარაკობდნენ ამას წინათ.




მე, როგორც პოლიტიკაზე გადარეული კაცი, მაშინვე დავინტერესდი, ვინ უნდა გახდეს მეფე. შევძვერი ინტერნეტში და რას ვხედავ: 4 წლამდე ბავშვი ხალიჩაზე წამოგორებულა და რაღაცას თამაშობს. დედა, გინდა დაიჯერე, გინდა არა, სწორედ ამ ბავშვს უპირებენ გამეფებას. თუმცა, მან ეს ამბავი კი არა, ლაპარაკიც არ იცის ჯერ კარგად. ახლა დავრწმუნდი, რომ ქართველები ის ერია, რომლის ფანტაზიას საზღვრები არ აქვს. უფრო გულისხმიერად უნდა მოვეკიდო ლოთი ნუგზარას სიტყვებს, სადაც ეს ბავშვი მეფე შეიძლება გახდეს, იქ ნუგზარასაც აქვს შანსი თავადობის. მოკლედ, ვცდილობ, ჩემი გვარი დავამკვიდრო ნაცნობებსა და უცნობებში. ჯერჯერობით, ჩემი წარდგენისას სიცილით იხევიან, მაგრამ არა უშავს, თავიდან ჩემს დანახვაზეც ეგრე იყვნენ, მაგრამ, მიეჩვივნენ და ხომ ხედავ, აქაური ქალიც გამომატანეს ცოლად. ჯერჯერობით ეს არის სულ, დედა. მერე კიდევ მოგწერ. მომიკითხე ყველა.

**გკოცნით,**
**თავადი ტობი ვონგ ამილახვარი**

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.





ტურისტული სააგენტო
საქართველო

გთავაზობთ
კომფორტულ
ავტობუსებსა და
მიკროავტობუსებს
გაქირავებით.
ტელ.: * 18 18
2 18 18 18



# ტურისტული კომპანია

## „საქართველო“

აწყობს აქციას საქართველოს მოსახლეობისთვის: ყოველ შაბათ-კვირას გთავაზობთ ერთდღიან ტურებს ქართლისა და კახეთის მიმართულებით, სადაც შეგიძლიათ, იმოგზაუროთ და მოინახულოთ საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლები. ავტობუსები ყოველ შაბათ-კვირას დილის 8 საათზე გადის სპორტის სასახლიდან. ტურის ღირებულება შეადგენს 20 ლარს. ტური ჩატარდება ნებისმიერი ამინდის პირობებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:
ტელ.: *18 18, ან, გვეწვიოთ „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე:
ტურისტული კომპანია „საქართველო“

## საფინანსო კომპანია საქართველო,

ვიღებთ მოსახლეობისგან სესხს წლიურ 30 %-ად. ასევე, კომპანია გთავაზობთ ავტოსალომბარდო მომსახურებას ყველაზე დაბალ პროცენტად, ავტომობილების ადგილზე დაზღვევით და გადაფორმებით. ავტოდაზღვევას უზრუნველყოფს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“

www.saqartvelocompany.ge
მის. აღმაშენებლის გამზირი №151
ტელ: * 18 18





გვ. 22

როგორ დააპანიკა ავსტრიის ჰოჰენჰემის სასახლის პრინცესა ქეთი ქემოკლიძემ და რა დაკარგა ქართულმა პოლიტიკამ მისი უცხოეთში წასვლით

ISSN 1987-569X
9 771987 569002



რა „სტავკები“ აქვს ბაზეს და რატომ დათანხმდა ის ქართველ დრიფტერს რისკის ფასად კაბის გახდაზე

გვ. 67

საქართველო ბეჭედია ბაჯა… …ა თბილისი – შიგ ჩასმულ… …ძი

თბილ…ელე…®

ყოველკვირეული ჟურნალი * გამოდის ორშაბათობით * №47 (673)… * 18 – 24 ნოემბერი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge